კვირის პალიტრა

ფეხი

№24(157) 12/VI.-18/VI.2003. ფასი 60 თ.

1168
2003

ᲘᲓᲣᲛᲐᲚᲘ ᲥᲐᲕᲨᲘᲠᲘ – ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲔ

ᲠᲐᲠᲘ ᲓᲐᲛᲔ ᲛᲗᲕᲐᲠᲔᲣᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

ᲭᲘᲫᲐ – ᲫᲚᲘᲫᲐᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲒᲠᲘᲑᲣᲢᲘ

ᲓᲐᲗᲝ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲮᲕᲠᲔᲢᲘᲚᲘ ᲧᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲑᲛᲘᲚᲘ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ

ᲐᲕᲗᲝ ᲪᲥᲕᲘᲢᲘᲜᲘᲫᲘᲡ ᲩᲐᲪᲛᲣᲚᲘ ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ

«ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒ ᲥᲐᲒᲣᲤᲘ»
38-68-77
877 46-58-49
ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲰᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ

ᲙᲘᲠᲘᲡ ᲐᲚᲘᲒᲠᲐ
ᲗᲔᲛᲐ
№24 (157)
12 — 18 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 2003
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲐᲛᲓᲔ ᲗᲣ ᲛᲝᲛᲩᲘᲕᲐᲜᲡ ᲛᲝᲕᲡᲞᲝᲑᲗ ᲐᲓᲠᲔ...“ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲭᲠᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ 6
ᲡᲐᲡᲘᲫᲝ
„ᲩᲔᲛᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲐᲭᲕᲔᲧᲜᲝᲗ — ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲗᲝᲡ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲗ...“ 8
ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ
„ᲛᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲐᲘᲛᲣᲜᲯᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲔᲬᲝᲜᲝᲡ“ 9
ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲔᲠᲘ
ᲐᲕᲗᲝ ᲪᲥᲕᲘᲢᲘᲜᲘᲫᲔ: „ᲐᲮᲚᲐ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ „ᲤᲔᲠᲐᲓᲘ“, ᲐᲥᲘᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ...“ 11
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
• „ᲮᲔᲠ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲕᲐᲛᲘ ᲭᲐᲨᲘ ᲩᲐᲐᲒᲓᲔᲡ“ 12
• ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲐᲨᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲔᲜ 14
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 16
ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ
ᲫᲛᲐᲙᲐᲪᲝᲑᲐᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ 16
ᲗᲔᲛᲐ
ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲫᲘᲫᲐ — ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ, ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ, ᲓᲔᲓᲐᲒᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲐᲓᲛᲒᲠᲓᲔᲚᲘ... 19
ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲘ
ᲣᲘᲓᲑᲚᲝ ᲒᲝᲒᲐ ᲒᲐᲮᲝᲙᲘᲫᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲒᲔᲐ... 22
ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ
ᲓᲐᲗᲝ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲫᲔ: „ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲛᲘᲮᲐᲭᲕᲣᲚᲘ ᲕᲘᲧᲝ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲖᲔ...“ 24
ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ
ᲜᲘᲜᲘᲙᲝ ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ ᲡᲘᲐ 26
ᲡᲪᲔᲜᲘ
ᲛᲗᲕᲐᲠᲔᲣᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲘ ᲡᲐᲬᲝᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲥᲝᲚᲝᲑᲖᲔ ᲛᲪᲝᲪᲐᲕᲘ ᲥᲣᲠᲓᲘ 28
ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ
ᲢᲔᲡᲢᲘ ᲔᲠᲣᲚᲘᲪᲘᲐᲖᲔ 30
ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ
ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲖᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲑᲔᲕᲠ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲨᲘ ᲘᲩᲔᲜᲡ ᲗᲐᲕᲡ 31
ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐ
ᲐᲠ ᲒᲐᲐᲥᲪᲘᲝᲗ ᲥᲛᲐᲠᲘ! 32
ᲢᲐᲥᲐᲠᲘ
ᲠᲐ ᲫᲐᲚᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲤᲡᲐᲚᲛᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ? 34
ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ
ᲡᲣᲚᲗᲛᲝᲤᲔᲜᲝᲑᲐ 35

ᲛᲗᲕᲐᲠᲔᲣᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲘ ᲡᲐᲬᲝᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲥᲝᲚᲝᲑᲖᲔ ᲛᲪᲝᲪᲐᲕᲘ ᲥᲣᲠᲓᲘ



ᲔᲠᲗᲘ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲘ ᲛᲘᲛᲗᲙᲘᲪᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲫᲘᲚᲨᲘ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲫᲐᲮᲘᲚᲘ ᲔᲡᲛᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐᲨᲘᲪ ᲘᲡ ᲮᲛᲐ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ. ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲨᲔᲣᲪᲜᲝᲑᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲐ ᲘᲢᲐᲪᲔᲑᲓᲐ. ᲗᲕᲔᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲐᲜ ᲝᲠᲯᲔᲠ, ᲓᲐᲡᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲜ ᲓᲐᲮᲔᲣᲚᲘ ᲞᲘᲯᲐᲛᲐᲗᲘ ᲘᲦᲕᲘᲫᲔᲑᲓᲐ.

28

„ᲩᲔᲛᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲐᲭᲕᲔᲧᲜᲝᲗ — ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲗᲝᲡ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲗ...“

ᲫᲐᲚᲖᲔᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲖᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲐᲭᲘᲓᲐᲜ: ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲬᲣᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲨᲝᲠᲡᲐᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲚ ᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡ. ᲓᲐᲛᲔᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ „ᲛᲔᲡᲘᲯᲘ“ ᲛᲘᲕᲘᲦᲔ: „ᲘᲥᲜᲔᲑ, ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ ᲓᲐᲣᲨᲕᲐᲗ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲠᲐᲭᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ, ᲓᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲩᲕᲔᲜᲝᲗ ᲓᲐᲗᲝᲡ“.

8

ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲐᲨᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲔᲜ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲙᲕᲐᲭᲐᲜᲒᲘᲠᲐᲫᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲕᲐᲟᲘ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲗᲐᲜ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ. ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲔᲚᲝᲓᲜᲔᲜ ᲨᲘᲜ ᲛᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ. ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲙᲘ, ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲥᲐᲠᲐ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲛᲧᲝᲤ ᲥᲐᲚᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲡ.

14

ᲓᲐᲗᲝ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲫᲔ: „ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲛᲘᲮᲐᲭᲕᲣᲚᲘ ᲕᲘᲧᲝ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲖᲔ...“

ᲕᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ. ᲘᲥ ᲐᲓᲠᲔ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ ᲘᲥ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲔᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐᲡ ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ. ᲗᲐᲜᲐᲪ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲐᲛᲓᲔ ᲩᲥᲐᲠᲘ ᲛᲐᲒᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲓᲘᲡ, ᲝᲗᲮ ᲡᲐᲐᲗᲨᲘ ᲩᲐᲓᲘᲡ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ.

24

ვარსკვლავები

- შერონ სტოუნი ჰილარი კლინტონის როლში 36
- ჰარისონ ფორდმა ვარსკვლავი სპილბერგის „ხელიდან მიიღო“ 36
- კლინტ ისტვუდი სისხლიან სამუშაოს არ ერიდება 37
- გვენ სტეფანი სპორსეგეს ფილმში ითამაშებს 37
- ქან-კლოდ ვან დამმა შოუში ფულით უნდა აცდუნოს ქალები 37

ფავორიტები

მულტიმილიონერი სპორტსმენები და მათი ძვირფასი სათამაშოები 38

საფეხბურთო მინდვრებზე 41

რომანი

რუსუდან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42

ქართველები

ხელოვანთა ოთხი თაობის ოჯახი ახალი წარმატებების მოლოდინშია 46

ავტო 48

მოგზაურის დღიურები

ამერიკის ციხე და... თავის დაღწევის პირველი იმედი 50

რეპორტაჟი

ყველაზე უსაფრთხო ხომალდი, ნაპირზე ამოთრეული ხომალდია ანუ Pen-მარათონი ღია ზღვაში 53

ოსტატი

„რეინჯერის“ გამომგონებელმა ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი გააოცა 54

ჯანმრთელობა

- როგორ შევარჩიოთ მგზის სათვალე 56
- ისევ ქერტლი 57
- კლიმატი და ჩვენი ორგანიზმი 58
- წავიყვანოთ თუ არ წავიყვანოთ 59

იუმორი

- გამოჩენილ ადამიანთა ხუმრობები 60
- ანეკდოტები 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (16-22 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

როგორია თქვენი ინდივიდუალური მიდრეკილებები? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

თანამედროვე ძია – ბოროტმოქმედი, მსხვერპლი, დედაზე უფრო საქვარელი აღმზრდელი...

ერთ-ერთი ბოროტმოქმედი მიუახლოვდა ბავშვის საწოლს და მისი ნახვა მოინდომა, მაგრამ ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ბავშვი დალოცა, მე კი ხელზე მეამბორა: რაგომ არ მეამბორებოდა? – კარი ხომ საკუთარი ხელით გავუღე...

19

ყველაზე უსაფრთხო ხომალდი, ნაპირზე ამოთრეული ხომალდია ანუ Pen-მარათონი ღია ზღვაში

ჯემალ მონიავა ღამის თევამ და გემის რყევამ ისეთ დღეში ჩააგდო, რომ დილით გარს შემოსვეულ „მწყერჩიტა ჟურნალისტებს“ ხელებში თავჩარგული ემუდარებოდა: გოგოებო-ო-ო, შვილებო-ო, თქვენ შემოგევლოთ ჯემალი ბიძია – შედით, რა, ჩემს მდგომარეობაში და თავი დამანებეთო...

53

ქან-კლოდ ვან დამმა შოუში ფულით უნდა აცდუნოს ქალები



მან კოლექტივში, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, უნდა გაამძაფროს ურთიერთობები. კერძოდ, ვან დამს მოეთხოვება, ყველა ქალთან გააბას ფლირტი და ამით იქ მყოფი ყველა მამაკაცის პროვოცირება მოახდინოს.

37

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

დეამ ხალათის გულისპირი გულმოდგინედ გაისწორა, ქამარიც უფრო მჭიდროდ შემოიჭირა, შემდეგ ნომრის კარი ოდნავ გამოაღო და თავი გაყო. ნომრის წინ ჯინსსა და მაისურში გამოწყობილი, საგანგებოდ დაბანილ-დავარცხნილი გიგოლა იდგა და იღიმებოდა.

42

„დამნაშავის დაჭერამდე თუ მომჩივანს მივსჯიბთ ალრე...“

ძლივს არ დაიწყო სამართლის აღსრულების ეპოქა ჩვენს ქვეყანაში!.. ასე, ბატონებო, მოიყვანეთ თქვენი უფლებები მოქმედებაში და გათამამდით! რაც მე თქვენ გიჩიჩინებთ, გეყოფათ ხათრი და მათრი-მეთქი, აქამდეც უნდა გადაგედგათ დამსჯელი ნაბიჯები, თორემ მაგათი შიშით რა ხანია უკვე, ერთ იეღოველს აღარ მოუკაკუნებია კარზე და „რელიგიურ-აღმზრდელობითი“ მუშაობა არ ჩაუტარებია: „რატომ გაქვს გულზე ჯვარი და სახლში ხატიო?..

ეჰ, „ნეტა იმ დროს“, როცა ქუჩაში იეღოვას მოწმეები გაჩერებდნენ და ლამაზი ილუსტრაციებით გაფორმებულ წიგნებს გჩუქნიდნენ, ავტობუსში ბაპტისტები გილაყებდნენ ტვინს და ლიტერატურითაც გამარაგებდნენ, სკოლასთან ორმოცდაათიანელების „საბაჟო“ იდგა და სახარების ალტერნატიულ სახელმძღვანელოებს გიფეშქაშებდნენ — საბოლოოდ იმდენი წიგნი მომქონდა შინ, რომ მთელი ზამთრის განმავლობაში მიწევდა შეშისა და გაზის მაგივრობას. პირადი ენერგოკრიზისიც გადაჭრილი მქონდა „იტერასა“ და „ეი-ი-ეს-ის“ გარეშე, მაგრამ ვინ გვაცალა?!.



ბასილ მკალავიშვილისა და მისი მრევლის შიშით „საცოდავი“ სექტანტები ცხვირს ვერ ყოფდნენ გარეთ და სხვის გადაბირებას ვინ დაეძებს — თვითონაც დაიწყეს გამართლმადიდებლება, კონგრესებისა და „სიმპოზიუმების“ რიცხვმაც იკლო და წმინდა ნინოს ჯვრით მოქცეულ საქართველოს, ანტიდემოკრატიული იმიჯი შეექმნა საერთაშორისო არენაზე. აუცილებელი გახდა უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება და პირველი ნაბიჯიც გადაიდგა: ბასილ მკალავიშვილს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს.

ასე უნდა, აბა რა! რაღა დროს რელიგიის დაცვაა დემოკრატიული აღმშენებლობის ეპოქაში, როცა პასპორტში არც მამის სახელი გიწერია კაცს, არც მისამართი, არც ეროვნება და არც სარწმუნოება (სხვათა შორის, არც სქესი...) — მოკლედ, სარკეში თუ არ ჩაიხედე, შეიძლება, მარტო პასპორტით, შენ თვითონაც ვერ მიხვდე, ვინ ოხრობა ხარ!

რადგან კანონდარღვევების აღკვეთას მიჰყავით ხელი, თქვენ ოღონდ დაიჭირეთ და დამნაშავეების სია ჩემზე იყოს — აბა, რისი პროვოკატორი ვარ?

დავიწყოთ „საქენერგოს“ თანამშრომლებით, რომლებმაც 11 თვის სახელფასო დავალიანების დაფარვის მოთხოვნით გაფიცვა მოაწყვეს და სამუშაო დღე ჩააგდეს, შუქი გათიშეს, რის გამოც საცოდავ პარლამენტარებს მთელი დღის განმავლობაში, გამორთულ მიკროფონებში მოუწიათ ერთმანეთის გინება... ვინ მისცა ვიღაც ელექტრიკოსებს გაფიცვის უფლება ან როგორ ბედავენ ხელფასის დავალიანების გაპროტესტებას?! შიმშილისგან ვწყდებითო! — რომ გაიძახიან, — თუ წყდებიან, ცოცხლები როგორღა არიან?! ე.ი. არ წყდებიან და რადგან 11 თვე გაძლეს, საერთოდ არ ყოფილა ხელფასი საჭირო. ჰოდა, დაიჭირეთ სუყველა და მიუსვით გვერდით ბასილს (ჯერ ისიც საპოვნელია).

მეტსაც გეტყვით: აფხაზეთიდან დევნილებმა რომ შენობაში დაბინავება მოითხოვეს — რა უფლებით? დევნილი და ლტოლვილი იმიტომ ჰქვია, რომ ქუჩაში უნდა ათევდეს ღამეს, კიდეც უნდა აწვიმდეს და კიდეც უნდა ათოვდეს... თუ დევნილობა არ უნდოდათ, დარჩენილიყვნენ აფხაზეთში და ტაშით შეხვედროდნენ არძინბას ხელისუფლებას! დასაჭერია სუყველა, აბა რა?!

იმდენად გათავხედდა ხალხი, რომ ქუჩების გადაკეტვაც დაიწყო. განსაკუთრებით კი, იმ ქუჩებს კეტავენ ცეცხლმოდებული საბურავებით, რომლითაც ბატონი პრეზიდენტი დადის სამსახურში. ამას წინათ რომ მასწავლებლები გაიფიცნენ, იმაზე მეტი უკანონობა რაღა გინდათ? რა უნდა მასწავლებელს ქუჩაში ან რად უნდა ხელფასი? მასწავლებელი უანგაროდ უნდა ზრდიდეს მომავალ თაობას. ჰოდა, ჩაავლეთ ხელი მასწავლებელს და „ჰაიდა“ ციხეში!..

დაბოლოს, რომ დაუღია პირი ამ ხალხს და გაიძახის — აჰა, გაერთიანდა მთელი საქართველო, ძირს პრეზიდენტიო!.. — ვინ მისცა ხალხს პრეზიდენტის გადაყენების უფლება? რავა, მისი არჩეულია თუ?!.

აბა, თქვენ იცით, ძვირფასო მოსამართლენო და „მოსამართლენო“! ამაზე მეტი სამხილი რაღა გინდათ, რაც მე ამ ერთ გვერდში ჩავატიე?! გაეცით სანქცია: „აყვანილ იქნას პატიმრობაში ქართველი ერი“, დაგვხვიეთ ხელი, სუყველას და გამოგვკეტეთ ციხეში. თქვენ კი დარჩით „სვაბოდაზე“, უკარით ერთმანეთს ტაში, სტყორცნეთ ჯოკონდას ღიმილი და უკითხეთ ერთმანეთს შექსპირის მონოლოგები.

აი, მაშინ დამკვიდრდება კანონის სრული უზენაესობა და დემოკრატიული პრინციპები!...

P.S. რუსული რჩევა ქართველ ხალხს:

„Если вас насилуют, расслабьтесь и постарайтесь получить удовольствие...“

პროვოკატორი

„დაკარგული 600 ლარის კომპენსაციას გრანტები გამიწევს“

— ბატონო ჯუმბერ, თქვენ უკვე აპოლიტიკური ადამიანი ხართ. ცესკოს თავმჯდომარის პოსტის დატოვების შემდეგ, რა შეგიძლიათ გვითხრათ? გული ხომ არ გწყდებათ, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეთ?

ჯუმბერ ლომინაძე, *ცენტრალური საარჩევნო კომისიის ექსთავმჯდომარე:*

— ცესკო პოლიტიკური ორგანო არ არის. უბრალოდ, მასზე იმდენი ითქვა და დაიწერა, ისე ამოიღეს თვალში, რომ შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს მას შეუძლია, გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ ვინ მოვა ხელისუფლებაში. საოცრად მაღიზიანებს სიტყვა „გაყალბება“, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში, ძალიან ხშირად მესმოდა. არასოდეს, არანაირ გარიგებაში არ მიმიღია მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, ისე მოქმედებდა ჩემზე არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით გავრცელებული ხმები, რომ რამდენჯერმე დავწერე განცხადება გადადგომის შესახებ. ბოლოს, შევედი პრეზიდენტთან განცხადებით და ვუთხარი: სამი, ძალიან სოლიდური გრანტი მივიღე, რომელშიც ჩემი ახალგაზრდა მოწაფეები და ასპირანტები მონაწილეობენ და მთელი ჩემი ენერგია ამ საქმისკენ უნდა მივმართო-მეთქი. მან მიპასუხა, რომ ამ გადაწყვეტილების მისაღებად მზად არ იყო. როდესაც პრეზიდენტთან შემქონდა განცხადება, მაშინ არ ვიცოდი, რომ თავმჯდომარეობიდან ცესკოს უნდა გავეთავისუფლებინე და არა პრეზიდენტს. არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ცესკოდან წამოსვლისგან ვიკავებდი თავს: იქ საკმაოდ დიდი ჯამაგირი მქონდა — ყოველთვიურად 600 ლარს ვიღებდი, 300 ლარს კი ბენზინის შესაძენად მაძლევდნენ. ადამიანს, რომელსაც უჭირს და ამხელა ხელფასს კარგავს, შეიძლება, მართლა დასწყდეს გული მიღებული გადაწყვეტილების გამო. მაგრამ ჩემს შემთხვევაში, ასე არ ხდება: 600 ლარი დამაკლდება, მაგრამ ამის კომპენსაციას გრანტები გამიწევს. და მაინც, ამ გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის ადვილი არ იყო, გულიც მწყდება, მაგრამ დროა, მთლიანად მეცნიერებას დავუბრუნდე. ცესკომ ამ 7 წლის მანძილზე დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შემმატა. ■

„ჩეჩნების სამშობლოში დაბრუნება თვითმკვლელობის ტოლფასია“

— როგორც თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა, რუსეთის ფედერაციის საგანგებო სიტუაციათა მინისტრის მოადგილემ იური ბრაჟნიკოვმა განაცხადა, რუსული მხარე თანახმაა, რომ საქართველოში მცხოვრები 4200 ჩეჩენი ლტოლვილის სამშობლოში დაბრუნების პროცესი გაეროს წარმომადგენელთა მონაწილეობით განხორციელდეს. მიიღებენ თუ არა ამ წინადადებას საქართველოში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილები?

მეძა ხანგოშვილი, *ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელი:*

— რუსეთის მიზანია, პირისაგან მიწისა აღგავოს ჩეჩენი ხალხი. ამიტომ მგონია, რომ არც ერთი საღად მოაზროვნე ჩეჩენი არ დაბრუნდება იმ ტერიტორიაზე, რომელსაც რუსეთი აკონტროლებს. დღეს ჩეჩნების სამშობლოში დაბრუნება თვითმკვლელობის ტოლფასია. ჩეჩნები ჯეროვნად აფასებენ იმ ამაგს, რომელიც საქართველომ მათზე გასწია, მაგრამ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე დაბრუნებაზე საუბარი ზედმეტია. ჩეჩნებს თუ უნდათ საქართველოს დატოვება, მხოლოდ იმიტომ, რომ ლტოლვილების გამო არაერთხელ დაიბომბა პანკისის ხეობა. რუსეთი მუდმივად მანიპულირებს აქ მცხოვრები ჩეჩნებით. და თუ ლტოლვილები საბოლოოდ მაინც მიიღებენ გადაწყვეტილებას საქართველოს დატოვების შესახებ, ისინი გაემგზავრებიან მესამე ქვეყანაში. სულერთია, ეს რომელი ქვეყანა იქნება — მთავარია, ამ ქვეყანაზე რუსეთს არ ჰქონდეს ზეგავლენის საშუალება. ■

„ეს არ არის ტერიტორიული პრეტენზია აზერბაიჯანის მიმართ...“

— როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს ხელისუფლება აპირებს, მიმართოს აზერბაიჯანის ხელისუფლებას თხოვნით, რომ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ის ნაწილი, რომელიც მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდა, კვლავ საქართველოს საზღვრებში მოექცეს. ცნობილია ისიც, რომ ამის განხორციელება შესაძლებელი იქნება, აზერბაიჯანისთვის შესაბამისი ფართობის კომპენსაციის საფუძველზე. როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკებები?

ზაზა კანდელაკი, *საქართველოს საზღვრების სახელმწიფო სადელიმიტაციო და სადემარკაციო კომისიის თავმჯდომარე, საგანგებო დავალებათა ელჩი:*

— საუბარია დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ერთ ნაწილზე — ბურთუბანზე, რომელიც კარგა ხანია, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს. მოლაპარაკებები დავითგარეჯის კომპლექსთან დაკავშირებით რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. ბოლო შეხვედრა ბაქოში შედგა. უახლოეს მომავალში, მოლაპარაკებები თბილისშიც გაიმართება. აზერბაიჯანის მხარეს უხელმძღვანელებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხალიფ ხალიფოვი. თუ რა პასუხს მივიღებთ აზერბაიჯანისგან, დავითგარეჯის კომპლექსის ნაწილის სანაცვლოდ, გარკვეული ტერიტორიის კომპენსაციის სახით გამოყოფის თაობაზე — ეს მიმდინარე თვეში დაგეგმილი მოლაპარაკებების დროს გამოჩნდება. ეს არ არის ტერიტორიული პრეტენზია აზერბაიჯანის მიმართ. საქართველოს სურვილია, სამონასტრო კომპლექსი გაერთიანდეს. თუ ეს მეორე მხარის ეროვნულ ინტერესებს არ ავნებს და ჩვენს თხოვნას აზერბაიჯანი გაითვალისწინებს, მადლიერნი დავრჩებით. კომპლექსის გაერთიანების მიხედვით, დაფიქსირდება საზღვარი, მოხდება საზღვრის ჯერ დელიმიტაცია, შემდეგ კი დემარკაცია. ■

„ხურცილავა გამიზნულად მოქმედებდა“

— გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულ გრიგოლ ხურცილავას ახალი ფსიქოლოგიური გამოკვლევა ჩაუტარდა. როგორც მისი ადვოკატი ამბობს, ის მეორე დასკვნითაც უკმაყოფილოა და ისევ აპირებს პროცესზე შუამდგომლობის დაყენებას იმავე მოთხოვნით. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

ნელი ჩოხელი, *ექსპერტი:*

— დანაშაულის ჩადენისას, გრიგოლ ხურცილავა აფექტის მდგომარეობაში არ იმყოფებოდა. ის საკუთარ თავს აკონტროლებდა და გამიზნულად მოქმედებდა. გამოკვლევის დროს, ჩვენთვის ამოსავალი და ძირითადი დასაყრდენი სისხლის სამართლის საქმის მასალები იყო, რომელიც განსასჯელთან ერთად გადმოგვეცა შესასწავლად. ხურცილავა გამოკვლევაში აქტიურად მონაწილეობდა, იძლეოდა გონივრულ პასუხებს. აზროვნების დაქვეითება, აბნეზია ხურცილავას არ აღენიშნება. არ არის კონფლიქტური, აქვს ოპტიმისტური ხასიათი. ახასიათებს უმნიშვნელო შინაგანი შფოთვა, განეკუთვნება წყნარ, მშვიდ და გაწონასწორებულ პიროვნებათა რიგს. არ ახასიათებს რაიმე პათოლოგიური გადახრა. ფსიქოლოგიური გამოკვლევა ხურცილავას თვე-ნახევრის განმავლობაში უტარდებოდა და შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო: გრიგოლ ხურცილავას პიროვნებიდან, მისი შინაგანი მახასიათებელი ნიშნებიდან და თვისებებიდან გამომდინარე, დასახელებული მოტივის გათვალისწინებით, ხურცილავას შეეძლო, დაეძლია საკუთარი თავი, გადაელახა პრობლემა და დანაშაული არ ჩაედინა. ვიმეორებ, ის მოქმედებდა გამიზნულად. ■

„ბატონებს სვანური წესით დაველაპარაკებით...“

— ბატონო ემზარ, 5 ივნისს გატაცებული, გაეროს დამკვირვებლებისა და მათი ქართველი თარჯიმნის დაბრუნების შემდეგ, თითქმის არც ერთი ოფიციალური პირი არ აკეთებს კომენტარს ჩატარებული ოპერაციის თაობაზე. მარტო „მონადირის“ დახმარებით შეძელით მძევლების გამოხსნა თუ საქმეში სხვა ძალებიც იყვნენ ჩართულნი და საერთოდ, როგორ შეფასებას მისცემთ მომხდარ ფაქტს?

ემზარ კვიციანი, *პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში:*

— რა თქმა უნდა, დანაშაულის ჩადენის ფაქტს უარყოფითად ვაფასებ. მას ქვეყნისთვის გამანადგურებელი დარტყმის მიყენება შეეძლო, ცუდი დასასრულის შემთხვევაში. მაგრამ ერთად დგომის და სტრატეგიულად გათვლილი მოქმედების წყალობით, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მძევლების გამოხსნა „მონადირის“, ადგილობრივი მოსახლეობის, უშიშროების და თავდაცვის სამინისტროებისა და სასაზღვრო დეპარტამენტის ძალების კოორდინირებული მოქმედების შედეგად მოხერხდა, რომელსაც მუდმივ კონტროლს უწევდა სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე. ოპერაციას, როგორც საუკეთესოდ ჩატარებულს, ისე ვაფასებ, ვინაიდან მძევლების სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრა და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ოპერაციაში სხვა ძალაც ჩაერთო. გამტაცებლებმა რომ გაიგეს — ხეობაში ყველა გზა მოჭრილი გვაქვს და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ფულის გამოძალვის მიზნით დაკავშირება არ ღირსო, — დაუკავშირდნენ გაეროს ოფისს და პარალელურად შავი სამყაროს წარმომადგენლებს. ვერ გაითვალისწინეს, რომ ახლანდელი „შავი სამყარო“ კომუნისტების დროინდელს არ ჰგავს. ისინი ომის დროსაც მხარში ამომიდგნენ და ახლაც. მე თვითონ დავურეკე ტარიელ ონიანს, ვთხოვე, საქმეში ჩართულიყო. ყველაფერი უნდა გვეღონა იმისათვის, რომ სისხლი არ დაღვრილიყო, თორემ, რასაც ათი წლის განმავლობაში მიაღწია საქართველომ, ყველაფერი წყალში ჩაგვეყრებოდა... მძევლებს საჭმელ-სასმელს არ აკლებდნენ გამტაცებლები და არც ძალადობა გამოუჩენიათ მათ მიმართ. სამწუხაროდ, გამტაცებლებს შორის კოდორელებიც არიან — სხვაგვარად, გარედან შემოსული ვერაფერს გაბედავდა. ვნახავთ მაგათ სუყველას, დავიჭერთ და სვანური წესით დაველაპარაკებით...

ეკა ლომიძე

„დღეს გვყავს ოდნავ სახეშეცვლილი კომუნისტური მთავრობა...“

— ბატონო კოტე, რამდენ ხანს აპირებთ მანიფესტაციების გაგრძელებას და როდის დაუბრუნდებით პარლამენტის სხდომებს?

კოტე კემულარია, *პარლამენტარი:*

— ეს არის მომაკვდავი ხელისუფლება და დამბლადაცემული პარლამენტი... რა აზრი აქვს სხდომებზე დასწრებას?! გამოსვლები, რომელიც დღეს მიმდინარეობს, საქართველოში შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ არის მიმართული. ამ დროს, ჩვენ ხალხის გვერდით უნდა ვიდგეთ. პერმანენტულად გაგრძელდება საპროტესტო აქციები სხვადასხვა რაიონში. თუ ეს ხელისუფლება შევარდნაძესთან ერთად კვლავ ასეთ პოლიტიკას გააგრძელებს, ყველანი ერთად გაემგზავრებიან ან პოლიტიკურ სანაგვეზე, ან პოლიტიკურ საიქიოში. დღეს გვყავს ოდნავ სახეშეცვლილი კომუნისტური მთავრობა, რომელსაც საკუთარი ხალხის ეშინია. ხელისუფლების შეშინება იმისთვის კი არ გვჭირდება, რომ მათი შეშინებული სახეები დავინახოთ, არამედ იმისთვის, რომ შეშინებულმა ხელისუფლებამ პარლამენტში თავის ფრაქციებს უთხრას: იყავით სამართლიანები, ცხოვრებაში ერთხელ მაინც დაემსგავსეთ იმ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელსაც დეპუტატი ჰქვია და გააკეთეთ ის, რასაც ქართველი ხალხი მოითხოვს. ■

ᲕᲐᲢᲘᲙᲐᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

რომის პაპი იოანე-პავლე მეორე ყველაზე აქტიურ პაპადაა მიჩნეული ვატიკანის მთელი ისტორიის მანძილზე. ამ ცოტა ხნის წინ, ამერიკულმა სააგენტომ „ასოშიეტედ პრესმა“ რამდენიმე საინტერესო მონაცემი გამოაქვეყნა ამჟამინდელი პაპის მოგზაურობათა შესახებ. ის იტყობინება, რომ კათოლიკური ეკლესიის სათავეში ყოფნის 24 წლის მანძილზე, იოანე-პავლე მეორემ 575 დღე გაატარა ვატიკანის ფარგლებს გარეთ. ამ დროს, ის 129 სახელმწიფოს ეწვია პირველად, სულ კი, 201 ქვეყანაში იმოგზაურა და საბოლოო ჯამში 1160113 კმ მანძილი დაფარა.

პონტიფიკი, რომლის საერო სახელია კაროლ ვოიტილა, პოლონეთის ქალაქ ვადოვიცეში 1920 წლის 18 მაისს დაიბადა. ის 1978 წელს აირჩიეს რიგით 264-ე პაპად. დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც ვატიკანმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მას პარკინსონის დაავადება სჭირს. მიუხედავად ამისა, იოანე პავლე მეორე, XX საუკუნის ყველა პაპზე უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უდგას სათავეში კათოლიკურ ეკლესიას და სასიცოცხლო ძალების ნაკლებობას არც ახლა უჩივის. ■

ᲡᲐᲓᲐᲛ ᲰᲣᲡᲔᲘᲜᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲣᲠᲘ ᲕᲘᲓᲔᲝᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲐᲛᲮᲐᲛᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ

ვიდეოკასეტა, რომელიც ერაყის ყოფილი დიქტატორის პირადი ცხოვრების ერთ ეპიზოდს ასახავს, ბაღდადში უმალ ბესტსელერად იქცა. 10 წლის წინ გადაღებულ ფირზე, სადამ ჰუსეინის ქალიშვილის – პატარა ჰალას დაბადების დღეა აღბეჭდილი. ეს კასეტა რიგით მოქალაქეებს აძლევს უნიკალურ შანსს, ცოტათი მაინც ახადონ ფარდა იმ ადამიანის პირად ცხოვრებას, რომელსაც ათწლეულების მანძილზე ხელთ ეპყრა მათი ქვეყნის მმართველობის სადავეები. არავინ იცის, თუ საიდან გაჩნდა ეს ვიდეოკასეტა, თუმცა, გამყიდველები ვარაუდობენ, რომ ის მაროდიორებმა გამოიტანეს, ჰუსეინის უახლოესი გარემოცვის ერთ-ერთი წარმომადგენლის სახლიდან.

დიქტატორის მმართველობის დროს, ინფორმაცია პრეზიდენტის ოჯახის შესახებ უმკაცრეს კონტროლს ექვემდებარებოდა და იმ მწირ ცნობებსაც, რომელიც მასმედიაში პოულობდა ასახვას, საფუძვლიანი „რეჟისურის“ წნეხში ატარებდნენ. ამ ვიდეოჩანაწერის წყალობით კი, უბრალო ერაყელები ხედავენ, შვილების, პირველი ცოლის – საჯიდასა და მიწვეული ბავშვების გარემოცვაში მყოფ ჰუსეინს; კადრში ჩანს დიდი ტორტი, რომელსაც კანფეტებისგან დამზადებული გისოსებით დამშვენებული სახლის ფორმა აქვს, შიგ კი ულამაზესი ფრინველის გამოსახულებაა... ეკრანზე ჩანან დიქტატორის არანაკლებ სახელგანთქმული ვაჟიშვილები – კუსეი და უდეი. სადამი თავზე ხელს უსვამს ჰალას; „იუბილარი“ გოგონა სანთლებს აქრობს, რასაც ყველა შეკრებილი მქუხარე ტაშით ეგებება; სადამი ორჯერ კოცნის ლოყაზე ქალიშვილს; შემდეგ, გაღიმებული პრეზიდენტი ებაასება თავის სიძეს (დის ქმარს), რომელსაც მოგვიანებით – 1996 წელს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ (ჰუსეინის ბრალდებების გამო, მან ცოტა ხნით, თავი შეაფარა იორდანიას), სიკვდილით დასჯის...

ვიდეომაღაზიის მფლობელის თქმით, ვიდეოკასეტები თვალის დახამხამებაში გაიყიდა: 70 ასლი (თითოეული, 1.000 დინარად, რაც დაახლოებით 1 დოლარს უდრის) სულ რაღაც ერთ საათში გაქრა დახლიდან. „ერთი კასეტა მაგნიტოფონში ჩავდე, რომ ჩანაწერი ქუჩაში გამვლელებსაც ენახათ... აღმაშფოთებელია: ისინი ჯერ ადამიანებს ხოცავდნენ, შემდეგ კი, დაბადების დღეებზე ერთობოდნენ. სადამი გვარწმუნებდა, რომ სწამდა ღმერთი, სინამდვილეში კი, ყველაზე უზნეო კაცი, ნამდვილი დამნაშავე ყოფილა...“ ჰუსეინის ოჯახური ვიდეოკასეტის ერთ-ერთმა მფლობელმა კი, შეძენიდან მეორე დღეს აღნიშნა: ჩემი ოჯახის წევრებს ეს სანახაობა გაცილებით მეტად მოეწონათ, ვიდრე სილვესტერ სტალონეს „რემბოო“ (არადა, ეს ფილმი ამჟამად, ყველაზე პოპულარულია ერაყში), – და დასძინა: „სადამი რემბოზე ბევრად უფრო საინტერესო კაცია. უფრო მეტიც – ის ნამდვილი რემბოა, ოღონდ – ერაყელი...“ ■

ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲢᲔᲚᲔᲨᲝᲣ ᲙᲐᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ცოტა ხნის წინ, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო ტელეშოუ კატებისთვის. ავტორთა ჩანაფიქრით, ახალი, ნახევარსაათიანი პროგრამის მაყურებლის აუდიტორია ძირითადად, არა ადამიანებისგან, არამედ კატებისგან უნდა შედგებოდეს.

სწორედ ისინი არიან გადაცემის მთავარი გმირები. პროგრამის სახელწოდებაა – „მიაუ-თი-ვი“. იგი ივნისში სისტემატურად გავა საკაბელო ტელევიზიის – Oxigen Networook-ის არხზე. გადაცემის შექმნის იდეა ეკუთვნის ერთ-ერთ უდიდეს ამერიკულ კომპანიას, რომელიც კატების საკვებს „მიაუ მიქსს“ აწარმოებს. პროგრამის მომზადების გადაწყვეტილება კი, გამოკვლევების შედეგად იქნა მიღებული, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ კატების მესამედს ძალიან უყვარს ტელევიზორის ყურება. ამის თაობაზე განაცხადა ფირმა „მიაუ მიქსის“ მარკეტინგის დირექტორმა აირ კოენმა. „ჩვენი მიზანია, გავაბედნიეროთ კატები, – დასძინა მან. – ამიტომაც შევქმენით ეს პროგრამა კატებისთვის და მათი პატრონებისთვის“. სტატისტიკის მიხედვით, აშშ-ში დაახლოებით 85 მლნ კატაა. პირველი გადაცემის გმირები იყვნენ: კატა, რომელიც ჩხირებით ჭამს და კატა, რომელიც სერფინგითაა გატაცებული. გადაცემის მესვეურნი მათ, ვინც შოუს სისტემატურად უყურებს, სთავაზობენ, თავიანთი საყვარელი ცხოველებისთვის დაბადების დღის მისალოცები და მათზე გადაღებული, საინტერესო ვიდეოჩანაწერები გააგზავნონ ტელესტუდიაში. ■

იყიდება იმელდა მარკოსის საუჯეთესო „მეგობრები"...

ფილიპინების ექსპრეზიდენტის, ფერდინანდ მარკოსის ცოლის – იმელდას სისუსტეს, არა მარტო ფეხსაცმელი (ყოფილ პირველ ლედის, რამდენიმე ათასი წყვილი დაუგროვდა), არამედ ძვირფასეულობაც წარმოადგენდა. ჰოდა, წლის დამლევისთვის, ფილიპინების მთავრობას დაგეგმილი აქვს იმელდა მარკოსის საყვარელი ნივთების გრანდიოზული გამოფენა-გაყიდვის მოწყობა. მაგალითად, წარმოდგენილი იქნება სპარსული ყელსაბამი, რომელსაც 100-კარატიანი, ყვითელი და ვარდისფერი ბრილიანტები ამშვენებს და ბრილიანტის სამაჯური, 31-კარატიანი ალმასით.

1986 წელს, ფილიპინებიდან ქალბატონი მარკოსის გაქცევის შემდეგ, მისთვის ჩამორთმეული ქონების საერთო ღირებულება აშკარად სცილდება წინასწარი შეფასებით დადგენილ თანხას – 20 მლნ დოლარს. თუმცა, ეს თანხა ვერაფრით გადაფარავს ზარალს, რომელიც ცოლ-ქმარმა ხელისუფლებაში ყოფნისას მიაყენა ქვეყანას: მათ ხომ 6 მლრდ დოლარით გაძარცვეს თავიანთი საშობლო! 17 წლის წინ, როცა სახალხო ამბოხებით შეშინებულმა წყვილმა ჰავაის კუნძულებზე გაქცევით უშველა თავს, ამერიკელმა და ფილიპინელმა მებაჟეებმა მათ აღმოუჩინეს ჩემოდანი, რომელიც სავსე იყო მარგალიტის ქვებით; ზოგი მათგანი გოლფის ბურთის ზომასაც კი უტოლდება!.. კიდევ 60 დასახელების სხვადასხვა, ძვირად ღირებული ნივთი, პირველი ლედის ბერძენ მეგობართან, დემეტრიუ რუმელიოტისთან ინახებოდა. მან ვერ მოასწრო ქვეყნიდან ძვირფასეულობის გატანა. თავიდან, სამართალდამცავებმა ეს ნივთები მაგიდაზე დაუდევრად დაყარეს, რადგან ვერ იჯერებდნენ, რომ მათ წინაშე ასეთი რაოდენობის ძვირფასი ქვები ეყარა... თუმცა, იმელდა მარკოსის ქონების ძირითადი ნაწილი, რომელიც 400 ნივთისაგან შედგებოდა, ამერიკელმა მებაჟეებმა ჰონოლულუს ერთ-ერთ აეროპორტში აღმოაჩინეს.

■

რა ქონების პატრონია პრეზიდენტი ბუში?

აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტის ოჯახის ქონება 21,9 მლნ დოლარადაა შეფასებული. ეს მონაცემი თავად ჯორჯ ბუშმა გადასცა სამთავრობო დეპარტამენტს, რომელსაც სამსახურებრივი ეთიკის საკითხების რეგულირება აკისრია. ამგვარი ინფორმაციის მიწოდება-არმიწოდება, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთათვის სავალდებულო არ გახლავთ და თითოეულმა ჩინოსანმა თავად შეიძლება გადაწყვიტოს ამ ნაბიჯის მიზანშეწონილობა.

პრეზიდენტ ბუშის ავლადიდებას წარმოადგენს უძრავი (ტეხასის შტატში მდებარე, 5 მლნ დოლარად შეფასებული რანჩო) და მოძრავი ქონება, მათ შორის – ძვირად ღირებული საჩუქრები, რომელიც სახელმწიფოს მეთაურს შარშან მიუძღვნეს, მაგალითად: 1.000 დოლარად შეფასებული, კოვბოის ქუდი, მწერალ ჰარპერ ლის ავტოგრაფიანი წიგნი, ჯგუფის – Rolling Stones-ის კონცერტის ბილეთები, რომელიც პრეზიდენტის ქალიშვილს მეგობრებმა მიართვეს... თავად ბუშის თქმით, მისი ფინანსური სახსრების უმეტესი ნაწილი ფასიან ქაღალდებშია დაბანდებული – პრეზიდენტის ოჯახი, Microsoft-ის, IBM-ის, Procter&Gamble-ისა და ზოგიერთი სხვა, დიდი კომპანიის აქციებს ფლობს. საინტერესოა, რომ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი, რომელმაც ბუშის მსგავსად, ასევე გამოამზეურა საკუთარი ქონება, თავის შეფზე გაცილებით მდიდარია: მისი ქონება 86,4 მლნ დოლარს აღწევს.



■

უცნობი ლენონი

ნიუ-იორკში ჯონ ლენონის ცხოვრების ეპიზოდების ამსახველი, უნიკალური დოკუმენტური ფილმი იყიდება. 45-წუთიან ვიდეოფირზე აღბეჭდილია, ლეგენდარული მუსიკოსი თუ როგორ დახეტიალებს ნიუ-იორკის ქუჩებში, ცხენებით სეირნობს, ზოოპარკში ცხოველებს აჭმევს და ფარდულში ნაყინს ყიდის... ლენონი 1974 წლის ნოემბერში, კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სტუდენტმა დაითანხმა გადაღებაზე. მას შემდეგ, აღნიშნული კადრები არსად უჩვენებიათ და მხოლოდ ერთადერთ ეგზემპლარად არსებობს. 10 წლის წინ, ეს ფირი უცნობმა კოლექციონერმა შეიძინა ავტორისგან. ახლა კი, ამ რარიტეტის 65 ათას დოლარად გაყიდვას ვარაუდობენ.

■

„ჩემი სურათი არ გამოაქვეყნოთ - მხოლოდ დათოს აჩვენეთ...“

„ბალკანეთი ბალიუნზე ლაპაზი ბალინა უნდა იუოს, რომ ეოგელნოლოს“

ესეც ასე... „გზამ“ ძველი ქართული ტრადიცია — ე.წ. მაჭანკლობის ინსტიტუტი აღადგინა და ჩვენს უცოლო თუ გასათხოვარ ცნობილებს, რომლებიც უზომოდ დაკავებულები არიან და პირადი ცხოვრებისთვის ვერ იცლიან, მათი წილი ბედნიერების მოპოვებაში ეხმარება. ამის გამო, კოლეგებმა „ხანუმაც“ კი შემარქვეს და „სასიძოების“ რიგშიც ჩადგნენ: ისეთი ლამაზ-ლამაზი „საპატარძლოები“ მოდიან, ჩვენც ცოლის მოყვანის ეშხზე მოვედით და რამე გაგვიჩალიჩეო... ალბათ გახსოვთ — წინა ნომრის სასიძო, დათო ხუჯაძე გახლდათ და აღსანიშნავია, რომ მართლაც ერთიმეორეზე უკეთესი გოგონები მოდიოდნენ რედაქციაში და სურათებსაც გვიგზავნიდნენ... საქმეში დამხმარე მაჭანკალიც ჩაერთო და თავისი მეგობრის სურათი მოგვიტანა...

მარი ჯაფარიძე

შორენა:

— თეა ჩემი მეგობარია. დათო ძალიან მოსწონს. ერთხელ, მამამისის მანქანით სეირნობდა, ავტოგასამართ სადგურზე შეჩერებულა, იქვე დათო მისულა მეგობრებთან ერთად და იმის შემდეგ, უფრო მოიხიბლა მისით. მინდა, სიურპრიზი მოვუწყო და მისი სურათი დაგიტოვოთ, რომ დათოს აჩვენოთ. შეგიძლიათ, ჟურნალშიც გამოაქვეყნოთ *(თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, ამისგან მაინც შევიკავეთ თავი. — რედ.)*, ვიცი, ამას არ მიწყენს და თუ დათოს არ მოეწონება, გასახსენებლად მაინც დარჩება...

— **გვითხარი რამე თეას შესახებ...**

— ის 26 წლისაა, მუშაობს სახელმწიფო სახაზინო დეპარტამენტში. გასათხოვარია, ძალზედ რომანტიკული და კარგი მეოჯახე გოგონაა. საუკეთესოდ ეხერხება ხაჭაპურის ცხობაც და ნებისმიერი საოჯახო საქმეც. თბილისელია. სამი ძმა ჰყავს.

...დათო ხუჯაძის ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, გადაწყვეტილი მქონდა, დამეთვალა იმ ზარების რაოდენობა, რომელიც ჩემს მობილურზე დაფიქსირდებოდა. 306 ზარი დავთვალე. ზოგი, დათოს ტელეფონის ნომერს მთხოვდა, ზოგი პირდაპირ, მბრძანებლურად მეუბნებოდა: აბა, ერთი, დათო დამალაპარაკეო... სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას, ერთ გოგონას ტელეფონით ვუხსნიდი, თუ როგორ უნდა გამოეგზავნა სურათი „კვირის პალიტრის“ ყუთის მეშვეობით. ტელეფონი გამოვრთე თუ არა, გვერდით 17-18 წლის გოგონა მომიჯდა და დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი, რაც დათოსთან დაკავშირებით აინტერესებდა. შემდეგ მითხრა: თქვენი სტატია წავიკითხე და რედაქციაში მოსვლას ვაპირებდი; ალბათ ესეც ბედია, რომ აქ შეგხვდით, აუცილებლად დაგიკავშირდებითო... თქვა და აასრულა კიდეც დანაპირები.

მაია, 18 წლის:

— იცით, დღე და ღამე, დათოს სიმღერებს ვუსმენ. ისეთი მაგნიტოფონი მაქვს, კასეტას ავტომატურად ახვევს. ჰოდა, ძილის წინ, ჩავრთავ ხოლმე დათოს სიმღერებს და მთელი ღამე მისი ხმის თანხლებით მძინავს. ის კი არა, ვისაც სახელი „დათო“ ჰქვია, ლამისაა, ყველა შემიყვარდეს...

დათოს ფანები დამიმეგობრდნენ კიდეც. ქუთაისიდან თითქმის ყოველდღე მირეკავს სოფო. თბილად მომიკითხავს, დათოს რომელიმე სიმღერას მომასმენინებს და — დათო როგორ არისო? — აუცილებლად იკითხავს. შემპირდა: თვე-ნახევარში, თბილისში ჩამოვალ და აუცილებლად გინახულებო...

დათო თავის ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ მისი რჩეული არავითარ შემთხვევაში არ იქნება ცნობილი და პოპულარული ადამიანი. ამან კი ერთ-ერთი მისი თაყვანისმცემელი, თეატრალური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი შეაშფოთა და ცხოვრებისეული გეგმებიც კი შეაცვლევინა.

თეა, 19 წლის:

— თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობ, სამსახიობო ფაკულტეტზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ოდესმე მაინც გავხდები პოპულარული. დათოს სიტყვებმა კი დამაფიქრა და გადავწყვიტე, გამოვიტანო საბუთები და სადმე სხვა ინსტიტუტში გადავიდე...

ძალზედ საინტერესო ზარი იყო რაჭიდან: გოგონა წუხდა, რომ თბილისიდან შორსაა და ვერ ახერხებს ჩვენთან მოსვლას. შეგვპირდა, სურათს აუცილებლად გამოგიგზავნითო. დამემშვიდობა და ცოტა ხანში მისგან „მესიჯი“ მივიღე: „იქნებ, გამონაკლისი დაუშვათ და როგორც რაჭველებისგან, დაგვიანებით მიღებული სურათი მაინც აჩვენოთ დათოს“.

ახლა, რამდენიმე წერილის ნაწყვეტიც მინდა შემოგთავაზოთ — რასაკვირველია, უცვლელად.

ნინო:

„წინასწარ გიხდით მადლობას არა მარტო იმისთვის, რომ ამ წერილს წაიკითხავთ, არამედ იმისთვის, რომ ჩემი ერთ-ერთი ოცნების ასრულების შანსი მომეცით. ბუნებით გაბედული ვარ, მაგრამ ამ წერილის დაწერა იოლი ნამდვილად არ იყო. ჩემი სურვილია, გავიცნო და ვესაუბრო ჩემს საყვარელ მომღერალს, დათო ხუჯაძეს. შესაძლოა, სურვილი არ ამისრულდეს, მაგრამ მე იმითიც კმაყოფილი ვარ, რომ ამ ბარათის

გამოგზავნა გავბედე...“

ლალი, 19 წლის:

„თუ დათო მოინდომებს ჩემს გაცნობას, მე მზად ვარ, დავაკმაყოფილო მისი მკაცრი მოთხოვნები. მან შეიძლება არ დაიჯეროს, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, პოპულარული მომღერალი იქნებოდა ის თუ უბრალო ადამიანი. რედაქციას კი ვთხოვ, მთელი სულითა და გულით, რომ ჩემი სურათი არ გამოაქვეყნოთ – მხოლოდ დათოს აჩვენეთ...“

ლია, 22 წლის, ბათუმელი:

„ჯერ არ ვყოფილვარ შეყვარებული, რადგან ვთვლი, რომ ქალს უნდა უყვარდეს ცხოვრებაში ერთხელ და ის კაცი უნდა გახდეს მისი მეუღლე... ვარ ძალიან კარგი მზარეული. ვამზადებ ძალიან გემრიელ ბათუმურ „ბაქლავას“ და დიდი სურვილი მაქვს, დათოს გავასინჯო. მომწონს დათოს ხმა და ვთვლი, რომ გარეგნულად ნამდვილი ქართველი მამაკაცია. დათო, დიდი იმედი მაქვს, რომ ერთმანეთს გავიცნობთ და გთხოვთ, იმედს ნუ გამიცრუებთ“.

ყველა ჩვენს რესპონდენტს ვპირდებით, რომ მათ გზავნილებს დათო ხუჯაძეს გადავცემთ, დანარჩენი ჩვენს ხელთ არ არის...

ახლა კი, რუბრიკის მეორე ნაირსახეობას – „საპატარძლოს“ გთავაზობთ. ის იდეა, რომ ჯგუფ „ფორტეს“ წევრი, ***ირინა კახნიაშვილი*** *წარმოგვედგინა მკითხველისთვის ამ რუბრიკაში, ფაქტობრივად, მანვე მიკარნახა, როდესაც ჩემთან საუბრისას აღნიშნა, რომ სასურველი სარძლოა...*

– ვარ 25 წლის, იმერელი, ზოდიაქო – ლომი, წლის ზოდიაქო – გველი.

— ამართლებ შენს ზოდიაქოს?

– კი, მშვიდი, წყნარი ბუნების ადამიანი ვარ. ძალიან იშვიათად ვბრაზდები. მიყვარს ლიდერობა. მახსოვს, ბავშვობაში ყოველთვის „არჩევანი“ ვიყავი – სულ პირველობას ვცდილობდი; თუ ვინმე დამჯაბნიდა, ვბრაზდებოდი. ლიდერის პოზიცია ყოველთვის მომწონდა...

— მომღერლობაც შენი ბავშვობის ოცნება იყო?

– ჩემს ოჯახში ყველა მღეროდა – დედა, ბებია, ბაბუა. მეც სულ სარკესთან ვიდექი, ხელში რაღაც საგანს დავიჭერდი – ვითომ მიკროფონი იყო – და

ირინა კახნიაშვილი

ყელმოღერებული ვმღეროდი ხოლმე. მიუხედავად ამისა, პროფესიული სცენა ჩემი მიზანი არ ყოფილა. დავამთავრე საესტრადო სასწავლებელი. „ფორტეში“ კი, სრულიად შემთხვევით მოვხვდი: ჯგუფიდან წავიდა „მეორე ხმა“ და მე მივედი. არც ერთ მათგანს არ ვიცნობდი. ახლა კი საუკეთესო მეგობრები ვართ.

— ოჯახში როგორი ხარ?

– წყნარი და მშვიდი. სულ მეხვეწება ხოლმე დედა: ამოიღე, გოგო, ხმა, ერთი სიტყვა მაინც გვითხარიო. მე კი მირჩევნია, წყნარად ვიჯდე და დავისვენო...

— ამ თვისებით თუ ვიმსჯელებთ, შენს მომავალ მეუღლეს ის პრობლემა მოხსნილი ექნება, რაც მამაკაცების უმრავლესობას, ცოლების ენაჭარტალობასთან დაკავშირებით ექმნებათ...

– *(იცინის)* კი, კი, ნამდვილად. ამას წინათ, ორ მეგობართან ერთად გახლდით. ერთმა თქვა: შენ კარგი ცოლი იქნები, ლაპარაკი არ გიყვარსო. მეორემ უთხრა: მგონი, ამის ქმარს ხვეწნა დასჭირდება, რომ დილით გამარჯობა ათქმევინოსო...

— სადილების კეთება და სხვა საოჯახო საქმეები თუ გეხერხება?

– არა, არა, თუ მომშივდა და შინ მარტო ვარ, დიდი-დიდი, კარტოფილის ან კვერცხის შეწვა მოვახერხო. მაგრამ ძალიან ნიჭიერი გოგო ვარ: თუ მოვინდომებ, ყველაფერს ადვილად ვისწავლი და დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგადაც გამომივა. პრინციპში, შინ ძალიან იშვიათად ვარ და ამიტომაც ვერ ვახერხებ ოჯახურ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას.

— ეჭვიანი თუ ხარ?

– ზომიერად. თუ საეჭვიანოდ გამიხდა საქმე, იქ ყველანაირი ურთიერთობის გაგრძელებაზე საუბარიც კი ზედმეტია.

— სიტყვა „სიყვარულის“ გაგონებისას, როგორი მოგონებები აგეშლება ხოლმე?

– ამ სფეროში არ გამიმართლა. ყველა შემთხვევამ გულისტკივილი მომიტანა. არც მამაკაცის იდეალი მაქვს წარმოდგენილი გონებაში. ვინც შემიყვარდება, იდეალიც ის იქნება.

— დასაწუნი რა გაქვს? მშვენიერი გოგონა ხარ — ჭკვიანი, ნიჭიერი. იქნებ, შენი ბრალიცაა, დროებითი წარუმატებლობა?

– კი, კი, მართალი ხარ. ამაზე მეც ხშირად მიფიქრია. სასურველი სარძლო ვარ, სიყვარულისთვის შემიძლია, გავცე უზომოდ ბევრი, ბოლომდე დავიხარჯო, ამიტომ, მეორე მხრიდან დაშვებული უმნიშვნელო შეცდომაც კი მაღიზიანებს და ვერ ვაპატიებ...

— მამაკაცის რომელ თვისებას ანიჭებ უპირატესობას?

– გულწრფელობას. თუ შევნიშნავ, რომ მამაკაცი თამაშობს, მსახიობობს და გულწრფელი არ არის, იქ ყველაფერი დამთავრებულია. გარეგნობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ვთვლი, რომ მამაკაცი მაიმუნზე ლამაზი მაინც უნდა იყოს, რომ მომეწონოს. მთავარია, პიროვნების ბუნებამ

— პირველად, სიყვარულით ქორწინდებიან, მეორედ — ანგარებით, მესამედ — ჩვევის გამო.

დონ ქუანი

ფრაზები გენიალური

მომხიბლოს.

— ოჯახის წევრები თუ ერევიან შენს პირად საქმეებში?

— მე და დედა ვმეგობრობთ. ყველა ჩემი საიდუმლო იცის. მამასთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. მაგრამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას მაინც მე მანდობენ.

— ჯიუტი ხარ?

— ძალიან, ძალიან ჯიუტი ვარ. ჩემი პრინციპია — ასე მინდა და ასე გავაკეთებ. შესაძლოა, ცხვირიც წავიმტვრიო, მაგრამ მაინც ისე მოვიქცევი, როგორც მსურს.

— თაყვანისმცემლებთან დაკავშირებით, საინტერესო ამბავს ხომ ვერ გაიხსენებ?

— რამდენიმე წლის წინ, ერთი სიმპათიური და საკმაოდ შეძლებული მამაკაცი მეფარცქვალებოდა. მე მაინცდამაინც არ მომწონდა. უამრავჯერ დამირეკა და ბოლოს, ძლივს დამითანხმა შეხვედრაზე. ვდგავართ ქუჩაში და ტრანსპორტს ველოდებით. მე თავი მისკენ მაქვს მიბრუნებული და ღიმილით ვესაუბრები. ხელი ასწია და ტრანსპორტი გააჩერა. მივბრუნდი იმ იმედით, რომ ტაქსიში უნდა ჩავმჯდარიყავით და რას ვხედავ? — ჩემ წინ „მარშრუტკა“ დგას. რაღას ვიზამდი? — ჩავჯექი. ჯაყჯაყ-ჯაყჯაყით მივედით ერთ-ერთ ბართან. იქიდან რომ წამოვედით, კარგა მანძილი ვიარეთ ფეხით და ჩემს სახლამდე სულ ერთი გაჩერება იყო დარჩენილი, რომ ტაქსი გააჩერა და შინ წამიყვანა. აი, ასეთი მამაკაცებიც არსებობენ. ეს არ გამაკვირვებდა, ის რომ მატერიალურად გაჭირვებული ყოფილიყო, მაგრამ ეს საქციელი მის სიძუნწეზე მეტყველებს.

— შენი სიმპათია რომ მოიპოვოს, მამაკაცი აუცილებლად შეძლებული უნდა იყოს?

— ამას ყურადღებას მხოლოდ იმიტომ ვაქცევ, რომ თუ კაცს ფული არა აქვს, ის ჩვენი ურთიერთობის გალამაზებას ვერ შეძლებს.

— რომ მოგიწიოს კარიერასა და საყვარელ ადამიანს შორის არჩევანის გაკეთება, როგორ მოიქცევი?

— აუცილებლად ავირჩევ კარიერას. არავის და არაფრის გულისთვის არ დავთმობ ჩემს საყვარელ საქმეს. თუ ვუყვარვარ, ჩემი საქმეც უნდა უყვარდეს...

— შენმა მეუღლემ, ეჭვიანობის გამო გასაქანი რომ არ მოგცეს და გადაღებებზე, კონცერტებსა თუ რეპეტიციებზე მუდამ თან გახლდეს, ამაზე რას იტყვი?

— კი, ბატონო, თანახმა ვარ. ამაზე უარს ვერ ვიტყვი. მაგრამ მალე დარწმუნდება, რომ მისი ეჭვი უსაფუძვლოა და ერთ წელიწადში თუ ორში, მოსწყინდება და თვითონვე იტყვის უარს ჩემს კუდში დევნაზე.

— შენი მზითვის სიის თავში რას ჩაწერდი?

— ჩემს საყვარელ მანქანას. „ოპელი კადეტი“ მყავს, რომელიც ჩემი ოჯახის საყვარელი წევრია.

მაშ ასე — მამაკაცებო, ჯერი თქვენზეა! „საპატარძლო“, თავისი პლუსებითა და მინუსებით, თქვენ წინაშე დაუფარავად წარდგა. „ხელთათმანი ნასროლია“! გაბედულებო, შეძლებულებო და გულწრფელნო — ირინას გულისკენ მიმავალი, უმოკლესი გზა „კვირის პალიტრის“ ყუთზე გადის... შეგიძლიათ აგრეთვე დამირეკოთ: 8(77)45.68.61 და თქვენ შესახებ მიამბოთ. არჩევანი კი, ცხადია, ირინაზეა... ■

მალე დარწმუნდება, რომ მისი ეჭვი უსაფუძვლოა...

ოტა ხნის წინ, ავთო ცქვიტინიძემ თავისი ახალი კოლექცია შესთავაზა თბილისელ მანდილოსნებს. „აზიური ღამე“ — ასე უწოდა მან ამ ჩვენებას, რომელზეც მაყურებელმა ფერადოვანი სამყარო იხილა. საინტერესოა, როგორ მიიღეს, შავი ფერის მოყვარულმა, ქართველმა ქალებმა, ნათელი ფერებით გაჯერებული ახალი კოლექცია? ბუნებრივია, იმითიც დავინტერესდით, თუ როგორ დაიბადა ავთოს სალონში მისი პირველი, ფეხსაცმლის კოლექცია და ყოველდღიურ საზაფხულო მოდასთან დაკავშირებითაც დავუსვით რამდენიმე კითხვა.

ელისო გურგენიძე

— ავთო, როგორც ვიცი, ქალის ფეხსაცმელს ადრეც ქმნიდით. მაგრამ თქვენი კლიენტები, თქვენივე რჩევით, თათა ვარდანაშვილთან იკერავდნენ ფეხსაცმელს და ჩვენებებზეც ამ დიზაინერის ნამუშევრებით სარგებლობდით. რამ განაპირობა თქვენი ექსპერიმენტი?

— ამჯერად, ჩემი ჩვენებისთვის განსაკუთრებული მოდელი მჭირდებოდა. თქვენც გეცოდინებათ — ეს იყო ფეხსაცმელი უზარმაზარ პლატფორმაზე, ე. წ. ექსპერიმენტული ფეხსაცმელი ჩვენებისთვის და ამით ვერავის ვერ დავაზარალებდი. თუმცა, მას მაინც გამოუჩნდა თავისი კლიენტურა. გარდა ამისა, მე თვითონ მინდოდა ჩამეტარებინა ექსპერიმენტი: ფეხი გამეზარდა სიმაღლეში და არა სიგრძეში და მგონი, ეს ექსპერიმენტი ძალიან მოუხდა ჩემს კოლექციას. მე თვითონ მიყვარს, როცა ქალს ზომაზე მაღალი ფეხი უჩანს.

— ეი. თქვენსა და თათას შორის არანაირ კატას არ გაურბენია?

— არა და ჩვენ ისეთი მეგობრობა გვაკავშირებს, რომ არც არასოდეს გაირბენს. ხვალ თათამ ტანსაცმლის მოდელიერობა რომ მოინდომოს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავთო ცქვიტინიძეს გადამეტერა.

— ავთო, ძირითადად, თქვენ მაინც ტანსაცმლის დიზაინერად ითვლებით. რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის ქალის ფეხსაცმელს?

— ძალიან დიდი. თუმცა, დიზაინერი არ იყოფა ქალის ან მამაკაცის, ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის დიზაინერად. მაგალითად: „ჯუჩის“ ფირმა პრეზერვატივის ჩასადებსაც კი აწარმოებს. როცა დიზაინერის სახელი და გვარი ცნობილია, მისთვის უკვე ნებისმიერი პროდუქციის წარმოება შეიძლება. მე თვითონ, მაღალი კლასის მოდელების გარდა, ინდივიდუალურ შეკვეთებზეც ვმუშაობ და პირველი ქართული ჯინსიც ავთო ცქვიტინიძის შექმნილია. ჩემი ჩვენებისთვის მე თვითონ ვქმნიდი ჩანთებს და აქსესუარებს და ეს აქსესუარები ძალიან დიდი წარმატებით სარგებლობდა. დღეს არა ვარ უშუალოდ ფეხსაცმლის დიზაინერი, მაგრამ ჩემი სახელით ფეხსაცმელი და არა

ავთო ცქვიტინიძე:

ახლა ვიყავი „ფერადი", აჟიტირებული, სიყვარულით სავსე...

მარტო ფეხსაცმელი, აუცილებლად ჩაშვება წარმოებაში. შეიძლება, ავთო ცქვიტინიძის ქუდები და მაისურებიც იხილოთ. შეიძლება, უახლოეს მომავალში — არა, მაგრამ ასეთი პროექტი მზადდება.

— ფეხსაცმლის სფეროში თქვენგან კიდევ რა ცვლილებებს შეიძლება ველოდოთ?

— ჩემს ჩვენებებზე ყოველთვის იქნება გამოყენებული ჩემი ფეხსაცმელი.

— რაც შეეხება თვითონ მოდას — ნატურალური მასალა, ხის ძირები, ე.წ. „პრობკები", დაწნული ფეხსაცმელი — ერთი სიტყვით, ის, რაც მოდაშია, ნაკლებად იყო გამოყენებული თქვენს კოლექციაში...

— მე არ მიყვარს იმის კეთება, რასაც ყველა აკეთებს...

— თბილისში მანდილოსნები მაინც შავ და პასტელის ფერებს ანიჭებენ უპირატესობას. მიიღებენ თუ არა ისინი თქვენ მიერ შემოთავაზებულ ფერთა სამყაროს?

— უკვე მიიღეს და კმაყოფილი ვარ ძალიან. მე არ მივეკუთვნები იმ დიზაინერთა კატეგორიას, რომლის ტანსაცმელი არ გაიყიდება და არ ვარგა სატარებლად. ჩემი ტანსაცმელი ცოცხლდება სხვის სხეულზე. მე არ ვაგროვებ ჩემი ტანსაცმლის კოლექციებს, მხოლოდ მის ფოტოებს ვაგროვებ. მე მქონდა აბსოლუტურად შავი ტანსაცმლის ჩვენებაც, რომელიც ჩემს სულიერ სამყაროს გამოხატავდა. ახლა ვიყავი „ფერადი", აჟიტირებული, სიყვარულით სავსე, ძალიან გახსნილი და ძალიან თამამი. ამ ჩვენებით, მთელი ჩემი შინაგანი სამყარო გამოვაშკარავე. ორი ან სამი წლის წინ, ამ კოლექციას ვერ გავაკეთებდი. ამჯერად, ჩემს თავს მივეცი უფლება, ასეთი თამამი და გაბედული ვყოფილიყავი. უამრავი სტილი, სილუეტი და ფერი ამერია ერთმანეთში და მინდოდა, მიმეწოდებინა ჩემი მყიდველისთვის. ჩემი კოლექციები ყოველთვის ჩემი განწყობილებისა და შთაბეჭდილებების მიხედვით კეთდება. მაგრამ დიზაინერის მიერ შემოთავაზებული კოლექცია თუ მოდელი მხოლოდ მაშინ გახდება პოპულარული, თუ მას მანდილოსნები აიტაცებენ.

— აზიურ სილამაზეში რას გულისხმობთ?

— კულტურას, სითამამეს, დაფარულ სექსუალურობას, იდუმალებას. ამ შემთხვევაში, ჩემი ქალი იყო ჩაცმული შიშველი. არ მიყვარს აშკარა სექსულურობა მოდელებში. ქალი მიყვარს სექსულური, მაგრამ — არა ვულგარული.

— თბილისელი ქალები, თქვენი აზრით, როგორები არიან?

— მოდი, მარტო თბილისს ნუ შევეხებით. ჩემი აზრით, საქართველოში ბევრი გემოვნებიანი ქალია. შეიძლება, მას არ ჰქონდეს „ჰაი კლასის" ტარების საშუალება, მაგრამ არ არსებობს საქართველოში ქალი, რომელიც დილას რომ ადგება, არ ფიქრობს იმაზე, თუ რა ჩაიცვას. ამასვე ფიქრობს, როცა საღამოს, წვეულებაზე მიდის. ქართველი ქალი ქუჩაშიც ყოველთვის მოწესრიგებული დადის.

— ზოგს მიაჩნია, რომ ჩვენში ყველა ერთნაირად ჩაცმული დადის...

— ასეთი რამ არ შემიმჩნევია. არსებობს მოდის გარკვეული ტენდენცია, რომელსაც ქართველი ქალი ძალიან მალე აღიქვამს და მისდევს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ყველა ერთნაირად ჩაცმული დადის. ერთ შემთხვევას

გავიხსენებ. ამას წინათ, მოდის სფეროში საკმაოდ გავლენიანი ხალხი ჩამოვიდა საფრანგეთიდან. მოხვდნენ ჩვენს ე.წ. „ფართიზე", სადაც, ბუნებრივია, ჩვენი ელიტა გახლდათ წარმოდგენილი. ყველა იმდენად განსხვავებულად იყო ჩაცმული, რომ ჩვენი სტუმრები გაოგნდნენ. მაგალითად, პარიზში ან მილანში არსებობს სტანდარტი: ვთქვათ — მიდი-ქვედაბოლოა მოდაში და მუხლებამდე ჩექმა. ძალიანაც რომ გინდოდეს, სხვა არაფერი იყიდება. „ტუსოვკაზე" ყველანი „გუჩის" მოკლეტარიანი ჩანთით, „პრადას" სათვალითა და ზემოთ ხსენებული ფორმით ცხადდებიან. საზღვარგარეთ მოწყობილ საღამოზე, ისეთი შაბეჭდილება გრჩება, რომ ეს ხალხი ერთი კაცის მიერაა ჩაცმული. საქართველოში ასეთი რამ არ ხდება. ქართველმა ქალმა იცის სწორად ჩაცმა, იცის, სად რა ჩაიცვას.

— თქვენს ჩვენებაზე ძირითადად, მაღალი მოდა იყო წარმოდგენილი. როგორია 2003 წლის ყოველდღიური საზაფხულო მოდა?

— თეთრი და ჭრელი ფერების სიჭარბე, უზომოდ ფართხუნა შარვლები, იმდენად განიერი, რომ ფაქტობრივად, სათავეშიც არ არის მიმდგარი, ლამისაა, ქამრით უნდა გეჭიროს, რომ არ ჩაგძვრეს *(იცინის)*; თხელი, ფართო ჯინსი, ძალიან ფართო და მოკლე შორტი და ბუნებრივი ქსოვილისგან შექმნილი, ფართხუნა ზედატანი. ტანსაცმლის სიგრძე მაქსიმალურად მოკლე ან მაქსიმალურად გრძელი.

— ფურნიტურა?

— მასიური ფურნიტურა, ქვები, მასიური ვერცხლის სამკაულები, აზიური ელემენტებით; ნატურალური ქსოვილები.

— მამაკაცები რომ არ გაგვინაწყენდნენ, მათ რა რჩევებს მისცემთ?

— ისევ და ისევ, ნატურალური ქსოვილისგან შეკერილი, ფართო შარვალი და ნატურალური ქსოვილისგან შეკერილი მაისური, ღია ნაცრისფერი პერანგი. მოდაშია ვერცხლისფერი ღილები.

— ჰალსტუხი?

— ძალიან მოდაშია ღია ფერები: ვარდისფერი და ნაცრისფერი — ისეთი, როგორიც არასდროს დამკვიდრდება საქართველოში... ■

„ჯერ მოკლეს, შემდეგ გვამი ჭაში ჩააგდეს“

დაზარალებულის თქმით, ამ დანაშაულის ერთ-ერთმა მონაწილემ წლების შემდეგ მას ქმარი მოუკლა

ორი თვის წინ, მარტვილის რაიონის სოფელ დიდ ჭყონში მოხდა მკვლელობა, რომელსაც 39 წლის პოლიციელის, სამი მცირეწლოვანი შვილის მამის — ტარიელ ნაჭყებიას სიცოცხლე შეეწირა. დანაშაულში ბრალდებულს შინაპატიმრობა აქვს შეფარდებული. იგი იმავე სოფლის მკვიდრი, 66 წლის მიხეილ (მიშა) კვაშილავა გახლავთ.

მოკლული ტარიელ ნაჭყებია

ოფიციალური მონაცემების თანახმად, ბრალდებული, ადრე ნასამართლევი, ამჟამად კი, სოფელ დიდი ჭყონის მცხოვრები, უცოლშვილო და მარტოხელა კაცია. 2003 წლის 16 აპრილს, საღამოს, მასთან სახლში მისული ტარიელ ნაჭყებია მან, როგორც საქმის მასალებში ჩანს, მეტრონახევრიანი ხის ურდულით მოკლა. მიშა კვაშილავა უარყოფს, რომ მას ნაჭყებიას მოკვლა სურდა. მისი თქმით, ჩხუბისას, თავდაცვის დროს, პოლიციელს ურდულით სხეულის დაზიანებები მიაყენა, მაგრამ ამას ასეთი სავალალო შედეგი თუ მოჰყვებოდა, არ ელოდა.

მოკლულის ოჯახის წევრები საპირისპიროს ამტკიცებენ. მათ ბრალდებულისა და აღნიშნული საქმის გამომძიებლის მიმართ განსაკუთრებული ეჭვები და პრეტენზიები აქვთ. დაზარალებულის თქმით, კვაშილავა, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ჩადენილ, კიდევ ერთ საშინელ მკვლელობაში თანამონაწილეობისთვის სასჯელი აქვს მოხდილი, ამჯერად, პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევას ცდილობს. რაც შეეხება გამომძიებას, მოკლულის ნათესავები ირწმუნებიან, რომ მარტვილის რაიონის პროკურატურის თანამშრომლები რატომღაც, აწ გარდაცვლილ ყოფილ კოლეგაზე მეტად, ბრალდებულს თანაუგრძნობენ და ასეთი მიკერძოების გამო, ბევრ უკანონობას სჩადიან.

აღმოჩნდა, რომ მოკლული, ადგილობრივი პოლიციის ოპერატიული თანამშრომელი, წოდებით კაპიტანი კი გახლდათ, მაგრამ ეჭვმიტანილის ძმა — ალექსანდრე (ალიოშა) კვაშილავა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორია და პოლიციის აკადემიაში ლექციებს კითხულობს. სწორედ ამ ფაქტს უდებს საფუძვლად დაზარალებული, საკუთარ ეჭვებს. მისი მტკიცებით, პროკურატურის ხელმძღვანელებს, კვაშილავასა და მის ნათესავებთან განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ. *„ალიოშა კვაშილავას სამართლის საკითხებზე ბევრი ნაშრომი და წიგნი აქვს გამოცემული. პროკურორის თანაშემწეს, ვინც ამ მკვლელობის საქმეს უშუალოდ იძიებს, მისი ერთ-ერთი ნაშრომი სამაგიდო წიგნადა აქვს ქცეული. ჩვენთან საუბრისას ხშირად იშველიებს ხოლმე კვაშილავას კომენტარებს და იმ წიგნსაც ცხვირწინ გვიშლის. ცხადია, ყოველივე ამან მასზე და გამოძიების ობიექტურობაზე ზეგავლენა მოახდინა. პროკურორის თანაშემწე და როგორც ჩანს, მთელი პროკურატურა, მისთვის სამაგალითო მეცნიერის ძმის განზრახ მკვლელობაში მხილებას აშკარად გაურბიან, მიუხედავად მისი საკმაოდ ბნელი წარსულისა“*, — აღნიშნავს მოკლულის ძმა — ვახტანგ ნაჭყებია.

დაზარალებულის ამ ეჭვებს მარტვილის რაიონის პროკურატურის წარმომადგენლები არ ადასტურებენ. მოკლულის ნათესავების პრეტენზიების პასუხად, გამომძიებლის ახსნა-განმარტებით, მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე შესაბამისი მუხლით აღიძრა და გამოძიებაც ობიექტურად წარიმართა. სწორედ, პროკურატურის ინფორმაციის თანახმად, დამნაშავემ მკვლელობა წინასწარი განზრახვით კი არა, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩაიდინა.

მიშა კვაშილავა, მისივე ჩვენების მიხედვით, იმ საღამოს შინ, ჩვეულებისამებრ მარტო იმყოფებოდა. მოულოდნელად, მასთან მეზობლად მცხოვრები ტარიელ ნაჭყებია მივიდა. კვაშილავამ ის შინ შეიპატიჟა. ხანმოკლე საუბრის შემდეგ, ნაჭყებიამ მას სახლის წინ მდებარე, ჩაის პლანტაციებზე ჩამოუგდო ლაპარაკი. რამდენიმე დღით ადრე, პლანტაცია გადაიწვა, ნაჭყებიამ კი ამაში კვაშილავა დაადანაშაულა — ჩაის ბუჩქებს ცეცხლი შენ წაუკიდეო. კვაშილავამ ასეთი ბრალდება შეურაცხყოფად მიიღო და პოლიციელს უკმეხად უპასუხა. ამის შედეგად, მათ შორის ჯერ კამათი დაიწყო, შემდეგ კი ნაჭყებია ცემაზეც გადავიდა. კვაშილავა იძულებული გახდა, როგორმე თავი დაეცვა. სწორედ ამ მიზნით, იქვე დადებულ ურდულს სწვდა და მოწინააღმდეგის მოსაგერიებლად, რამდენჯერმე მოიქნია. ამ მომენტში, ბრალდებულის მტკიცებით, ისინი უკვე ეზოში იყვნენ გასულები. როგორც თავად აღნიშნავს, არ ახსოვს, ზუსტად რა ადგილებში მოარტყა ურდული პოლიციელს, თუმცა, მისთვის მიყენებულ სხეულის დაზიანებებს არ უარყოფს.

ტარიელ ნაჭყებია ორი დღის განმავლობაში გონწასული იყო, 18 აპრილს კი გარდაიცვალა. როგორც გვამზე ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, სასიკვდილო დაზიანება მან თავში, კეფის არეში მიიღო. გარდაცვლილის თავის ქალაზე სამი ძლიერი დარტყმის კვალი დაფიქსირდა.

კვაშილავა აღნიშნავს, რომ მომხდარის შემდეგ, ის მოშორებით მცხოვრები, ერთ-ერთი ნათესავის სახლში გაიქცა და მას ნაჭყებიას გარდაცვალების შესახებ შეატყობინა.

მკვლელობის სრულიად განსხვავებული ვერსია აქვს დაზარალებულ მხარეს. მოკლულის ნათესავები ეჭვობენ, რომ ბრალდებულის ჩვენებიდან არც ერთი სიტყვა სიმართლეს არ შეესაბამება.

ინდირა ნაჭყებია, მოკლულის მეუღლე:

„ეჭვის საბაბს თავად მკვლელობის

დეტალები გვაძლევს. პროკურატურამ სიმართლე განგებ არ გამოავლინა, სამაგიეროდ, მის მიერ სამხილების მიჩქმალვის მცდელობა აშკარაა, ეს კი საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ მკვლელი თავის ჩვენებებში ცრუობს. ჩემს მეუღლეს ბევრი იცნობდა, როგორც პატიოსან და თავისი სამსახურისთვის თავდადებულ პოლიციელს. ის ოპერთანამშრომელი გახლდათ და ამიტომაც, ხშირად უწევდა სრულიად მოულოდნელად და სხვადასხვა დროს შინიდან გასვლა. ამას არასდროს გაურბოდა. ყოველთვის დაუზარლად და დიდი ენთუზიაზმით გადიოდა შემთხვევის ადგილზე. აღსანიშნავია, რომ ჩვენს სოფელში ბოლო დროს, ბოროტმოქმედებამ იმძლავრა, კრიმინალები მომრავლდნენ. თითქმის ყოველ კვირაში ხდებოდა რაიმე დანაშაული. ტარიელს, როგორც პოლიციელს, ეს ამბავი ძალიან აწუხებდა. განსაკუთრებით ჩვენს სამეზობლოში მომხდარ, გაუხსნელ ყაჩაღურ თავდასხმებსა და ქურდობებს განიცდიდა და რცხვენოდა კიდეც, დაზარალებულ ოჯახებს ვერაფრით რომ ვერ შველოდა. რაც შეეხება კვაშილავას, სოფელში მას თავიდანვე საეჭვო რეპუტაცია ჰქონდა. ამას მოსახლეობის უმრავლესობა დამიდასტურებს. ადრე, ის სხვა სოფელში – კურზუში ცხოვრობდა. როგორც ამბობენ, იქ რამდენიმე პირთან ერთად საკუთარი სიძის მკვლელობაში მიიღო მონაწილეობა. საშინელი მკვლელობა მომხდარა: მოკლულის გვამი თურმე, მისივე სახლის ეზოში მდებარე ჭაში ჩაუგდიათ. სწორედ იქ უპოვია გარდაცვლილის სხეული პოლიციას. კვაშილავამ თავისი ნაცნობობა მაშინაც წარმატებულად გამოიყენა და თავი ნაწილობრივ იმ დანაშაულიდანაც დაიძვრინა. მას მხოლოდ თანამონაწილეობაში დასდეს ბრალი და შედარებით მსუბუქი სასჯელი აკმარეს. სამაგიეროდ, მოსახლეობა გაუსწორდა მას: აიძულეს სოფელი დატოვებინა და სხვაგან გადასახლებულიყო. სწორედ ამის შემდეგ გადმოვიდა ივი საცხოვრებლად დიდ ჭყონში. ჩემი ქმარი კვაშილავასთან ახლოს არასდროს ყოფილა, მაგრამ არც დაძაბული ურთიერთობა ჰქონიათ. ტარიელმაც, როგორც ყველამ, ჭორის დონეზე იცოდა, რომ მის სახლში საეჭვო პირები იკრიბებოდნენ. შესაძლოა, თავად კვაშილავას ამის სურვილი არც ჰქონდა, მაგრამ შავი სამყაროს წარმომადგენლებს უარს ვერ ეუბნებოდა. ისინიც სარგებლობდნენ იმით, რომ ის მარტო, თანაც, მოსახლეობისგან ცოტა მოშორებით, სასაფლაოს წინ ცხოვრობდა. როგორც შევიტყვეთ, 16 აპრილის საღამოსაც, ჩვეულებისამებრ, მასთან მოეყარათ თავი საეჭვო პირებს. ამ დროს, იქ ჩემი ქმარი მისულა. პოლიციელის დანახვა, რა თქმა უნდა, იქ მყოფებს არ გაუხარდებოდათ და ამიტომაც გადაწყვიტეს მისი თავიდან მოშორება. იმას, რომ მკვლელობის საღამოს, კვაშილავასთან რამდენიმე პირი ქეიფობდა და სუფრაც იყო გაშლილი, მეზობლები ადასტურებენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ჩემი ქმრის გარდაცვალებისთანავე არ გაქცეულა კვაშილავა სახლიდან. მთელი ორი საათის განმავლობაში მკვდარი თურმე ოთახში ჰყავდათ, კვაშილავა და მისი სტუმრები კი თათბირობდნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ...“

ვილერი წოწორია, დაზარალებული მხარის ადვოკატი:

„ფაქტია, რომ დამნაშავემ მოასწრო შემთხვევის ადგილზე არსებული კვალის გაქრობა: იატაკზე დარჩენილი სისხლის ლაქების მორეცხვა და სუფრის ალაგება, რითიც წაშალა, შემთხვევის მომენტში ბრალდებულ კვაშილავას სახლში სხვა პირთა ყოფნისა და ნაჭყებიას მკვლელობაში მათი მონაწილეობის კვალი. პოლიციას გვიან შეატყობინეს. თუმცა შემთხვევის დათვალიერების ოქმში მაინცაა დაფიქსირებული, რომ იმ ოთახში იატაკი ახალი მოწმენდილი იყო. მიუხედავად ამისა, პროკურატურა დანაშაულის ადგილით მკვლელობიდან მხოლოდ 48-ე დღეს დაინტერესდა. სამართალდამცავებმა იქაურობა 28 მაისს დაათვალიერეს, შემთხვევა კი 16 აპრილს მოხდა. ეს კანონის უხეში დარღვევაა. გარდა ამისა, მოკლულის მეუღლე დაზარალებულად პროკურატურამ 8 მაისს ცნო, თითქმის ერთი თვის შემდეგ და ივი იმ დღეს დაჰკითხა პირველად. ვფიქრობ, გამოძიებამ ეს განგებ ჩაიდინა, რადგან ამით დაზარალებულს მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის უფლება შეუზღუდა. პროკურატურა აშკარად ცდილობს, ბოლომდე შეინარჩუნოს კვაშილავასთვის წარდგენილი ბრალდება – მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით, დაზარალებულ მხარეს კი, როცა ეს უკანასკნელი პრეტენზიებს გამოთქვამს, საქმის შეწყვეტით ეშუქრება. ყველაზე აღმაშფოთებელი ის გახლავთ, რომ გამოძიებამ მნიშვნელოვანი მოწმეები არ დაჰკითხა, არც ბრალდებულის მეზობელი – ელგუჯა კილასონია, რომლის სახლშიც გაქცეულმა კვაშილავამ ღამე გაათია. საინტერესოა, რატომ არ დარჩა კვაშილავა ნათესავების სახლში, სადაც მკვლელობის შემდეგ მივიდა და იქ მყოფთ მომხდარის შესახებ აცნობა? გამოძიებამ ეს არ გაარკვია. პროკურატურა არც იმ პირებით დაინტერესდა, რომლებიც შემთხვევის ადგილას პირველები მივიდნენ. რატომ გაურბის გამოძიება კვაშილავასთან ტარიელ ნაჭყებიას მისვლისა და იქ მომხდარი ჩხუბის – მკვლელობის მიზეზის დადგენას?

ტარიელ ნაჭყებიას იმ საღამოს, ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად ატარებდა, არ ჰქონია. ეს იმას მოწმობს, რომ მას ცუდი განზრახვა არ ჰქონია კვაშილავას მიმართ. საქმის მასალებში ნათლად ჩანს, რომ ნაჭყებიას მკვლელობა სხვა დანაშულის დაფარვის მიზნით მოხდა, იმ დანაშაულისა, რომელიც იქ შეკრებილ კრიმინალებს ჰქონდათ ჩადენილი და ამის შესახებ ნაჭყებიამ იცოდა. მკვლელობის შემდეგ (ბოროტმოქმედებს ნაჭყებია მკვდარი ეგონათ), ცოცხალ-მკვდარი, სოფლის გზაზე, სასაფლაოსთან დააგდეს. ამიტომაც ირწმუნება კვაშილავა, რომ ჩხუბი მათ შორის ეზოში მოხდა“.

დაზარალებულმა მხარემ, ზემოთ აღნიშნული დარღვევების გამო, რომელიც საქმის მასალებში მართლაც ფიქსირდება, მოითხოვა, რომ საქმე მარტვილის რაიონის პროკურატურას ჩამოერთვას და გამოძიება სხვა – გენერალურმა, ოლქის ან აფხაზეთის პროკურატურამ ჩაატაროს. ამ მოთხოვნით, დაზარალებულთა ადვოკატმა გენერალურ პროკურორს მიმართა და მის სახელზე საჩივარი დაწერა. საქმე ამჟამად გენპროკურატურაშია შესასწავლად გადმოგზავნილი, გადაწყვეტილება კი, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

ვილერი წოწორია:

„ჯერ კიდევ არ არის გვიანი, რომ ჭეშმარიტება დადგინდეს, მაგრამ ამისთვის, ობიექტური გამოძიებაა საჭირო. მარტვილის რაიონის პროკურატურის დამოკიდებულებას რომ ვხედავდით, გადავწყვიტეთ, კერძო გამოძიება ჩაგვეტარებინა. მივაკვლიეთ მოწმეებს, რომელთა ჩვენებებიც მეტისმეტად მნიშვნელოვანია რეალური სურათის წარმოსადგენად. საჭიროა მხოლოდ, სამართალდამცავები დაინტერესდნენ ამ რეალობის დადგენით და მკვლელობასთან დაკავშირებით მოსახლეობაში გავრცელებული ვერსიების გადამოწმებით.“ ■

არასრულწლოვნების გაგზავნაში ბრალდებულებს ასამართლებენ

განსასჯელმა კრიმინალური პოლიციის უფროსს მოსამართლის წინაშე აგინა

უზენაეს სასამართლოში ოთხ პატიმარს, მათგან ერთ ქალს ასამართლებენ. პროკურატურა განსასჯელებს შარშან მომხდარ, არაერთ გახმაურებულ დანაშაულში — ადამიანების (მათ შორის არასრულწლოვნების) გატაცებასა და მძევლად აყვანაში სდებს ბრალს. სამართალდამცავები აცხადებენ, რომ პატიმრები (ქალის — ვიქტორია ერაძის გარდა) საკმაოდ საშიში კრიმინალური ბანდის წევრები არიან. ამავე ინფორმაციით, გატაცებებთან ერთად ისინი სისტემატურად აწყობდნენ შეიარაღებულ, ყაჩაღურ თავდასხმებს შეძლებულ ოჯახებზე.

სამართალდამცავები ბანდის მეთაურად, წარსულში სამჯერ ნასამართლევ 25 წლის გიგა ბალავაძეს ასახელებენ. დანარჩენი ორი განსასჯელი, 23 წლის დავით გამხუაშვილი და 32 წლის მამუკა რუხაძე გახლავან. თუმცა, პროკურატურის ცნობით, ბანდაში კიდევ რამდენიმე წევრი შედიოდა. მათგან გია ქარდავა და ნოვიკო ბალავაძე (გიგა ბალავაძის ძმა) სპეცოპერაციის დროს, პოლიციელებთან შეტაკებისას, სასიკვდილოდ დაიჭრნენ და გარდაიცვალნენ.

როგორც ბრალდების მხარე აცხადებს, ბანდის წევრებს დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ჰქონდათ. სწორედ ბანდის მეთაურად გამოცხადებულ გიგა ბალავაძეს უკავშირდება, რამდენიმე კვირის წინ მომხდარი, სხვა პატიმართან პაემანზე მისული ქალისა და ბავშვის ციხიდან გატაცების ფაქტი. პროკურატურის ინფორმაციით, ბალავაძემ ისინი თანამზრახველებს ფულის გამოძალვის მიზნით გაატაცებინა. რაც შეეხება ადრე ჩადენილ დანაშაულებს, ბალავაძე მათ ორგანიზებას, ციხიდან გაქცევის მიზნით უკეთებდა. მის სამიზნეს კი, როგორც გამოძიების მასალებით ირკვევა, პოლიციისა და პროკურატურის ხელმძღვანელთა შვილები წარმოადგენდნენ.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2001 წლის ნოემბერში, დაპატიმრებული გიგა ბალავაძე თანამზრახველებს დაუკავშირდა და ციხიდან თავის დასაღწევად მათ ხონის შს განყოფილების უფროსის — პოლიკარპე ხუროძის ვაჟის — დავით ხუროძის მძევლად აყვანა შესთავაზა. ჩანაფიქრი გიგა ბალავაძის ძმის — ნოვიკოს მეთაურობით უნდა განხორციელებულიყო.

2001 წლის 3 ნოემბერს, დაახლოებით დღის 12 საათზე, თბილისში წინასწარი შეთანხმების თანახმად, ვინმე დიმა ტაბიძემ ნოვიკო ბალავაძე და დავით ხუროძე ერთმანეთს გააცნო. გაცნობის აღსანიშნავად, იქვე ახლოს მდებარე სასაუზმეში შევიდნენ და ნახევარი ლიტრი არაყი დალიეს. დაახლოებით ერთ საათში, სასაუზმიდან გამოსვლის შემდეგ, ნოვიკოსთან მისი მეგობარი გია ქარდავა მივიდა; ამაზეც წინასწარ შეთანხმდნენ. ქარდავას დავით გამხუაშვილი ახლდა. სამივემ, სიგარეტის თხოვნაზე უარის თქმის მოტივით, ჩხუბის ინსცენირება გაითამაშა და საქმის გასარჩევად, ყველანი ერთად ბენდელიანის ქუჩაზე მდებარე ბინაში მივიდნენ. დავით ხუროძეც, რა თქმა უნდა, თან წაიყვანეს. ცოტა ხანში, ნოვიკომ მას ბინაში მიყვანის ნამდვილი მიზეზი გაუმხილა — უთხრა, რომ ის მძევალი იყო და ვიდრე მამამისი მის ძმას საპყრობილიდან არ გაათავისუფლებდა, არსად გაუშვებდნენ.

ამ ამბით გაოგნებულმა ხუროძემ მოძალადეებისთვის წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. გამხუაშვილმა, ბალავაძემ და ქარდავამ მას ხელ-ფეხი შეუკრეს და მორჩილება უბრძანეს. ნოვიკო მობილური ტელეფონით ხუროძის მამას დაუკავშირდა, მომხდარის შესახებ აცნობა და შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ, 5.000 დოლარი და თავისი ძმის ციხიდან გამოშვება მოსთხოვა, წინააღმდეგობის შემთხვევაში კი, შვილის მოკვლით დაემუქრა.

პოლიკარპე ხუროძე პირადად შეხვდა საპყრობილეში გიგა ბალავაძეს. ამ უკანასკნელმა ურჩია: სჯობს, გამტაცებლებს დამორჩილდეო. მძევლის მამამ განცხადებით მიმართა ხონის რაიონის პროკურატურას. მისი შვილის სიცოცხლე სასწორზე იდო. სამართალდამცავებმა გაითვალისწინეს შექმნილი მდგომარეობა და იძულებულები გახდნენ, ბრალდებულ გიგა ბალავაძისთვის აღმკვეთი ღონისძიება შეეცვალათ: პატიმრობის ნაცვლად ის ზედამხედველობის წესით პოლიციას გადასცეს. იმავე დღეს, მძევლობიდან გათავისუფლდა დავით ხუროძეც...

პროკურატურის ცნობით, ამ ამბიდან ზუსტად ოთხ დღეში, ციხიდან გამოსულმა გიგა ბალავაძემ ახალი დანაშაული ჩაიდინა. სამართალდამცავები აცხადებენ, რომ 2001 წლის 7 ნოემბერს, გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად, პისტოლეტებითა და ხელყუმბარით შეიარაღებულმა გიგა ბალავაძემ ყაჩაღური თავდასხმა მოაწყო.

2002 წლის 19 იანვარს, პოლიციამ გიგა ბალავაძე თბილისში დააკავა. როგორც ამბობენ, მისი ბინის ჩხრეკისას სამართალდამცავებმა არაერთი ცეცხლსასროლი ირაღი და დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა იპოვეს. ბალავაძე კვლავ ციხეში მოათავსეს. ბანდის წევრებმა კი, მის გასათავისუფლებლად, ჩვეულ ხერხს მიმართეს და მორიგი მძევალი აიყვანეს. ამჯერად, ის შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს უფროსის — ვლადიმერ კვაჭანტირაძის არასრულწლოვანი შვილი აღმოჩნდა.

როგორც საქმის მასალებშია დაფიქსირებული, ბანდის წევრები კვაჭანტირაძეებს მაშინ დაესხნენ თავს, როცა შინ ოჯახის წევრებთან ერთად სტუმრებიც იმყოფებოდნენ. არ იყო შინ მხოლოდ ვლადიმერ-უმცროსი — ვლადიმერ კვაჭანტირაძის არასრულწლოვანი ვაჟი. იმ დროს, ის თურმე მეზობელთან ყოფილა გასული. თავდამსხმელები მოთმინებით დაელოდნენ შინ მის დაბრუნებას. მანამდე კი, ძალადობა და მუქარა ოჯახში მყოფ ქალებზე განახორციელეს: ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს როგორც კვაჭანტირაძის მეუღლეს — რუსუდან თოფურიას, ასევე მის სტუმრებსაც. როდესაც ვლადიმერ-უმცროსი შინ დაბ-

რუნდა, ბოროტმოქმედებმა მას საჩქაროდ შეუკრეს ხელ-ფეხი, შემდეგ ოჯახის კუთვნილ „ვაზ 2106“-ში ჩასვეს და გაიტაცეს. ამასაც არ დასჯერდნენ და კვაჭანტირაძეების სახლიდან ძვირად ღირებული ნივთებიც გააყოლეს ხელს.

აღნიშნული დანაშაული, როგორც პროკურატურა აცხადებს, აწ გარდაცვლილი ნოვიკო ბალავაძის ხელმძღვანელობით მოხდა, მონაწილეებს შორის კი, გია ქარდავა და დავით გამხუაშვილიც იყვნენ. გატაცების შემდეგ, ისინი მძევლის მამასთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. ერთ დღეს – 2002 წლის 4 თებერვალს, ვლადიმერმა გამტაცებელთა უყურადღებობით ისარგებლა, ხელბორკილი გახსნა და გაიქცა.

ბოროტმოქმედთა ამ მარცხის შემდეგ, მათი მორიგი მსხვერპლი, განზრახვისამებრ, პარლამენტში მიწვეული სპეციალისტის – სულიკო ბერბიჭაშვილის უფროსი ვაჟი – გურამ ბერბიჭაშვილი უნდა ყოფილიყო. როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, ამ დანაშაულისთვის ბანდის წევრები საგანგებოდ მოემზადნენ. გზად კი, ვინმე ზურაბ გელაშვილის კუთვნილი ავტომანქანა მძღოლითურთ გაიტაცეს. დანიშნულების ადგილას რომ მივიდნენ, ხელფეხშეკრული და ნაცემი მძღოლი მანქანის საბარგულში ჰყავდათ ჩაკეტილი. ბერბიჭაშვილების ოჯახს მიადგნენ, მაგრამ გურამი შინ ან დახვდათ და მისი უმცროსი ძმა – არასრულწლოვანი ვანო გაიტაცეს. მძევალი მათ თბილისში, თემქაზე მდებარე, ნოვიკო ბალავაძის მიერ დაქირავებულ ბინაში მიიყვანეს. რაც შეეხება ავტომანქანას, ის მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მიატოვეს ისე, რომ ზურა გელაშვილი საბარგულშივე დარჩა. გარკვეული დროის შემდეგ, მან თავი გაითავისუფლა.

გამტაცებლები სულიკო ბერბიჭაშვილს დაუკავშირდნენ და შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ, მას გიგა ბალავაძის ციხიდან გამოშვება მოსთხოვეს. ბერბიჭაშვილმა აუხსნა მათ, რომ სამსახურებრივი მდგომარეობა ამ საკითხის მოგვარების საშუალებას არ აძლევდა, რადგან სათანადო პირადი ურთიერთობები არ გააჩნდა. მაშინ ბოროტმოქმედებმა მას 5.000 დოლარი მოსთხოვეს. ამ თანხის მიღების შემდეგ, მათ ვანო ბერბიჭაშვილი გაათავისუფლეს.

ამ ორი უშედეგო გატაცების შემდეგ, გიგა ბალავაძემ საკუთარი ძალებით ციხიდან გაქცევა სცადა. ეს მცდელობაც წარუმატებლად დასრულდა. წარდგენილ ბრალდებებში, წინასწარი გამოძიებისას, ბალავაძემ ნაწილობრივ ცნო თავი დამნაშავედ. აღსანიშნავია, რომ პროკურატურამ მას ათამდე სხვადასხვა, მძიმე მუხლი მიუყენა. დაახლოებით ამდენივე დანაშაულში იმხილებიან გამხუაშვილი და რუხაძე. გამხუაშვილმაც ნაწილობრივ ცნო თავი დამნაშავედ. კერძოდ, მან ზურაბ გელაშვილისთვის უკანონო თავისუფლების აღკვეთა და არასრულწლოვანი ვანოს, მძევლად აყვანა აღიარა. რაც შეეხება დავით ხუროძის გატაცების ფაქტს, ეს მან არ დაადასტურა. თუმცა, საქმის მასალების მიხედვით, დაზარალებულმა ხუროძემ პროკურატურაში გამხუაშვილს ხელი დაადო და ის, როგორც ერთ-ერთი გამტაცებელი, ამოიცნო. გამხუაშვილმა პროკურატურას ჩვენების მიცემაზე უარი უთხრა. ასევე მოიქცა მამუკა რუხაძეც, რომელმაც თავი სრულიად უდანაშაულოდ გამოაცხადა.

მეოთხე განსასჯელი – ვიქტორია ერაძე პროკურატურის მიერ დანაშაულის დაფარვაში იმხილება. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ის გამხუაშვილის ნაცნობი ყოფილა და სწორედ მისგან შეიტყო ბანდის მიერ ჩადენილი ერთ-ერთი დანაშაულის შესახებ, პოლიციას კი არაფერი აცნობა. ვიქტორია ერაძემ წინასწარი გამოძიებისას ამ ბრალდებაში თავი სრულად ცნო დამნაშავედ და გამოძიებასაც დეტალური ჩვენება მისცა. თუმცა, რას იტყვის ის სასამართლოში, ძნელი მისახვედრია, რადგან განსასჯელთა მხარე პროცესზე ძალზედ აგრესიულად იქცევა. წინა სხდომაზე მათ, 2002 წლის 23 აპრილს ჩატარებული იმ სპეცოპერაციის გამო გამოთქვეს პროტესტი, რომელსაც გია ქარდავასა და ნოვიკო ბალავაძის სიცოცხლე შეეწირა.



განსასჯელთა ნათესავები ირწმუნებიან, რომ მაშინ, სამართალდამცავები ყოვლად უკანონოდ და უსამართლოდ მოიქცნენ. *„პოლიცია არც ერთის სიცოცხლეს არ გაუფრთხილდა, პირდაპირ ტყვიები დაუშინა მათ“*, – აცხადებენ პატიმრების ახლობლები, თუმცა თავად სამართალდამცავები საწინააღმდეგო ინფორმაციას გვაწვდიან.

ავთანდილ ბესელია, იმერეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, კრიმინალური პოლიციის უფროსი:

„ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, პოლიციელთა ჯგუფის წევრები, ხელმძღვანელებთან ერთად ხონში, ვაჟაფშაველას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ სახლთან გამოვცხადდით. გვქონდა შეტყობინება, რომ ბალავაძე და მისი თანამზრახველები იქ იმყოფებოდნენ. ასეც აღმოჩნდა. ჩვენ მათ მეგაფონით მივმართეთ და შევთავაზეთ, დაგვმორჩილებოდნენ. ისინი არ დაგვთანხმდნენ, იძახდნენ: აბა, თუ ბიჭები ხართ, აქ შემოდითო, – თან იარაღით გვემუქრებოდნენ. კარგა ხნის მანძილზე ვარწმუნებდით მათ, რომ ვერას გახდებოდნენ და უმჯობესი იქნებოდა, თუ დაგვნებდებოდნენ. ამ მოლაპარაკებებს შედეგად, სამწუხაროდ, ურთიერთსროლა მოჰყვა. ჩვენ იძულებულები გავხდით, საპასუხო სროლა გვეწარმოებინა; საუბედუროდ, ქარდავა და ბალავაძე სასიკვდილოდ დაიჭრნენ, ბალავაძე იქვე გარდაიცვალა, ქარდავა კი, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა საავადმყოფოში მივიყვანეთ. ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს“.

სასამართლო პროცესზე ავთანდილ ბესელიასადმი აგრესია განსასჯელმა – გიგა ბალავაძემ ვერ დაფარა. მან პოლიციელი, ძმის მკვლელობაში დაადანაშაულა და პირდაპირ სხდომაზე დედა შეაგინა. ასეთი საქციელისთვის ბალავაძე, მოსამართლე გიორგი ქოიავამ სასამართლო დარბაზიდან გაძევებით დასაჯა. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

1. ადამიანის თვალი 7 გრამს იწონის.
2. ზოოლოგიის ფუძემდებელი არისტოტელეა.
3. „ძალა გართობაშია“, – ამტკიცებს კოტე ყუბანეიშვილი.
4. სიტყვა „ფენომენი“ ძველბერძნულად ზეციურ მოვლენას ნიშნავს.
5. სომხეთის მეფე სუმბატ I ბაგრატუნი 891-914 წლებში მეფობდა.
6. პლანეტა იუპიტერის მასა 317,8-ჯერ აღემატება დედამიწის მასას.
7. ინგლისური ცენტნერი 100 გირვანქას უდრის და არა 100 კილოგრამს.
8. პოემას – „რუსლანი და ლუდმილა“ – პუშკინი 1817-დან 1820 წლამდე წერდა.
9. ზაფხულის ოლიმპიური თამაშები პარიზსა და ლონდონში ორ-ორჯერ ჩატარდა.
10. „არის ორგვარი ღრენაცა, ყმუილიცა და კბენაცა“, – ღაღადებს ადიღეური აფორიზმი.
11. არასაკმარისია, სამყოფი არ არის – ასე ითარგმნება ლათინურიდან სიტყვა „დეფიციტი“.
12. ზარნაშოს, ტყის ბუს და ერთ-ერთ ზღვის თოლიას ადამიანის მსგავსად შეუძლიათ სიცილი.
13. კალათბურთის თამაშის დროს, მცველი მისკენ ზურგით შებრუნებულ თავდამსხმელს ხელით იმიტომ ეხება, რომ მოწინააღმდეგის მოძრაობა იგრძნოს და არ მოტყუვდეს.
14. „ის აზრი, რომ გენიოსობას საზღვარი აქვს და უგუნურებას კი – არა, დროგამოშვებით საშინლად მაწუხებს ხოლმე“, – წერდა ალექსანდრე დიუმა-უმცროსი.
15. ჰალვა – ასე ჟღერს არაბულ ენაში ზმნა, რომელიც „ტკბილად ყოფნას, სასიამოვნოდ ყოფნას“ აღნიშნავს.
16. მურმან ლებანიძის ლექსები რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, ლატვიურ, უკრაინულ, ფრანგულ, გერმანულ, ჩეხურ ენებზე არის თარგმნილი.
17. რომაელ ლეგიონერთა სალაშქრო აღჭურვილობაში შედიოდა საკვების მარაგი, სამშენებლო ინსტრუმენტები, იარაღი, ჭურჭელი და ორი მძიმე ხის ძელი, რომელიც ბანაკის შემოსაღობად იყო საჭირო.
18. ლაყვრი სოფელია მესტიის რაიონში, ლაუშა – სოფელი დუშეთის რაიონში, ლებაღათურე – სენაკის რაიონში, ლეახ-

ძმაკაცობაც ამას ჰქვია

ავთო მარგველაშვილი

ნიკა, ლადო და ირაკლი ბავშვობის მეგობრები იყვნენ და დღემდე უღალატოდ მეგობრობენ, მაგრამ მათი ძმობის ისტორიაშიც არის რამდენიმე „შავი ლაქა“, რომელსაც მუდამ სიცილით იგონებენ:

ლადო ყველაზე ალალი და უეშმაკო იყო. განსაკუთრებული მორიდებულობით გამოირჩეოდა და არაერთხელ გამხდარა მეგობრების მიერ ხელოვნურად შექმნილი, უხერხული სიტუაციის მსხვერპლი.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მესამე კურსის დამთავრების შემდეგ, ლადოს მამამ განუცხადა, რომ დაოჯახების დრო დადგა და მისთვის საცოლეც ჰყავდა შერჩეული. მამები უკვე მოლაპარაკებულები იყვნენ და სექტემბრისთვის ქორწილიც ჰქონდათ დანიშნული. ბიჭმა ყველაფერი, რა თქმა უნდა, მეგობრებს უამბო. ნიკა და ირაკლი გოგი ძიასთან მივიდნენ და უთხრეს:

– აგვისტოში ზღვაზე ვაპირებთ დასასვენებლად წასვლას და ლადოს ცოტათი „გამოვქექავთ“, მამაკაცურ „ნათლობასაც“ მივაღებინებთ.

გოგი ძიაც დათანხმდა, ბიჭები „დაასპონსორა“ და ზღვაზე გაისტუმრა. სამმა მეგობარმა პლაჟზე სამი გოგოც გაიცნო და მალე, ფლირტიც გააბა. ყველაზე თამამი და გამოცდილი გოგონა ლადოსთან დააწყვილეს და ისიც უთხრეს, რომ თვითონ უნდა ეაქტიურა. ერთ-ერთი „ვეჩერინკის“ შემდეგ ასეც მოხდა. ქეთიმ მთელი თავისი გამოცდილება გამოიყენა და ლადოც სექსის საიდუმლოს ეზიარა.

მთელი თვე ასე, გრიალში გაატარეს ბიჭებმა და აგვისტოს მიწურულს, თბილისში დაბრუნდნენ. ერთ თვეში, ლადო უცნობ გოგონაზე უნდა დაქორწინებულიყო. ნიკა და ირაკლი დაჩალიჩდნენ, საცოლის ვინაობა დაადგინეს და ისე, რომ ლადოსთვის არაფერი უთქვამთ, გოგონა გაიცნეს კიდეც. შემთხვევით აღმოჩნდა, რომ ზღვაზე გაცნობილი სამი გოგოდან ერთ-ერთი, ლადოს საცოლის მეზობელი იყო და სთხოვეს, რომ ნიშნობის დღეს, სტუმრებთან ის გამოსულიყო ნამდვილ საცოლეზე ადრე.

ნიშნობის დღეს სასიძოს ოჯახი საპატარძლოს ოჯახს ეწვია. ლადოს, ნიკა და ირაკლიც უმშვენებდნენ გვერდს.

– ნინო ახლავე გამოვა, თავის ოთახშია, იპრანჭება, – ღიმილით უთხრა სტუმრებს სასიმამრომ და ლადოს მშობლებთან საუბარი გაბა. ბიჭები დივანზე ჩამოსხდნენ და სუფრის გაწყობას დაელოდნენ.

ოთახში დაბარებული მეზობელი გოგონა შემოვიდა, სუფრაზე რაღაც დადო და ბიჭებს მიესალმა, ლადოს კი აკოცა კიდეც. ლადოს ცივმა ოფლმა დაასხა და აივანზე გავიდა. ბიჭებიც გაჰყვნენ.

– ესაა ჩემი საცოლე? რა იღბალი მაქვს?! – „ჩემი ქალი“ მაინც შემხვედროდა, რაღა ის აღმოჩნდა, ვისთანაც ნიკა კოტრიალობდა?! – აღშფოთებას ვერ ფარავდა ლადო.

– ბედს უნდა შეეგუო, ძმაო! – დაამშვიდა ნიკამ, – ჩემი იყო, ახლა – შენია. მამის ნებას წინ ვერ დაუდგები.

– რას ვერ დავუდგები?! – წამოიყვირა ლადომ და წასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს, ოჯახის დიასახლისმა სტუმრები სუფრასთან მიიპატიჟა. ძმაკაცები ლადოს აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და სუფრასთან „მიიტანეს“. „მოგულავე“ საცოლე ისევ გამოჩნდა, სუფრას რაღაც ისევ შემოამატა და გავიდა.

– მივეხმარები, – უხერხულად ამოი-

ლუღლუღა ლადომ და გოგონას უკან გაჰყვა...

— შენ რა „ნაგლი“ ვინმე ყოფილხარ — გინდა, შემეტენო არა?! — წაუსისინა ლადომ. ქალმა „ნაგლადვე“ გაუღიმა.

— არ გამოგივა! ახლა გავალ და შენს მამიკოს ყველაფერს ვეტყვი შე ბო...

— გამარჯობათ! — გაისმა ქალის ნაზი ხმა და შემობრუნებულმა ლადომ ფერიასავით ლამაზი გოგონა დაინახა.

— გაიცანი, სულელო, — ისევ „ნაგლად“ გაუღიმა გოგომ, — ეს შენი საცოლეა, მე მისი მეზობელი ვარ...

ლადოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ბედნიერების გვირგვინიც კმაყოფილებით დაიდგა თავზე. ბიჭებმა, რა თქმა უნდა, მოგვიანებით გაუმხილეს, რომ მათი მოწყობილი იყო ყველაფერი და ბევრიც იხარხარეს.

გავიდა სამი თვე ლადოსა და ნინოს ქორწინებიდან და ბიჭის გულში დარდმა დაისადგურა — ნინო არ ფეხმძიმდებოდა. ლადო ძმაკაცებს გამოუტყდა და უთხრა:

— ვინმე ექიმი უნდა ვიპოვო, რომ გავესინჯო. იქნებ, ჩემშია მიზეზი.

— მე ვიცნობ კარგ ექიმს, იმან მიშველა. თუ რაიმე გჭირს, ისე გიმკურნალებს, რომ კვიცივით გახდები — უთხრა ნიკამ. მას მართლა ჰყავდა მეზობელი, რომელიც ბრწყინვალე ურولოგი იყო. საღამოს, დაურეკა და უთხრა:

— ხვალ ძმაკაცს მოგიყვან. მაგრამ თუ ჯანმრთელია, უცებ არ უთხრა: მინდა, ცოტა გავაწვალო, — და ისიც ჩაურაკრაკა, რაც უნდა ეთქვა.

მეორე დღეს, ლადო ძმაკაცებთან ერთად ექიმთან მივიდა და ანალიზები ჩააბარა.

— ერთ საათში იქნება პასუხი, — უთხრა ჰიპოკრატეს ფიცის გამტეხმა და პაციენტი გარეთ გაისტუმრა.

— რამე რომ მჭირდეს, ვიმკურნალებ... — ნერვიულობდა ლადო.

— კარგი, რა!.. რა უნდა გჭირდეს?! სამი თვე გავიდა — მეტი ხომ არა! — „ამშვიდებდნენ“ მეგობრები. მალე ექიმმაც დაუძახა ბიჭებს და განაცხადა:

— გამოუსწორებელი არაფერია, მაგრამ მკაცრი დიეტაა საჭირო: არავითარი დასალევი — ლუდიც კი, არავითარი სიგარეტი, არავითარი ცხიმი და შემწვარი, მხოლოდ მოხარშული, უმარილო და ბოსტნეული.

— სექსი? — იკითხა ნიკამ და ექიმს თვალი ჩაუკრა.

— სექსი, რაც შეიძლება, მეტი!.. შედეგი 6 თვის შემდეგ ვნახოთ. მანამდე კი, ქალი არ დაფეხმძიმდება, შეიძლება — არც მერე...

ლადო ისევ დადარდიანდა, მაგრამ რა უნდა ექნა? მკაცრ დიეტაზე დადგა, ჭამას უკლო, სექსს უმატა, ძვალი და ტყავი დარჩა და 6 თვის გასვლას თითებზე ითვლიდა.

ნინო ვერაფრით ხვდებოდა, რატომ არ ჭამდა ლადო იმ კერძებს, რაც აქამდე განსაკუთრებით უყვარდა, ქმარი კი არაფერს ეუბნებოდა. გავიდა ერთი თვე და საღამოს შინ მისულ ქმარს ბედნიერმა ცოლმა ახარა — ფეხმძიმედ ვარო.

— რა? ფეხმძიმედა ხარ? შეუძლებელია! — აღშფოთდა ლადო.

— რატომაა შეუძლებელი? მე ხომ ჯანმრთელი ქალი ვარ.

— მართალია. შენ ჯანმრთელი ხარ და სულაც არაა შეუძლებელი...

ეჭვიანობამ გონება დაუბინდა ლადოს. სახლიდან გავარდა, ცოლთან გაყრის განცხადება დაწერა და ბიჭებს დაურეკა.

— რა მოხდა, ლადო, ეს რა არის? — ჰკითხეს ძმაკაცებმა.

— ცოლს ვეყრები.

— რატომ?

— მღალატობს... — აქვითინდა ბიჭი.

— არ არსებობს! ნინო ეგეთი არაა.

— თქვენ რა იცით, ვინ როგორია?! მე კი დარწმუნებული ვარ, რომ მღალატობს.

— საიდან იცი?

— ფეხმძიმედ ვარო, მითხრა. მე კი ავად ვარ და კიდევ 5 თვე უნდა ვიმკურნალო. არც კი ვიცი, მიშველის თუ არა.

ბიჭებს აღარც ახსოვდათ თავიანთი ხუმრობა. ყველაფერი გაუმხილეს, მაგრამ ვერაფრით დაარწმუნეს, სანამ იმავე ექიმთან არ მიიყვანეს და არ ათქმევინეს, რომ ნიკას თხოვნით მოატყუა, თორემ აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო.

ლადომ აღარ იცოდა, გახარებოდა თუ გასწყრომოდა ძმაკაცებს, მაგრამ მათზე მეტად ამ ქვეყანაზე არავინ უყვარდა, მათზე და ნინოზე მეტად... ამიტომ ბედნიერი მამობისათვის მზადება დაიწყო.

გავიდა კიდევ რამდენიმე თვე და ლადომ მეუღლე ექოსკოპიურ შემოწმებაზე წაიყვანა, მეგობრებიც, რა თქმა უნდა, თან იახლა. ნიკა ნაცნობი ექიმის კაბინეტში წინასწარ შეძვრა და მომავალი ოინიც გამოცხვა: მონიტორზე ნაყოფის ნაცვლად კურდღელი გამოჩნდა.

— მიშველეთ! ჩემი ბოსტნეულის დიეტის ბრალია ყველაფერი!.. — იყვირა ლადომ და მეგობრებს განწირული თვალებით ახედა...

■

ინფორმაციულ-უმეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

ალე — ჩხოროწყუს რაიონში, ლაცორია — ცაგერის რაიონში.

19. ცნობილი მსახიობი მიკი რურკი ხშირად ჩხუბობდა ცოლთან, რის შემდეგაც ქალი ჩაალაგებდა ბარგს და ფეხშიშველი გარბოდა ქუჩაში. ქმარი გონს მოდიოდა, უკან მისდევდა და შინ აბრუნებდა. ერთხელ, როცა გამწარებულ ქალს ვეღარაფერი შეასმინა, მიკი რურკმა თითი მოიჭრა.

20. ყოველ 85 ახალშობილზე, ორი ტყუპი მოდის, ყოველ 7000-ზე — სამი ტყუპი, ყოველ 700000-ზე — ოთხი.

21. მას შემდეგ, რაც ჩინეთის იმპერატორ ცინშიხუანდის, მოკვლის მიზნით რამდენჯერმე დაესხნენ თავს, მან ბრძანება გასცა, მაგნიტური რკინისგან დაემზადებინათ კარი და სასახლის შესასვლელში დაეყენებინათ. ამან იმპერატორს საშუალება მისცა, გაეგო, მალავდა თუ არა აუდიენციაზე მისული ადამიანი იარაღს.

22. ფრანგი მსახიობი ლუი დე ფიუნესი მეორე მსოფლიო ომის დროს, სასურსათო მაღაზიაში დამფასოებლად მუშაობდა, კარაქს 150-გრამიან ნაჭრებად ფუთავდა, ხორბალს წონიდა და მეუღლისათვის ორი ნატეხი შაქრის მოპარვას თუ მოახერხებდა, იმ დღეს უბედნიერეს ადამიანად მიაჩნდა თავი.

23. მორისკები იძულებით გაქრისტიანებული ესპანელი მუსლიმანები იყვნენ. ინკვიზიცია განსაკუთრებით სდევნიდა მორისკებს, ვინაიდან ეჭვობდა, რომ მათი დიდი ნაწილი ფარულად ისლამს აღიარებდა. ფილიპე მესამემ, მორისკების ქონების მითვისების მიზნით განდევნა ისინი ესპანეთიდან (1609-1610). ესპანეთმა, რომლის მოსახლეობა იმ დროს 8 მილიონს არ აღემატებოდა, დაკარგა 275000 შრომისმოყვარე, კულტურული მოსახლე, რამაც მნიშვნელოვნად დასცა ქვეყნის ეკონომიკა. გაძევებული მორისკების დიდი უმრავლესობა მაღრიბის ქვეყნებში (ჩრდ. მაროკო, ალჟირი, ტუნისი) დასახლდა.

24. საავტომობილო ფირმა BMW ფრანც პოპმა დააარსა. თავიდან, ეს ფირმა თვითმფრინავებს უშვებდა. პროპელერი ლურჯი ცის ფონზე — ამის აღმნიშვნელია ფირმის ემბლემა. P.S. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, BMW-ს თვითმფრინავების გამოშვება აუკრძალეს; იმ დროიდან მოყოლებული, ფირმა მხოლოდ ავტომობილებს აწარმოებს.

■

თავისუფალი მოძრაობა გლუკოზამინთან ერთად

რა არის გლუკოზამინი?

თუ თქვენ გაწუხებთ სახსრები, აუცილებლად გაგონილი გექნებათ ამ პრეპარატის შესახებ, ზოგიერთი საკუთარ თავზეც გამოცდიდა მის ეფექტს. გლუკოზამინი ნატურალური საკვები დანამატია, რომელიც ხელს უწყობს სახსარშიდა სითხისა და მყესების რეგენერაციის პროცესს, ამცირებს შეშუპებას, რომელიც გარდაუვალია ანთებითი პროცესის დროს, ამცირებს ტკივილებს. მისი მაღალეფექტურობა კლინიკურად აპრობირებულია.

რა პრივილეგია აქვს გლუკოზამინის ახალ ფორმულას?

გლუკოზამინის ახალი ფორმულა კომბინირებულია მეთილ სულფონილ მეთილთან, რითაც მისი ეფექტურობა ორმაგდება. გლუკოზამინი არ აღიზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს! ეს პრობლემა ნაცნობია მათთვის, ვინც დაავადებულია სახსრების ანთებით. ამ დაავადების დროს პირველი რიგის პრეპარატია არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო მედიკამენტები, უმრავლეს შემთხვევაში აუცილებელი ხდება სტეროიდების დანიშვნაც, ისინი კი იწვევენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანის ძლიერ გაღიზიანებას. სახსრის ტკივილებს ემატება გულძმარვა, სიმძიმის შეგრძნება კუჭის არეში, დიარეა.

რატომ არ აღიზიანებს გლუკოზამინი კუჭ-ნაწლავის ტრაქტს?

პასუხი შემდეგში მდგომარეობს: გლუკოზამინის ახალი ფორმულის შემადგენლობაშია ისეთი მცენარეული ბოჭკოები, რომლებიც საჭმლის მომნელებელ ტრაქტში მოხვედრისთანავე ტაბლეტის გარშემო ქმნიან ჟელესებრ პროტექტორს, რაც აფერხებს ტაბლეტის უშუალო კონტაქტს ლორწოვანთან. გამომდინარე აქედან, ამ პრეპარატის მიღება შეიძლება დღის ნებისმიერ დროს, კვებისგან დამოუკიდებლად. მისი ხანგრძლივი მიღებაც კი სრულებით უსაფრთხოა.

როგორია გლუკოზამინის შემადგენლობა?

მის პირველად ინგრედიენტებს წარმოადგენს:

- გლუკოზამინის სულფატი – 750 მგ
- მეთილ სულფონილ მეთანი – 750 მგ

სხვა ინგრედიენტები:

- ცელულოზა
- გლიცერინი
- მალტროდექსტრინი
- მოდიფიცირებული მცენარეული წებოვანა
- სტეარინის მჟავა

ვინ და როგორ უნდა მიიღოს გლუკოზამინი?

პრეპარატი შვებას მოუტანს მათ, ვინც დაავადებულია ართრიტით, ართროზით, ოსტეოქონდროზით, სახსრებში შეზღუდული მოძრაობით და ტკივილებით. ეფექტურია სპორტსმენებისთვისაც, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც მიღებული აქვთ ტრავმები. დაბოლოს, სასარგებლოა ყველა ჩვენგანისათვის, ის ხომ ორგანიზმზე ზოგადგამაჯანსაღებელ ზემოქმედებას ახდენს.

მიიღეთ დღეში ორჯერ 2-2 ტაბლეტი წყალთან ერთად.

გააჩნია თუ არა გლუკოზამინს გვერდითი არასასურველი მოქმედებები?

არა, მას არანაირი გვერდითი ეფექტები არ გააჩნია. მისი მიღება შესაძლებელია დღის ნებისმიერ დროს, კვებისაგან დამოუკიდებლად.

რამდენი ხანი მივიღოთ გლუკოზამინი?

აღსანიშნავია, რომ მისი ეფექტი იზრდება დროთა განმავლობაში. ამიტომ სასურველია მისი მიღება მინიმუმ 2 თვის მანძილზე, შემდეგ მისი მიღების ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის.

შეიძლება თუ არა ამ პრეპარატის მიღება ჰიპერტონიკებისათვის?

პასუხი დადებითია. მისი მიღება სრულიად უსაფრთხოა მათთვის, ვისაც აწუხებს მაღალი წნევა, რადგან პრეპარატი არ შეიცავს ნატრიუმს. ნატრიუმის იონი ხელს უწყობს ორგანიზმში წყლის შეკავებას. გლუკოზამინის შემადგენლობაშია კალიუმის ქლორიდი (და არა ნატრიუმის) , ამიტომ ორგანიზმი დაცულია ჭარბი სითხის შეკავებისაგან, რაც ესოდენ უარყოფით გავლენას ახდენს მაღალწნევიან პაციენტებზე.

სად შევიძინოთ გლუკოზამინის ახალი ფორმულა?

პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში დაგეხმარებიან ექიმი-კონსულტანტები.

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

„ნუტრიმენტ ჰაუსი“,
მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები:
ყოველდღე კვირის
გარდა 10.30 - 18.00,
www.shopge.com

Tanamedrove ZiZa _ borotmoqmedi, msxverpli, dedaze ufro sayvareli aRmzrdeli...

დღეს საქართველოში უმუშევრობის გაცილებით მაღალი მაჩვენებელი მამაკაცებზე მოდის. ქალებმა ცხოვრებისეული გამოცდილება უფრო სასარგებლოდ გამოიყენეს და ე.წ. „ახალი ქართველების“ ოჯახებში მომსახურე პერსონალის ფუნქციები იკისრეს. უფრო ადრე, სწორედ ამგვარი საქმიანობის გასაწევად, საქართველოდან ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში გოგონების და ქალბატონების სოლიდური რაოდენობა გაემგზავრა. მართალია, საქართველოში მომსახურე პერსონალს გაცილებით ნაკლებს უხდიან, მაგრამ ქვეყანაში დღეს არსებული მინიმალური ხელფასის ფონზე, შეიძლება შემოსავლიან საქმედაც კი ჩაითვალოს. იატაკის წმენდას და ჭურჭლის რეცხვას, ჩვეულებრივ, ბავშვების მოვლას ამჯობინებენ, ამიტომ საგაზეთო განცხადებებსა თუ მორბენალ სტრიქონებში ხშირად შეხვდებით შემოთავაზებას, რომელიც იწყება სიტყვებით — „მოვუვლი ბავშვს“... სუსტი სქესის წარმომადგენლების მიმართ ნდობის ფაქტორი გაცილებით მაღალია, ამიტომ მშობლები ძიძის აყვანისას ხშირად, სიფრთხილეს არ იჩენენ ხოლმე. ასე შემოდის სრულიად უცხო ადამიანი თქვენს ოჯახში ისე, რომ არაფერი იცით მისი წარსულის, ჯანმრთელობისა და, ბოლოს და ბოლოს, ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ. თუმცა, პირიქითაც შეიძლება მოხდეს — საფრთხის ქვეშ ოჯახი კი არა — ძიძა ალმოჩნდება ხოლმე...

ემა გელოვანი

ნატა, *მცირეწლოვანი ბავშვის მშობელი:*

— თუ გაგიმართლა, ძიძას პირდაპირ სამშობიარო სახლში, ექთანებს შორის იპოვი. შეგიძლია ასევე შენი ახლობლების წრეში უკვე ბავშვის მომვლელად ნამუშევარი მოძებნო. უკიდურეს შემთხვევაში გამოაქვეყნებ განცხადებას, რომ ძიძა გესაჭიროება და იმდენი ქალი დაგირეკავს, რომ მთელი დღე ტელეფონთან ჯდომა მოგიწევს.

— თქვენ როგორ მოძებნეთ ძიძა თქვენი შვილისთვის?

— მომვლელის ძებნა მაშინ დავიწყე, როდესაც ბავშვი უკვე ერთი წლის იყო, ამიტომ განცხადების გამოქვეყნება მომიხდა. პარალელურად, პოტენციური ძიძების მიერ გაკეთებულ განცხადებებსაც ვკითხულობდი. ორი კვირის მანძილზე, 30-მდე ქალბატონი გამომეხმაურა, მხოლოდ ხუთი მოვიწვიე შინ და მათ შორის, ყველაზე სანდო ამოვარჩიე...

— დახასიათება ან სარეკომენდაციო წერილი ხომ არ ჰქონიათ თან?

— სიტყვაზე ვენდე. მითხრა: ოჯახი მეც მყავს, ქმარი არ მუშაობს და შვილების რჩენა მე მიხდებაო. დილიდან საღამომდე უნდა მოევლო ბავშვისთვის და 100 დოლარზე შევთანხმდით. თავიდან არანაირი პრეტენზია არ მქონია, ბავშვს კარგად უვლიდა. საერთოდ ცოტა დაბნეული ადამიანი ვარ და გვიან მივხვდი, რომ სახლიდან ნივთები იკარგებოდა. მეუღლეს არ გავუმხილე, ძიძა შემეცოდა: ძალიან ფიცხი კაცია და ვიცი, რასაც უზამდა. ძიძას ყოველდღე ბავშვი ვაკის პარკში დაჰყავდა სასეირნოდ. დავუდარაჯდი და ვნახე, თუ როგორ გაჰქონდა ნივთები სახლიდან ბავშვის ეტლით და სამალავში მარხავდა; შინ წასვლისას ალბათ გაივლიდა და წაიღებდა... მშვენივრად იცოდა ჩემი მეუღლის „შავი გაგების“ ამბავი, ამიტომ ნივთები უკან დამიბრუნა და ფეხებში ჩამივარდა: შვილები არ დამიღუპოო. ცხადია, დავითხოვე, მაგრამ მერე, შევშინდი, როცა წარმოვიდგინე და გავაცნობიერე, რომ ყოველდღე ქურდს ვატანდი ჩემს შვილს. ხომ შეიძლებოდა, უარესიც ჩაედინა? ეს შიში უსაფუძვლო არ იყო: მაგალითად, ცოტა ხანში, ჩემს უახლოეს მეგობარს ძიძამ დანის მუქარით ფული და ოქროულობა წაართვა... ვფიქრობ, ჩვენი მაგალითი ჭკუის სასწავლებელი იქნება იმ დედებისთვის, რომლებიც საკუთარი შვილის სიცოცხლეს სრულიად უცხო ადამიანს ანდობენ.

კარგ ამინდში, თბილისის პარკებსა და ბაღებში უამრავ ძიძას და მათ აღსაზრდელს შეხვდებით. შემთხვევით, შეიძლება იმაზე საუბარსაც მოჰკრათ ყური, თუ როგორ უზიარებენ ერთმანეთს, მდიდრულ ოჯახებში ნანახსა და გაგონილს. იქვე შევიტყვე, რომ ზოგიერთ პოპულარულ ქართველს ერთი კი არა — ორი ძიძაც კი ჰყავს მიჩენილი საკუთარი შვილისთვის. ვინაობა რომ გავუმჟღავნე, ამან

ძიძებში აგრესია გამოიწვია:

— თქვენ, ჟურნალისტებს, მხოლოდ ცუდი და სენსაციური ამბები გაინტერესებთ. არ შეიძლება, ერთი თბილი წერილი დაიწეროს ძიძებზე? მაგალითად, მე სამი შვილი მყავს შინ უპატრონოდ მიტოვებული და ელემენტარული საზრდოს შოვნის მიზნით, მთელი დღე ამ ბავშვს ვუვლი.

— ბავშვები თითქმის სულ თქვენთან არიან, დედებს არ უნელდებათ მათდამი დედობრივი გრძნობა?

ხათუნა, *ძიძა:*

— ჩვენ ისეთ ოჯახებში გვიწევს მუშაობა, სადაც დედების ძირითად საზრუნავს საკუთარ გარეგნობასა და სიამოვნებაზე ფიქრი წარმოადგენს. რა თქმა უნდა, გვხვდებიან საქმიანი ქალებიც, რომლებსაც პრაქტიკულად, სხვა გზა არცა აქვთ, გარდა იმისა, რომ შვილის გაზრდა ძიძას მიანდონ! ისინი ხშირად მოგზაურობენ და როდესაც ჩვენ და მათი ბავშვები აქ, თბილისში ვსხედვართ, ისინი რომელიმე ზღვის სანაპიროზე ნებივრობენ... მიუხედავად ამისა, ბავშვი ყოველთვის გრძნობს ბიოლოგიურ დედას და განსაკუთრებულად უყვარს. მაგრამ ძიძებსაც ეჩვევიან და ხშირად, უჭირთ ხოლმე ჩვენთან განშორება.

მაკა, *ძიძა:*

— მდიდარ მშობლებს შანტაჟის შიში ყოველთვის აწუხებთ. ჩემს ერთ-ერთ აღსაზრდელს „მზიურში“ ხშირად ვასეირნებდი. მამამისი დღეში რამდენჯერმე, მოულოდნელად დამადგებოდა ხოლმე თავზე და მამოწმებდა. წასვლისას მაფრთხილებდა: ეტლს ხელი მაგრად მოჰკიდე და არასოდეს არ გაუშვაო.

ნათია, *ძიძა:*

— იმ ოჯახში ჩვენი ექიმის რეკომენდაციით მივედი *(ნათია ერთ-ერთ ბავშვთა საავადმყოფოში ექთანად მუშაობს. — ავტ.)*. დედა სტუდენტი იყო, მამას კი „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“ ერთ-ერთი წამყვანი პოსტი ეკავა. ბავშვს თითქმის დაბადებიდან ვუვლიდი და შრომის ანაზღაურებაც შესაბამისი მქონდა. მათი ბინა პრესტიჟულ უბანში, ერთ-ერთი სახლის მეორე სართულზე მდებარეობს და სულ გისოსებით არის გარშემორტყმული. ორი დეკემბრის ღამეს, აივნიდან რაღაც ხმაური შემომესმა, ვიფიქრე, კატა იყო შემოსული და ის ხმაურობდა. მე და ბავშვს „ზალაში“ გვეძინა, მშობლებს — საძინებელში და მათ ეს ხმაური არ გაუგიათ. ბავშვის საწოლზე სათამაშო ეკიდა, რომელიც ხმაურზე ავტომატურად ირთვებოდა და სიცილს იწყებდა. შემეშინდა, მის ხმაზე ბავშვს არ გაღვიძებოდა და

ლიზა ბაგრატიონი: ელენა ბორისოვნა თითქმის მთელ დროს ჩვენთან აგარებს და როდესაც შვებულების შემდეგ ირაკლისთან ბრუნდება, მათი შეხვედრის ყურებას არაფერი სჯობს.

აივნის კარის გაღება ვცადე, რომ კატა გამეგდო. გაღებისთანავე, კარს აივნიდან ნიღბიანი მამაკაცი მოაწვა და იარაღის მუქარით შემოვარდა. რევოლვერი შუბლზე მომადო და საძინებლის კედელთან მიმაყუდა. სწორედ მაშინ გავიგონე, თუ როგორ აღვიძებდა ცოლი ქმარს: ადექი, მგონი, სახლში ვიღაც შემოვიდაო. როგორც კი დააპირეს ოთახიდან გამოსვლა, ნიღბიანმა ხელი მკრა და მათ საძინებელში შემაგდო. სამივე, საწოლზე დაგვსვა და იქვე საიდანღაც მეორე ნიღბიანიც გაჩნდა.

— ბავშვს არ გაღვიძებია ხმაურზე?

— არა. ერთადერთი, რასაც ვეხვეწებოდი ნიღბიანს, ის იყო — ბავშვი არ შემეშინოთ-მეთქი. მშვიდად მიპასუხა: ქალბატონო, თქვენ თვითონ დაწყნარდით, თორემ მე ტონისათვის არც კი ამიწევიაო... სხვათა შორის, ძალიან ზრდილობიანი ქურდები იყვნენ და ბავშვის დედას, პერანგის ამარა თავი უხერხულად რომ არ ეგრძნო, პალტო მიაწოდეს... ფული და იარაღი მოითხოვეს, რომლის შესახებაც, როგორც გვითხრეს, წინასწარ ჰქონდათ მიღებული ინფორმაცია. არადა, არც ფული ჰქონდათ შინ და არც იარაღი, ბავშვის მამამ საფულე გაუწოდა და სახლიდან სხვა ნივთების წაღება შესთავაზა. ალბათ მათ იცოდნენ, რომ ოქროც ბევრი ჰქონდა ამ ოჯახს და კომოდის თავზე მოთავსებულ ზარდახშას მიაშურეს. ეს ზარდახშა ყოველთვის ახდილი იყო, არ ვიცი, შიგნით რამდენი რამ ელაგა, მაგრამ მარტო ზემოდან შეხედვისას 10-12 ძვირფასი ოქროს ბეჭედი დაითვლებოდა. ერთ-ერთმა მძარცველმა ოქრო ჯიბეში ჩაილაგა და ცოლ-ქმარი „დაამშვიდა“: ეს თქვენთვის არაფერია — კიდევ შეიძენთო. მეორეს ჩვენთვის იარაღი არ მოუცილებია. სურათების უკან სეიფს ეძებდნენ, მაგრამ იქ არანაირი სეიფი არ იყო. საბაზანოდან კი, ნახმარი ოდეკოლონები წაიღეს... მთელი ამ ხნის მანძილზე ვეხვეწებოდი: გამიშვით ბავშვთან ან აქეთ შემოვიყვან-მეთქი. იმდენი ვქენი, რომ ბავშვთან გამიშვეს. შემეშინდა, ბავშვით შანტაჟირება არ დაეწყოთ და საწოლს მთელი სხეულით გადავეფარე. ერთ-ერთი ბოროტმოქმედი მიუახლოვდა ბავშვის საწოლს და მისი ნახვა მოინდომა, მაგრამ ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ბავშვი დალოცა, მე კი ხელზე მეამბორა: რატომ არ მეამბორებოდა? — კარი ხომ საკუთარი ხელით გავუღე... აივნიდან შემოსული ყაჩაღები შემოსასვლელი კარიდან გავიდნენ.

— მშობლებს თქვენშიც ხომ არ შეჰპარვიათ ეჭვი?

— ცხადია, ეჭვმიტანილი ვიქნებოდი, ვინაიდან უცხო ადამიანი ვიყავი და ქურდებს კარი მე გავუღე. როგორ ვიფიქრებდი, რომ გისოსებს დომკრატით გაწევდნენ და ისე შემოვიდოდნენ?! ცოლ-ქმარმაც მშვენივრად იცოდა, რომ აივანზე კატა ხშირად შემოდიოდა და ხმაურობდა.

— ის ოჯახი მაშინვე დატოვეთ?

— ოჯახის დატოვება არ მინდოდა, ვინაიდან მსურდა, ჩემი უდანაშაულობა დამემტკიცებინა. არ ვიცი, ნდობა გამომიცხადეს თუ დრო არ ჰქონდათ, რომ სხვა ძიძა აეყვანათ, ვინაიდან საახალწლოდ პარიზში მიფრინავდნენ, მაგრამ ბავშვთან დამტოვეს. მათი საქართველოში არყოფნის დროს, დიასახლისის მშობლებთან ვცხოვრობდით, მაგრამ მაშინაც, როდესაც ისევ მათ სახლში დაბრუნდით, ბავშვთან ღამით მარტოს

მტოვებდნენ, ვინაიდან სახლიდან დროს სატარებლად გვიანობამდე გადიოდნენ ხოლმე. კიდევ რამდენიმე თვე ვიმუშავე იმ ოჯახში და მერე საკუთარი სურვილით წამოვედი.

აგრესიულ ნოტაზე დაწყებული ნაცნობობა გულახდილ საუბარში გადაიზარდა და ბევრი კრიმინალური შემთხვევის შესახებ მიამბეს – მაგალითად, როგორ დაამზადებინა ერთმა ძიძამ ავარაკის გასაღების ასლი და „პადელნიკებს“ სარფიანი „საქმე მისცა“. როგორც თავად ძიძებმა მითხრეს. მათ ხშირად უხდებათ ავადმყოფი ბავშვების მოვლა. დავრდომილი ბავშვის გაზრდა უმძიმესი ტვირთია, მაგრამ მშობლები ამ შემთხვევაში გაცილებით მეტს იხდიან. ძიძების თქმით, იყო შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდა ძიძამ, ანაზღაურების მიღების შემდეგ, დამბლადაცემული ბავშვი საწოლში მიატოვა და მშობლებს წერილი დაუტოვა – გავთხოვდიო; სინამდვილეში, მან ფიზიკურად და სულიერად ველარ გაუძლო ასეთი მძიმე სურათის ყურებას, გაიპარა და ბავშვი გარკვეული დროის მანძილზე უპატრონოდ დატოვა...

მოცემული შემთხვევებიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდი სიფრთხილე მართებს ორივე მხარეს – მშობელს, რომელიც უცხო ადამიანს ანდობს შვილს და ქალს, რომელიც მისთვის უცნობ ოჯახში შედის. თუმცა, ერთ შემთხვევაში, პოტენციურმა ძიძამ თითქოს იცის, ვისთან ექნება საქმე – ცნობილ ადამიანებთან შეხებისას. აი, თავად როგორ იქცევიან ისინი ძიძის შერჩევის დროს:

ლიზა ბაგრატიონი:

– ძალიან მინდოდა, რომ ჩემი შვილის ძიძა რუსი ახალგაზრდა ქალბატონი ყოფილიყო, თბილი, მოსიყვარულე და ძალიან სუფთა. საბედნიეროდ, ძიძებთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ შემქმნია, თუმცა კი ძალიან ბევრი მსმენია ზოგიერთი მათგანის უმსგავსო საქციელის შესახებ. ეს ეხება, როგორც ქურდობის ფაქტებს, ასევე ბავშვთან უხეშად მოპყრობის შემთხვევებს. ჩვენ, ქართველებმა უფრო მეტად ვიცით ადამიანთან გაშინაურება, ამიტომ მეგობრებთან სტუმრობისას, ძიძა არაერთხელ მჯდარა ჩვენთან ერთად სუფრასთან, შემდეგ კი, მიუტევებელი საქციელი ჩაუდენია...

— როგორ ფიქრობთ — ვინ უნდა გაზარდოს ბავშვი, ძიძამ თუ დედამ?

– მიმაჩნია, რომ დედამ უნდა გაზარდოს შვილი ძიძის დახმარებით. მაგრამ თუ ჩემი შვილის ძიძას შეეკითხებით, ის გეტყვით, რომ ირაკლის ჩემი დახმარებით ზრდის...

— უცხო ადამიანთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება უხერხულობას არ გიქმნით?

– რა თქმა უნდა, თავიდან, გარკვეული დრო გჭირდება იმისათვის, რომ შენც შეეგუო უცხო ძიძას და ისიც – შენ. მაგრამ ახლა, ვერც წარმომიდგენია, თუ როგორ ვიქნებოდი მისი დახმარების გარეშე.

— ირაკლის თუ უყვარს ძიძა?

– ელენა ბორისოვნა თითქმის მთელ დროს ჩვენთან ატარებს და როდესაც შვებულების შემდეგ ირაკლისთან ბრუნდება, მათი შეხვედრის ყურებას არაფერი სჯობს.

— ხომ არ ეჭვიანობთ, რომ ძიძა უფრო მეტად უყვარს, ვიდრე თქვენ?

– არა, მე ვფიქრობ, რომ დედა მაინც დედაა, თუმცა არ გამოვრიცხავ იმას, რომ ბავშვს ერთიც ძალიან უყვარდეს და მეორეც. ახლა, ყველა ერთად აგარაკზე ვიმყოფებით, ჩვენთან ერთად ძიძის შვილებიც არიან და ყველა ერთად ვზრდით ირაკლის. პირობას ვდებ, რომ როგორც კი ირაკლი წამოიზრდება, ელენა ბორისოვნას კიდევ ერთ პატარას „შემოვაშველებ“ და იმედი მაქვს, რომ ჩვენი ძიძა, ჩვენს ოჯახში კიდევ დიდხანს დარჩება.

ცისანა სეფიაშვილი:

– ხშირად ვხუმრობ, როდესაც პირველად ვიგრძენი გულისრევის შეგრძნება, იმ დღიდან დავიწყე ძიძის ძებნა ჩემი შვილისთვის. იმდენი ქალბატონი ვნახე ამ ხნის მანძილზე, რომ თვალიც კი ამიჭრელდა, მაგრამ ბოლოს, არჩევანი შევაჩერე ქალბატონზე, რომელიც სპეციალობით პედიატრია და ჩვილ ბავშვებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ერთი თვის მანძილზე, სახლიდან საერთოდ არ გავდიოდი, ვინაიდან საკუთარი თვალით უნდა მენახა, თუ როგორ ეპყრობოდა ძიძა ჩემს შვილს. იყო შემთხვევა, როდესაც ჩემმა მეუღლემ ერთი საათით მეგობრებთან წაყოლა მთხოვა, კატო მხოლოდ ორისამი კვირის იყო და ვერაფრით დავტოვე მარტო ძიძასთან.

— თუ გაგიჭირდათ უცხო ადამიანთან შეგუება?

– პირველი რამდენიმე დღე ორივეს გაგვიჭირდა, მაგრამ ძიძამ მთხოვა, პირდაპირ მეთქვა ჩემი მოთხოვნების შესახებ, რათა უკმაყოფილება თავიდან აგვეცილებინა. ახლა ჩვენ არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს და იმის მიუხედავად, რომ შინ ასევე მყავს დამხმარე ქალი, ძიძა თავისუფალ დროს საოჯახო საქმეებშიც მეხმარება. ჩემთვის სასიამოვნოა იმის ყურება, რომ ძიძას ძალიან უყვარს კატო და როდესაც მე ბავშვის გაკაჟებას და შილიფად ჩაცმას ვცდილობ, ძიძა მეწინააღმდეგება – თბილად აცმევს და მეუბნება: არ გამიცივოო. მინდა გითხრათ, რომ ვენდობი მის რჩევებს და გამოცდილებას და ყველაფერს ვუჯერებ. ძიძა ჩვენთან ერთად წამოვა აგარაკზე და მთელ დროს კატოს დაუთმობს.

— ხომ არ ნერვიულობთ, როდესაც ბავშვი მარტო მას მიჰყავს ქუჩაში სასეირნოდ?

– ჩვენი სახლის წინ პატარა, მყუდრო ეზოა, ამიტომ კატო და ძიძა შორს არასოდეს მიდიან, მაგრამ იმდენად კარგად გამოვცადეთ ჩვენი ძიძა, რომ ვფიქრობ, ნერვიულობის საბაბი არც მაშინ მექნება, როდესაც კატო წამოიზრდება და შორ მანძილზე გაისეირნებენ ხოლმე. ძალიან ბევრი უსიამოვნო ამბავი მსმენია ძიძებზე და სიმართლე გითხრათ, პირველად ძალიან ვღელავდი...

— კონკრეტულად რა გსმენიათ?

– იყო შემთხვევა, როდესაც ძიძა საბუთებს ამზადებდა და ბავშვის ქალაქიდან გაყვანას აპირებდა. მშობლებს ამის შესახებ სხვა ძიძამ უამბო და თავიდან აიცილეს უბედურება. მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ვენდობი ჩვენს ძიძას, შინ არყოფნის შემთხვევაში, ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ, მაინც ვურეკავ ხოლმე, რათა მშვიდად ვიყო.

■

ცისანა სეფიაშვილის უფროს შვილს ძიძა აღარ სჭირდება...

უილბლო გოგა გახოკიძე ახალი კარიერის სტარტზეა...

ქართულ საფეხბურთო წრეებში გოგა გახოკიძეს უილბლო ფეხბურთელად მოიხსენიებენ. უილბლო ლამისაა, მეტსახელადაც კი ექცა... ჯერ მხოლოდ 22 წლისა იყო, ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში — ჰოლანდიის „ეინდჰოვენში“ რომ გადავიდა. ყველა ფიქრობდა, რომ ევროგრანდში ქართული ფეხბურთის კიდევ ერთი, ახალი ვარსკვლავი აკაშკაშდებოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. „ეინდჰოვენში“ გატარებულმა ხუთმა წელიწადმა, ამ ქვეყნის ცხოვრების წესთან შეგუებისა და გულგატეხილობის გარდა, არაფერი მოუტანა გოგას. და კიდევ — დაკარგული წლები და ჯერ აუსრულებელი იმედები... უილბლო ჰოლანდიურ კარიერას, საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცობასთან გოგა გახოკიძის დაპირისპირებაც დაერთო თან. იმედია, ამ გაუგებრობის მიზეზები უახლოეს მომავალში გაირკვევა.

„ეინდჰოვენთან“ გოგას 5-წლიან კონტრაქტს უკვე გაუვიდა ვადა. ფეხბურთელი ამჟამად თბილისშია, ბილიარდის თამაშით ირთობს თავს და საკუთარი მენეჯერისგან ახალ წინადადებებს ელის — უეჭველია, ახალ საფეხბურთო სეზონს გახოკიძე ახალ კლუბში დაიწყებს, სავარაუდოდ — ისევ ჰოლანდიურში.

ჯაბა ლეონიძე

— გოგა, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო, — ნათქვამია. დაახლოებით ეგრეა თქვენი საქმეც, ხომ?

— სამწუხაროდ, დაახლოებით მართლა ეგრეა. როცა „ეინდჰოვენში“ გადავედი, მაშინ, სულ რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი თამაშობდა ცნობილ ევროპულ კლუბებში: შოთა არველაძე და გიორგი ქინქლაძე — „აიაქსში“, თემურ ქეცბაია — „ნიუკასლში“ და კახა კალაძე — კიევის „დინამოში“. თუ არ ვცდები, რატი ალექსიძე ახალი გადასული იყო ლონდონის „ჩელსიში“. ამ დროს, 22 წლის ქართველ ფეხბურთელს, „ეინდჰოვენი“ 5-წლიან კონტრაქტს მიფორმებს... არ იყო სახუმარო საქმე. ყველა შანსი მქონდა, რომ დიდი ფეხბურთი მეთამაშა, მართლა ვარსკვლავი გავმხდარიყავი, მაგრამ უამრავმა ფაქტორმა შემიშალა ხელი, მათ შორის, უპირველესად, მწვრთნელებმა და მწვრთნელთა ხშირმა ცვლამ „ეინდჰოვენში“.

— თქვენი წარუმატებელი ჰოლანდიური კარიერა შეიძლება, ცალსახად მწვრთნელებს დავაბრალოთ?

— საქმეც ეგ არის, რომ ვერც ერთ მწვრთნელზე ვერ ვიტყვი — უმიზეზოდ ამითვალწუნა, ამის გამო არ მათამაშებდა და კარიერა დამინგრია-მეთქი. არ შემიძლია, ადამიანს ის დავაბრალო, რაც არ დაუშავებია. ყველა მწვრთნელს თავისებურად ესმოდა ფეხბურთი, საკუთარი საფეხბურთო კონცეფცია ჰქონდა... ვერა და ვერ ჩაჯდა ეს გახოკიძე მათ კონცეფციაში და რა ექნათ?! არადა, რა მწვრთნელების ხელში გავიარე: ერიკ გერეტსი, ბრაიან რობსონი, ერვინ კუმანი, გუუს ჰიდინკი!.. ორჯერ, „ეინდჰოვენის“ შემადგენლობაში ჰოლანდიის ჩემპიონიც გავხდი. ჩემპიონთა ლიგაში და უეფას თასზეც მომიწია გამოსვლა, მაგრამ რად გინდა?! — უმეტესად, სათადარიგოთა შორის ვიმყოფებოდი და იშვიათად მიწევდა მინდორზე გასვლა.

— ჩემპიონის ოქროს მედლები თუ გერგო?

— კი, როგორ არა? საჩემპიონატო განაცხადში შეყვანილი ვიყავი და მეც შემხვდა მედალი. გერეტსის ხელში კიდევ არა მიშავდა — 34-34 მატჩი ვითამაშე შარშან.

— ჰიდინკმა სულ აგითვალწუნათ?

— ჰიდინკი ჩემს პოზიციაზე, ჰოლანდიელ არიელ რობინს ათამაშებს. 22 წლის ბიჭია, ჩინებულად თამაშობს, რა დამიშავა?!. ჰიდინკს თანამემამულე ურჩევნია გახოკიძეს...

— არა მგონია, ჰოლანდიიდან მარტო წყენა და უსიამოვნო მოგონებები გამოგყოლოდათ. ახლახან მეორე შვილიც შეგეძინათ ჰოლანდიაში... რა დაარქვით?

— ჩემი მეუღლე — თამუნა რამიშვილი ჯერ კიდევ ჰოლანდიაშია, პატარა ნიკუშასთან ერთად. ჯერ მათთვის ფრენა არ შეიძლება და მერე ჩამოვლენ. მე და ჩემი გოგონა ქეთი თბილისში ვართ. ნიკუშა 7 მაისს დაიბადა.

— ქეთის ქართული ხომ არ დაავიწყდა?

— ვინ მისცემდა მაგის ნებას?! ინგლისურ ბაღში კი დადიოდა, მაგრამ ქართულად ჩვეულებრივად ტიტინებს. ბაღში ენას და იმ აუცილებელ რაღაცებს სწავლობდა, რაც იქაური საბავშვო პროგრამითაა გათვალისწინებული. შინ მე და ჩემი მეუღლე სულ ქართულად ვლაპარაკობდით, ქართულ ტელეარხებსაც ვუყურებდით, ცხადია, იმას, რასაც ვიჭერდით ჰოლანდიაში — „პირველ არხსა“ და „აჭარას“.

— ქართულ ოჯახებს თუ ხვდებოდით ხოლმე ჰოლანდიაში?

— 3-4 ოჯახთან გვქონდა ახლო ურთიერთობა. ჩემს საქმიანობაც დადიოდნენ სტადიონზე ჩვენებურები.

— გოგა, თქვენ მართლმადიდებელი ხართ და როგორც ვიცი, მაქსიმალურად ცდილობთ, ეკლესიურად იცხოვროთ. სპორტსმენის რეჟიმის კვალობაზე როგორ ახერხებთ ამას?

— ეინდჰოვენში არის პატარა მართლმადიდებლური ეკლესია და იქ დავდიოდი ოჯახთან ერთად წირვაზე. მარხვას შეძლებისდაგვარად ვინახავ, ოთხშაბათს და პარასკევს — აუცილებლად, სხვა დღეებში — შეძლებისდაგვარად. სპორტსმენს სპეციფიკური კვება აქვს და მარხვის სრულყოფილად დაცვას ვერ შეძლებს. დანარჩენს კი, წინ რა უდგას?! იცხოვრე ადამიანურად, თესე სიკეთე და ღმერთს ნუ გაანაწყენებ. ეს ერთნაირად მოეთხოვება სპორტსმენსაც და არასპორტსმენსაც.

— 27 წლის ხართ, იმედია, ჯერ არ ჩაგიქნევიათ ხელი კარიერაზე, ნაკრებში დაბრუნებაზე... იმედიანს რას გვეტყვით?

— რაკი „ეინდჰოვენს“ თავი დავაღწიე და თავისუფალი ფეხბურთელის სტატუსი მივიღე, იმედი მაქვს, ისეთ გუნდში გადავალ, სადაც სისტემატურად თამაშის საშუალება მომეცემა და საკუთარ შესაძლებლობებს გამოვამჟღავნებ. მე ხომ არავისგან შეღავათებს არ ვითხოვ — თამაში მინდა, სისტემატური თამაში და გამოჩნდება, რა შემიძლია.

— თუ მოაგვარეთ ურთიერთობა ალექსანდრე ჩივაძესთან? ადრე, გულნატკენი იყავით ნაკრების ყოფილ თავკაცზე — გუნდის სხვა კანდიდატებისგან ცუდუბრალოდ გამომარჩიაო...

— ეგ უკვე ძველი ამბავია და იქნებ, არც ღირდეს გახსენებად. შარშან აგვისტოში, თურქეთის ნაკრებთან ამხანაგური მატჩისთვის გამომიძახა ჩივაძემ. წავაგეთ. ცუდად ვითამაშეთ მეც და ნაკრების სხვა წევრებმაც. მერე, შვეიცარიელებთან ოფიციალურ მატჩში ჩემ გარდა, ყველას დაუძახა, თითქოს მარტო ჩემი ბრალი იყო თურქებთან წაგება, სხვები კი, ვარსკვლავებს წყვეტდნენ. ჩემთვისაც მოეცა კიდევ ერთი შანსი — იქნებ, გამომსვლოდა რამე?! ეგ იყო, რომ მეწყინა. მას შემდეგ, ჩივაძეს აღარ შევხვედრივარ. ღმერთმა ხელი მოუმართოს... საერთოდ, მე ხომ გმუდმებით მექმნება პრობლემები მწრთნელებთან და არც ეგ გამკვირვებია. ყველაზე მეტად ის მეწყინა, რომ ტრაპიზონის მატჩის შემდეგ, ჩივაძეს არც დაურეკავს, არც შემომხმიანებია და არ აუხსნია, თუ რატომ არ მეძახდა შვეიცარიელებთან მატჩისთვის. ეს იყო ყველაზე გულსატკენი ჩემთვის. პატარა ახსნა-განმარტების ღირსი კი ვიყავი...

— როგორ ფიქრობთ — როდის დაბრუნდებით ნაკრებში?

— ძნელია ამის განჭვრეტა და რაიმის წინასწარ თქმა. მთავარია, დროზე გადავიდე ახალ კლუბში და ავთამაშდე. მერე მივიპყრობ ნაკრების მწვრთნელთა ყურადღებასაც. იმაში კი ნამდვილად ვარ დარწმუნებული, რომ თუ ღირსი ვიქნები ნაკრებში თამაშისა, ივო შუშაკი უყურადღებოდ არ დამტოვებს.

— ნაკრების ახალ მწვრთნელზე რას იტყვით?

— შუშაკს პირადად არ ვიცნობ, არ შევხვედრივარ, მაგრამ ფაქტია, რომ ნაკრებში მისი მოსვლით, გუნდს მწვრთნელის ხელი დაეტყო. ამას ყველა აღიარებს. ხუმრობა არ იყო რუსეთის ნაკრების დამარცხება. ეს ხომ მარტო ბურთაობა, ფეხბურთი არ იყო — ეს თამაში, თავისი მნიშვნელობითა და პრინციპულობით, სპორტზე გაცილებით მეტი იყო და ღმერთმა ინება, რომ გაგვემარჯვა და შუშაკი ამ გამარჯვების სულის ჩამდგმელად მოგვივლინა.

— ამ მატჩს სად უცქირეთ? ჰოლანდიაში?

— კი, ეინდჰოვენში, შინ ვუყურებდი. უზომოდ გახარებული და აღტაცებული ვიყავი. ძალიან დიდი საქმე გაკეთდა რუსეთის დამარცხებით. საჭირო 3 ქულაც მოვიპოვეთ, მაგრამ ამაზე არ უნდა გავჩერდეთ. წინ სერიოზული ბრძოლებია, თან, ჩვენს ჯგუფში ისე აირია სიტუაცია, რომ კაცმა არ იცის, ვის გაუღიმებს ბედი. ბიჭებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რომ დარჩენილ მატჩებში ქულათა მაქსიმუმი დააგროვონ.

— ეროვნულ ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი დაიწყო. ამაზე რა აზრისა ხართ?

— თუ ასაკს გულისხმობთ, ამის გამო, არა მგონია, ძველ თაობას გავყვე. 27 წელი არც ისე ბევრია. როგორ — 3-4 წელი მაინც არ უნდა ვითამაშო უმაღლეს დონეზე ფეხბურთი?! თაობათა ცვლის პროცესი კი, ყველა გუნდისთვის გარდუვალია, სად გაექცევი? მთავარია, ნაკრებმა ეს პროცესი რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაიტანოს. წამსვლელი წავა, მერე სხვა მოვა მის ადგილას და იტრიალებს ეს კარუსელი დაუსრულებლად...

— რომელ კლუბში უნდა ველოდოთ თქვენს გამოჩენას?

— ჩემი მენეჯერი კეის პლუშმანი, ჩემით დაინტერესებული კლუბების წარმომადგენლებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. თუ პლუშმანს დავუჯერებთ, ჯერჯერობით „როდა“, „როზენდაალი“ და „ტვენტე“ ფიქრობენ ჩემს შეძენაზე.

— ადრე, გერმანული „ჰამბურგის“ მესვეურნიც აპირებდნენ თქვენს გადაბირებას...

— კი, ადრე იყო ეგ ვარიანტიც. ამ ბოლო დროს, პლუშმანი „ჰამბურგს“ აღარ ახსენებს — ეტყობა, გამოირიცხა.

— ნიკუშას ხომ არ უპირებთ ფეხბურთელად გაზრდას?

— ძალიან მინდა, ფეხბურთი ითამაშოს. არ დავაძალებ, მაგრამ თუ თვითონ მოისურვა, ყველანაირად შევუწყობ ხელს. რასაც მე ვერ მივაღწიე, იქნებ, ნიკუშამ მაინც მიაღწიოს. არ მეყო, რაც უიღბლობა და ათასი ჯურის მწვრთნელთან დაპირისპირება გადავიტანე?! საკუთარ შეცდომებზე საკუთარ შვილს მაინც ვასწავლი ჭკუას. თუმცა, ჯერ მეც ბევრი დამრჩა ფეხბურთში საკეთებელი, მათ შორის — ეროვნულ ნაკრებში. დავბრუნდები, ძალიან მალე დავბრუნდები... ■

დათო ევგენიძე: არ მინდა, მიჯაჭვული ვიყო რომელიმე ქალაქზე...

როგორც შევიტყვე, დათო ევგენიძე მოსკოვში გადადის საცხოვრებლად და სამუშაოდ. ამ ცნობის შესამოწმებლად, მუსიკოსს დავუკავშირდი და შინ ვესტუმრე. მაგიდაზე იმწუთას დამთავრებული, მისი ახალი ლექსი იდო:

მიმიყვევე, სულს
დარჩენილს უმოყვავოდ,
ბრმა მეყვეს გავაყვანე
ჩემი ლამე.
არ გათენდა, არ
მიადგა ყვავი ნაჭირს,
შენ მოლიარ და
იძახი – სანაჭირო.

ლექსები ბლომად დამიგროვდა და შობამდე, ახალი კრებულის გამოშვებას ვაპირებ; სათაური უკვე ვიცი, ასე ერქმევა — „პოსტმოდერნი ანუ უმისამართო წერილი“, — მითხრა დათომ.

ნათია თენიეშვილი

— მართლა აპირებთ საცხოვრებლად მოსკოვში გადასვლას?

— ნახევარი ცხოვრება იქ მაქვს გატარებული — კონსერვატორია, ასპირანტურა და ა.შ. გადასვლას და წასვლას არსად ვაპირებ — უბრალოდ, ცოტა ხნით შევიცვალე ქალაქი. მე ყოველთვის ასეთი წესით ვცხოვრობდი: ხან კანარის კუნძულები, ხან პარიზი და ა.შ. უბრალოდ, მოსკოვში ტელეგადაცემების ციკლს ვიწყებ. გადაცემები ან „როსიაზე“ გავა ან — „კულტურაზე“. მე ამ გადაცემების ავტორი და მუსიკალური გამფორმებელი ვიქნები. კულტურულ-შემეცნებითი, 20-წუთიანი გადაცემა იქნება... ყოველ პარასკევს, კლუბ „სარდაფში“ მქონდა შეხვედრები, სადაც მუსიკაზე ვსაუბრობდით. ეს საუბრები სცილდებოდა მუსიკის საზღვრებს და „შემოდიოდა“ კინო, ლიტერატურა და ა.შ. დაახლოებით იმავე სახისა იქნება, ოღონდ — რადგან ტელევიზიაა, ვიზუალური მხარე უფრო დატვირთული უნდა იყოს. ჩემი მეგობარი ვალოდია ტარნაპოლსკი, ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის თანამედროვე მუსიკის კათედრის გამგეა. მან შემომთავაზა, თანამედროვე მუსიკაზე ლექციების წაკითხვა, მაგრამ საათები რომ ავიღო, ეს ძალიან დამაბამს მოსკოვზე. კლუბის გახსნაც შემომთავაზეს, მაგრამ ჯერ ვფიქრობ; არ ვიცი, რას გადავწყვეტ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია თავისუფლება. არ მინდა, მიჯაჭვული ვიყო რომელიმე ქალაქზე. ტელეგადაცემა სულ სხვა რამ არის: შეგვიძლია, 10 დღეში ჩავწეროთ სამი თვის პროგრამა, დავტოვო და მერე წავიდე, სადაც მინდა...

— როდის გავა ეთერში პირველი გადაცემა?

— ალბათ სექტემბრის ბოლოს. სექტემბერში, თბილისში, ოპერის თეატრში მაქვს დაგეგმილი კონცერტი — „გალობანი სინანულისანი“. კონცერტის მერე, წავალ მოსკოვში და ალბათ გადაცემაც ამ დროისთვის გავა ეთერში.

— მოსკოვში სად იცხოვრებთ?

— ვიცხოვრებ ქალაქის ცენტრში. იქ ადრე, საერთო საცხოვრებელი იყო. მთელი ბავშვობა იქ მაქვს გატარებული, ეს ადგილები ბავშვობას მახსენებს და ძალიან მიყვარს. თანაც, მოსკოვიდან პეტერბურგამდე ჩქარი მატარებელი დადის, ოთხ საათში ჩადის პეტერბურგში. როცა მარიას თეატრში ჩემი ბალეტის რეპეტიციები დაიწყება, თავისუფლად ვივლი. ეს ბალეტი დიდი ხანია, მზად არის, მაგრამ ირმა ნიორაძის ფეხმძიმობის გამო გადაიდო. ახლა აღდგა ეს პროექტი და ამ კვირაში, მასზე უფრო კონკრეტულად მოსალაპარაკებლად მივდივარ.

მთელი ბავშვობა იქ მაქვს გატარებული, ეს ადგილები ბავშვობას მახსენებს და ძალიან მიყვარს. თანაც, მოსკოვიდან პეტერბურგამდე ჩქარი მატარებელი დადის...

P.S. დათოს ყურზე საყურე შევნიშნე, რაც ადრე, არასდროს შემიმჩნევია. დიდი ხანია, ყური გახვრეტილი მაქვს, მაგრამ საყურეს ხან ვატარებ, ხან არა — გაჩნია, როგორ გუნებაზე და რა მდგომარეობაში ვარ; როცა ჩემში მეკობრული სული იღვიძებს, მაშინ ვატარებ ხოლმეო — მითხრა ბოლოს... ■

ყოველ სეზონს შეხვდით

ალერგიის გარეშე

სიტყვა ალერგია გამოხატავს ორგანიზმის მომატებულ მგრძნობელობას სხვა ნივთიერებების მიმართ, რაც თავისებური ავადმყოფური რეაქციებით გამოვლინდება.

ალერგიული დაავადებები უძველესი დროიდან არსებობდა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან მიაპყრეს და დღეს ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხად ითვლება.

ალერგიის განვითარების მრავალი მიზეზი არსებობს. ეს შეიძლება იყოს, მანამდე უვნებელი ნივთიერება, ზოგჯერ კი ფიზიკური ფაქტორი, მაგალითად: სიცხე, სიცივე, სეზონური ცვლილებები. გაზაფხული კი ალერგიის გამწვავების საუკეთესო პერიოდად ითვლება.

სეზონური ალერგიის თავიდან აცილებაში დაგეხმარებათ ვიტამინებისა და ბიოლოგიურად სუფთა სამკურნალო კვებითი დანამატების ამერიკული კომპანია „ნუტრიმენტ ჰაუსი“, რომელიც გთავაზობთ მსოფლიოში აღიარებულ პრეპარატს – „სეზონური ალერგიის ფორმულა“. იგი ნატურპროდუქტებზეა დამზადებული და არ გააჩნია არანაირი უკუჩვენება.

სეზონური ალერგიის ფორმულა დაფუძნებულია მსოფლიოში კარგად ცნობილი ალერგოლოგის ჯ.ზანდის მიერ. ზანდის ფორმულა ოპტიმალურად მოიცავს სამკურნალო ბალახების საკვანძო ინგრედიენტებს, რათა დაიცვას და აღადგინოს ორგანიზმის ბუნებრივი ბალანსი. არ შეიცავს შაქარს, ქიმიურ საღებავებს, სოიას, მარცვლეულს, საუკეთესო პრეპარატია ვეგეტარიანელთათვის.

სეზონური ალერგიის ფორმულა შეგიმსუბუქებთ და დაგიმშვიდებთ ცხოვრებას.

სხვა მიზეზებით (საკვები პროდუქტებით, ქიმიური პრეპარატებით და სხვ.) გამოწვეული ალერგიის მკურნალობაში კი დაგეხმარებათ პრეპარატი „ელერჯი ფაითერზ“, რომელიც კომპლექსურად მოქმედებს ალერგიის გამომწვევ მიზეზებზე.

პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში დაგეხმარებიან ექიმი-კონსულტანტები.

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

„ნუტრიმენტ ჰაუსი“,
მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები:
ყოველდღე კვირის
გარდა 10.30 - 18.00,
www.shopge.com
®

თამუნია („გუშინდელნი“)

ქალბატონ ნინიკო ჩხეიძეს რომ დავურეკე, — უარს რავა გეტყვი, მაგრამ გადაღება მაქვს, შეხვედრები, წიგნს ვწერ და ორი-სამი დღის მერე დამიკავშირდიო, — მითხრა. გულწრფელად გავიხარე და იცით, რატომ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ვილაც მაინც ახერხებს კინოს გადაღებას, მეორე — მსახიობს რომ ეძახიან გადასაღებად და მესამე — მარჯანიშვილის თეატრის მხცოვანი მსახიობი ასეთი აქტიური ცხოვრებით რომ ცხოვრობს... რამდენიმე დღის შემდეგ, ქალბატონმა ნინიკომ თავისი ძმის — ლეგენდარული უშანგი ჩხეიძის საუფლოში მიმასპინძლა. მერწმუნეთ, მასთან შეხვედრა ულამაზეს სპექტაკლს ჰგავდა.

ნინიკო ჩხეიძის სასიყვარულო სია

მაია კახიძე

— ქალბატონო ნინიკო, როგორ ბრძანდებით?

— რავა ვიქნები? მართალი გითხრა, გული მტკივა და ძალიან მოწყენილი ვარ, რადგან ჩემი თაობა თითქმის წავიდა და ცხოვრება აღარ არის საინტერესო. თუმცა, ვეტყვი ხოლმე საკუთარ თავს: გოუძელი, სხვა რა გზა გაქვს-მეთქი? ზურიკელას ბებია ხომ გახსოვს, შვილო? სულნათელი ნოდარ დუმბაძის ზურიკელას ბებიაზე მოგახსენებ. მასავით, ყოველ დილას ღმერთს ვთხოვ: ღმერთო, რა იქნება შენთვის, კიდევ 10 წელი მაჩუქე-მეთქი. არადა, უკვე 80 შემისრულდა.

— მიხარია, ფილმში რომ გიღებენ...

— რეჟისორისთვის სადებიუტო ფილმია, რაცხა პატარა ფილმი იქნება, მარა მადლობა ღმერთს, მთლად რომ არ გაჩერებულა ქართული კინო. ისედაც არ მაქვს მოცლა: მემუარებს ვწერ, სამი წიგნის ავტორიც ვარ... ჩემი ყველა წიგნი ხელოვნებას უკავშირდება. ერთი ჩემს ძმას მივუძღვენი — „უშანგი“. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მარა იმდენი არაჩვეულებრივი მოგონება მაქვს... მეც ვჯღაბნი *(იცინის)*...

— ძალიან მიანტერესებს: რატომ სთხოვთ უფალს მაინცდამაინც ათ წელს? ცოტა მეტზე, ვითომ, „გაგიწყრებათ“?

— ეს ათი წელი იმიტომ მინდა, რომ იქნებ, ამასობაში უშანგის ძეგლის დადგმა მოვახერხო. უნიჭიერესმა მოქანდაკემ, ელგუჯა ამაშუკელმა თაბაშირით გამოძერწა უშანგის ქანდაკება, მაგრამ, სამწუხაროდ, ბრინჯაოს ჩამოსხმა ვერ მოასწრო.

— რა თანხა სჭირდება ამ ქანდაკებას?

— 50 ათასი დოლარი. ხუმრობა ხომ არ არის ამხელა თანხა? ახლა დავდივარ, დავეძებ საქართველოში და შენ წარმოიდგინე, საქართველოს გარეთ მყოფ ქართველებს, ვეხვეწები და ვემუდარები, — რა იქნება, დამეხმაროთ-მეთქი?

— მთავრობისთვის არ მიგიმართავთ?

— იცი, რაშია საქმე? უშანგი ჩხეიძე თავის დროზე უნდა დასაფლავებულიყო მთაწმინდაზე. მაშინ ცკ-ს პირველი მდივანი მჟავანაძე იყო და ეს არ მოხდა, თუმცა შევარდნაძემ დიდი პატივი დამდო, როცა ჩემი ძმა დიდუბიდან მთაწმინდაზე გადაასვენა. ამ საქმეში ქართველმა საზოგადოებამაც დიდი წვლილი შეიტანა. გიგა ლორთქიფანიძე, რეზო ჩხეიძე, ოთარ მელვინეთუხუცესი დროდადრო მიდიოდნენ და ახსენებდნენ შევარდნაძეს. 1999 წელს კი როგორც იქნა, რეზოლუცია დაედო განცხადებას. მერე წავედით დიდუბეში და ჩემი ძმის ძვლები საკუთარი ხელით ამოვაწყვე საფლავიდან.

— არ გაგიჭირდათ?

— უშანგის „ლაფათქას“ რავა მივაკარებდი?!.

— თუ არ ვცდები, შვიდი დედამამიშვილი ხართ ჩხეიძეები, ხომ?

— მეღა დავრჩი ცოცხალი შვიდი დედმამიშვილიდან. ლამაზი დედ-მამა და დაძმა მყავდა, ჩემი გამოკლებით. კარგად ვცხოვრობდით. ზესტაფონს ბატონი კოტე მარჯანიშვილი Царское село-ს ეძახდა. ამ კუთხემ ქართულ ხელოვნებას ბუმბერაზი პიროვნებები აჩუქა: უშანგი, შალვა ღამბაშიძე, სერგო ზაქარიაძე და სხვები. ჩვენ აზნაურის ოჯახიდან ვიყავით. კოლექტივიზაციის მერე მამულები ჩამოგვართვეს და ეზოს მეოთხედი დაგვიტოვეს, სადაც ახლა უშანგის სახლ-მუზეუმი დგას. სასწაული ხალხი იკრიბებოდა ჩვენთან, სულ დროს ტარება და ქეიფი იყო. დედამ სწავლა-განათლება ჭიათურის მღვიმევის მონასტერში მიიღო, მამა ბუღალტერი იყო. არ გვაკლდა არაფერი, მარა მერე სახლიდან, მაგალითად, ხალიჩები ქრებოდა. დედამ თქვა: გვიჭირს და ვყიდითო. ძალიან მიკვირდა, რატომ გვიჭირდა — ბატი, კვატი, ინდაური, მჭადი და ყველი გვაქვს-მეთქი, მაგრამ ოჯახში ფულიც საჭიროა შვილების გასაზრდელად და სწორედ ფული არ შემოდიოდა. შვიდ შვილს გაზრდა ხომ უნდოდა?!

— როგორც ვიცი, თქვენ სამსახიობო განათლება არ მიგიღიათ, მთელი ცხოვრება კი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დგახართ.

— ზესტაფონში დავამთავრე პედაგოგიური სასწავლებელი, შემდეგ უნივერსიტეტში ჩავირიცხე ფილოლოგიურზე. სტუდენტი რომ გავხდი, ბინად უშანგისთან ვიყავი. უშანგი ჩემზე 22 წლით უფროსი გახლდათ და იმ პერიოდში იმხელა მსახიობი იყო... გამუდმებით მიჩიჩინებდა: იარე თეატრში, ოპერაში, კინოში, თვალი გაახილეო. ჩემს ძმას უნდოდა, ზესტაფონიდან ჩამოსული გოგო იმ დონეზე ვყოფილიყავი, ქე რომ იმას ეკადრებოდა. უშანგიმ ულამაზესი სამყარო დამანახვა, სწორედ მან შემაყვარა თეატრი. ერთხელ ვუთხარი: ახლა არტისტობა მინდა-მეთქი. ელდა ეცა: შე უპატრონო, შენს ჭკუა-გონებაზე თვალი რომ დავხუჭო, რა გარეგნობა გაქვს, მათხოვი ხარ, რა როლები უნდა ითამაშოო? მერე შევეცოდე და მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან, შალვა ღამბაშიძესთან გამიშვა. მანაც ამხედ-დამხედა,

უშანგი ჩხეიძე ჰამლეტის როლში

იფიქრა – ალბათ, ნიჭი არ ასვენებსო (ნიჭს „კავიჩკებში“ ვამბობ) და მიმიღო. კი, მართალია, თეატრალური ინსტიტუტი არ დამიმთავრებია, მაგრამ მარჯანიშვილში იმხელა მსახიობები დამხვდნენ და ისეთი სკოლა გავიარე... თავი საშუალო დონის მსახიობად მიმაჩნია, ჩემისთანა ყოველი მეორეა. კინოში ასამდე სახასიათო როლი ვითამაშე, თეატრში – ოთხმოცამდე.

— დღეს რითი არსებობთ, რამდენი გაქვთ ხელფასი?

– სამი წლის წინ ოთარ მელვინეთუხუცესმა თქვა: არანაირი საპენსიო კანონი ნინიკო ჩხეიძეს არ შეეხება. უშანგი ამ თეატრის ბალავერში წევს, ჩემი სავარძელი კი, მის გულზე დგას და ვიდრე ჩვენი თეატრი იარსებებს, აქ იქნებიო. 170 ლარი მაქვს ხელფასი. იანვრიდან კი გოგი თოფაძემ 300-300 ლარი დაგვინიშნა ყოველთვიურად სახალხო არტისტებს. სულ 140-ნი ვართ.

— პირად ცხოვრებაზე არაფერს მეტყვით?

– ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი. ჩვენი თეატრის მსახიობმა, გოგი ტატიშვილმა შემირთო, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, რა ვიცი, რა მოხდა და სხვასთან წევიდა. მე ჩემს ქალიშვილთან ერთად დავრჩი, მას კი, კიდევ ორი შვილი შეეძინა. დღეს ამაზე საუბარს არავითარი აზრი არა აქვს, არც ერთი აღარაა ცოცხალი – არც გოგი და არც მისი მეორე ნახევარი. მათი ერთი შვილი კი, მარჯანიშვილის თეატრის შესანიშნავი მსახიობია – დიმიტრი. რითიც შემეძლო, რა თქმა უნდა, ვეხმარებოდი.

— რატომ აღარ გათხოვდით?

– მას შემდეგ გათხოვებაზე რას ვიფიქრებდი – ერთი ჯღანი ვიყავი, მაშინაც ძლივს გავსაღდი და ვინღა შემხედავდა?! ისე, თაყვანისმცემელიც არავინ მყოლია. სამაგიეროდ, ჩემს ოჯახში მთელი საქართველოა თავმოყრილი, მისი ლამაზი კუთხეებით: მე ხომ იმერელი ვარ, ჩემი ქალიშვილი, მაია – ქართლელი, შვილიშვილი – მეგრელი, შვილთაშვილი გურული და ვართ ასე *(იცინის)*... ძალიან მიყვარდა გოგი, ახლაც მიყვარს – საფლავში...

— ქალბატონო ნინიკო, მერიდეება, მაგრამ ცნობისმოყვარეობა არ მასვენებს: თქვენზე ამბობენ, 11 კაცი უყვარდა და შეყვარებულების სიაც კი აქვსო. მართალია?

– რა არის მოსარიდებელი? მიყვარს, ხომ არ მძულს! ჩემს სიაში 11 კაცია. ერთ ჩემს ნოველაშიც ვყვები, რაფერ მიყვარს 11 კაცი. „ფორსაიტების საგა“ ხომ წაგიკითხავთ – ჯულიანს რომ შეუყვარდება არაჩვეულებრივი აირენი? ე, ისე ვარ მეც. რაც მართალია, მართალია – ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ბევრი საინტერესო რამ ხდება ცხოვრებაში.

— თქვენს სიაში პირველ ადგილზე რომელი მამაკაცია?

– პირველ ადგილზე გივი ბერიკაშვილი მყავს. რამდენი როლი მითამაშია მასთან ერთად, არასოდეს სხვანაირად არ შემიხედავს მისთვის. როცა „სამოთხის გვრიტებს“ ვიღებდით, ვხედავ გივის გარმონი აქვს მხარზე მოგდებული და მღერის. ბიჭოს, – ვიფიქრე, – დამიდგეს თვალი, სად ვიყავი აქამდე? ნახე რა ვაჟკაცია ეს ბერიკაშვილი-მეთქი?! ასე შემიყვარდა გივი. მეორე ნომერი – კახი კავსაძეა. ამავე ფილმში არის ეპიზოდი, სადაც ბავშვებს სიმღერას ასწავლის, იმავდროულად არწივი კივის... ჰოდა, შევხედე კახის, დგას მთის წვერზე თავის ტყაპუჭიანად და მე მომჩერებია. მერე ხელები გაშალა და ისე იცეკვა, რომ ჭაბუკიანსაც კი შეშურდებოდა. მართალი გითხრათ, შემიყვარდა და რა შემიყვარდა – ჭკუიდან შევიშალე! მერე, კინოსტუდიაში მუშაობდა ანდრეი ლოგინოვი. საქართველოში დაბადებული იყო. გვარი ჰქონდა მხოლოდ რუსული... ისიც კაი ხანს მიყვარდა. რომ იცოდე, ოთარ მელვინეთუხუცესიც მიყვარდა, მარა ჩუმად მიყვარდა, გულში – ისე ხმას ვერ ვიღებდი.

— რატომ? რომ გაეგო, გაგიწყრებოდათ?

– არა, გურანდასი მეშინოდა *(იცინის)*. ისე, ზოგი შეყვარებული „შტატში“ მყავდა, ზოგი – „უშტატოდ“. ეს იმის გამო ხდებოდა, თუ ვინ როგორ, სად და როდის შემხვდებოდა. სიაში ქალაქის ყოფილი მერი, ბადრი შოშიტაიშვილიც მყავდა. კაი შესახედი ვაჟკაცია. თავის დროზე

გივი ბერიკაშვილთან ერთად სპექტაკლში – „ეზოში ავი ძაღლია“

რაჯ კაპურიც მიყვარდა. იცით, ერთხელ ქართული თეატრის დღე მცხეთაში ჩატარდა. გავიხედე და რას ვხედავ! – მაშინდელი გუბერნატორი თუ რწმუნებული შალვა ოგბაიძე ყვავილებით მომადგა კარზე: გავიგე, გყვარებივართ და ძალიან მესიამოვნაო... მეცხრე ადგილზე თემურ შაშიაშვილი მყავს, ნამეტანი მიყვარს. ჩვენი პრეზიდენტი შევარდნაძე მეათე ადგილზეა. პრეზიდენტი კია, მაგრამ პირველზე მაინც ვერ გევიდა – პირველზე გივი ბერიკაშვილია და მორჩა! ერთხელ, ჩემი თეატრის დირექტორმა, გაიოზ კანდელაკმა დამიბარა. გამიწყრა: მე რატომ არ ვარ იმ სიაშიო? მაინც არ შევიყვანე...

— მართალი ყოფილა ბატონი ნოდარ დუმბაძე: სიყვარულს რას გაუგებო, რომ დაწერა...

– მეც მაგას ვამბობ. რაა გასაკვირი, რავა – გოეთესაც ჩემს ასაკში არ შეუყვარდა?!.

— კიდევ ხომ არაფერი გაქვთ სათქმელი?

– ახალგაზრდებს მინდა ორი სიტყვა ვუთხრა. პირველ რიგში იმიტომ, რომ უმრავლესობა საზარელი სანახავია, ვიზუალურობას ვგულისხმობ. მეორე – მზარავს ჩვენი ბოვშების აგრესიულობა და – „ჩემი დედა“! რომ გავიგონებ ამისთანა სიტყვებს, მაშინვე შავ დღეს ვაყრი. მხეცები, ნადირები, ამის თქმა იქნება?! ალბათ, ერთხელაც ვიღაცას არ მოეწონება ჩემი პირდაპირობა და შეიძლება რაცხაც კი ჩამარტყას თავში და სული გამაფრთხობიოს, მარა, მე ხომ მათთვის ვამბობ? საქართველოს ამნაირი ახალგაზრდები არ ეკადრება.

კიდევ იმის თქმა მინდა, ღმერთს რომ ვთხოვე, ათი წელი მაჩუქე-მეთქი, ჩემს თეატრსაც ვგულისხმობდი. ღმერთმა ისე არ წამიყვანოს ამ ქვეყნიდან, ჩემი მარჯანიშვილის თეატრის აყვავებას არ მომასწროს... ■

როგორც ამბობენ, ყოველი ადამიანი კოსმოსის ნაწილაკია, ხოლო მთვარე, ჯერ კიდევ ამოუხსნელი ინფორმაციის მატარებელი პლანეტა, რომელიც ადამიანის სულზე, გრძნობებსა და ემოციაზე ახდენს გავლენას და გარკვეულ ინფორმაციასაც აწვდის მას. ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ ამოუხსნიათ მეცნიერებს, რასთან აქვთ საქმე, როდესაც მთვარის ფაზებისადმი ზედმეტად მგრძნობიარე ადამიანების უჩვეულო თავგადასავლებს ისმენენ. ეს ადამიანები მთვარეულები არიან. ისინი ღამღამობით, მოჩვენებებივით დადიან და გაღვიძებისთანავე ავიწყდებათ, თუ სად იმოგზაურეს ძილის დროს.



მთვარეულები, საარჩევნო ბუკეტი საბოლოში და ყოლობზე მცოცავი ქორელი

ნანა ქიბიშაური

როგორც წესი, სიარულის დროს მთვარეულებს თვალები ახელილი აქვთ, ხედავენ ყველაფერს და შეუძლიათ, ავეჯს თუ სხვა წინაღობებს მოხერხებულად აუარონ გვერდი. ზოგიერთს კი, მარტივ შეკითხვებზეც ძალუძს პასუხის გაცემა. მთვარეულებთან დაკავშირებით ბევრი ლეგენდაა შემორჩენილი. უძველეს დროში მათ მოჩვენებებთან აიგივებდნენ, საწოლზე აბამდნენ, ოთახებში კეტავდნენ; ინკვიზიტორები მათთვის ათასგვარ საწამებელ იარაღს იგონებდნენ, რათა გამოეტეხათ, თუ რა კავშირში იყვნენ ავ სულებთან. მოგვიანებით, ის სულიერი ავადმყოფობის ერთ-ერთ წინმსწრებ ნიშნად იყო მიჩნეული. იმასაც ამბობდნენ, რომ საშიში იყო მთვარეულის უეცრად გაღვიძება, რადგან შიშის ნიადაგზე ამ უწყინარი ჩვეულებიდან შეიძლებოდა, სერიოზული ფსიქიკური დარღვევა განვითარებოდა. დღევანდელი მედიცინა ამბობს, რომ ორივე მოსაზრება მცდარია. მთვარეულს არც მოჩვენებასთან აქვს რაიმე საერთო და არც სულიერი დაავადებების რიგს მიეკუთვნება. ამასთანავე, მთვარეულობა საკმაოდ გავრცელებული მოვლენა ყოფილა, რომელიც ჯანმრთელი ბავშვების 30%-ს ახასიათებს და ამ ოცდაათი პროცენტიდან 5% საკმაოდ ხშირად დადის ძილის დროს. მოზრდილებში მთვარეულობის სინდრომით 3% იტანჯება. „სტაჟიან“ მთვარეულებს ღამეული ექსკურსიების დროს, ისეთი რთული მოქმედებების შესრულებაც კი შეუძლიათ, როგორიცაა: სამზარეულოში გასვლა და ბუტერბროდის მომზადება, გარეთ გასვლა და მანქანის დაქოქვის მცდელობა, თოვლზე სრიალი და სხვა... ამ თემით დაინტერესებულებმა ვიპოვეთ არა მხოლოდ მთვარეულები, არამედ ის ადამიანები, რომლებიც აკვირდებიან ადამიანებზე, ცხოველებსა და მცენარეებზე მთვარის ზეგავლენას და საკმაოდ საინტერესო ინფორმაციასაც ფლობენ. ერთ-ერთი მათგანია ქალბატონი

ცაცა ცხოველიძე:

— მთვარეულებთან დაკავშირებით არსებობს სპეციალური ლიტერატურა, სადაც ნათქვამია, რომ თითქმის არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ძილის დროს ერთხელ მაინც არ გამოევლინოს მთვარეულობის სინდრომი. მაგრამ მკვლევართა აზრით, მთვარისადმი ზედმეტი მგრძნობელობა, გენებით მიღებული მემკვიდრეობაა. უკვე მრავალმა სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა გააკეთა დასკვნა, რომ იმ ბავშვებს, რომლებიც ძილის დროს დადიან, ოჯახის ერთ-ერთი წევრი თუ არა, წინაპარი მაინც ჰყავდა მთვარეული. დაადგინეს ისიც, რომ ერთი კვერცხუჯრედიდან დაბადებული ტყუპი უფრო მიდრეკილია მთვარეულობისადმი, ვიდრე სხვა ბავშვები. რაც შეეხება მთვარეულობას, როგორც შეძენილ ჩვევას, ასეთი შემთხვევებიც გამოკვლეულია და დადგენილია, რომ ის ხშირად ყალიბდება გულ-სისხლძარღვთა დაავადების დროს — თუკი ასფიქსია ავადმყოფს ძილის დროს განუვითარდა.

საინტერესო რამ გვიამბო ადვოკატმა ნუგზარ რცხილაძემ, რომელიც ქურდობაში ეჭვმიტანილს იცავდა: ის მთვარეული გახლდათ.

ნუგზარ რცხილაძე:

— ახალგაზრდა კაცი, ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლის სკოლაში გეოგრაფიას ასწავლიდა, საკმაოდ ინტელიგენტი და განათლებული კაცი იყო, მაგრამ აიკლო თურმე სოფელი ქურდობით და ხალხს რაღა ექნა?! უჩივლეს, რა თქმა უნდა. საქმე აღძრული იყო ყველის ქურდობის გამო. გამოძიებით დადგინდა, რომ ღამით ის ძარცვავდა მეზობლებს, მაგრამ ჩადენილი დანაშაული ნამდვილად არ ახსოვდა. სასამართლოზე ის კაცი სირცხვილისგან თავს ვერ სწევდა: რა ვქნა, ხალხო? მოდით და დამაჭერით ხელები, ჩემი გვარია დაწყევლილი: მამაჩემიც ასე იყო, პაპაჩემიც და პაპაჩემის მამაც თურმე მთელი ღამე შინ არ შედიოდაო. დიდი დავა და შეხლა-შემოხლა იყო ამ ამბის გამო სასამართლოში. ერთი შეხედვით, კურიოზულ მდგომარეობაში აღმოჩნდით,

მაგრამ იმ კაცის ტანჯვას რომ ვუყურებდი, ნამდვილად აღარ ვიყავი კარგ განწყობაზე. ვუთხარი: რა ვქნათ? – იქნებ, უნდა ვთქვათ, რომ შეურაცხადი ხარ-მეთქი?! – სულ გადაირია, შეურაცხადი კი არა – მთვარეული ვარ და თუ შეგიძლია, როგორიც ვარ, ისეთი დამიცავიო. ბოლოს, ის კაცი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს და მკურნალობა მიუსაჯეს. როგორც ვიცი, ისე გარდაიცვალა, რომ მის ჩვეულებას ვერაფერი მოუხერხეს. ყველაფერ ისევ იპარავდა, მაგრამ აღარავინ უჩიოდა. დილით საწოლთან მოზრდილ ყველის თავს რომ დაინახავდა, გამოიტანდა, აივანზე დადებდა და მეზობლებს გასძახებდა: გადმოდით, ნახეთ, რომლისაა, ხომ იცით, მე ვერ ვარჩევო... მივიდოდნენ მეზობელი ქალები, ერთ-ერთი თავის ამოყვანილ ყველს იცნობდა და სახლში აბრუნებდა.

სჭირდება თუ არა მთვარეულს სამედიცინო დახმარება? ითვლება თუ არა ეს მოვლენა სნეულებად და იკურნება თუ არა იგი საბოლოოდ? როგორც სპეციალისტები ამბობენ, მთვარეულისთვის სამედიცინო დახმარება აუცილებელია. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მთვარეულის ღამის თავგადასავლები გარშემომყოფთა შეშფოთების მიზეზი ხდება ან თუ თავად მთვარეული „სეირნობის“ დროს, ხშირად აწყდება ხიფათს. ამისგან დაზღვეული კი, დამეთანხმებით, ძილში მოსიარულე არც ერთი ადამიანი არ არის.

ლიდია ნოზაძე, *ფსიქიატრი:*

– როგორც ცნობილია, მთვარეულების 25% ღამით სიარულის დროს, სხეულის სხვადასხვა დაზიანებას იღებს. ხშირია შემთხვევა, როდესაც ისინი კარის ნაცვლად, ფანჯარასთან მიდიან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უცხო სახლში იმყოფებიან. დიდი სიფრთხილე მართებთ სამანქანე გზის პირას მცხოვრები მთვარეულების ახლობლებსაც. თუმცა, მე მყავდა ერთი პაციენტი, რომელიც მძინარე ისე მოხერხებულად მოძრაობდა მანქანებს შორის, რომ ვერავინ მიხვდებოდა, მთვარეული თუ იყო. მე ვუყურე მის მოგზაურობას და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ხელჩაკიდებული მიჰყავდა ვიღაც უხილავს. სპეციალისტების მოსაზრება ასეთია: მთვარეულობას კი არ უნდა ვუმკურნალოთ, როგორც დაავადებას, არამედ – მის გამომწვევ მიზეზს. აღსანიშნავია ისიც, რომ მთვარეულობისგან განკურნება რთული პროცესია და ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს. უფრო ხშირ შემთხვევაში, ექიმები მთვარეულების „სეირნობის“ სიხშირის შემცირებას აღწევენ, იშვიათად კი – მთლიანად ათავისუფლებენ ადამიანს ამ ჩვეულებისგან. ნებისმიერი მკურნალობის შემთხვევაში, მათი შთამომავლობა მაინც რისკ-ფაქტორის ჯგუფში იმყოფება. მთვარეულების მკურნალობის დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს ძილის რეჟიმის მოწესრიგებას. აუცილებელია, ბავშვი ერთსა და იმავე დროს დაძინებას მივაჩვიოთ. მთვარეულის ოჯახის წევრებს კი ვურჩევ, გაითვალისწინონ შემდეგი რჩევები: ფანჯრებზე აუცილებლად უნდა გააკეთონ გისოსები, კიბეს კი, ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს სახელური. არავითარ შემთხვევაში სახლში არ უნდა დატოვონ ღიად ელექტროსადენები, ნავთქურა და მსხვრევადი ნივთები. უნდა შეეცადონ, გარემო, რომელშიც მთვარეული ცხოვრობს, მისთვის აბსოლუტურად უსაფრთხო იყოს. რაც მთავარია: საღამოობით, აუცილებლად უნდა დამალონ დანები, რადგან მთვარეული, ფაზის ცვალებადობისას აღგზნებულია და საკუთარ ქმედებებს ვერ აკონტროლებს. რთულ შემთხვევაში, მათ საგანგებო გზებსაც უკეთებენ: საწოლიდან მიემართება თოკი, რომელიც აკეთებს წრეს და ისევ საწოლთან ერთდება. ეს თოკი განიერი ყულფით უკავშირდება მეორე თოკს, რომელიც მოძრაობს და მისი მეორე ბოლო, მთვარეულს წელზე აქვს შემოხვეული. საბოლოოდ, ამ საგანგებო გზით, მთვარეული, მას შემდეგ, რაც საკუთარ საწოლს რამდენჯერმე შემოუვლის წრეს, ისევ წვება და მშვიდ ძილს განაგრძობს.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ისინი კარის ნაცვლად, ფანჯარასთან მიდიან

მთვარეულობის გამოვლინებას ხელს უწყობს ალკოჰოლის ჭარბი მიღება. ხშირი სიმთვრალის დროს, ადამიანს უყალიბდება ფხიზელი ძილი, რომელიც მთვარეულობის პროვოცირებას იწვევს. ის ბავშვები და მოზარდები, რომელთაც ღრმა ძილი არ ახასიათებთ, ვთქვათ, ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ხშირად იღვიძებენ და ძილის დროს მექანიკურ სიარულს ეჩვევიან. სახლში, სადაც მთვარეული ცხოვრობს, მაქსიმალურად უნდა დაიცვან სიჩუმე. არის შემთხვევები, როდესაც ფეხზე მდგომი, უეცრად გაღვიძებული მთვარეული მომენტალურად ეცემა ძირს და სხვადასხვა ხარისხის დაზიანებას იღებს. მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიირთვან ვახშამი 5-6 საათის შემდეგ. უნდა შეზღუდონ ღამის საათებში ჭარბი სითხის მიღებაც. სიცხემ, ალერგიულმა ხველებამ და ცემინებამ, რომელიც ადამიანს ძილის დროს აღენიშნება, ასევე შეიძლება გამოიწვიოს ძილის დროს სიარულის ჩვეულება. ასე რომ, ამ შემთხვევაშიც არ არსებობს მთვარეულობის განმკურნავი, ერთი კონკრეტული წამალი – უნდა ვუმკურნალოთ ალერგიულ ხველას და ცემინებას.

ცდუნებისგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა ის არის, რომ... აჰყვე ცდუნებას.

ოსკარ უაილდი

ფრაზეებ გენიალური

ᲢᲔᲡᲢᲘ ᲔᲠᲣᲓᲘᲪᲘᲐᲖᲔ

1. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲥᲘᲛᲘᲐᲜᲘᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲨᲔᲠᲘᲤᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ?

ა) ხუთი;
ბ) ექვსი;
გ) ოთხი.

2. ᲠᲝᲛᲔᲚ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲓᲐᲒᲐᲓᲔᲒᲣᲚᲜᲘ ᲓᲐᲗᲐ ᲗᲣᲗᲐᲨᲮᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲣᲓᲣᲜᲐ?

ა) ვარდობისთვეს;
ბ) გიორგობისთვეს;
გ) ენკენისთვეს.

3. ᲛᲘᲫᲔᲚᲐᲜᲯᲔᲚᲝ ᲒᲣᲝᲜᲐᲠᲝᲢᲘ, ᲫᲐᲜᲓᲐᲙᲔᲒᲘᲡ ᲙᲔᲗᲔᲒᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲫᲕᲘᲡ ᲒᲚᲝᲙᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲒᲓᲐ?

ა) ორი;
ბ) ერთი;
გ) ოთხი.

4. ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ „ᲙᲐᲛᲐᲡᲣᲢᲠᲐᲡ“ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ?

ა) სასიყვარულო რჩევა-დარიგებებს;
ბ) აღმაფრენის საიდუმლოს;
გ) სასიყვარულო თამაშებს.

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ 61-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ᲐᲜᲖᲝᲠ ᲮᲔᲚᲐᲘᲐ, *პარაფსიქოლოგი:*

— მყავდა ერთი პაციენტი, 14 წლის გოგონა, რომელიც მიმტკიცებდა, რომ მას ძილში რაღაც ძახილი ესმოდა და სწორი მიმართულების აღებაშიც ის ხმა ეხმარებოდა. გოგონა ამბობდა, რომ მას რაღაც შეუცნობელი ძალა იტაცებდა. თვეში ერთხელ ან ორჯერ მოგზაურობდა და დილით, დასვრილი ან დახეული პიჟამათი იღვიძებდა. გოგონა ძალიან განიცდიდა თავის მდგომარეობას და იცით, როგორ განვკურნე? 40 დღის განმავლობაში, თვალახვეული გვყავდა. დილის და ღამის, ძილის და სიფხიზლის ზღვარი წავუშალეთ და მერე, ის ხელახალი რეჟიმით ჩამოვუყალიბეთ. თან, რა თქმა უნდა, დავარწმუნეთ, რომ ის მთვარეული აღარ იყო. მესამე წელია, მას აღარ გასჩენია ღამით სიარულის სურვილი. ერთ-ერთი კანადელი უფოლოგის, გრემ კონვეიუს წიგნში შეტანილია მთვარეული ქალის ნაამბობი, რომელიც უფოლოგს შესჩიოდა, რომ დასაძინებლად თეთრმაქმანიანი პენუარით დაწვა, მაგრამ როდესაც გაიღვიძა, მამაკაცის სპორტული მაისური ეცვა, რომელსაც ასეთი ლოზუნგი ეწერა: „ჩავატაროთ მარათონი ჩვენს ქალაქში!“ მაისურზე მითითებული ქალაქი, ქალის საცხოვრებელი ადგილიდან საკმაოდ დაშორებულია... ერთ მთვარეულ მამაკაცს კი ნამდვილად არ გაუმართლა, როდესაც აბსოლუტურად შიშველს გაელვიძა ცენტრალური ტრასის განაპირას. მას თავზე დასდგომოდა პოლიციელი და ხელკეტით შეიარაღებული ეუბნებოდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს მის ტერიტორიაზე ნუდისტების პარპაშს. რამდენიმე წლის წინ კი, პირადად მქონდა ერთი საინტერესო შემთხვევა. ჩემთან მოვიდა ქალბატონი და მითხრა, რომ სახლში „დამავოი“ ჰყავს, მაგრამ ეშინია, გიჟად არ შერაცხონ და ამის შესახებ მხოლოდ მაშინ განაცხადებს ხმამაღლა, როდესაც ექნება ექიმის ცნობა, რომ ის აბსოლუტურად ჯანმრთელია. დილით გაღვიძებული, საკუთარ საწოლში ყვავილებს, ბალახებსა და ქვებს პოულობდა. სამზარეულოში დარჩენილ გაურეცხავ ფინჯნებს დილით, ვიღაცა, გარეცხილს ახვედრებდა, იატაკს ეტყობოდა ნაფეხურები... ექიმთან მისვლა კი, მაშინ გადაწყვიტა, როდესაც დილით, ლოგინში ერთი ცნობილი პოლიტიკოსის საარჩევნო პლაკატი აღმოაჩინა... ამის გამო ჩემთან გვარიანად შეშინებული მოვიდა და დახმარება მთხოვა: თუ დარწმუნებული ხართ, რომ ჯანმრთელი ვარ, მაშინ „დამავოის“ დაჭერაში დამეხმარეთო. სიმართლე გითხრათ, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. შევიარაღდი ფოტოაპარატით და ორი ღამე გავატარე მთვარეულივით, „დამავოის“ მოლოდინში. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჩემი პაციენტი მთვარეული აღმოჩნდა და ყველაზე უცნაური ის არის, რომ ეს ჩვევა 45 წლის ასაკში გამოუვლინდა. და ბოლოს, კიდევ ერთ კურიოზს მოგიყვებით. მეზობელი მყავს, მეტად ეჭვიანი ქმარია. მაგრამ ფაქტზე ცოლი ვერა და ვერ დაიჭირა. ან როგორ დაიჭერს?! — პატიოსანი, მეოჯახე ქალია. გვიან, შინ მიბრუნებულმა ტრადიციული სცენის შემდეგ გადაიხედა აივნიდან და ხედავს, რომ კაცი მიცოცავს საწვიმარ მილზე; ა-ა, ხომ დაგიჭირე, შენ ხარ ჩემი ცოლის საყვარელიო?! — ჩასძახა თურმე. — არა, ძმაო, რა საყვარელი?! — მთვარეული ვარ, წადი, რა, დაიძინეო... დამშვიდდა ის კაცი და დაიძინა, მაგრამ მეორე დილით, ერთ სადარბაზოში ორი ბინის გაძარცვის ამბავი რომ შეიტყო, მერე კი შემოიკრა თავში ხელი. ასე რომ, თუ ჟოლობზე მცოცავმა კაცმა გითხრათ — მთვარეული ვარო, — ურიგო არ იქნება, თუ ყოველი შემთხვევისთვის, ექიმის ცნობას მოსთხოვთ... ■

მთვარის გავლენა ბევრ მოვლენაში იჩენს თავს

● სტატისტიკის თანახმად, სავსე მთვარის დროს, შესამჩნევად იზრდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების, მძიმე დანაშაულებისა და აუხსნელი, ე.წ. არამოტივირებული კონფლიქტების რაოდენობაც კი. სპეციალისტები გვირჩევენ, ამ დროს ჭარბად არ მივიღოთ სპირტიანი სასმელი: თურმე სწორედ სავსემთვარეობისას, ადამიანს საქმიანობის სურვილი ეძალება, მის ნაყოფიერებას კი, ცხადია, დაბინდული გონება არ რგებს... სიფრთხილე გვმართებს აგრეთვე ახალმთვარეობის პერიოდში: ეს დრო თურმე ადამიანის ცხოვრებისეული აქტივობის დაცემით ხასიათდება, მისი იმუნიტეტი დაქვეითებულია და ამდენად, იზრდება შეცდომის დაშვების ალბათობა.

● ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მთვარის ციკლის ფაზები და წელიწადის დრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თვითმკვლელობების რაოდენობაზე. ბრიტანელმა ფსიქიატრებმა საფუძვლიანად შეისწავლეს სუიციდის 1400 შემთხვევა და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამ ქმედებისთვის ყველაზე დამახასიათებელი პერიოდი, ახალმთვარეობაა. გარდა ამისა, მათი მონაცემების თანახმად, თვითმკვლელობათა რაოდენობა ადრეულ გაზაფხულსა და ადრეულ შემოდგომაზე იზრდება. ამ თვალსაზრისით ყველაზე საშიშია: ახალმთვარეობა შემოდგომა-ზამთარში და სავსემთვარეობა გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ექიმების აზრით, წლისა თუ თვის მიხედვით სუიციდის რაოდენობის არასტაბილური ხასიათი, ადამიანის ე.წ. „ბიოლოგიური საათების“ არასტაბილურობასთანაა დაკავშირებული.

● ახალმთვარეობისა და მისი შემდგომი, უახლოესი დღეების მანძილზე, უფრო ხშირად ხდება ტვინში სისხლის ჩაქცევა და ეპილეფსიური შეტევა.

● იმ დღეებში, როცა მთვარე პატარავდება, უკეთესად მიმდინარეობს ქირურგიული ოპერაციები და განკურნება-რეაბილიტაციაც გაცილებით სწრაფი ტემპით გამოირჩევა. ფლორიდელმა ქირურგებმა შენიშნეს, რომ ახალმთვარეობისას ჩატარებული ოპერაციის დროს, ნაკლებია სისხლდენა, სავსემთვარეობისას კი, სრულიად საპირისპირო სურათი იკვეთება.

● ახალმთვარეობისა და სავსემთვარეობის მოქმედება ძლიერდება მთვარისა და მზის დაბნელების დროს. თუ მზის დაბნელება (ის პერიოდულად, სავსემთვარეობას ემთხვევა) ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობაზე უფრო მოქმედებს, მთვარის დაბნელება (სავსემთვარეობისას) მის ფსიქიკაზე ახდენს მეტ გავლენას.

● მთვარის ფაზები ცხოველთა სამყაროზეც მოქმედებს. მაგალითად, კატების ღამეული „კონცერტები“ განსაკუთრებული აქტიურობით ახალმთვარეობისას გამოირჩევა. მათ საპირისპიროდ, მგლები და მელიები სწორედ სავსე მთვარეს „ერჩიან“. სავსემთვარეობა ცუდად მოქმედებს ორიენტაციაზე, ამიტომ მღრღნელები მხოლოდ ახალმთვარეობისას იცვლიან ხოლმე საცხოვრებელ ადგილებს. ■

„მწვანე ჩაის დიეტა“ – მიირთვით, რათა სიმსუქნე დაამარცხოთ!

ჩვენ მუდმივად ვებრძვით ჭარბ წონას და სიმართლე რომ ვთქვათ, ერთობ ეფემერული წარმატებით. წვრილი წელისა და სრულყოფილი ალნაგობის გამო წარმოუდგენელ მსხვერპლს ვიღებთ, რადგან საკუთარ თავს ნორმალურ საკვებში ვზღუდავთ და იძულებით მივრთმევთ მხოლოდ რაიმე უკალორიოს და ისიც, ძალიან ცოტას. არადა მკაცრი დიეტით საკუთარ თავს ორმაგ ზიანს ვაყენებთ.

ამით პირველ რიგში, ორგანიზმს საკვებს არ აწვდით, რაც ყოვლად დაუშვებელია! ცალმხრივი კვება კარგისკენ არ მივიყვანს, – არადა ასეთ მკაცრ პირობებში როგორ შეეუცვლოთ ორგანიზმს საჭირო ენერგეტიკული მარაგი? სწრაფად მოქმედი დიეტები, როგორც წესი, მოითხოვს უარის თქმას ძირითად საკვებ პროდუქტებზე – ხორცი, რძე, ბურღულეული და საკონდიტრო ნაწარმი, – რითაც ადამიანს მათში შემავალი ელემენტები აკლდება. ამასთან, ნივთიერებათა ცვლა ადამიანის დიეტის თავისებურებებზე ეწყობა: თუ თქვენ მთელი ცხოვრება „ვემრიელი“ ჭამა გიყვარდათ და უეცრად მკვეთრად შეზღუდეთ პრაქტიკულად ყველა ნორმალური საკვებით, ორგანიზმი „ვანგაშს ტესს“ და ნივთიერებათა ცვლას მარაგის სასარგებლოდ იწყებს. ასეთ სიტუაციაში, ჯერ ერთი, უფრო ძნელია გახდომა, მეორეც, როგორღაც დაკლებული კილოგრამების შესანარჩუნებლად შიმშილობა მოგიწევთ და მესამეც ის, რომ როგორც კი ეს შიმშილობა მოგებეზრდებათ და მას თავს მიანებებთ (ეს კი აუცილებლად მოხდება), კილოგრამებიც დაგიბრუნდებიან და მათ კიდევ რამდენიმე მოჰყვება იმიტომ, რომ ორგანიზმი უკვე დაგროვებას მიჩვია.

გარდა ამისა, ყოველგვარი სიმოვნების გარეშე „კუჭის ამოვსებით“ და მხოლოდ იმის მირთმევით, რაც საჭიროა, საკვების მიღების პროცესს მძიმე მორჩილების პროცესად აქცევთ. ამას კი ნეგატიური ემოციების დაგროვებამდე მივყავართ, რაც საბოლოო ჯამში დეპრესიას იწვევს. საკვები სიამოვნებას უნდა განიჭებდეთ და არა ტანჯვას. მაშ, როგორ გაუმკლავდეთ ზედმეტ კილოგრამებს?

ვიტამინ-ცენტრი „**ჯეოვიტი**“ და ამერიკული კომპანია „**შიფ**“-ი – ერთ-ერთი ყველაზე რესპექტაბელური და ავტორიტეტული კომპანია – წარმოგიდგენთ პრეპარატ „**მწვანე ჩაის დიეტას**“, რომელიც საშუალებას მოგცემთ, უარი აღარ თქვათ საყვარელ კერძზე და თქვენი წონა მართოთ. **იგი არ შეიცავს ეფედრინს.**

„**მწვანე ჩაის დიეტა**“ – მწვანე ჩაის ექსტრაქტს წარმოადგენს და მასში თავმოყრილია აქტიური ინგრედიენტების იდეალური კომბინაცია – ეპიგალოკატეხინის გალატი (EGCG) და კოფეინი, რომელიც ამერიკის ფარმაკოპის სტანდარტებს შეესაბამება.

„**მწვანე ჩაის დიეტა**“ – დახვეწს თქვენს გარეგნობას, მატებს ენერგიას თქვენს სხეულს და მიგიყვანთ ორგანიზმის სრულ გაჯანსაღებამდე, რადგან მწვანე ჩაი ჯერ კიდევ იმნ სინას დროიდან ცნობილია თავისი სამკურნალო თვისებებით: ანტიკანცროგენური მოქმედებით (ეფექტურია ქალებში სარძევე ჯირკვლის კიბოს და მამაკაცებში პროსტატის კიბოს დროს), სახსრებში ანთებითი პროცესის ჩახშობით, უმნიშვნელოდ აცცრებს ქოლესტერინის დონეს სისხლში და თრომბის ჩამოყალიბების რისკს. მწვანე ჩაი, როგორც ძლიერი ანტიოქსიდანტი, იცავს კანს მზის სხივების მავნე ზემოქმედებისგან.

„**მწვანე ჩაის დიეტა**“ თქვენს ორგანიზმს კალორიების სწორ წვას ასწავლის, რითაც საკუთარ თავს იდეალური წონით უზრუნველყოფთ და მას ხანგრძლივი დროის მანძილზე შეინარჩუნებთ.

კომპანია „**ჯეოვიტ**“-ში ექიმი-დიეტოლოგი საჭირო რჩევებს მოგცემთ და სწორი არჩევანის გაკეთებაში დაგეხმარებათ.

ᲩᲕᲔᲜ ᲛᲖᲐᲓ ᲕᲐᲠᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ ᲒᲐᲕᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲗ!

ჯეოვიტი GEOVIT

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), ვიტამინ-ცენტრი, კომპანია „ჯეოვიტი“, ტელ/ფაქსი: 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56

არ ბაბქიოთ ქმარი!

ცოლქმრული ღალატის შემთხვევები ყველგან გვხვდება. თუმცა, მრავალრიცხოვანი გამოკითხვის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მის მიმართ ოჯახის პატრონების უმრავლესობას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. სხვადასხვა დროს ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, დასავლეთში, ქორწინების გარეშე კავშირების არსებობას საშუალოდ მამაკაცთა 45-55% და ქალთა 20-25,5% ადასტურებს. მოდით, ამ პრობლემას „სუსტი სქესის“ წარმომადგენელთა თვალით შევხედოთ. სად შეიძლება იმალებოდეს იმის საფრთხე, რომ ქმარმა განზე გაიხედოს? როგორც სპეციალისტები ამბობენ, თუ რისკის ზონების განსაზღვრას ვეცდებით, საორიენტაციოდ ასეთი ზონა სულ ოთხია: სამსახური, სამეგობრო წრე, დასვენების ადგილი და არ გაგიკვირდეთ, საავადმყოფოც!

სამსახურებრივი რომანი

როგორ გამოიყურებით შინ, როგორს გხედავთ ყოველდღე ქმარი? ხალათში და ყოველთვის მოუწესრიგებელს ხომ არა?.. აი, ოფისში კი, მას გარს ახვევია მოვლილი ქალბატონები, ნატიფი მაკიაჟითა და ახალ-ახალი სამოსით. გაიხსენეთ, რას შეეხებოდა თქვენი ბოლო საუბარი: ალბათ იმას, თუ ვინ გადაიხდის ბინის ქირას ან სად ჯობს პროდუქტის ყიდვა – სახლთან ახლოს მდებარე მაღაზიაში თუ ბაზრობაზე... ალბათ თქვენც ხვდებით, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენელთან ყავის სმის დროს, ივი გაცილებით საინტერესო თემებზე საუბრობს...

თქვენი დანახვისას თქვენს ქმარს სახე თუ არ უნათდება, ფხიზლად იყავით! ხომ არ მეტყველებს ეს იმაზე, რომ მას აკლია ემოციური და სულიერი სიახლოვე? ამ სიცარიელის ამოვსებას ის აუცილებლად შეეცდება. მომბეზრებელი ცოლის „მოადგილის“ მოსაძებნად ყველაზე მოსახერხებელი ადგილი კი, სამსახურია. და აი, გაიბა კიდეც რომანი... სულიერი შიმშილის საფუძველზე აღმოცენებული ღალატი ყველაზე სახიფათოა, მაგრამ ღალატი სექსუალური დაუკმაყოფილებლობის ნიადაგზე, უფრო მეტადაა გავრცელებული. აქედან დასკვნა: არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაცივდეს ცოლქმრული ლოგინი! თუ სექსს უხალისო მოვალეობად არ გადააქცევთ, მაშინ ქმარიც აღარ დაიწყებს სხვაგან, რაღაც ახლისა და უჩვეულოს ძიებას...

სამსახურებრივი მივლინებები, განსაკუთრებით – ხანგრძლივი, ასევე იძლევა საბაბს უეცარი, მოკლევადიანი ვნების გასაღვივებლად. „სამივლინებო“ რომანები, როგორც წესი, არცთუ ისე სახიფათოა ცოლებისთვის. როცა მათ შესწევთ მოთმინების უნარი და შეუძლიათ თვალი დახუჭონ ქმრის „ანცობაზე“ და ამის გამო სერიოზული განხეთქილება არ ჩამოაგდონ, მაშინ ასეთი სახის ღალატი ოჯახის დანგრევას არ გამოიწვევს. საშიშია არა ზედაპირული კავშირები, არამედ უფრო ღრმა გრძნობები, რომელსაც შეუძლია მყარად დააბას მამაკაცი. ამის შესაძლებლობას ერთად მუშაობა უფრო განაპირობებს, ვიდრე შემთხვევითი ნაცნობობა. ამის აღკვეთა დაწყებით სტადიაზე ძნელია, ხოლო კავშირის გაღრმავების ეტაპზე, უიმედოდ დაგვიანებულიც კი ხდება. არჩევანს მამაკაცი აკეთებს. და მაინც – როცა ქალი გონივრულად იქცევა, ყველაფრის აწონ-დაწონის შემდეგ, ქმარი ყოველთვის მეგობარი-ცოლისა და ოჯახის სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს, მით უმეტეს, თუ ოჯახში ბავშვებიც არიან.

ღალატი მეგობრების ხათრით

ქმარს თუ დივანზე წამოწოლა უყვარს, დაე ინებივროს. ცუდად მაშინ არის საქმე, როცა ესეც მოსწყინდება. პირველ რიგში, მას მეგობრებისკენ მიუწევს გული, სადაც ფეხბურთის თამაში, ლუდის სმა და უბრალოდ, გართობაა. ასეთ დროს მათთან ერთად ვინ არიან, – ეს, რა თქმა უნდა, ცოლებმა არ იციან. ამასობაში, სადაც ამხანაგური წრე იკრიბება, იქ, ახალი ნაცნობობაც გამოტყვრება ხოლმე: მეგობარს მეგობარი ქალი ჰყავს,



მას კი, დაქალი ახლავს. თუ ამ დროს, თქვენი რჩეული თავისუფალია, რატომაც არ უნდა გაბას ფლირტი?! შინ ცოლის დალვრემილი სახე დახვდება, გამუდმებული საყვედურების მოსმენა მოჰბეზრდა, ამიტომ გახალისება არ აწყენდა. სურს, მამაკაცად იგრძნოს თავი, მოეშვას და თავის ნებაზე გაინავარდოს. ხოლო, თუკი მის ფხიზელ ცოლს რაიმე ეჭვი გაუჩნდება, არა უშავს, მეგობრები დაიხსნიან გასაჭირიდან — ყველაფერს დამალავენ. პრინციპი ასეთია — დღეს მე დაგიცავ შენ, ხვალ — შენ, მე.

მაშ, რა ვიღონოთ? ჯობს, თქვენი ქმრის მეგობრებს ნუ მოაშლევინებთ თქვენს ოჯახში სიარულს. იყავით ყურადღებიანი, შეეცადეთ მათთან კონტაქტი დაამყაროთ და შეძლებისდაგვარად თავადაც მიიღოთ მონაწილეობა მათ შეხვედრებში. მთავარია — შინ ისეთი ატმოსფერო არ შექმნათ, რომ ადამიანს თავისუფლად სუნთქვა გაუჭირდეს და სახლიდან ნებისმიერ ადგილას გაქცევის სურვილი გაუჩნდეს. თქვენს ოჯახურ ცხოვრებას არ მოაკლოთ პატარ-პატარა დღესასწაულები. იზრუნეთ იმაზე, რომ იგი უფრო ხალისიანი და მრავალფეროვანი გახდეს. სხვა შემთხვევაში ქმარი ამ მრავალფეროვნების ძებნას აუცილებლად სხვა ტერიტორიაზე დაიწყებს და მისი „თანამგრძნობი“ მეგობრები ამაში დაეხმარებიან.

საავადმყოფო, სტრესი და... ეროტიკა

საავადმყოფო — მუდმივი სტრესის ადგილია. ადამიანი, თითქოსდა გამოთიშულია სისხლსავსე ცხოვრებიდან, მისი თავისუფლება შეზღუდულია, შესაძლებლობები მინიმუმამდეა დაყვანილი. ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც ის კალაპოტიდანაა ამოვარდნილი. ასეთი ვაკუუმის შემთხვევაში, გრძნობები მძაფრდება. საავადმყოფოს საწოლზე ყოფნისას კი, ალერსისა და სითბოს მოთხოვნილება განსაკუთრებით იზრდება. სწორედ ამ დროს გამოჩნდება თეთრ ხალათში ჩაცმული, სასიამოვნო გარეგნობის არსება (მედდა ან ექიმი), რომლის თბილი ხელები მოურიდებლად გხდიან, გეხებიან, გსინჯავენ და ამით კიდევ უფრო გიფორიაქებენ გამწვავებულ ინსტინქტებს. თანაც, ამ ახალგაზრდა მედდებს ზაფხულობით, ხალათის შიგნით თითქმის არაფერი აცვიათ და ისინი, ფაქტობრივად, ნახევრად შიშვლები ირბენენ „უსქესო“ პაციენტისკენ... მეტი რაღაა საჭირო საიმისოდ, რომ სადღაც ქვეცნობიერის დონეზე, ეროტიკული შოკისა და ძლაფრი სექსუალური შიმშილის უცნაური და უჩვეულო გრძნობა გაჩნდეს?!.

საავადმყოფოს რომანებს ოჯახური კერის დარღვევა უფრო ნაკლებად შეუძლია, ვიდრე სამსახურებრივს, მაგრამ მეუღლის რეაქციის შესაბამისად, შედეგები შეიძლება სხვადასხვაგვარი აღმოჩნდეს — უმნიშვნელო წყენიდან, ღრმა სტრესულ, გამძვინვარებულ გამოხდომებსა და სკანდალებამდე მისული, რამაც შესაძლებელია, შემდგომი ერთობლივი ცხოვრება შეუძლებელი გახადოს.

საჯურორტო რომანი

სამსახური—სახლი—სამსახური... მოკლე, უსიხარულო უქმეები, რომელიც დაღლილობას ვერ ხსნის. კვლავ იმავე წრეზე სიარული, მაგრამ აი, როგორც იქნა, იმედის ნაპერწკალი გაჩნდა — იწყება შვებულება, რომელსაც ბევრი მამაკაცი უცოლოდ ატარებს. იმ ოჯახებში, სადაც მეუღლეები ერთმანეთისგან დაღლილები არიან, განცალკევებით დასვენება, როგორც ბედის საჩუქარი, ისე აღიქმება. ორი თუ სამი კვირის მანძილზე, სრული თავისუფლება, უკონტროლო ცხოვრება. ზღვა, მზე, ქალები..





ცხადია, შეყვარებული ცოლ-ქმრისთვის, რომელიც ერთმანეთს ენდობა და მიუჩვეველია ერთმანეთთან განშორებას, ასეთი „წარმტაცი“ პერსპექტივა თავბრუდამხვევი ვერ იქნება, მაგრამ რისკის ელემენტი დასასვენებელ ზონაში ყოველთვის არსებობს.

თუ შემთხვევით შეიტყვეთ, რომ თქვენს ქმარს ხანმოკლე საკურორტო რომანი ჰქონდა, რომელიც თქვენი ოჯახის სიმყარეს აშკარად არ შეუქმნის საფრთხეს, ამ ამბავს ურეაქციოდ ნუ დატოვებთ, მაგრამ ღმერთმა დაგიფაროთ ეჭვიანობის სცენის გამართვის, თეფშების მსხვრევისა და ქმართან გაცილების მუქარისაგან — თქვენ ხომ ეს არ გინდათ. ამიტომ, ყველაფერი ისეთი ფორმით უთხარით, რომ არ უბიძგოთ მას არასწორი ნაბიჯისკენ — ასეთ შემთხვევაში, ხიდის დაწვა გაუმართლებელი იქნება.

სპეციალისტის კომენტარი

მაშ ასე, თუ ქმრის ღალატი უტყუარი ფაქტია, შეეცადეთ, თქვენი საქციელის კონკრეტული მიმართულებით წარმართვა ისწავლოთ. თუ არ გსურთ საქმე განქორწინებამდე მიიყვანოთ, გააანალიზეთ თქვენი ოჯახური ცხოვრება — სად არის მასში პრობლემები, რა გამოგრჩათ, თქვენს ქმარს რა აკლია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რას ეძებს ის სხვაგან. არ დაივიწყოთ, საკუთარ თავსაც შეხედოთ კრიტიკულად: თქვენ აღარ აქცევთ გარეგნობას ყურადღებას, ულამაზოდ გამოიყურებით, ქმართან ურთიერთობა მინიმუმამდე დაიყვანეთ, მისი ცხოვრებით არ ინტერესდებით, უარს ეუბნებით ინტიმურ ურთიერთობებზე, თავისუფალ დროს, ორივენი, ტელევიზორის ყურებაში ატარებთ. თუ ამ ნუსხიდან რომელიმე მაინც შეინიშნება, თქვენს ცხოვრებაში, სასწრაფოდ იმოქმედეთ. დაიწყეთ საკუთარ თავზე ზრუნვა... თვალყური ადევნეთ ქმარს და გაარკვიეთ, როგორ გამოიყურებიან ქალები, რომლებიც აღაფრთოვანებენ მას. შეეცადეთ, ჩადგეთ ფორმაში და ასეთივე „მოდელის“ ტიპს მიუახლოვდეთ. შეადგინეთ თქვენი უარყოფითი თვისებების სია და ეცადეთ, ნაბიჯ-ნაბიჯ აღმოფხვრათ ისინი ან საერთოდ არ გამოამჟღავნოთ. მიაღწიეთ იმას, რომ თქვენმა მეუღლემ კარგად იგრძნოს თავი თქვენ გვერდით. ძნელია, არა? რასაკვირველია, მაგრამ ყველაფერ ამას, მაშინ გაართმევთ თავს, როცა საშველად მოუხმობთ და გამოაცოცხლებთ იმ გრძნობას, რომელმაც ოდესღაც ამ მამაკაცთან დაგაახლოვათ. ხოლო როცა ქმარი თქვენ გვერდით ყოფნისას ყოველმხრივ კარგად გრძნობს თავს, მაშინ უფრო მეტი გარანტია გექნებათ იმისა, რომ თქვენი რჩეული ყოველგვარ ცდუნებას თავს აარიდებს. ■

ქის	ბუდისტი ბერი ლალაი ...	ზოლებიანი ცხოველი სავანაში	ცხოველების გალია ზოოპარკში	... დე მოპასანი	მასალა, რომლისაც გამოძერწა ღმერთმა ადამიანი	ეგვიპტელთა ღმერთი	ქამეს ფრანგული	წაგება, დანაკარგი
ა	„... ცქერით როდი გაცვდება...“	მოწონების შეძახილი თეატრში	სიგრძის ძველფრანგული საზომი	ჯარისკაცი, რომელსაც ჩინი არა აქვს	დიდი ბუზი			მანქანების რბოლა

რა ძალა აქვს ფსალმუნების კითხვას?

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს ფსალმუნების შესახებ. ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით გვესაუბრება წმინდა მოციქულთა — პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძრის მოძღვარი, მღვდელი თეოდორე გიგნაძე.

მორენა მერკვილაძე

— აუცილებელია თუ არა, რომ ფსალმუნების კითხვისას ფეხზე ვიდგეთ?

— ფსალმუნები შეიძლება იკითხოთ როგორც ფეხზე მდგომმა, ასევე დამჯდარმა, მაგრამ თუ ადამიანს რაიმე უძლურება არ აწუხებს, ღვთის სადიდებელი სიტყვები — ლოცვა იქნება ეს, ფსალმუნების კითხვა თუ სხვა, უმჯობესია, ფეხზე მდგომმა წარმოთქვას.

— რა სულიერი სარგებლობა მოაქვს ფსალმუნების კითხვას?

— ფსალმუნების კითხვა უპირველესად, გვასწავლის უფლისადმი სიყვარულს. ამ დროს, ადამიანისგან განიდევნება ბოროტი სული და მასში სულიწმიდა ჩასახლდება. როგორც ნეტარი ავგუსტინე ამბობს: „ფსალმუნების გალობა შემამკობელია სულისა, ზეციური ძალების მომხმობია შემწეობისათვის, განმწმენდელია ცოდვისა და ეშმაკთა სიბოროტისა, შესამოსელია სიწმინდისა და სიხარულისა, ბიწიერების აღმომფხვრელია, რისხვის განმდევნი, მომნიჭებელია სიხარულისა, დამამტკიცებელია სჯულისა...“ ფსალმუნების კითხვას დიდი ძალა აქვს და განსაცვიფრებელი შედეგები მოაქვს. ერთ-ერთი მორწმუნის მცირეწლოვანი შვილი ყოველდღე კითხულობდა 123-ე ფსალმუნს; იმდენი ილოცა, რომ სალოცავი კუთხის ყველა ხატიდან მირონმა იწყო დენა...

— რა შემთხვევაში შეიძლება, ფსალმუნების კითხვა არ იყოს მადლმოსილი?

— ხშირად, ადამიანის გონება მიმართულია ღვთის წარმართული გაგებისკენ — ანუ ადამიანი ფიქრობს, რომ ღვთისგან მადლის მიღება მხოლოდ გარეგნულ ქმედებაზეა დამოკიდებული. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ იმის გამო, რომ ფსალმუნები წავიკითხეთ, ღვთისგან მადლს ვერ მივიღებთ. როდესაც ადამიანს უფლისგან მადლის მიღების სურვილი აქვს, ფსალმუნების კითხვით იქნება ეს თუ სხვა ქრისტიანული ქმედებით, მისი გული და გონება მთლიანად უფლისკენ უნდა იყოს მიმართული და რაც მთავარია, ჰქონდეს რწმენა იმისა, რომ უფალი აუცილებლად შეეწევა. ხოლო თუ ადამიანი არ იმყოფება უფალთან ევქარისტიულ კავშირში ანუ არ ეზიარება მის სისხლსა და ხორცს, არ არის აღმსარებელი და არ ასრულებს მის მცნებებს, მისთვის ფსალმუნების კითხვა მადლის მომტანი არ იქნება.

— საიდან იღებს სათავეს, მიცვალებულისთვის ფსალმუნთა კითხვის წესი და როგორ უნდა ვუკითხოთ ფსალმუნები მიცვალებულს?

— წესი მიცვალებულზე ფსალმუნების კითხვისა მომდინარეობს „ძველი აღთქმიდან“. მიცვალებულისთვის ფსალმუნებს „ახალი აღთქმის“ დროსაც კითხულობდნენ. პირველი ქრისტიანები გარდაცვლილ ადამიანს მთელ ღამეს უთევდნენ და ფსალმუნებს უკითხავდნენ. როდესაც რომელიმე ადამიანისთვის ვლოცულობთ, ცოცხალი იქნება თუ გარდაცვლილი, მასზე მოიწევა ღვთიური მადლი, ღვთისადმი და ადამიანისადმი ჩვენი სიყვარულის გამო. რაც შეეხება მიცვალებულისთვის ფსალმუნთა კითხვის წესს — ჭირისუფალმა მიცვალებულს ფსალმუნები უნდა უკითხოს მანამდე, ვიდრე ის შინ ასვენია (შეიძლება, ფსალმუნები ვიკითხოთ არჩევით), ხოლო დაკრძალვის შემდეგ, ორმოცი დღის მანძილზე, ყოველდღიურად უნდა წავიკითხოთ თითო კანონი ან თითო დიდება მაინც. ფსალმუნების კითხვა არ შეიძლება თვითმკვლელთათვის, ურწმუნოთათვის, მოუნათლავი და სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთათვის.

— 50-ე და 90-ე ფსალმუნებს გამორჩეული ადგილი უკავია. რაში გამოიხატება მათი განსაკუთრებულობა?

— 50-ე ფსალმუნში განსაცვიფრებელი სინანული ჩანს. ეს არის მონანიე ადამიანის ლოცვა, რაც სინანულში ანუ ცოდვათა მონანიებაში გვეხმარება. რაც შეეხება 90-ე ფსალმუნს — მიმართულია ბოროტი ძალების წინააღმდეგ, რაც ლოცვის ტექსტშიც ნათლად ჩანს, ამრიგად, 90-ე ფსალმუნი ბოროტი ძალების ზემოქმედებისგან გვიფარავს. სხვათა შორის, 26-ე ფსალმუნიც ბოროტის წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ ამ მხრივ ნაკლებადაა ცნობილი, თუმცა საკმაოდ ძლიერი დაცვის ძალა აქვს. ერთ-ერთი თანამედროვე მართლმადიდებელი მამა გვასწავლის: როდესაც ადამიანი ყოველ დილით, „დილის ლოცვებთან“ ერთად 50-ე, 90-ე და 26-ე ფსალმუნებსაც წაიკითხავს, მის ირგვლივ ყუმბარებიც რომ სკდებოდეს, არც ერთი არ გაეკარებაო. მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ფსალმუნები უნდა ვიკითხოთ უფლისადმი უდიდესი სიყვარულის გრძნობით და გავაცნობიეროთ, თუ რას ვკითხულობთ, რადგან ფსალმუნთა მექანიკური კითხვა ვერც ბოროტისაგან დაგვიცავს და ვერც სხვა განსაცდელისგან.

— რატომ ვატარებთ 50-ე და 90-ე ფსალმუნს გულზე?

— ფსალმუნების გულზე ტარება რუსული ტრადიციაა: როდესაც რუსი ჯარისკაცები საბრძოლველად მიდიოდნენ, თან მიჰქონდათ ხელით დაწერილი ფსალმუნები; რომ არ დასველებულიყო, მას ტყავის პატარა ჩანთაში ათავსებდნენ და გულზე იკიდებდნენ. ფსალმუნებს ომის დროს, ყოველთვის კითხულობდნენ, მაგრამ როდესაც ადამიანი ფსალმუნებს გულზე მხოლოდ თილისმის სახით ატარებს, საერთოდ არ ლოცულობს და არანაირი შეხება არა აქვს ეკლესიასთან, მხოლოდ გარეგნულად ემსგავსება ქრისტიანს და მისთვის ფსალმუნების ტარება არც მადლის მომტანი იქნება.

— როგორ მივაჩვიოთ ბავშვი ფსალმუნების კითხვას?

— როდესაც საქმე ბავშვს ეხება, უდიდეს როლს ასრულებს მშობლების პირადი მაგალითი.

— რამდენად გამართლებულია ფსალმუნთა კითხვის მიტოვება?

— ამ კითხვაზე პირდაპირ სცემს პასუხს წმინდა იოანე ოქროპირი: „უმჯობესია, მზემ დაკარგოს თავის ბრწყინვალება, ვიდრე ის, რომ ფსალმუნების კითხვას თავი დავანებოთ“. ■

სულთმოფენობა

15 ივნისს, მართლმადიდებლური ეკლესია კიდევ ერთ საუფლო დღესასწაულს — სულთმოფენობას აღნიშნავს. სულთმოფენობის დღესასწაული ყოველთვის, უფლის აღდგომის დღესასწაულიდან ორმოცდამეათე, ხოლო ზეცად ამაღლების დღესასწაულიდან — მეათე დღეს აღინიშნება.

ბაცხოვრის მკვდრეთით აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, მოციქულები ღვთისმშობელთან და სხვა მორწმუნეებთან ერთად იერუსალიმში, ერთ-ერთ სახლში იყვნენ შეკრებილნი. მოულოდნელად ზეციდან ხმაური მოისმა, თითქოს ძლიერმა ქარმა დაჰბერაო. ამ ხმაურმა აავსო სახლი, სადაც მოციქულები იმყოფებოდნენ. ამის შესახებ „საქმე მოციქულთა“-ში წერია: „იყო მეყსეულად ზეცით ოსრაი, ვითარცა მოწევნაი ქარისა სასტიკისაი და აღავსო იგი სახლი, სადა – იგი იყვნეს მსხდომარე და ეჩუენეს მათ განყოფანი ენათანი ვითარცა ცეცხლისანი და დაადგრა თითოეულ კაცად კაცსა მათსა ზედა და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყუად“ (საქ. მოც. 2, 2-4) – ე.ი. ხმაური სულიწმიდის გარდამოსვლას მოჰყვა, რომელიც ცეცხლოვანი ენების სახით გარდამოვიდა და თითოეულ მოციქულს თავზე ცეცხლის ენა დაადგა. მოციქულები აღივსნენ სულიწმიდით და სხვადასხვა ენაზე ამეტყველდნენ. აქედან გამომდინარე, მართლმადიდებლური ეკლესია სულთმოფენობის დღესასწაულით, მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლას აღნიშნავს და დღესასწაულობს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოციქულებზე სულიწმიდა ცეცხლოვანი ენების სახით გადმოვიდა. ეკლესიური სწავლებით – ენებისა იმიტომ, რომ ამით უფალმა მიგვანიშნა ის ძალა და შესაძლებლობა, რომელიც მოციქულებს ქრისტეს მოძღვრების მთელ დედამიწაზე საქადაგებლად მიეცათ. ცეცხლით კი მინიშნებული იქნა ის ნიჭი, რომელიც მოციქულებს ცოდვათა დასაწვავად ეძლეოდათ – სულთა განსაწმედად, განსანათლებლად და ა.შ.

ისევ და ისევ „მოციქულთა საქმეების“ მიხედვით, როდესაც ეს სასწაული მოხდა, ზეციდან გადმოსულ ხმაურზე უამრავი ადამიანი მოგროვდა იმ სახლთან, სადაც მოციქულები იმყოფებოდნენ. სულიწმიდის მადლით აღვსილი მოციქულები კი, გამოვიდნენ ხალხის წინაშე და სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ ღვთის დიად საქმეებზე. შეკრებილი ადამიანები, რომელთა შორის იყვნენ ებრაელებიც და სხვა სჯულის წარმომადგენლებიც, გაოცებულები კითხულობდნენ: ესენი ხომ გალილეველები არიან და როგორ ვისმენთ თითოეული ჩვენგანი, ჩვენს ენაზე ღვთის დიდებასო? „ყველა გაოცებული იყო და საგონებელში ჩავარდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ „ნეტავ, ეს რას უნდა ნიშნავდეს?“ სხვები კი დაცინვით ამბობდნენ: „მაჭრით დამთვრალანო“ (საქ. მოც. 2, 12-13). ამის საპასუხოდ, პავლე მოციქულმა დაიწყო ქადაგება და იქ მყოფთ განუმარტა, რომ იესო ქრისტე იუდეველთაგან ჯვარცმული, აღდგა მკვდრეთით, ამაღლდა ზეცად და მოუვლინა მათ სულიწმიდა; რომ ქრისტე არის ძე ღვთისა და მხსნელი სოფლისა. ბევრმა იქ მყოფმა ირწმუნა და ჰკითხეს: „...როგორ მოვიქცეთ კაცნო, ძმანო?“ (საქ. მოც. 2, 37). პეტრე მოციქულმა კი, მოუწოდა იქ მყოფ ადამიანებს, რომ ცოდვათა მისატევებლად, იესო ქრისტეს სახელით მონათლულიყვნენ და ამ გზით მიეღოთ სულიწმიდის მადლი. იმ დღეს, ბევრმა შეისმინა მოციქულთა სიტყვები და სამი ათასი ადამიანი მოინათლა. სულიწმიდის გარდამოსვლა მოციქულებზე, წმიდა სამოციქულო ეკლესიის დაარსების დღედაა მიჩნეული.

ამრიგად, როგორც გრიგოლ ღვთისმეტყველი განმარტავს: „ჩვენ ვდღესასწაულობთ სულიწმიდის გარდამოსვლას, როგორც აღსრულებას აღთქმისას, აღსრულებას იმედებისას, ვზეიმობთ დიდსა და ღირსეულ დღესასწაულს“. წმინდა იოანე ოქროპირი კი ამბობს: „ენით გამოუთქმელი ნიჭი მიიღო დღეს (სულთმოფენობას) ადამიანთა მოდგმამ კაცთმოყვარე ღმრთისაგან. ამიტომ სიხარულით ვმადლობდეთ უფალს“...

მართლმადიდებლურ ეკლესიაში, სულიწმიდის გადმოსვლის დღესასწაულამდე, შაბათს იხდიან პანაშვიდს მიცვალებულთა სულების საოხად. ამ დღეს, სულთაობას ანუ სულის შაბათს უწოდებენ. ამიტომ მართლმორწმუნე ქრისტიანი ამ დღეს, უნდა მივიდეს ტაძარში და ილოცოს მიცვალებულთათვის. სულთმოფენობის დღესასწაულის დღეს კი, აღესრულება საგანგებო ღვთისმსახურება, რომლის დროსაც, ეს უდიდესი მოვლენაა განდიდებული. საზეიმო წირვისას, მორწმუნეებს თან მიაქვთ ხის მწვანე რტოები, ბალახები და ყვავილები და ტაძარს რთავენ, ან უბრალოდ, ხელში უჭირავთ, რაც იმ მადლს მოგვაგონებს, რასაც სულიწმიდის მოფენის წყალობით ვიღებთ: ყვავილები და სიმწვანე ხომ სიმბოლურად, სიცოცხლის გამომხატველია. ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ სულთმოფენობის დღეს, ტაძრიდან უნდა წამოვიღოთ ყვავილები, ბალახები და ხის მწვანე რტოები, რადგან არსებობს მოსაზრება, რომ სულთმოფენობის დღეს ტაძრიდან შინ მიტანილ ყვავილებსა და ბალახებს განსაკუთრებული ძალა და მადლი აქვს. მაგრამ ეკლესიური სწავლების მიხედვით, ეს არის ხალხური ტრადიცია, ამდენად რელიგიური დატვირთვა არ გააჩნია. ■

შერონ სტოუნი ჰილარი კლინტონის როლში

შერონ სტოუნმა შესაძლოა, ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის, ბილ კლინტონის მეუღლის ცხოვრებაზე გადაღებულ ფილმში ჰილარი კლინტონის როლი შეასრულოს. კომპანია American Arts & Entertainment Network აშშ-ის ყოფილი პირველი ლედის შესახებ გადაღებების დაწყებას აპირებს, რომლის სცენარიც 2000 წელს გამოცემული ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის, გეილ შიჰაის საოცრად პოპულარული წიგნის – „ჰილარის არჩევანის“ საფუძველზე იწერება.

გეილ შიჰაი – აღიარებული საზოგადო მოღვაწე, მრავალი ლიტერატურული პრემიის მფლობელი, რამდენიმე პოპულარული წიგნის ავტორი, ჰილარი კლინტონის ბიოგრაფად არის ცნობილი.

ზოგიერთი მონაცემით, ჰილარის როლზე ყველაზე რეალურ კანდიდატად სწორედ შერონ სტოუნს მიიჩნევენ. ტელეფილმში მონაწილე მსახიობთა როლები ჯერ არ არის განაწილებული, მაგრამ 45 წლის ვარსკვლავს ყველა შანსი აქვს, აღნიშნულ როლზე დაამტკიცონ. ფილმის გამოსვლა 2004 წლისთვის არის დაგეგმილი.

გეილ შიჰაის წიგნში აღწერილია კლინტონების ოჯახის ცხოვრება, 1992 წლიდან – ე.ი. იმ დროიდან, როცა ისინი თეთრ სახლში გადავიდნენ. წიგნში მოთხრობილია ქალბატონი ჰილარის პოლიტიკური კარიერის განვითარების საფეხურების შესახებ, რომელმაც იგი ბოლოს, ნიუ-იორკის შტატიდან აშშ-ის სენატორის სავარძლამდე მიიყვანა. წიგნი ასევე ეხება მონიკა ლევინსკისთან დაკავშირებულ სკანდალს.



როგორც ცნობილია, სულ ახლახან გამოვიდა ჰილარი კლინტონის მიერ დაწერილი წიგნი, სადაც ის თავად აღწერს საკუთარ ცხოვრებას. კერძოდ, იგი აღიარებს, რომ ტიროდა და ეჩხუბებოდა ქმარს მონიკა ლევინსკისთან კავშირის გამო. მემუარებში ყოფილი პირველი ლედი წერს, რომ კლინტონი სასამართლოში გამოსვლის წინაც კი, ბოლო წუთებამდე ატყუებდა მას. ამჟამინდელი სენატორი, ქალბატონი ჰილარი კლინტონი თავის მემუარულ წიგნში – „ცოცხალი ისტორია“, ნათლად მოგვითხრობს, თეთრ სახლში გატარებული 8 წლის მანძილზე განცდილის შესახებ.

ქალბატონი კლინტონი წერს, რომ იმ დღემდე, სანამ მისი ქმარი გამოუტყდებოდა ღალატში, დარწმუნებული იყო, რომ ბილს უსამართლოდ სდებდნენ ბრალს და მის ერთადერთ ცოდვად მხოლოდ იმას მიიჩნევდა, რომ სისულელე მოუვიდა, როცა ლევინსკის მიაქცია ყურადღება. ჰილარის არ სჯეროდა, რომ პრეზიდენტს შეეძლო მათი ქორწინებისა და ოჯახის, საფრთხის ქვეშ დაყენება. 552-გვერდიანი წიგნის გამოსვლას მოუთმენლად ელოდა საზოგადოება. გამომცემლობა Simon & Schuster-მა წინასწარ გათვალა მისი წარმატება და წიგნი მილიონ ეგზემპლარად გამოუშვა.

ავტორს სულ ჰონორარის სახით, 8 მილიონს გადაუხდიან. 2,85 მლნ მან ავანსად უკვე მიიღო. ნაწარმოების გამოქვეყნების უფლება კი 16-მა ქვეყანამ შეისყიდა – წიგნის ფასი 28 დოლარია.

გამომცემლები აღნიშნავენ, რომ ჰილარი კლინტონის წიგნი თეთრ სახლში გატარებული წლების შესახებ სრულყოფილ და უბადლო მონათხრობს წარმოადგენს. ■

ჰარისონ ფორდმა ვარსკვლავი სპილბერგის „ხელიდან მიილო“

ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მსახიობს ჰარისონ ფორდს, როგორც იქნა, ე.წ. დიდების ხეივანზე საკუთარი ვარსკვლავის გახსნის პატივი ხვდა წილად.

ამ მოვლენასთან დაკავშირებულ საზეიმო ცერემონიას, რომელიც კინოთეატრ „კოდაკის“ მახლობლად ჩატარდა, სტივენ სპილბერგი უძღვებოდა. მას ფორდთან ძველი მეგობრობა და საქმიანი პარტნიორობა აკავშირებს. „ისევე, როგორც ავტომობილმა, რომელიც ფორდის სახელს ატარებს, მაინც გაუძლო დრო-ჟამის მსვლელობას და ჩვენი დროის არა მარტო ნამდვილ გმირად, არამედ ინდუსტრიის ცოცხალ კლასიკოსად დარჩა“, – ხუმრობდა სპილბერგი. რაც შეეხება ვარსკვლავს, იგი პირველი როდი აღმოჩნდა ჰარისონ ფორდის სახელზე. საქმე ის არის, რომ პირველი ვარსკვლავი ეკუთვნის იმავე სახელისა და გვარის მქონე, მუნჯი კინოს მსახიობს. როგორც თავად მისტერ ინდიანა ჯონსმა აღიარა, ცერემონიაზე, დიდხანს მოუწია იმაზე ფიქრი, ცნობილი სასაუზმის Muss & Frank-ის პირდაპირ მდებარე ხეივანში ვარსკვლავი მის პატივსაცემად იყო დამაგრებული თუ არა. „როცა ჰოლივუდში ჩამოვედი, სამსახიობო გილდიის ბაზაში ჩემი რეგისტრირება არ უნდოდათ, ვინაიდან იქ უკვე დაფიქსირებული იყო ამავე სახელის მქონე ადამიანი, ამიტომაც გავხდი ჰარისონ დ. ფორდი“, – აღნიშნა მსახიობმა.

ცერემონიაზე სტივენ სპილბერგმა პირველად განაცხადა საჯაროდ მეოთხე ფილმის გადაღების თაობაზე, რომელშიც ასახული იქნება ინდიანა ჯონსის თავგადასავლები. რეჟისორის თქმით, იგი მუშაობას მომავალი წლის დასაწყისში შეუდგება. ■

კლინტ ისტვუდი სისხლიან სამუშაოს არ ერიდება

კომპანია „პრემიერ ვიდეოფილმმა“ გამოუშვა ფილმები: „სისხლიანი სამუშაო“ (2002) და „მიუტევებელი“ (1992). ორივე ფილმში რეჟისორი, პროდიუსერი და მთავარი როლის შემსრულებელი კლინტ ისტვუდია.

„სისხლიან სამუშაოში“ ძიებათა ფედერალური ბიუროს (ძფბ) გამოცდილი ოფიცერი ტერი მაკალები (ისტვუდი) დასდევს სერიულ მკვლელს და გულის ძლიერი შეტევის გამო ხელიდან უშვებს. რთული ოპერაციის შემდეგ, ოფიცერი პენსიაში გადის. მაკალები ორი წლის შემდეგ შეიტყობს, რომ სწორედ მის მიერ ძებნილი დამნაშავის წყალობით მიიღო მან დონორის გული, მაგრამ მანიაკმა თავისი მდევრის სიცოცხლე წარმოუდგენლად ძვირად შეაფასა.

მართალია, დეტექტიური ამბავი სერიული მკვლელის შესახებ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ფინჩერის ფილმის – „შვიდი“ (1995) დონეს მაინც ვერ აღწევს, თუმცა ალბათ არც არის აუცილებელი, ვინაიდან ფინჩერი შემდგომი ნამუშევრებით თავადაც ვერც ერთხელ ვერ უტოლდება თავისსავე ფილმს.

„მიუტევებელმა“ ათი წლის წინ 4 „ოსკარი“ მიიღო, რითაც კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ისტვუდს ძლიერი ვესტერნის გადაღებისა და სახეების შექმნის უნარი ნებისმიერ ასაკში შესწევს. საქმიდან გასული, დაუნდობელი მკვლელი უილიამ მანი (ისტვუდი) გადაწყვეტს, შეასრულოს მეძავთა შეკვეთა, რომელთაგანაც ერთ-ერთი, აყალმაყალის ამტეხმა კოვბოიმ დაამახინჯა. კოვბოის მხარეზეა მრისხანე შერიფი – ე.წ. ნამცეცა ბილი, უილიამის მხარეზე კი – სამართლიანობის გაგება.

ფილმის ხანგრძლივობა არათუ ღლის მაყურებელს, არამედ ორგანულად ავსებს კარგად დაწერილ, დადგმულ და პროდიუსერულ დონეზე ოსტატურად შესრულებულ ამბავს. ■

გვენ სტეფანი სკორსეზეს ფილმში ითამაშებს

ჯგუფის – No Doubt სოლისტი გვენ სტეფანი, რომელსაც აქამდე, კინემატოგრაფში სადებიუტო ეპიზოდური როლი ჰქონდა შესრულებული, ითამაშებს თანამედროვეობის კლასიკოსის – მარტინ სკორსეზეს ფილმში ლეონარდო დი კაპრიოსთან ერთად. მომღერალი წელს გათხოვდა. იგი ცოლად გაჰყვა ინგლისელ ვარსკვლავს, ჯგუფ Bush-ის წამყვანს გევინ როსდეილს. ფილმი „ავიატორი“ ბიოგრაფიული სურათია და ეძღვნება იდუმალებით მოცული მაგნატის, ჰოვარდ ჰიუზის ცხოვრებას, რომელსაც ლეონარდო დი კაპრიო განასახიერებს. სურათში გვენ სტეფანი ქალის ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებს. ინგლისელი მსახიობი კეიტ ბეკინსდეილი („ბერლ ჰარბორი“) ეკრანზე განასახიერებს ჰიუზის საყვარელს – კინოვარსკვლავ ავა გარდნერს, რომელიც შედგომ, ფრენკ სინატრას მესამე ცოლი გახდა, ფილმში კიდევ ერთი ვარსკვლავი – კეიტ ბლანშეტი („ბეჭდების მბრძანებელი“) გამოჩნდება, რომელიც ჰიუზის სხვა საყვარლის – ასევე კინოვარსკვლავ კეტრინ ჰეპბერნის როლს ითამაშებს. გადაღებები ივლისში დაიწყება. ■

ჟან-კლოდ ვან დამმა შოუში ფულით უნდა აცდუნოს ქალები

ცნობილი ბელგიელი მსახიობი ჟან-კლოდ ვან დამი დათანხმდა პოპულარული სატელევიზიო შოუს – „დიდი ძმის“ ფრანგული ვერსიის გადაღებაში მონაწილეობაზე. მისი მხრიდან ეს, უანგარო ნაბიჯი ნამდვილად არ იქნება, ვინაიდან ვან დამის ყოველკვირეული ჰონორარი, მასთან ერთად პროგრამაში მონაწილეთა გასამრჯელოსთან შედარებით, 40 ათასი დოლარით მეტი იქნება. მსახიობს განსაკუთრებული როლის შესრულება მოუწევს. მან კოლექტივში, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, უნდა გაამძაფროს ურთიერთობები. კერძოდ, ვან დამს მოეთხოვება, ყველა ქალთან გააბას ფლირტი და ამით იქ მყოფი ყველა მამაკაცის პროვოცირება მოახდინოს. პირველი შოუ მისი მონაწილეობით, მიმდინარე წლის ივნისში შედგება. ■

მულტიმილიონერი სპორტსმენები და მათი ძვირფასი სათამაშოები

ამას წინათ, ამერიკულმა ჟურნალმა, Forbes-მა გამოაქვეყნა ასი ყველაზე მდიდარი და ცნობილი ვარსკვლავის რეიტინგი, რომლის შედგენისას გათვალისწინებული იყო არა მარტო მათი წლიური შემოსავლები, არამედ ვებ-საიტებსა და პრესაში მათ შესახებ გამოქვეყნებული მასალების რაოდენობა და აგრეთვე პოპულარული ჟურნალების ყდებსა და სატელევიზიო შოუებში მოხვედრის სიხშირე. აღმოჩნდა, რომ ამ მხრივ პირველობას არავის უთმობს პოპ-ვარსკვლავი ბრიტნი სპირსი. მეორე ადგილი კი, პლანეტის საუკეთესო გოლფისტს, ტაიგერ ვუდსს უკავია, რომელმაც შარშან, 69 მლნ დოლარი გამოიმუშავა და სატელევიზიო ეკრანზე გამოსვლის რაოდენობის მხრივაც უმნიშვნელოდ ჩამორჩა სპირსს. ისე კი, საერთოდ მდიდარ და ცნობილ პიროვნებათა ასეულში მეოთხედს სპორტსმენები წარმოადგენენ, ისინი ვინც მძიმე შრომით გამოიმუშავებენ მილიონებს. მათ შორის, რეიტინგში ყველაზე ხშირად ჩოგბურთელები და კალათბურთელები ფიგურირებენ — ექვს-ექვსი ვარსკვლავი. ასეულში აგრეთვე მოხვდნენ „ფორმულა-1“-ის კრივის, ბეისბოლის, ამერიკული ფეხბურთისა და ფეხბურთის ვარსკვლავები. ალბათ ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება ის, თუ რაში ხარჯავენ ისინი მილიონებს.



მაკილ ო'ნილის პირადი ავტოპარკი

სულ ზევით, ზევით, მაღლა და მაღლა!..

თუკი გასული საუკუნის 70-იან წლებში სპორტის ვარსკვლავებში ყველაზე დიდ ფუფუნებად წითელი Ferrari ითვლებოდა, დღეს უკვე მოდაში ოკეანის ორჩხომელებია. 90-იან წლებში სპორტსმენები ერთმანეთს ძვირფასი სასახლეებით „ეჯიბრებოდნენ“, დღეს კი, მათი სავიზიტო ბარათი საკუთარი თვითმფრინავია. ამგვარი სულისკვეთება ერთ გავრცელებულ ჰოლივუდურ ფრაზაშიც მშვენივრადაა გამოხატული: „თვითმფრინავის გარეშე არაფერს წარმოადგენ!“ ამერიკის ბიზნეს-ავიაციის ასოციაციის მონაცემების თანახმად, ამჟამად საჰაერო სივრცეს 17 ათასი კერძო თვითმფრინავი სერავს, რომელთაგანაც 50-ზე მეტი სპორტსმენებს ეკუთვნით, რაც მხოლოდ გადაადგილების საშუალებას კი არ წარმოადგენს მათთვის, არამედ განმარტოებისა და დასვენების ჩინებული ადგილიცაა. „სადაც ნამდვილად ბედნიერად ვგრძნობ თავს, ეს საკუთარი თვითმფრინავია“, — ამბობს ანდრე აგასი, რომელიც მძლავრ, 8 მილიონ დოლარად ღირებულ Aerojet-ს ფლობს. ასეთივე პატივისცემით ეპყრობა თავის ფრთოსან „მეგობარს“ მაიკლ ჯორდანიც: „როდესაც ვინმესთან საქმე მაქვს, ანდა სასიამოვნო კომპანიაში მსურს დროის გატარება, სტუმრებს თვითმფრინავში ვიწვევ, სადაც მშვენივრად ვგრძნობ თავს“. ნახევარი მილიარდის მფლობელი მაიკლ ჯორდანის Falcon 900 12 მილიონი დოლარი ღირს.

პირველად კერძო ავიატრანსპორტით გოლფისტები დაინტერესებულან. ამ მხრივ პიონერი კი, 90-იანი წლების დასაწყისში ჯეკ ნიკლასი გახდა, ეს მაშინ, როდესაც საკუთარი თვითმფრინავები მხოლოდ მსხვილი კინოკომპანიების პრეზიდენტებს თუ ჰქონდათ. ნიკლასთან ერთად „ზეცის დაპყრობა“ სხვებმაც დაიწყეს, მაგალითად, არნოლდ პალმერმა. „თვითმფრინავი ისევეა, როგორც გოლფი. ერთიც და მეორეც ერთდროულად ჩემი სამუშაოცაა და უდიდესი სიამოვნებაც“, — აცხადებს ცნობილი გოლფისტი.

კომფორტულად გრძნობს თავს ზეცაში კალათბურთელი შაკილ ო'ნილიც, რომელმაც თავისი თვითმფრინავი რეგისტრაციაში ფედერალურ საავიაციო კომისიაში გაატარა აბრევიატურით TWISM, რაც ნიშნავს: This world is mine (ეს სამყარო მე მეკუთვნის). შაკილს თვითმფრინავის ბორტზე აქვს სპეციალური ხმის ჩამწერი სტუდია, სადაც რეპ-კომპოზიციებს ქმნის ხოლმე.

ყველაზე პოპულარულ საჰაერო ხომალდებად მულტიმილიონერ სპორტსმენებში Gulfstreams (30 მილიონ დოლარად ღირებული) და 40-მეტრიანი Bombardier (37 მილიონი) ითვლება. დიდი მოთხოვნილებაა Boeing Business Jet (BBJ)-ზეც, რომელიც 35 მილიონი დოლარი ღირს. ახლო მანძილზე გადასაადგილებლად ვარსკვლავები უფრო ხშირად ვერტმფრენებს იყენებენ. მაგალითად, გოლფის ოსტატი ბრეგ ნორმანი ამის ივარაში ყოველწლიურად 5,8 მილიონ დოლარს ხარჯავს. საკუთარი საფრენი აპარატები აქვთ პიტ სამპრასს (Cessna 26 მილიონად ღირებული), მიხაელ შუმახერს (14-მილიონიანი Challenger 601 და BBJ), ევანდერ ჰოლიფილდს და ჟაკ ვილნევს. სხვათა შორის, „ზეციური ცხოვრების“ მოყვარული სპორტსმენების რიცხვს არცთუ ისე დიდი ხნის წინ რუსი ჩოგბურთელი, ევგენი კაფელნიკოვიც შეემა-

ანდრე აგასი და მაკილ ო'ნილი ლას-ვეგასში მდებარე რესტორნის — All star Cafe-ს თანამესაკუთრენი არიან



ტა, რომელმაც 6-მილიონიანი Cessna შეიძინა.

საკუთარი თვითმფრინავის ექსპლუატაცია საათში დაახლოებით 10 ათასი დოლარი ჯდება. „ცხადია, ეს სიამოვნება საშინლად ძვირი ღირს – აცხადებს ტაიგერ ვუდსი, – სამაგიეროდ, ერთი რამ ზუსტად ვიცი: ამ რეისზე აღარასოდეს დაგაგვიანდება“. ამბობენ, რომ სწორედ ამ პრივილეგიამ მიიზიდა შუმახერიც: „ფორმულა-1“-ის მომდევნო რბოლაზე მონაწილეობის მისაღებად განხორციელებული ავიარეისების გარეშე ხომ მისი კუთვნილი თვითმფრინავი საოჯახო რეისებსაც ასრულებს, თუნდაც რომელიმე ეგზოტიკურ კუნძულზე. „მფრინავი ლამაზმანის“ ანგარზე შესანახად ყოველთვიურად 250 ათასი დოლარის დახარჯვა კი, ყველას როდი შეუძლია. ამიტომაც იმავე ევგენი კაფელნიკოვმა საკუთარი Cessna ოჯარით გააქირავა და თავისუფალ დროს მისი პილოტები დამატებითაც გამოიმუშავებდნენ ფულს. სამაგიეროდ, როდესაც რუსეთის ჩოგბურთელთა გუნდი მომდევნო ტურნირზე მიეგზავრებოდა, ევგენი ყოველთვის გულისხმიერებას იჩენდა და მთელი ნაკრები საკუთარი თვითმფრინავით მიჰყავდა.

იმისათვის, რომ კარგი ფიზიკური ფორმა შეინარჩუნონ, ხშირად სპორტმენები საკუთარ თვითმფრინავებში კომფორტულ ტრენაჟორებსაც ამონტაჟებენ. უკვე დიდი ხანია, რაც „ჩიკაგო ბულზის“ კალათბურთელები, ზეცაშიც არ ისვენებენ

მაიკლ ჯორდანის რესტორანი ჩიკაგოში

და თვითმფრინავით მგზავრობის დროსაც იმაგრებენ კუნთებს.

არც ძვირფასი ავტომობილია ურიგო

ცხადია, თვითმფრინავების გარდა უმდიდრესი სპორტსმენები უახლესი მოდელის ძვირად ღირებული ავტომობილების მფლობელებიც არიან. ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ავტოკოლექციონერი ანდრე აგასი გახლავთ. ათიოდე წლის წინ იგი თითქმის ყოველი ტურნირის შემდეგ ახალ ავტომობილს ყიდულობდა. ამგვარად ჩოგბურთის ვარსკვლავმა 34 ავტომობილი შეიძინა, რომელთა საერთო ღირებულება 2,5 მილიონი დოლარი გახლავთ. კოლექციის მარგალიტებად კი, 320.000-დოლარიანი Rolls Royce-ს კაბრიოლეტი იქცა. ბრუკ შილდსზე ქორწინების შემდეგ აგასის პროფესიონალური კრიზისის ჟამი დაუდგა და მანქანებისადმი ინტერესიც საგრძნობლად გაუნელდა.

ძვირად ღირებული ავტომანქანების დიდი მოყვარულია მარტინა ჰინგისიც, რომელიც უპირატესობას Porsche-ს ანიჭებს. შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა ამ მარკის ხუთი ავტომობილი შეიძინა, რომელთაგანაც ორი ამერიკაში ჰყავს, ხოლო თითო-თითო პარიზში, ლონდონსა და ციურიხში. საინტერესოა ის, რომ მანქანის ეს მარკა მარტინას პიტ სამპრასმა შეაყვარა, რომელიც მას სარბოლო Porsche-ს ტარებას ფლორიდის ტრასებზე ასწავლიდა კიდეც.

ჩოგბურთის კიდევ ერთ ვარსკვლავ ქალბატონს, ჯენიფერ კაპრიატის Lexus-ის მარკის ლიმუზინი ჰყავს, რომელიც სპეციალური თანამგზავრული აპარატურითაა აღჭურვილი, რაც ფაქტობრივად მის მოპარვას შეუძლებელს ხდის. ეს მოდელი ამერიკელ ჩოგბურთელს 140 ათასი დოლარი დაუჯდა.

დიდი ფული „წვრილმანებშიც“ იხარჯება

დევიდ ბექჰემი ძვირფასეულობის დიდი მოყვარული ყოფილა. აი, მაგალითად, ერთხელ, იგი გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტოქშოუზე ოქრო-ვერცხლის

შვეიცარიელი ჩოგბურთელი ქალი მარტინა ჰინგისი ჭკუას კარგავს Porsche-ზე

სამკაულებით გამოცხადებულა. „მანჩესტერისა“ და ინგლისის ეროვნული ნაკრების კაპიტანს Frank Moller-ის 30-ათასიანი საათი, ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი და საყურე ამშვენებდა. მანამდე ვიქტორია ადამსმა მას Cartier-ის ოქროს საათი აჩუქა ბრილიანტის ინკრუსტაციით. ფანები ხშირად აკრიტიკებენ დევიდს ძვირფასი სამკაულებით „ქალური“ გატაცების გამო, რაზეც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი დაუფარავად აცხადებს: „ეს მე უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს“.

შაკილ ო'ნილს კი, ყველაზე დიდ სიამოვნებას თურმე დისკების ჩაწერა ჰგვრის. იგი უკვე შევიდა გინესის რეკორდების წიგნში, როგორც პირველი სპორტსმენი, რომელმაც საკუთარი მილიონი დისკი გაყიდა. შაკი არა მარტო წერს და ასრულებს სიმღერებს, არამედ თავისი ალბომების პროდიუსერიცაა. იგი ბავშვობიდან იყო გატაცებული რეპითა და ჰიპ-ჰოპით, ერთხანს კი, დიჯეის მოვალეობასაც ასრულებდა. თვით საკალათბურთო ვარჯიშზეც, მაშინ როდესაც სხვები ჩვეულებრივად ამუშავებდნენ ბურთის ტყორცნის ტექნიკას, ო'ნილი მაგნიტოფონის თანხლებით რეპის რიტმებზე ცდილობდა, შეესრულებინა ზუსტი სროლა. როდესაც ო'ნილი სპორტული ფეხსაცმლის სარეკლამო რგოლში გა-

მიხაელ შუმახერს ეგზოტიკური კუნძულების გარშემო, კომფორტული იახტებით საზღვაო მოგზაურობა უყვარს

დასაღებად მიიწვიეს, იგი ისევე გამოიყურებოდა, როგორც პროფესიონალი რეპერი. მაშინ შაკილმა MTV-ის საუკეთესო ტრადიციების მაგივრად შეასრულა ბურთით ცეკვა. NBA-ს ვარსკვლავის პირველი სინგლი, „92 ო'ნილი" 1992 წელს გამოვიდა. მაშინ შაკილი უკვე საკალათბურთო ვარსკვლავი იყო. ბოლო ათი წლის განმავლობაში „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრს ნამდვილად არ დაუკარგავს სპორტული ოსტატობა და ამიტომ მუსიკალური ბიზნესის სახით „სათადარიგო აეროდრომი" სულაც არ სჭირდება, თუმცა NBA-ს გოლიათს არაერთხელ უთქვამს, რომ კალათბურთელები უდიდესი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებიან, რის გამოც მატჩის შემდეგ დაძაბულობის მოსახსნელად ჰიპ-ჰოპი უბრალოდ, აუცილებელიცაა. მით უმეტეს, რომ ამ საქმიანობით ფულის გამომუშავებაც შეიძლება.

აქტიური კალათბურთიდან ცოტა ხნის წინ წასულმა მაიკლ ჯორდანმა თავისი განათლებისა და ინტელექტის გასაღრმავებლად 2,5 მილიონი დოლარი დახარჯა. დაქირავებული მაღალკვალიფიციური პედაგოგები სუპერმაიკლს ასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო იგი საზოგადოებაში, სად რა ჩაეცვა, რა პასუხი გაეცა ამა თუ იმ შეკითხვაზე და ა.შ. ამბობენ, რომ ასეთი სასწავლო კურსების გავლის შემდეგ, „მფრინავი მაიკლის"

ბრიტანელი დევიდ ბექჰემის განსაკუთრებულ სისუსტეს წარმოადგენს ძვირად ღირებული საათები და სამკაულები



საქმიანობა კიდევ უფრო წარმატებულად წარიმართა; ისე კი, ჯორდანმა რასაც ხელი მოჰკიდა, ყველაფრიდან დიდი მოგება ნახა. არცთუ ისე დიდი ხნის წინ მან ჩიკაგოსა და ვაშინგტონში სწრაფი კვების რესტორნების ქსელი დააფუძნა. ხოლო, როდესაც ჯორდანის ერთ-ერთი დაწესებულების სილვესტერ სტალონეს კუთვნილ „პლანეტა ჰოლივუდთან" ახლოს გახსნა დააპირეს, მსახიობმა კალათბურთელს ამ ნაბიჯის გადადგმისაგან თავის შეკავება სთხოვა. მიუხედავად ამისა, სუპერმაიკლს გადაწყვეტილება არ შეუცვლია და სლაის შეახსენა — უმჯობესი იქნება, სამართლიან კონკურენციაში გაიარკვეს ის, თუ რომელი ჩვენგანი უფრო პოპულარულიაო.

რესტორნების გარდა, მაიკლ ჯორდანი ტანსაცმლის ბიზნესსაც ეწევა. ამბობენ, რომ იგი ორიოდე წლის წინ კალათბურთს სწორედ ბიზნესინტერესების გამო დაუბრუნდა: მაიკლი კვლავ უნდა გამოჩენილიყო NBA-ის მოედნებზე, რათა მისი საფირმო სპორტული ტანისამოსი უფრო წარმატებულად გაყიდულიყო. ვაშინგტონში ჯორდანის კუთვნილი მამაკაცის ტანსაცმლის მაღაზია J-street-ის 12 ნომერში მდებარეობს, იქვე ახლოს კი, MCI Center-ია განთავსებული — სპორტული არენა, სადაც ლეგენდარული კალათბურთელის ყოფილი კლუბი, „ვაშინგტონ უიზარდზი" საშინაო მატჩებს მართავს. როგორც აღმოჩნდა, ტანსაცმლის გასაღების ტემპები მაიკლის სპორტული წარმატებების პირდაპირპროპორციული ყოფილა. „ამჯერად არა იმდენად თამაშით ვარ დაკავებული, რამდენადაც ახალი პროექტებით, რაც მე უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს", — აცხადებდა ჯერ კიდევ „ვაშინგტონ უიზარდზში" თამაშის პერიოდში ჯორდანი, რომელიც პოზიტიური იმიჯის შესაქმნელად ყოველთვის ათასგვარ საშუალებას მიმართავდა. სწორედ ამიტომ, დღეს მისი ქომაგები აღფრთოვანებით აღნიშნავენ, რომ მათი კერპი 4.000-დოლარიან სიგარებს ეწევა (ასეთ კოლოფში სულ 10 სიგარაა მოთავსებული) და თვეში 50-მდე კოსტიუმს ყიდულობს, რომელთაგანაც თითოეული 5-10 ათასი დოლარი ღირს.

ნიშანდობლივია ის, რომ ცნობილ და მდიდარ ადამიანებს ხშირად ძალიან მალე ჰბეზრდებათ ხოლმე ძვირად ღირებული „სათამაშოებით" გართობა. ამგვარად, ერთ მშვენიერ დღეს აგასი გულგრილი გახდა თავისი ძვირად ღირებული ავტოკოლექციისადმი და 30 მანქანა უმალვე მოიშორა. ყველაზე იაფფასიანი ავტომობილები მან საქველმოქმედო მიზნებს მოახმარა, ყველაზე ლამაზები ახლობლებს ჩამოურიგა, ხოლო ყველაზე მოდურები კი, სარფიანად მიჰყიდა მდიდარ კოლექციონერებს, თანაც ამით უფრო მეტი ფული იშოვა, — 5 მილიონი დოლარი, — ვიდრე ერთ დროს მათ შეძენაში დახარჯა. ასევე მოჰბეზრდა კაფელნიკოვს თავისი „ფულით გაუმაძღარი" თვითმფრინავი Cessna და გაყიდა, მის მაგივრად კი, მილიონ-ნახევარ დოლარად ოკეანის ორჩხომელი შეიძინა, რომელიც ამჟამად რუს ჩოგბურთელს მონაკოში სანაპიროზე მდებარე საკუთარ ფეშენებელურ ვილასთან ჰყავს გაჩერებული. ანალოგიურად მოიქცა დევიდ ბექჰემიც, რომელმაც მანჩესტერის ცენტრში თავისი ძველი სასახლე გაყიდა და 2,5 მილიონად ქალაქის გარეუბანში არანაკლებ დიდებული შენობა იყიდა.

ერთი სიტყვით, უფროსები ბავშვებისაგან მხოლოდ თავიანთი საყვარელი სათამაშოების ღირებულებით განსხვავდებიან... ■

ბექჰემი „ბარსელონაში"?

ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ დევიდ ბექჰემი მომავალი სეზონიდან „ბარსელონაში" იასპარეზებს. „ფორმალური საკითხები ჯერ არ მოგვარებულა, თუმცა უკვე შეიძლება ჩაითვალოს, რომ დევიდი „ბარსელონაში" ითამაშებს", — განაცხადა ცოტა ხნის წინ „მანჩესტერის" პრეზიდენტმა, პიტერ კენიონმა, რომელსაც არ დაუკონკრეტებია სატრანსფერო ფასი, თუმცა უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ კატალონიური კლუბი ალბიონელებს 40 მილიონ დოლარს გადაუხდის. მიუხედავად ამისა, დევიდის მამა, ტედ ბექჰემი მაინც ამტკიცებს, რომ მისი ვაჟიშვილი არავითარ შემთხვევაში არ დატოვებს „მანჩესტერს": „დევიდი ბავშვობიდან „მანჩესტერ იუნაიტედს" ქომაგობდა და ამ კლუბის გარეშე ცხოვრება ვერც წარმოუდგენია. ამიტომ ვერ დავიჯერებ, რომ იგი მშვიდად გადავა სხვა გუნდში. ჩემთვის დევიდი იყო, არის და იქნება „მანჩესტერის" მოთამაშე. მან მითხრა, რომ „მანჩესტერის" დატოვებას არ აპირებს. მე კი, მისი სიტყვების ყოველთვის მჯერა".



P.S. ცოტა ხნის წინ, ბექჰემის ტრანსფერთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გაიჟღერა „რეალის" სახელმა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მადრიდელებს ლუიშ ფიგუს გაცვლა სურთ დევიდ ბექჰემში, თანაც „მანჩესტერს" ფულის დამატებასაც ჰპირდებიან. როგორ ჩანს, დღეს ინგლისელი ნახევარმცველი უფრო ძვირად ფასობს პორტუგალიელზე, რასაც იმით ხსნიან, რომ დევიდი ლუიშზე ორწლინახევრით უმცროსია. ისე კი, თურმე ალექს ფერგიუსონი დიდი ხანია ოცნებობს იმაზე, რომ მის გუნდში ფიგუმ ითამაშოს.

შევამ თასი უკრაინაში ჩაიტანა

ამას წინათ, ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი, ანდრეი შევჩენკო უკრაინაში ჩავიდა და თავისი თანამემამულეების წინაშე თასით ხელში წარდგა. შევა ჯერ მშობლიური „დინამოს" სტადიონისკენ გაემართა, რომელიც ვალერი ლობანოვსკის სახელს ატარებს, შემდეგ კი, სახელოვანი მწვრთნელის საფლავი ყვავილებით შეამკო. „ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებასთან ჩვენ 1999 წელს ვიყავით ახლოს, როდესაც მე კიევის „დინამოში" ვალერი ლობანოვსკის ხელმძღვანელობით გამოვდიოდი, — განაცხადა ანდრეიმ უკრაინელ კორესპონდენტებთან საუბრისას, — ეს ჩვენი — მთელი უკრაინის ოცნება იყო. გავიდა დრო და ამ ოცნების რეალიზება მე შევძელი, თუმცა უკვე იტალიური „მილანის" მაისურით და აი, ამჟამად მასწავლებლის ძეგლთან ვდგავარ ჩემპიონთა თასით ხელში, რათა მის საფეხბურთო გენიას პატივი მივაგო".

შევჩენკომ ლიგის თასი ლობანოვსკის მიუძღვნა

— თასის კიევში ჩამოტანა ვისი ინიციატივა იყო?

— პირადად ჩემი და ეს სურვილი ჩემპიონთა ლიგის ფინალში შესრულებული პენალტის შემდეგ რამდენიმე წუთში დამებადა. კლუბის ხელმძღვანელობამ კარგად იცის კიეველი გულშემატკივრების დამოკიდებულება „მილანისადმი", ამიტომ ადრიანო გალიანიმ უკრაინაში თასის ჩამოტანის უფლება დამრთო.

— ასეთი ექსკლუზიური უფლება მხოლოდ თქვენ მოგენიჭათ?

— ცხადია, ყველა ჩემს თანაკლუბელს სურვილის შემთხვევაში თასის სამშობლოში წაღების უფლება მიეცემა. ამ საკითხთან დაკავშირებით, იტალიელებს გართულებები არა აქვთ. მაგალითად, ამბროზინის იგი მთელი დღე შინ ჰქონდა — უბრალოდ მაგიდაზე ედგა და მისი ცქერით ტკბებოდა.

— იტალიაში თქვენ მიგიჩნევენ ფინალური მატჩის მთავარ გმირად?

— ეს მთელი გუნდის გამარჯვება გახლდათ. ყოველმა მოთამაშემ შეიტანა თავისი წვლილი ამ წარმატებაში. ბედნიერი ვარ, რომ გუნდს მეც დავეხმარე გამარჯვების მიღწევაში. მით უმეტეს, რომ ეს სეზონი ჩემთვის არცთუ ისე სახარბიელოდ წარიმართა.

— ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებიდან ერთი კვირის გასვლის შემდეგ, „მილანმა" იტალიის თასიც მოიპოვა. თუმცა ამ მატჩში თქვენ არ გითამაშიათ...

— უმნიშვნელო ტრავმა მივიღე, რამაც უკვე გამიარა კიდეც. საერთოდ, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შემდეგ, რამდენიმე დღის განმავლობაში ნორმალურად დაძინება არ შემეძლო, რადგან ფსიქოლოგიურად ძალიან დაძაბული ვიყავი.

— ასეთი ტრიუმფის შემდეგ მოტივაციის გარეშე ხომ არ დარჩებით, თქვენ ხომ პირველმა შეძელით პოსტსაბჭოური სივრციდან ევროპულ საკლუბო საფეხბურთო სარბიელზე მთავარი ჯილდოს მოპოვება?

— არავითარ შემთხვევაში. მე კიდევ ერთი ნატვრა მაქვს, რომელსაც იმედია რეალობად ვაქცევ: ეროვნულ ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში მსურს. გარდა ამისა, საკლუბო დონეზეც კვლავ მინდა მივაღწიო წარმატებებს. „მილანმა" ჯერჯერობით მხოლოდ ორი თასი მოიპოვა. არადა, ჩვენ შეგვიძლია, რომ წარმატებას კიდევ სამ ტურნირში — იტალიის სუპერთასის, ევროპის სუპერთასისა და საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებებში მივაღწიოთ.

— თუ შეინახეთ სამახსოვროდ ის მაისური, რომლითაც ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში ასპარეზეთ?

— მაისური, რომლითაც ფინალში ვითამაშე, ჩემს კოლექციაში დარჩება. მას არასოდეს არავის მივცემ. აი, სათადარიგო მაისური კი, მატჩის შემდეგ „მილანის" პრეზიდენტის, სილვიო ბერლუსკონის უმცროს ვაჟიშვილს ვაჩუქე.

— ბუცები?

— ისინიც დავიტოვე, რადგან ვფიქრობ, რომ კიდევ არაერთხელ მომიტანს წარმატებას.

— საინტერესოა, როგორ გადაწყვეტთ მდგომარეობა მილანური კლუბის ბოსმა? ალბათ ყველამ დიდი პრემიები მიიღეთ?

— აი, ფული კი, ყველაზე ნაკლებად მაინტერესებს. ჩემთვის მთავარი — საყვარელი თამაშია. ცხრა წლის ასაკიდან ვთამაშობ ფეხბურთს და ამ ხნის მანძილზე ვცდილობ დახვეწას ისე, რომ სხვა ფაქტორებს ყურადღებას არ ვაქცევ. ალბათ, სწორედ ამან შემიწყო ხელი ფეხბურთელად ჩამოყალიბების პროცესში. ძნელია სიტყვებით გადმოგცეთ ის ბედნიერება, რასაც მე ამჟამად განვიცდი, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საფეხბურთო მწვერვალის დალაშქვრის შემდეგ.

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-23

მომავალ ჟურნალისტს დეა ავალიანს კანონიერი ქურდი გიგოლა გასაქანს არ აძლევს. გიგოლას სურვილს, დეას ძმა — მკვლელობისთვის გასამართლებული თემოც უბამს მხარს, რადგან მისგან დავალებულია. გიგოლა ციხეში ყველანაირად მფარველობს თემოს, აგრეთვე მას და დანარჩენ პატიმრებს ნარკოტიკებითაც ამარაგებს...

თავად დეას, ხელმოცარული ბიზნესმენი გურამ ოდიშელიძე მოსწონს. ქალიშვილის მიმართ გულგრილი არც გურამია, მაგრამ ბიზნესის ჩავარდნის გამო იძულებულია, საქართველოდან დროებით წავიდეს.

დეას, გაზულუქებული თანაკურსელი კახა ჯღარკავაც ეტორღიალება. კახას, დეას ძმის — თემოს თანაკლასელი შემოაკვდება. დეა გამომძიებელს, კახას საწინააღმდეგო ჩვენებას მისცემს, რითიც მამამისს — სკანდალურად ცნობილ პარლამენტარ გიზო ჯღარკავას გადაიკიდებს, მაგრამ საქმეში სასწრაფოდ ჩაერევა გიგოლა და ჯღარკავებს დროებით გააჩერებს.

დეას დედა ელენე, გიგოლასთან საკუთარი ოჯახის და განსაკუთრებით დეას ურთიერთობის სასტიკი წინააღმდეგია, მაგრამ ლოგინად ჩავარდნილი ქალი მალე გარდაიცვლება და დეაც მკაცრი რეალობის პირისპირ სრულიად მარტო აღმოჩნდება. თუმცა, ელენეს გარდაცვალების შემდეგ, ოჯახიდან კარგა ხნის წინ წასული დეას მამა სულხანი გამოჩნდება. დეას იმედი მიეცემა, მაგრამ თავად სულხანი, მხარში დგომისა და თანაგრძნობის ნაცვლად, ქალიშვილს, ელენეს დანატოვარი სახლ-კარის ნახევარს მოსთხოვს. აქაც საქმეში გიგოლა ჩაერევა და სულხან ავალიანს ყოფილი ცოლის სახლიდან ფეხს საბოლოოდ ამოუკვეთს.

ამასობაში რედაქციიდან, სადაც დეა სწავლის პარალელურად მუშაობს, მას მივლინებით გააგზავნიან მოსკოვში. ამას გიგოლაც შეიტყობს და მოსკოვში ჩასულ დეას, პირდაპირ თვითმფრინავის ტრაპთან დახვდება...

— შე-ენ? — თვალებს არ დაუჯერა დეამ. — კი, მაგრამ საიდან?.. როგორ?.. აქ ჩამოსვლა როდისღა მოასწარი?

— რა მოსწრება უნდა?! — ღიმილს აღარ იშორებდა გიგოლა. — მთავარია, სურვილი იყოს, თორემ... ხომ გაგიგონია — თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო...

— ნეტავ, ეს ანდაზები მაინც საიდანღა გახსენდება?!. — გაღიზიანდა დეა. — კაცს ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, თითქოს ნებისმიერი მომენტისთვის ანდაზაც წინასწარ გაქვს გამზადებული ანდა — პირიქით...

— მერე ამაში ცუდს რას ხედავ?

— არაფერს... უბრალოდ, შენი ბოლო ანდაზით თუ ვიმსჯელებთ, მე თაფლი გამოვდივარ, შენ კი — ბაღდადიდან ჩამოსული... — სათქმელი აღარ დააბოლოვა დეამ.

— თქვი, ბუზი-თქო, ნუ გერიდება! — წააქეზა გიგოლამ დეა და თან მკლავში ხელი წაავლო: — წამო, ავტობუსს მივუსწროთ, თორემ ფეხით მოგვიწევს ყანყალი...

დეა და გიგოლა უკვე დაძრულ ავტობუსს შეახტნენ და ორ წუთში, აეროპორტის შესასვლელთან აღმოჩნდნენ. უცბად, ფოიეში მომლოდინე ადამიანებს, წითელი ვარდების უზარმაზარ თაიგულში ჩაკარგული, ძალიან დაბალი და ლოტოს კოჭივით ჩამრგვალებული, ხანში შესული მამაკაცი გამოეყო, დეასთან და გიგოლასთან მკვირცხლად მიირბინა, შემდეგ დეას ლამის იატაკამდე დაუკრა თავი და თაიგული ისე მიაწოდა:

– Это вам, королева!

გაოცებული დეა ჯერ უცნობ მამაკაცს მიაშტერდა, შემდეგ გიგოლას გადახედა და ის იყო, რაღაც უნდა ეთქვა, რომ გიგოლამ დაასწრო:

— გამოართვი, ეგ ვარდები ნამდვილად შენია... აეროპორტის დაცვამ ვენები გადაიხსნა და თვითმფრინავამდე არაფრით გამომატანა, თორემ პირდაპირ ტრაპთან მინდოდა, მომერთმია...

დეამ უცნობს თაიგული მაინც უხერხულად ჩამოართვა და მადლობა თითქმის ჩურჩულით გადაუხადა.

— ეს ტოლიკაა, ჩემი მოსკოველი ძმა და მეგობარი, — მაშინვე გააცნო „ლოტოს კოჭი“ გიგოლამ დეას და შემდეგ, თავად ტოლიკას მიუბრუნდა: – Толя, познакомься, эта моя самая большая любовь.

აშკარად აღფრთოვანებულმა ტოლიკამ დეას თავი კიდევ ერთხელ დაუკრა, დეამ კი ხელი მეგობრულად გაუწოდა:

– Деа.

– Как, Как? – ჩაეკითხა ტოლიკა და თან, ხელში ცოტა ხნით შეაჩერა დეას ხელი.

– Деа, – მშვიდად გაუმეორა დეამ.

– Прекрасное имя... Просто слов нет. Я очарован... – მაშინვე ემოციებად დაიღვარა ტოლიკა, მაგრამ გიგოლამ შეაჩერა და თან, ქართულადაც შეუღრინა:

— ჰა, ეხლა!.. ძალიანაც ნუ გაუტიე!

– Ладно, ну, Гиги... Дай насмотреться на красоту!.. – მაინც არ შეეპუა ტოლიკა გიგოლას, თან, დეას ხელზეც ეამბორა და ხელი მხოლოდ ამის შემდეგღა გაუშვა.

— ბაგაჟში გაქვს რამე ჩაბარებული? — ჰკითხა მაშინვე გიგოლამ დეას.

— კი, სამგზავრო ჩანთა... არ ვაბარებდი, მაგრამ სალონში არ შემატანინეს... — თითქოს მოიბოდიშა დეამ. შემდეგ ჩანთა გახსნა, პატარა მუყაოს ნაჭერი ამოიღო და გიგოლას გაუწოდა: — აი, „ბირკაც“ მომცეს...

— მაჩვენე ერთი, — გამოართვა მუყაოს ნაჭერი გიგოლამ და ტოლიკას ჩააბარა:

– Дождись багажа, а потом догони нас!

– Будет сделано! – „ჩესტი“ აუღო ტოლიკამ.

რამდენიმე წუთის შემდეგ, გიგოლამ დეას, აეროპორტის წინ მდგარი, ქათქათა თეთრი „მერსედესის“ კარი გამოუღო.

– ეს მანქანა ვისია? – დაინტერესდა დეა.

– ჩემი, – უპასუხა გიგოლამ.

– სად მივდივართ?

– სასტუმროში.

– რომელში? არ მითხრა ახლა, ისიც ვიცი, სად გაქვს ნომერი დაჯავშნულიო?

– ვიცი – „როსიაში“. მეც იქ გავჩერდი, – მშვიდად მიუგო გიგოლამ.

– ეგ საიდანღა გაიგე?

– ბადრიმ მითხრა.

– ბადრიმ? – ყურებს არ დაუჯერა დეამ. – რომელმა ბადრიმ?

– პატარიძემ.

– როგორ?.. ბატონ ბადრის შენც იცნობ? – გაოცება ვერ დაფარა დეამ.

– კი. თანაც იმდენად ახლოს, რომ დავურეკე თუ არა, პრეზენტაციაზეც მაშინვე დამპატიჟა და სასტუმროს ნომერი კი, სულაც შენ გვერდით გამიჩალიჩა.

– კი, მაგრამ სად ბადრი პატარიძე და სად... – დაიწყო დეამ, მაგრამ მაშინვე ენაზე იკბინა.

– ...და სად ვინ? – თვალები ეშმაკურად მოჭუტა გიგოლამ.

– არა... – დაიბნა დეა. – უბრალოდ, იმის თქმა მინდოდა, რომ...

– მიდი, ნუ გერიდება, თქვი! – წააქეზა გიგოლამ. – სად სახელგანთქმული ბიზნესმენი და სად ჩემისთანა ქურდი და მამაძაღლი, ხომ?

– ჰო! – როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა დეამ, შემდეგ წელშიც საგანგებოდ გასწორდა და გიგოლას თვალი თვალში გაუყარა: – დაახლოებით...

– იცი, რა... – სახეზე კუნთები ნერვიულად აუთამაშდა გიგოლას. – ამაზე სხვა დროს ვიბაზროთ, ახლა კი, დაჯექი მანქანაში!

დამფრთხალი დეა გიგოლას უსიტყვოდ დაჰყვა. გიგოლამ მაშინვე ხმაურით მიუხურა კარი, მანქანას შემოუარა, მეორე კარი გამოაღო, თავადაც დეას გვერდით ჩაჯდა და ძრავა აამუშავა.

აეროპორტიდან გამოსვლისთანავე, დეა თვალებად იქცა, თუმცა, მანქანის ფანჯრიდან, დათოვლილი ხეებისა და მინდვრების გარდა, არაფერი ჩანდა. კარგა ხანს უსიტყვოდ იარეს. დეამ რამდენჯერმე გვერდულად გახედა გიგოლას და ისევ ფანჯრის მინას მიეწება.

– მოსკოვში პირველად ხარ? – როგორც იქნა, დუმილი დაარღვია გიგოლამ.

– კი, პირველად ვარ... – დამნაშავესავით ჩაილაპარაკა დეამ.

– ბევრი არაფერი დაგიკარგავს, – დაამშვიდა გიგოლამ.

დეამ კაცს ისევ ალმაცერად გახედა.

– მართლა, მართლა, – ისევ გახალისდა გიგოლა, – აი, პეტერბურგი მესმის! მართლა ნაღდი ქალაქია... მოსკოვს კი, რუსებიც большая деревня-ს ეძახიან.

– რა ვიცი, აბა... – მხრები აიჩეჩა დეამ. – მამაჩემი კი დღემდე მისტირის და...

– მამაშენს მოსკოვთან რა კავშირი აქვს? – გაუკვირდა გიგოლას.

– აქ სწავლობდა. МГУ აქვს დამთავრებული.

– რას მეუბნები?!. ნამდვილად არ ვიცოდი... კი, მაგრამ მაგ ჩემისას МГУ-ს დიპლომი ჯიბეში უდევს და კაპიკების საშოვნელად რაიონებში დაწოწიალებს?!. მეტი ვერაფერი მოიფიქრა?!.

– რას იზამ, – ხმა გაებზარა დეას. – ყველა შენსავით მარიფათიანი ხომ ვერ იქნება?!

– კი, მარიფათი ნაღდად არ მაკლია, – დაეთანხმა გიგოლა და თან, უცბად, საჭე ისე მკვეთრად დაატრიალა, რომ დეამ თავი ვეღარ შეიკავა და მთელი ძალით მიეხალა მხარზე, თუმცა, მაშინვე გასწორდა და მანქანის კარის სახელურს ჩააფრინდა:

– ცოტა ფრთხილად რომ იარო, არ შეიძლება?

– როგორ არ შეიძლება, მაგრამ ხანდახან ხომ ჯახაჯუხიც საინტერესოა... ჰა, შენ რას იტყვი? – თვალები ეშმაკურად მოწკურა გიგოლამ და დეას ისე გამოხედა. დეამ მის ორაზროვან სიტყვებზე პასუხის გაცემას, ისევ ფანჯარაში ყურება ამჯობინა. ამასობაში, ქალაქშიც შევიდნენ.

– მოდი, ახლა, იცი, რა ვქნათ? – დაიწყო გიგოლამ ცოტა ხნის შემდეგ.

– არ ვიცი და არც მაინტერესებს, – რაჭველივით გვიან გაბრაზდა დეა.

– მე მაინც გეტყვი, – დეას გაბრაზება არად ჩააგდო გიგოლამ. – ვაიდა, ჭკუაში დაგიჯდეს: სასტუმრო „დაბრონილი“ გვაქვს და სად გაგვექცევა?! იქ მისვლას ყოველთვის მოვასწრებთ. ამიტომ, ჯერ ერთ საინტერესო ადგილზე შევიაროთ.

– მაინც რითია ის ადგილი საინტერესო? – უნდოდ ჰკითხა დეამ.

– შენი თვალით ნახავ, – მშვიდად მიუგო გიგოლამ, შემდეგ ცენტრალური მაგისტრალიდან შედარებით ვიწრო ქუჩაზე გადაუხვია და ცოტა ხანში, მანქანა, თითქმის ქუჩის მთელ სიგრძეზე გაჭიმული, მრავალსართულიანი სახლის წინ გააჩერა. სახლის პირველ სართულზე ათასფრად აელვარებული მაღაზიის ვიტრინები მოჩანდა.

– აქ რაღა გვინდა? – დაინტერესდა დეა.

– რა და... ხვალინდელი პრეზენტაციისთვის კოსტიუმი მაქვს საყიდელი და იქნებ, შენც დამეხმარო, – უპასუხა გიგოლამ.

– მე-ე? – გაუკვირდა დეას.

– მე-ე რა, თხა ხარ? – გაეღიმა გიგოლას.

– თხაც ხარ და თხაზე უარესიც... – გაწიწმატდა დეა.

– კარგი, ჰო, ნუ ავარდი! – გაეღიმა გიგოლას. – თორემ ხომ გაგიგონია – თხა თხაზე ნაკლები, მგელმა შეჭამოსო?.. ჰოდა, ხომ შეიძლება, სამგლე სწორედ შენ აღმოჩნდე?

– ღმერთო... – თავი ხელებში ჩარგო დეამ. – ამდენი სიგიჟე მაინც, საიდან ახსენდება?!.

– წამო, წამო, გადავიდეთ, – მანქანის კარი გააღო გიგოლამ, – იქნებ, მართლა რამე სახეირო ვნახოთ...

დეამ ცოტა ხანს იყოყმანა, მაგრამ ბოლოს, მანქანიდან მაინც გადავიდა.

– საიდან დავიწყოთ? – ჰკითხა მას გიგოლამ მაღაზიაში შესვლისთანავე.

– საიდან და მამაკაცის ტანსაცმლის სექციიდან, – უპასუხა დეამ. – წელან არ თქვი, კოსტიუმი უნდა შევარჩიოო?

– ჰო, ოღონდ, შემდეგ ქალების სექციებიც უნდა ვნახოთ: ძმაკაცი შემეხვეწა – ჩემს გოგოს თითქმის არაფერი აქვს და მიშველე, რაღაცა ჩამოუტანეო.

– მაინც რა? – დაინტერესდა დეა.

– რა ვიცი, აბა... ყველაფერი: პალტო, ჩექმა, კაბა, ფეხსაცმელი... – ნელ-ნელა შეაპარა გიგოლამ.

– ჯანდაბას, მაგასაც შეგარჩევინებ, – დაყაბულდა დეა და მაშინვე საქმეზე გადავიდა: – ზომები ხომ ჩაგაწერინა?

– რა ზომები?

– ტანსაცმლის ზომები.

– ა-ა... კი ჩამაწერინა, მაგრამ ის ფურცელი სადღაც დამეკარგა. ისე, რად მინდა?! – იმ გოგოს ზუსტად შენი ზომები აქვს...

– მერე ფეხსაცმელი? – გაუკვირდა დეას.

– შენ რა ზომის ფეხსაცმელს იცვამ?

– ოცდაჩვიდმეტს, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

– ჰოდა, იმასაც ოცდაჩვიდმეტი ვუყიდოთ. თუ არ მოერგება, გაყიდოს ან გაცვალოს.

– კი, ბატონო, მე რა მენაღვლება?! – მხრები აიჩეჩა დეამ. – თუმცა, ამდენი

რამის ასე, ჰაერზე ყიდვა მაინც, ძალიან არასერიოზულად მეჩვენება.

— ის კი არ გეჩვენება, რომ ხანდახან, შენი ასაკისთვის ძალიან სერიოზული ხარ?

— მოდი რა, აირჩიე: ან ტანსაცმელი ვიყიდოთ, ან ჩემს ასაკსა და ხასიათზე გავმართოთ პოლემიკა, — იტკიცა დეამ.

— პირველს ვირჩევ, — მაშინვე შეაგება გიგოლამ...

გამყიდველმა გოგონამ გიგოლას რამდენიმე გამოსასვლელი კოსტიუმი შესთავაზა. დეამ მათგან ყველაზე სოლიდური ამოარჩია და შესაფერისი პერანგი და ჰალსტუხიც დაუმატა...

ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი გიგოლა ბევრად წარმოსადეგი და მიმზიდველი ეჩვენა დეას.

— მოგწონვარ? — ეშმაკურად შესცინა მას გიგოლამ.

— შენ წარმოიდგინე, რომ კი, — აღიარა დეამ.

— ჯერ სადა ხარ?! მალე შეგიყვარდები კიდეც.

— შე-ენ? — თვალები ჭყიტა დეამ.

— არა, ტოლიკა, — შეუღრინა გიგოლამ.

— სხვათა შორის, ეგ იდეაა, — დოინჯი შემოიყარა დეამ. — თუ ხვალ, პრეზენტაციაზე ტოლიკაც მოვა, იქნებ, საბოლოო არჩევანი მართლა მასზე შევაჩერო.

— ტოლიკას კი არა, ბადრის უთხარი და ბარემ პლეხანოველ კიკასაც დაგიპატიჟებს...

— ეგ უკეთესი იდეაა, — თემის განვითარება სცადა დეამ, მაგრამ გიგოლამ აღარ აცალა, მხარში ხელი ჩაავლო და ქალის ტანსაცმლის სექციისკენ თითქმის ძალით წააწიალა.

— ახლა კი, შენი ჯერია... შენც თავიდან ფეხებამდე უნდა შეგმოსო, — ხელების ფშვნეტით უთხრა დეას კმაყოფილმა გიგოლამ.

— მე კი არა, შენი ძმაკაცის ქალიშვილი, — დაუზუსტა დეამ.

— ჰო, პრინციპში, ეგრეა, მაგრამ თუ ძაან დიდ მაყუთში არ გადავვარდი, იქნებ, პატარა საჩუქარი შენც გიყიდო...

— ნუ შეწუხდები, მე არაფერი მჭირდება, — იუარა დეამ.

— ვითომ? — გაეღიმა გიგოლას და ჯერ დეას შეხედა, შემდეგ თვალი მის გახუნებულ პალტოს ჩამოაყოლა...

— ნეტავ, ვიცოდე, რამ გაგამხიარულა? — გაწიწმატდა დეა. — თუ ჩემი ჩაცმულობა არ მოგწონს, შეგიძლია...

— კარგი, რა, ისევ ნუ გაუტიე, — გააჩერა გიგოლამ. — ამომარჩევინე რამე და დროზე ავუსვათ აქედან, თორემ გავგიჟდი კაცი: მაღაზიებში სიარული ჭირივით მეზარება...

გიგოლას დაჟინებული მოთხოვნით, დეამ ქალის ათასნაირი ტანსაცმელი შეარჩია: პალტოთი დაწყებული და საღამოს გამოსასვლელი კაბით დამთავრებული. თან, იმასაც გრძნობდა, რომ ყოველი ახალი სამოსის ჩაცმის შემდეგ, გიგოლა მას თვალს სულ უფრო მეტი ნდომით ავლებდა. მაგრამ როგორც ყველა ქალისთვის, ახალი ტანსაცმლის მოზომება დეასთვისაც ნამდვილი სიამოვნება იყო, ამიტომაც, ცოტა ხნით მაინც, ყველაფერი დაავიწყდა და გიგოლას წინაშე, პოდიუმზე გამობრძმედილი მოდელივით დაიწყო პოზირება. გიგოლას ამაზე უკვე ქვეშ-ქვეშად ეღიმებოდა, მაგრამ თქმით, მაინც არაფერს ამბობდა. ბოლოს, მან მთელი შენაძენი მანქანამდე უსიტყვოდ მიიტანა, დეას გვერდით სავარძელში მოწყვეტით ჩაესვენა და მაშინვე ამოიგმინა:

— არა, ძმაო, მაღაზიაში ჩემი ფეხი აღარასოდეს იქნება!

— ახლა ხომ ხვდები, რა მძიმე ხვედრია ქალობა?! — ჰკითხა აშკარად კმაყოფილმა დეამ.

— შენი მოღიმარი სახის დანახვაზე კაცი ამას ნამდვილად ვერ იტყვის.

დეას სახეზე მაშინვე შეაშრა ღიმილი და დამნაშავესავით, თავი მხრებში ჩარგო:

— მართლაც, რამ ამაცეტა, რა ჯანდაბა მაცინებს?!. — უმისამართოდ იკითხა მან და თან, ნიკაპი აუკანკალდა. — მაგრამ ერთი წუთით, გულიდან მართლა ყველა დარდი გადამეყარა...

ამის შემდეგ, მანქანაში კიდევ ერთხელ ჩამოწვა უხერხული სიჩუმე, რომელიც სასტუმრომდე აღარავის დაურღვევია.

სასტუმროში გიგოლამ ყველა ფორმალური მხარე უცბად მოაგვარა, დეა თავის ნომრამდე მიაცილა და ის იყო, ეს უკანასკნელი ცივად უნდა გამომშვიდობებოდა, რომ თავად დაასწრო:

— ნამდვილი ვირი ვარ, ხომ?

— არც უმაგისობაა, — ბრაზიანად მიუგო დეამ.

— მოდი, რა, ამ ერთხელ კიდევ მაპატიე და შევრიგდეთ...

— მე შენთან არ მიჩხუბია.

— ნეტავ, გეჩხუბა. ისე მიყურებ, იარაღი რომ გქონდეს, ალბათ ეგრევე დამახლიდი.

— რომ მქონდეს — კი, — აღიარა დეამ. უცბად, გიგოლამ ქურთუკის კალთა აიწია, იღლიის ქვეშ, ტყავის სპეციალურ თასმაზე დამაგრებული პისტოლეტი დააძრო და დეას მიაწოდა:

— აჰა, დამახალე!

იარაღის დანახვაზე, დეა ნომრის კარს აკანკალებული აეკრა და თან, დაფეთებულმა აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა.

— მომაშორე! — ციებიანივით დაიჩურჩულა მან. — იარაღის დანახვაც კი მზარავს...

გიგოლამ პისტოლეტი მაშინვე შეინახა, შემდეგ დაიხარა და იქვე, კედელთან მიწყობილ, ტანსაცმლით სავსე ფერადფერად პარკებს დასწვდა:

— კარგი, მოვრჩეთ სისულელეებს. ეს ყველაფერი შენ გიყიდე. შედი ახლა ნომერში, ცოტა დაისვენე, მერე გამიპრანჭე და რესტორანში ჩავიდეთ, თორემ შიმშილით კუჭი მიხმება...

— მე შენი ნაყიდი არაფერი მჭირდება! — ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ უთხრა დეამ.

— გთხოვ, რა, არ გინდა ეგეთები... მართლა ბავშვი ხომ არა ხარ! ასე ძმაკაცის ცხვირმოუხოცავი გოგოს „შმოტკებს“ გადავყვებოდი?!. გაალე კარი, დავყრი ამ პარკებს და ჩემთან გავალ. ცოტა მეც უნდა დავისვენო, წუხელ, წუთი არ მძინებია...

— კი, ბატონო, მიბრძანდი და დაიძინე. მე კი, ჯერ ბატონ ბადრის უნდა დავურეკო და ვუთხრა, რომ უკვე ადგილზე ვარ.

— ბადრისთან უკვე დარეკილია, — დაამშვიდა გიგოლამ. — საღამოს, რესტორანში ისიც შემოგვიერთდება. კიდევ რა გაინტერესებს?

— მეტი არაფერი, — მიუგო დეამ. შემდეგ, საკუთარი ნომრის კარი ხმაურით შეაღო და თავად განზე გადგა: — მიბრძანდი.

გიგოლამ პარკები შიგნით შეიტანა და მაშინვე უკან გამობრუნდა:

— აბა, შენ იცი, უჩემოდ არ მოიწყინო, — ნიკაპქვეშ ორი თითი ამოსდო მან შემდეგ დეას.

დეამ თავი განზე გასწია, თუმცა, ენა მაინც არ გააჩერა:

— რა მართლა ტყვიანაკრავივით გამოვარდი?.. დაგეთვალიერებინა — არ გაინტერესებს, როგორი ნომერი მომცეს?

— უკვე ნანახი მაქვს. შენი ნომერი ამ სართულზე ყველას სჯობია. ისე, არც ჩემია მთლად ჩამოსაწერი. აქეთ ხომ არ მესტუმრებოდი? — ახლა საკუთარი ნომრის კარი გამოუღო გიგოლამ დეას.

— ახლა არა... — დაიბნა დეა.

— კარგი, მაშინ — დროებით, — თავი დაუკრა გიგოლამ.

საკუთარ ნომერში მარტო დარჩენილი დეა კარგა ხანს, სარგადაყლაპულივით იდგა და აქეთ-იქით იხედებოდა. მისაღები ოთახი მართლაც ჩინებულად იყო მოწყობილი. დეას ის რაღაცნაირად, შინაურულად ჩამყუდროებულიც კი ეჩვენა. უცბად, კედელთან მიდგმულ, ფართო სა-

ვარძელს მოჰკრა თვალი, მაშინვე მოწყვეტით ჩაეშვა და თავი ხელებში ჩარგო.

დეა უკვე მშვენივრად ხვდებოდა, თუ გიგოლას მათი ურთიერთობა საით მიჰყავდა, მაგრამ ამ აბეზარ ფიქრს მაინც ჯიუტად იგერიებდა და იმის იმედსაც იტოვებდა, რომ საბოლოოდ, ყველაფერი მაინც ისე იქნებოდა, როგორც თავად მოისურვებდა...

მოგვიანებით, როცა დეა მიხვდა, რომ განუწყვეტელი ფიქრით ტვინმა უკვე ხრჭიალი დაუწყო, ფეხზე წამოდგა, ცოტა ხანს ოთახში აქეთ-იქეთ იარა, შემდეგ ტანსაცმლით სავსე პარკები საძინებელ ოთახში სათითაოდ გაიტანა.

დეას ამდენი, თანაც — ასეთი ხარისხის ჩასაცმელ-დასახური ერთად არასოდეს ჰქონია, ამიტომ ყველაფერი ისევ სათითაოდ მოიზომა. ბოლოს, როცა ჯერი საღამოს კაბაზე მიდგა, ნომრის კარზე ფრთხილი კაკუნიც გაისმა. კაბის ჩასაცმელად გამზადებულმა დეამ მაშინვე პირსახოცის ხალათი შემოიცვა, ფართო საწოლზე მიმობნეული ტანსაცმელი სასწრაფოდ ისევ პარკებში ჩაყარა და მისაღებ ოთახში გავარდა. კაკუნი ისევ განმეორდა. დეა ნელ-ნელა მიუახლოვდა კარს და ხმადაბლა იკითხა:

— Кто там?

— მე ვარ, დეა... — მოისმა გიგოლას ხმა.

დეამ ხალათის გულისპირი გულმოდგინედ გაისწორა, ქამარიც უფრო მჭიდროდ შემოიჭირა, შემდეგ ნომრის კარი ოდნავ გამოაღო და თავი გაყო. ნომრის წინ ჯინსსა და მაისურში გამოწყობილი, საგანგებოდ დაბანილ-დავარცხნილი გიგოლა იდგა და იღიმებოდა.

— ხომ არ გაგაღვიძე? — მზრუნველად ჰკითხა მან დეას.

— არ-რა... — ენის ბორძიკით უპასუხა დეამ. — უბრალოდ, ის იყო, შხაპის მიღება დავაპირე და შენც დააკაკუნე...

— მიდი, მაშინ, ნუღარ მოცდები, თორემ მგონი, უკვე ისედაც ვაგვიანებთ.

— სად ვაგვიანებთ?

— ბადრიმ დარეკა, გეგმები შეგვეცვალა და პრეზენტაცია ამ საღამოსთვის გადმოვიტანეთო. ასე რომ, უნდა ვიჩქაროთ. მომზადებისთვის ნახევარი საათი გეყოფა?

— ვიმყოფინებ, — უპასუხა დეამ. — ისე, პრეზენტაციის გადატანა კიდევ გამიგია, მაგრამ გადმოტანა ნამდვილად პირველად მესმის.

— ბადრის იმდენი მაყუთი აქვს, რომ რასაც უნდა და საითაც უნდა, იქით გადაიტან-გადმოიტანს.

— კარგი, მაშინ ნუღარ მაცდენ.

დეამ კარის მიხურვა დააპირა, მაგრამ გიგოლამ ხელი დაახვედრა:

— რაღაც მინდა გთხოვო.

— მთხოვე.

— წეღან რომ ვიყიდეთ, ის საღამოს კაბა ჩაიცვი, კარგი?

— კარგი, — დაეთანხმა დეა და ამჯერად კარი ზედ ცხვირწინ მიუხურა...

პრეზენტაციაზე მისულ დეას, ბადრი პატარაძე ხაზგასმული თავაზიანობით შეხვდა და ხელზეც მოწიწებით ეამბორა, გიგოლას კი, მხარზე ხელი შინაურულად მიუტყაპუნა და ხმადაბლა გადაულაპარაკა:

— შენსას მაინც არ იშლი, ხომ, ბებერო?!.

— ჩვენ ორში უფრო ბებრის... — გაეღიმა გიგოლას.

— ისე, რავა ყველაფერი მართლა დასწრებაზეა?!. — გააგრძელა ბადრიმ, მაგრამ გიგოლა აღარ აჰყვა. მან ჯერ დეასკენ გააპარა თვალი, შემდეგ ბადრი განზე გაიხმო და რაღაც უთხრა, რაზეც ბადრიმ მაშინვე, ორივე ხელი ასწია, გიგოლას ისევ შინაურულად გადაეხვია და შემდეგ ორივე, დეასთან დაბრუნდა.

დეას, მუსიკის გუგუნში, მათი არც ერთი სიტყვა არ გაუგონია, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ამ ორი, უკვე ოდნავ სიბერეშეპარული მექალთანის გადაკრული სიტყვების ობიექტი, თავად იყო და მოიღუშა.

— წამო ერთი, ჩვენც გავერიოთ ხალხში და ბადრის ნაქები მოსკოვური ელიტაც შევათვალიეროთ, — მიუბრუნდა გიგოლა დეას და ბადრი პატარაძეს სასწრაფოდ გაარიდა...

პრეზენტაცია სწრაფად დასრულდა და ამის შემდეგ, დამსწრეთა ერთმა, შედარებით მცირე ნაწილმა რესტორანში, ათასნაირი დელიკატესით გადატვირთულ, საკმაოდ გრძელ სუფრასთან გადაინაცვლა.

როცა სტუმრები, როგორც იქნა, თავთავიანთ ადგილებზე განთავსდნენ და სკამების ხმაურიც მიწყდა, ბადრი პატარაძემ ჭიქა ასწია და თითქმის უაქცენტო რუსულით, საკმაოდ გრძელი სადღეგრძელო წარმოთქვა, საიდანაც დეამ მხოლოდ ის დაიმახსოვრა, რომ პატარაძის ახალი ფირმის სახით, მოსკოვს კიდევ ერთი საქმიანი კერა, მის მშობლიურ საქართველოს კი — ახალი „მაშველი რგოლი“ შეემატა...

— რატომ არაფერს ინიშნავ? — ირონიულად გადაულაპარკა დეას მის გვერდით მჯდარმა გიგოლამ. — ხომ თქვი — თბილისში რომ ჩავალ, ბადრიზე დიდი წერილი უნდა დავწეროო.

— ისეთ მარგალიტებს აფრქვევს, რომ პირდაპირ ტვინში ვინიშნავ, — უპასუხა დეამ.

— აბა შენ იცი, არაფერი გამოგრჩეს! — შეაგულიანა გიგოლამ. — ისე, მთელი საღამო ამ „ფულის ტომრების“ ლაყაფის მოსმენა არ გინდა?! ცოტა ხანში ხომ არ მოვტყდეთ?

— რა ვქნათ? — ვითომ ვერ გაიგო დეამ.

— გავიპაროთ-მეთქი.

— სად წავიდეთ?

— თუნდაც ჩვენი სასტუმროს რესტორანში დავსხდეთ.

— მერე, ბატონ ბადრისთან უხერხული არ იქნება?

— იცი, ბადრის საყვარელი გამოთქმა რომელია?

— რომელი?

— Неудобно спать на потолке... ჩვენ კი, მგონი, ჯერ ჭერზე ძილს ნამდვილად არ ვაპირებთ, ასე რომ — გავშპეთ აქედან, სანამ დროა.

ცოტა ხნის შემდეგ, დეამ და გიგოლამ, უკვე საკმაოდ არეული სუფრიდან მართლა ბავშვებივით დააპირეს გაპარვა, მაგრამ ბადრიმ ბოლო წუთს მათ თვალი მაინც შეასწრო და გიგოლას ანიშნა, შეჩერდიო. შემდეგ, ეშხში შესული მუსიკოსები ხელის ერთი აქნევით დაადუმა და როგორც კი სანახევროდ გაშლილი სუფრა შემლებისდაგვარად ისევ დალაგდა, ჭიქა ასწია და ამჯერად, უკვე ქართულად დაიწყო:

— ჩემო კარგებო, ჩვენს სუფრას ტოვებს ერთი მშვენიერი წყვილი, რომელსაც დღე-დღეზე, დაქორწინება აქვს გადაწყვეტილი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ანდრია ასტახიშვილი მოხუცებულობაში თავის ნახატებს შვილიშვილებს გადმოაღებინებდა და მცირე კორექტივები შეჰქონდა

ხელოვანთა ოთხი თაობის ოჯახი ახალი წარმატებების მოლოდინშია

ასტახიშვილების დიდი ოჯახი მთაწმინდაზე, დაახლოებით ერთი საუკუნის წინ აშენებულ სახლში ცხოვრობს. შენობის სიძველეს ხელოვნების მარადიულობა ასულდგმულებს. ყოველი კუთხე-კუნჭული მუსიკის ჯადოსნური ჰანგებითაა გაჟღენთილი, კედლებს კი ტილოზე გაცოცხლებული, მხატვრის უკიდეგანო ფანტაზია ამშვენებს. ამ საოცარი სახლის უმცროსი დიასახლისი ქალბატონი მარინა ჩანადირი ხელოვანთა დიდი ოჯახის ცოცხალი მატიანეა, ის სათუთად ინახავს ყოველ პრიზს, დიპლომს, ანოტაციას, ნებისმიერ რეცენზიას და სტატიას, რომელიც ასტახიშვილების შესახებ დაწერილა, ასევე სიამაყის და ბედნიერების განცდასაც, რომელსაც ნიჭიერი ადამიანების გვერდით ცხოვრება ჰბადებს.

ლელა ჭანკოტაძე

— ოჯახის უფროსი, ანდრია იაკობის ძე ასტახიშვილი დაიბადა 1902 წელს ქ. ქუთაისში, მას ბავშვობიდანვე ჰყვარებია ხატვა. განათლება ქუთაისშივე, რეალურ სასწავლებელში (სასწავლებელი, რომელიც გიმნაზიის გაუქმების შემდეგ ჩამოყალიბდა) მიუღია. მისი გადმოცემით, ეს იყო სასწავლებელი, სადაც მრავალმხრივ განათლებას ღებულობდნენ. იქ ისწავლებოდა არა მარტო ზოგადსაგანმანათლებლო საგნები, არამედ ხატვა, ფერწერა, ხაზვა და სხვა. თბილისში ხატვის გასაგრძელებლად ჩამოსულა, მაგრამ მძიმე მატერიალური პირობების გამო, იძულებული გამხდარა, მუშაობა დაეწყო. ანდრო ბაბუ (როგორც მივმართავდით მას ოჯახის წევრები) თავმდაბალი, სულით ხორცამდე ინტელექტუალი იყო. აქედან გამომდინარე, იოლად მოუძებნია ადგილი ქალაქის იმდროინდელ რჩეულ საზოგადოებაში. გარკვეული წლების შემდეგ, მხატვარი-მეთოდისტი გახდა და ჩადგა იმ საქმის სამსახურში, რომელიც უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. საქართველოში არსებული, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სახლ-მუზეუმების უმეტესი ნაწილის გაფორმებაში საკუთარი წვლილიც შეუტანია. მას გაფორმებული აქვს ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა ცნობილ ადამიანთა სახლ-მუზეუმები. თვეობით უწევდა მივლინებაში ყოფნა, მხატვარიც იყო, ექსპოზიციების მომწყობიც და შავ მუშადაც კი მუშაობდა. არაფერს თაკილობდა იმისთვის, რომ კარგი შედეგისთვის მიეღწია. საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში თითქმის ყველაფერი მისი ხელით არის გაკეთებული, ის მშვენიერი მაკეტიც, რომელიც დამთვალიერებლებზე საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა. 80-85 წლის ასაკშიც კი, მივლინებით ჩარგალში, სხვიტორში, წინანდალში, ყაზბეგსა და საქართველოს სხვა ქალაქებში დადიოდა. ბოლო წლებში, მისი ჯანმრთელობის გამო ძალიან ვწუხდი, ვთხოვდით, უარი ეთქვა შემოთავაზებულ წინადადებებზე, მაგრამ ის არ ეპუებოდა ასაკს, ჩვენს თხოვნასაც არ ითვალისწინებდა, რადგან უარს ვერ ამბობდა თავის საყვარელ საქმეზე. ახლა, მასზე მოგონებები და მისი ნამუშევრები შემოგვრჩა. მოხუცებულობაში თავის ნახატებს შვილიშვილებს გადმოაღებინებდა და მცირე კორექტივები შეჰქონდა. ძალზედ საინტერესო ტექნიკით მუშაობდა, კერძოდ — ტონიზებული პლასტილინით სიბრტყეზე ძერწავდა პეიზაჟებსა და ნატურმორტებს.

— ანდრო ბაბუს ნიჭი მის შთამომავლობებში თუ განვითარდა?

— ჩემი მეუღლეც თვითნასწავლი მხატვარია, ბავშვობიდან ხატავს, მუშაობს ხეზე, ფაიფურზე, დეკორატიულ საფარზე (ემალი, მინანქარი, გამოწვის გარეშე). მისი ნამუშევრები საბერძნეთში, იტალიაში, ამერიკასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში კერძო კოლექციებში ინახება. დათო ამჟამად ხატმწერია, მის მიერ შესრულებული წმინდა ნიკოლოზის ხატი ნარიყალაზე — წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას, ხოლო წმინდა გიორგის ხატი — სოფელ დიღომში, წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიას ამშვენებს. წმ. მარინეს სახელობის ეკლესიაში რომ შევედი, უნებურად ცრემლები წამომივიდა, როცა დავინახე, თუ როგორ ლოცულობდა ხალხი დათოს მიერ შესრულებულ ხატთან. საოცარი განცდა დაეუფლა. დათოს ერთ-ერთი პირველი ხატი იყო ღვთისმშობელი ყრმით, რომელზეც იგი დაახლოებით წელიწადი და ორი თვე მუშაობდა. აღმოჩნდა, რომ ხატი საქართველოს საზღვრებს გარეთ უნდა გასულიყო, ამისთვის კურთხევა მისცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. მან სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ ქართული ხატწერის ტრადიციები გრძელდება. არეულობის წლებში, ხალხს მძიმე გასაჭირი რომ დაუდგა, ჩვენ ხელოვნებამ გადაგვარჩინა. ჩვენდა სამწუხაროდ, უამრავი ნამუშევარი გავი-

რევო ასტახიშვილი

ტანეთ სახლიდან, რაც ალბათ ხელოვანთა ოჯახების ხვედრია.

— დათო პროფესიით მგონი, მუსიკოსია, არა?

— დიახ, პიანისტია. ფილარმონიის სოლისტი იყო, ბევრი სოლო კონცერტი აქვს გამართული. ბავშვობიდან, სპორტსაც მისდევდა, იყო საქართველოს ჩემპიონი ბადმინტონში, მაგრამ წლებმა უჩვენა, რომ მხატვრობისადმი სიყვარული მასში ყველაფერზე ძლიერი ყოფილა.

— დათოს მამა — რეზო ასტახიშვილი მუსიკოსია?

— ბატონი რეზო ფილარმონიის სოლისტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტია. მას ძალზედ ბევრი კონცერტი აქვს გამართული. არის მრავალი კონკურსის ლაურეატი. მას წვლილი მიუძღვის საფორტეპიანო ტრიოს ჩამოყალიბებაში, რომელსაც მიენიჭა „სახელმწიფო ტრიოს“ სახელი: ასტახიშვილი (ფორტეპიანო), ოქროპირიძე (ვიოლინო), ჭეიშვილი (ჩელო). ტრიოს ჰქონდა მრავალი წარმატებული გასტროლი ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ბატონ რეზოს პროფესიული ურთიერთობა ჰქონდა ისეთ ცნობილ დირიჟორებთან, როგორებიც იყვნენ: ოდისეი დიმიტრიადი, ჯემალ გოკიელი, ვახტანგ ფალიაშვილი. მათთან ერთად მრავალი სიმფონიური კონცერტი აქვს გამართული.

— თქვენი შვილები რომელ გზას გაჰყვნენ?

— მახსოვს, სამხატვრო აკადემიასთან რომ ჩავივლიდით, გეგას ვეტყოდი: აი, აქ იქნება შენი მეორე სახლი-მეთქი. ერთ დღეს მთხოვა: მოდი, შევიდეთ, დავათვალიეროთო... ამის შემდეგ, რამდენჯერაც სამხატვრო აკადემიას ჩავუვლიდით, მეუბნებოდა: აქ რომ ვხვდები, გული მიფანცქალებსო, — არადა, მაშინ სულ პატარა იყო. გეგამ სამხატვრო აკადემია დაამთავრა არქიტექტურის სპეციალობით, მიღებული აქვს ბევრი დიპლომი, პრიზი. ძალიან უყვარს თავისი საქმე, აგრეთვე — მუსიკა, უკრავს კიდეც (შეიძლება ითქვას, გეგამ ანდრო ბაბუას გზა გააგრძელა). რაც შეეხება ნათიას — მის შესახებ უკვე ბევრი დაიწერა. ის პიანისტია.

— როგორ მოხდა მისი ნიჭის გამოვლენა?

— წლის და 2 თვის ასაკიდან, ნათია უკვე ინსტრუმენტისადმი უსაზღვროდ დიდ ინტერესს ამჟღავნებდა, დაახლოებით ორი წლის ასაკში, თხუთმეტამდე ნაწარმოებს უკრავდა. მას შეეძლო, მოესმინა და თავისუფლად აეწყო მისთვის მოსაწონი მელოდიები, ინსტრუმენტთან შეხება უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. უკვე 5 წლის ასაკში, ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიაში შევიყვანეთ.

ცრემლები წამომივიდა, როცა დავინახე, თუ როგორ ლოცულობდა ხალხი დათოს მიერ შესრულებულ ხატთან

— ამბობენ, იშვიათი სმენა აქვსო...

— იცით, როგორი სმენა ჰქონდა? — ნაწარმოებს ერთ ინსტრუმენტზე რომ დაუკრავდა, მთხოვდა — როიალზეც დამაკვრევინეო (ოჯახში სამი ინსტრუმენტი გვაქვს), ამბობდა — აქ სულ სხვანაირიაო. — შემდეგ, მესამე ინსტრუმენტთან მივყავდი და ამბობდა — ესეც სხვანაირიაო. ჩვენ ვერ ვხვდებოდით, რატომ იქცეოდა ასე. შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას აბსოლუტური სმენა ჰქონდა, ჩვენი ინსტრუმენტები კი, მცირე ტონალური სხვაობით იყო აწყობილი... ხუთი წლის ასაკში, გიმნაზიაში მისალებ გამოცდაზე რომ გავიდა, პედალს ვერ სწვდებოდა, ამიტომ ფეხზე იდგა. ბახის „ავე მარია“ დაუკრა. მეოთხე კლასში იყო, როდესაც მეხუთე-მეათე კლასებისა და ტექნიკუმის მოსწავლეების კონკურსში გაიმარჯვა (აიღო I პრემია). დიდ დროს ვუთმობდი მასთან მუშაობას, ეს დიდ სიამოვნებას მგვრიდა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, კონსერვატორიაში ჩაბარა. მისი პროფესორი გახლდათ დიდი მაესტრო — ბატონი თენგიზ (გიზი) ამირეჯიბი, რომელმაც ნათიას ცხოვრებაში ძალიან დიდი როლი შეასრულა.

— კონკურსებში თუ მონაწილეობდა ნათია?

— იმ წელს, საშინელი ზამთარი იყო — უშუქობა, უგაზობა, სიცივე. ასეთ მძიმე პირობებში მოუწია მომზადება კონკურსისთვის (ფ. შოპენის სახელობის), რომელიც გერმანიის ქალაქ გიოტინგენში ჩატარდა. მიუხედავად ასეთი პირობებისა, მან 22 ნაწარმოები სამ თვეში ისწავლა და ლაურეატი გახდა. კონკურსის საზეიმო დახურვაზე, ერთ-ერთმა გერმანელმა მუსიკოსმა ნათია მიიწვია სოლო კონცერტით გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში. იქ გამართული კონცერტი პირდაპირი რადიოეთერით გადაიცა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. გამოვიდა აგრეთვე კომპაქტ-დისკი მისი სოლო კონცერტის ჩანაწერით. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ნათია მოღვაწეობდა ესპანეთში, იქ უამრავ საკონცერტო დარბაზში დაუკრა, მათ შორის — მადრიდის „ესკორიალის“ ცნობილ დარბაზში. 6 თვის შემდეგ დაბრუნდა თბილისში, სადაც ასევე მართავდა კონცერტებს. ამჟამად, ნათია ამერიკაშია, გაფორმებული აქვს ხელსაყრელი კონტრაქტი. ჰქონდა რამდენიმე კონცერტი. გამოსაცემად მზადდება კომპაქტ-დისკი მისი სოლო კონცერტის ჩანაწერით. იქ ნათიას ყურადღება მიაქცია ისეთმა დიდმა მოღვაწემ, როგორიცაა ფრანკო იგლესიასი — უცნობილესი მომღერლის, პლასიდო დომინგოს მაესტრო. მან თავის სამუსიკო სტუდიაში მიიწვია კონცერტმეისტერად. Great Maestro — ასე მიმართავს ფრანკო იგლესიასი ნათიას და იმედოვნებს, რომ სულ მალე, „მეტროპოლიტენ-ოპერისკენ“ გაუკვლევს გზას. ასე რომ, ასტახიშვილების ოჯახი კიდევ ერთი დიდი წარმატების მოლოდინშია... ■

Great Maestro — ასე მიმართავს ფრანკო იგლესიასი ნათიას და იმედოვნებს, რომ სულ მალე, „მეტროპოლიტენ-ოპერისკენ“ გაუკვლევს გზას

Chrysler-ი ტრადიციების აღორძინებას მისდევს

ნიუ-იორკის წლევანდელ ავტოსალონზე, კორპორაცია DaimlerChrysler დამთვალიერებელთა სამსჯავროზე გამოიტანა წარმომადგენლობითი კლასის სედანი Chrysler 300C. თუმცა მანქანა ჯერ მხოლოდ ექსპერიმენტული მოდელის (კონცეპტ-ავტოს) სახით არსებობს, კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ მისი სერიული წარმოება და გაყიდვა უკვე 2004 წელს დაიწყება. Chrysler 300C კლასიკური ამერიკული ავტომანქანის ნამდვილი ნიმუშია – ის მასიური და ძლიერია, ამასთანავე, ვრცელი, ხალვათი სალონი აქვს. კონცეპტის სიგრძე 5 მ-ს, სიმაღლე – 1,48 მ-ს აღწევს. თითქმის ასეთივე გაბარიტებით გამოირჩეოდა 50-იანი და 60-იანი წლების ე.წ. „საგზაო კრეისერები". ბუნებრივია, რომ „კრაისლერი" უკანაამძრავიანია. კონსტრუქტორთა თქმით, ეს უზრუნველყოფს ბორბლებზე დატვირთვის თანაბარ განაწილებას, თანამედროვე ელექტრონული სისტემები კი (ABS, ESP და სხვა) – მართვადობის უმაღლეს დონეს, რომლითაც წინაამძრავიანი ავტომობილები გამოირჩევა.

Chrysler 300C აღჭურვილია 8-ცილინდრიანი, V ტიპის ბენზინის ძრავათი, რომლის სამუშაო მოცულობა 5,7 ლ-ს შეადგენს. მისი სიმძლავრე ჯერჯერობით, კორპორაციის საწარმოო საიდუმლოდ რჩება; როგორც საკონსტრუქტორო ქვედანაყოფის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ერიკ რიდენურმა განაცხადა, ის მნიშვნელოვნად აღემატება 300 ცხ.ძ-ს.

ახალი სედანის გარეგნული თავისებურებებია: გრძელი კაპოტი, მოკლე საბარგული და მასიურცხაურიანი, „მძიმე" ცხვირი. რადიატორის ასეთი ცხაური პირველად გაჩნდა კონცეპტუალურ მოდელზე – Chronos, რომელიც პირველად, 1998 წელს იქნა გამოტანილი ავტომოყვარულთა სამსჯავროზე. Chrysler 300C-ს სალონი ძვირად ღირებული მასალებითაა გაწყობილი – ისე, როგორც ეს წარმომადგენლობითი კლასის სტანდარტებს შეეფერება. ბუნებრივია, კონსტრუქტორებს არც ფუნქციურობის პრობლემა დავიწყნიათ: უკანა სავარძელი იკეცება და საჭიროების შემთხვევაში, საბარგული მსხვილგაბარიტიან საგნებსაც დაიტევს.

რაც შეეხება საწარმოო მხარეს – Chrysler 300C-ს მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს ამერიკული: მისი კვანძებისა და ნაწილების მთელი წყება გერმანიაშია დამზადებული, მათ შორისაა: 5-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფი, საჭის მექანიზმი, სავარძლები და ელექტრონიკა. ცხადია, ამ გერმანულ-ამერიკული კოოპერაციის შედეგად, მოგებული უპირველესად, მომხმარებელი დარჩება. ■

ჯლასიკოსი და ექსპრესი BMW-საგან

ივნისის დამლევისთვის, გერმანული კონცერნი BMW, თავისი საწარმოო გეგმის შესაბამისად, როდსტერის – Z8-სა და სპორტული სედანის – M5-ის გამოშვებას შეწყვეტს. წარსულს ჰბარდება მართლაც ისტორიული საავტომობილო მოდელები. როგორც ცნობილია, Z8 „კინოგმირადაც" კი იქცა – ის ხომ ჯეიმს ბონდის შესახებ გადაღებულ სერიალებშია დაფიქსირებული. Z8-ს მცირე პარტიებით აწარმოებდნენ – მისმა საერთო რაოდენობამ 5700 ცალს მიაღწია. როდსტერის ბოლო ფასი 127.000 ევროს შეადგენდა. რაც შეეხება ჩქაროსნულ სედანს – M5-ს, მისი დებიუტი 1998 წელს შედგა, ბოლო ფასმა კი 75.500 ევროს მიაღწია. სულ 20500 M5 გამოვიდა – გაცილებით მეტი, ვიდრე ამავე მარკის წინამორბედი მოდელი, რომელსაც 1984–1987 წლებში აწარმოებდნენ. Z8-სა და M5-ს კაპოტქვეშ ერთი და იგივე ძრავა აქვს ჩადგმული: 8-ცილინდრიანი, 5 ლ სამუშაო მოცულობის, 400 ცხ.ძ-ის სიმძლავრის აგრეგატი 100 კმ/სთ სიჩქარეს, Z8-ზე – 4,7 წმ-ში, ხოლო M5-ზე – 5,3 წმ-ში ავითარებს. ელეგანტური დიზაინის გამო, როდსტერს „მომავლის კლასიკოსს" ეძახიან, სპორტული სედანი კი, ერთ-ერთი ინგლისური ჟურნალის თაოსნობით, „საქმიანი კაცის ექსპრესად" მონათლეს. ■

„ელეგანტურობის კონკურსი" ტბის პირას

იტალიაში, კომოს ტბის პირას გაიმართა ტრადიციული, „ელეგანტურობის კონკურსი", რომელზეც წარმოდგენილი იყო მსოფლიოს წამყვან საავტომობილო დიზაინერთა ექსკლუზიური ნამუშევრები და ე.წ. ოლდტაიმერები (ძველი მოდელები). 20-იანი და 30-იანი წლების ევროპაში ეს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული კონკურსი იყო. მისი აღორძინება კი, მნიშვნელოვანწილად, გერმანული კონცერნის – BMW-ს დამსახურებაა.

ძარების ატელიემ – Giugiaro/Italdesign – წარმოადგინა მოდელი Moray, რომელიც სახელგანთქმული ამერიკული ავტომობილის – Chevrolet Corvette-ის მოტივებზე შეიქმნა (წლევანდელ ზაფხულში, მის 50 წლისთავს აღნიშნავენ). საავტომობილო დიზაინის მეორე იტალიურმა ჯადოქარმა – ფირმა Bertone-მ მაყურებელთა სამსჯავროზე გამოიტანა კუპე Birusa, რომელიც გარეგნულად BMW Z8-ს ჰგავს.

სხვა ექსპონატებიდან ყურადღებას იპყრობს: კუპე Alfa Romeo G. C. და Barchetta Rosselini. ეს უკანასკნელი, Ferrari-ს პლატფორმაზეა აგებული.

ავტოანტიკვარიატის ნიმუშებს შორის უდავოდ გამორჩეული იყო ექსკლუზიური მოდელი – 1928 წელს გამოშვებულ Lincoln Double Phaeton, რომელიც საკუთარი ფარეხიდან გამოიყვანა და კონკურსის ორგანიზატორთა განკარგულებაში გადასცა მონაკოს თავადმა რენიე მესამემ.

ავტორიტეტული ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ: კომპანია Renault-ს მთავარი დიზაინერი პატრიკ ლე კუმენი, გუდვუდის ავტორბოლების ორგანიზატორი, ლორდი ჩარლზ მარჩი და „ელეგანტურობის კონკურსის" ორგანიზატორის, იტალიური სადიზაინერო ფირმა Carozzeria Touring-ის თავკაცი კარლო ფელიჩე ბიანკი ანდერლონი. ■


Rolls Royce Phantom II

ოთთვლიანი „მეომარი" იაპონიიდან

ფირმა Yamaha-მ ბაზარზე ახალი მოტოციკლეტი – Yamaha Road Star Warrior 1700 გამოუშვა. ის თითქმის 2 მ სიგრძისაა და 300 კგ-ს იწონის. ახალი „იამაჰა" 2-ცილინდრიანი, V ტიპის, საჰაერო გაცივების ძრავათია აღჭურვილი. მისი სამუშაო მოცულობა 1670 კბმ, სიმძლავრე კი – 85 ცხ.ძ-ა; 220 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს. ჩარჩო ალუმინისგანაა დამზადებული, ამორტიზატორები კი, იშვიათი ბალანსით გამოირჩევა. იაპონელ კონსტრუქტორთა შრომის ერთ-ერთი მთავარი შედეგი, საკმაოდ მძიმე მოტოციკლეტის საუცხოო მართვადობაა, რომლითაც ის ყველაზე ექსტრემალურ სიტუაციებშიც გამოირჩევა. უსაფრთხოებას უზრუნველყოფს ძალზედ ეფექტური მუხრუჭები, რომელსაც ეს მოდელი სპორტულ Yamaha R1-ს დაესესხა. ზოგიერთმა ექსპერტმა ახალი მოდელი, ამერიკულ სამხედრო სუპერყველგანმავალ „ჰამერსაც" კი შეადარა. მსგავსება მათ სახელებსაც აქვს: Warrior ინგლისურად მეომარს ნიშნავს. ბოლოს დავძენთ, რომ მოტოციკლეტს ფასიც სოლიდური აქვს – ევროპაში ის 16.300 ევროდ იყიდება. ■

როცა რომელიმე ამერიკულ ბესტსელერს ვკითხულობდი, ან სულაც მძაფრსიუჟეტიან ფილმს ვუყურებდი, ყოველთვის ისეთი განცდა მქონდა, რომ მძაფრი მომენტები მწერლის თუ რეჟისორის ფანტაზიის ნაყოფი იყო და მეტი არაფერი. თურმე, არც ასე ყოფილა საქმე. როცა საკუთარ თავზე გამოვცადე, თუ რა შეიძლება შეემთხვეს სრულიად უდანაშაულო ადამიანს ასევე სრულიად შემთხვევით, ჩემი წარმოდგენა წიგნებსა თუ ფილმებში მოთხრობილ ამბებზე კარდინალურად შეიცვალა. არადა, როგორია, მიდიხარ შენთვის წყნარად, ვიღაც ამერიკელ ზანგს „ემსახურები“ — მისი ავეჯი გადაგაქვს სატვირთო მანქანით და ამ დროს... ჰოპ, პოლიცია გესხმის თავს და შენი სავარძლის ქვეშ ნახევარ კილოგრამ ოპიუმს „პოულობს“, ოპიუმს, რომელიც მხოლოდ ფილმებში თუ გინახავს...

ამერიკის ციხე და... თავის დაღწევის პირველი იმედი

აკაკი გეგენავა

ასე მოვხვდი ამერიკულ საპყრობილეში, საიდანაც, მეც არ ვიცი, ვისი ან რისი იმედი უნდა მქონოდა, რომ გამომეღწია...

ერთი ძველებური, ძველბიჭური თუ ქურდული სიმღერა ამეკვიატა და მეც უდარდელის ნიღბით ვღიღინებდი: „ციხეს რად უნდა რკინის კარები, მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდები“... შუშაბანდებს მართლა ვნატრობდი, რადგან ციხიდან გამოსვლის ყოველგვარი გზა ამომეწურა. ჩემს სიმართლეს ფაქტებით ვერ ვადასტურებდი. გამომძიებელი კი მიხვდა, რომ მე არაფერ შუაში ვიყავი, მაგრამ რად გინდა, არანაირი დოკუმენტი არ მქონდა, რითიც ჩემს სიმართლეს დავამტკიცებდი. არც მოწმე მყავდა და... ადვოკატის აყვანაზე ხომ ოცნებაც არ შემეძლო...

სასამართლოს მოლოდინში — ოლბანის სახალხო ციხე

დიმა ბაზელიც, ამერიკაში შეძენილი ახალი მეგობარი მთელი სამი კვირა არ გამოჩენილა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ აღარავის ვჭირდებოდი, რომ ყველამ მიმატოვა და რომელიღაც უკაცრიელ კუნძულზე თუ სულაც უკაცრიელ სამყაროში მარტოდმარტოს უნდა გამეკვლია გზა...

საპყრობილეში უამრავ პატიმართა შორის მეც ერთ რიგით, უსახურ წერტილად ვიქეცი, რომელიც ახლა „არავინ“ იყო, სრულიად არავინ!

ყოველივე ამის დაჯერება, დამეთანხმებით ალბათ, რომ ძალიან ძნელი იყო... თუმცა, პირველი მოულოდნელობების და შეხლა-შემოხლის შემდეგ (რომელსაც ჩემი თავის გატეხაც მოჰყვა), მივხვდი, რომ ფარ-ხმალის დაყრას არ ვაპირებდი და ბოლომდე ვიბრძოლებდი ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად...

თავის გატეხის შემდეგ ორ კვირაზე მეტი ციხის საავადმყოფოში დავყავი. თავდაპირველად, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ დიმა ბაზელი, ჩემი ყოფილი დიასახლისის, დეიდა თამარას სიძის, ნიკის დახმარებით ადვილად შეძლებდა ჩემს გათავისუფლებას. მაგრამ ხომ გაგიგიათ, კაცი ბჭობდაო...

ერთ მშვენიერ დილას წინასწარი დაკავების საკანში ბადრაგი დამადგა თავს, თანაც სამკაციანი ჯგუფი. ეტყობა, მაგარი ჩხუბისთავის რეპუტაცია მქონდა უკვე მოპოვებული.

ბადრაგის წევრებმა განმიმარტეს, რომ ნიუ-იორკის შტატის ციხეში გადამიყვანდნენ.

— კი მაგრამ, ჯერ სასამართლო არ ყოფილა და ციხეში რისთვის მიგყავართ?! — გამოვთქვი პროტესტი.

— ჩვენ მხოლოდ ბრძანებას ვასრულებთ და არავითარ განმარტებებს არ ვიძლევით! — ცივად მიპასუხა ერთ-ერთმა ოფიცერმა.

— იცით თუ არა, რომ ამით თქვენ სასტიკად არღვევთ ადამიანთა უფლებებს?!. — გამახსენდა, რომ ამერიკაში ადამიანთა უფლებების დაცვას განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან.

— მოკეტე ახლა და შენი უფლებები იქ დაიცავი, სადაც მიგაბრძანებთ!.. — ისე დამიბრიალა თვალები ოფიცერმა, რომ მივხვდი, თუნდაც კედელი გამენგრია, ყურადღებას არავინ მომაქცევდა — ბრძანებას უსიტყვოდ უნდა დავმორჩილებოდი.

ჩემს იმედგაცრუებას ისიც დაემატა, რომ ოფიცრებმა სატვირთო მანქანის ძარაზე პირდაპირ შემაგდეს და თავი მოულოდნელად მოძრავ საკანში ამოვყავი, რომელშიც მზის სხივი კი არა, სულ პატარა სინათლეც კი არ აღწევდა...

ალბათ ორ საათზე მეტი ვიარეთ. მანქანა რკინისჭიშკრიან ეზოში შევიდა. ხმაურით გაიღო ჩემი საკნის კარი და სინათლეს თვალმიუჩვეველი, ლამის დავბრმავდი...

მოკლედ, ნიუ-იორკის შტატის ერთ-ერთი ადიმინისტრაციული ცენტრის, ქალაქ ოლბანის სახალხო ციხეში ამოვყავი თავი.

... ჩემს ამერიკულ ცხოვრებაში პატიმრობის პერიოდი იწყებოდა.

ამერიკაში სამი სახეობის საპატიმროა — ფედერალური, სახალხო და საიმიგრაციო.

ფედერალურ ციხეში ე.წ. ინტელექტუალური დამნაშავები — ბანკირები, სახელმწიფო მოხელეები, ჩინოვნიკები სხედან, რომელთაც ბრალი ედებათ დიდი ოდენობით თანხის გატაცება-მითვისებაში, ასევე ისინიც, ვინც სახელმწიფო საიდუმლოება გასცა...

სახალხო ციხეში ჩვეულებრივი პატიმრები სხედან — ასევე ჩვეულებრივი კრიმინალური დამნაშავეები...

საიმიგრაციო ციხეში კი ხვდებიან უცხოელები, რომელთა დასჯის უმაღლესი ზომა დეპორტაციაა — ე.ი. ქვეყნიდან გასახლება...

ჩემდა გასაოცრად, საიმიგრაციოს ნაცვლად, სახალხო ციხეში მიმიყვანეს, საიდანაც ალბათ სამშობლოს კარგა ხანს

ველარ ვიხილავდი...

ადმინისტრაციულ კორპუსში საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება გავიარე. თავიდან ბოლომდე გამაშიშვლეს და ისე მათვალიერებდნენ, თითქოს ადამიანის ანატომიას ჩემს სხეულზე სწავლობდნენ ან სულაც უცხოპლანეტელი ვიყავი... ჩემს ტანსაცმელს დეზინფექცია გაუკეთეს და ისე დამიბრუნეს – კარგა ხანს ქლორის თუ ტარაკნების წამლის სუნი უდიოდა ყველაფერს... თან რკინის ფირფიტა ჩამომკიდეს, რომელზეც ჩემი პირადი ნომერი ეწერა – 196647. ეს შენი ნომერია და კარგად დაიმახსოვრეო, გამაფრთხილეს, ამ ნომრით გამოგიძახებთო.

ნომერი იოლად დავიმახსოვრე. ალბათ იმიტომ, რომ პირველი ოთხი ციფრი ჩემი დაბადების წელს ემთხვეოდა, ბოლო ორი კი იმ სკოლის ნომერი იყო, რომელშიც თბილისში ვსწავლობდი... მაგრამ ამ ფირფიტამ კიდევ ერთხელ შემაჯახა მწარე სინამდვილეს. თუმცა, იხტიბარი მაინც არ გავიტეხე და ისევ ადამიანის უფლებების დარღვევაზე დავიწყე საუბარი. ეტყობა, ჩემმა ბუზღუნმა და საყვედურებმა შედეგი გამოიღო და ერთ დღესაც ციხის უფროსის მოადგილის კაბინეტში შემიყვანეს. ციხის უფროსის მოადგილე ხანში შესული, მკაცრი გამომეტყველების მამაკაცი აღმოჩნდა. მან უცერემონიო და მშრალი ტონით გამომიცხადა: „ახალგაზრდავ, ჩემმა თანამშრომლებმა მომახსენეს, რომ ადამიანთა უფლებების დარღვევაში გვდებთ ბრალს. იქნებ, მეც განმიმარტოთ, რაშია საქმე!..“

ასეთ სიმკაცრეს (რაც პირველ რიგში მისი გამომეტყველებიდან ჩანდა) მართლაც არ მოველოდი და თავიდან ლამის ენა ჩამივარდა, ხმა ვერ ამოვიღე. ცოტა ხანში კი, ძალა მოვიკრიბე და ომახიანად გამოვთქვი ჩემი პრეტენზია:

– სასამართლო ჯერ არ ყოფილა და ასე პირდაპირ ციხეში რატომ მომიყვანეთ?

– ახალგაზრდავ, ჩვენ მხოლოდ პროკურორის ბრძანებებს ვასრულებთ და თქვენი პრეტენზია შეგიძლიათ, მას წარუდგინოთ. რაც შეეხება სასამართლოს, იგი აუცილებლად გაიმართება და თქვენი ბედიც გადაწყდება (რამდენადაც ვიცი, კარგს არაფერს უნდა ელოდოთ!). მანამდე კი, გინდათ თუ არ გინდათ, ჩვენთან მოგიწევთ ყოფნა... – ამჯერად უკვე მშვიდად განმიმარტა ციხის უფროსის მოადგილემ.

– ახლობლებთან დარეკვა მინდა, მოვითხოვე და უარი მივიღე... – გამახსენდა, გუშინ რომ ერთ-ერთ ზედამხედველს ავუხირდი.

– აი, მაგას კი ვერ შეგისრულებთ!.. თქვენი საქმე ძიებაშია და რამდენადაც მე ვიცი, საკმაოდ მძიმე დანაშაულში გედებათ ბრალი!

– აბა, რა უნდა ვქნა, ვის მივმართო!.. – ეს უკვე სასოწარკვეთილმა წამოვიძახე.

– არავის, მაგრამ მერწმუნეთ, ამერიკის კანონმდებლობა უსამართლოდ არავის დასჯის, დაელოდეთ სასამართლოს... – ბოლო ფრაზა უკვე დაზეპირებულივით წარმოთქვა და მივხვდი, რომ ლაპარაკის (მით უფრო, კამათის) გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა.

ყურებჩამოყრილი გამოვედი ციხის ჩინოვნიკის კაბინეტიდან. რაღას ვიზამდი, დინებას უნდა მივყოლოდი, რომელიც კაცმა არ იცის, რომელი უფსკრულისკენ მიმაქანებდა. მართალია, მშიშარა არა ვარ, მაგრამ ამჯერად ისე უსუსურად ვიგრძენი თავი, რომ სულ ერთიანად ავკანკალდი, უიმედობა მომეძალა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო – უცხო ქვეყანაში, თანაც ამერიკაში, სრულიად მარტო აღმოვჩნდი და თანაც – ციხეში, საიდანაც, უბრალოდ, იქვე დარეკვის უფლებასაც არ მაძლევდნენ, თორემ თბილისში დარეკვაზე ხომ ოცნებაც არ შეიძლებოდა...

ასე აღმოვჩნდი ჩაკეტილ სივრცეში (თუ წრეში, თვითონაც არ ვიცი), საიდანაც არავითარი გამოსავალი არ ჩანდა...

Здраствуй, земляк!..

ადმინისტრაციული შენობიდან ამჯერად ერთ ზედამხედველს მივყავდი. არც ხელბორკილი მეკეთა და რომ არა გულზე დაკიდებული ნომრიანი ფირფიტა, შემეძლო თავი ცოტა ხნით მაინც თავისუფალ ადამიანად წარმომედგინა. არადა, თავისუფლების ფასს თურმე ყველაზე მეტად ციხეში გრძნობ კაცი...

ძირითად დარბაზში შევედით. მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, სად ციხე და სად დარბაზი, მაგრამ დამერწმუნეთ, მართლაც ასე იყო. მე ციხე უზარმაზარ დარბაზად აღვიქვი, რომლის შუაში რკინის მაგიდები იდგა, გარშემო შემომსხდარი ოფიცრებით. დარბაზის განაპირა მხარეებზე სტანდარტული გისოსებიანი საკნები ჩაემწკრივებინათ. პირველი შეგრძნება აქ მოსვლისას ისეთი იყო, თითქოს ფეშენებელურ ზოოპარკში მოვხვდი. ზოოპარკში, სადაც საშინელი მტაცებელი ცხოველები იყვნენ გამომწყვდეულნი... და მე მათი დათვალიერება უნდა დამეწყო... სამწუხაროდ, სულ მალე მეც „მტაცებელ ცხოველთა“ რიგებში ჩამწერეს და გალიაში გამომაწყვდიეს.

თავდაპირველად, როცა ოფიცერთან ერთად ამ დარბაზში შევედი, ყრუ გუგუნმა ლამის სმენა წამართვა. გალიების ბინადარნი ახმაურდნენ... მაგრამ ხმაური მაშინვე შეწყდა, როგორც კი შუა დარბაზში მსხდომ ოფიცრებს მივუახლოვდი, უფრო მეტიც – სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო – პატიმართა საკრებულოს ახალი წევრი ემატებოდა... ჩემი სახით! ვგრძნობდი, როგორ მომჩერებოდა გისოსებიდან მრავალი წყვილი თვალი...

უსიამოვნოდ გამაჟრჟოლა. გალიაში გამომწყვდეული „ცხოველები“ ნადირის გუმანით მამოწმებდნენ.

– თეთრკანიანთან გინდა საკანში თუ შავკანიანთან? – მკითხა ახმახმა ოფიცერმა, რომელმაც ჩემი ნომერი დავთარში ჩაინიშნა.

– თეთრკანიანთან, რა თქმა უნდა! – რიხიანად ვუპასუხე იმით გახარებულმა, რომ ჩემი სურვილის მიხედვით მირჩევდნენ „პარტნიორს“.

– ჰოდა, მიგაბრძანებთ შავკანიანთან!.. და შენი ხმა არ გავიგო!.. – ეს უკვე მუქარა იყო, მაგრამ იმდენად ვიყავი შეჩვეული ოფიცრებისგან უხეშ დამოკიდებულებას, რომ ყურადღება აღარ მიმიქცევია. ხმის ამოუღებლად დაველოდე მოვლენათა განვითარებას.

ოფიცერმა რაღაც ქაღალდზე მომაწერინა ხელი (წესიერად არც დამიხედავს და არც წამიკითხავს), გასაღებების ასხმულა აიღო და მანიშნა – გამომყევიო. მეორე სართულზე ავედით. წინ ოფიცერი მიდიოდა, უკან მე მივყვებოდი, მორჩილად, ბედს შეგუებული. თანაც, ეტყობა, ძალიან დაბნეული და დამფრთხალი სახე მქონდა. საკნებს რომ გვერდს ჩავუვლიდით, პატიმრები რეპლიკებით მავსებდნენ. უმეტესობა დამცინოდა, ერთი ნაწილი კი თანამიგრძნობდა კიდეც. ჩემი სახით გისოსებს მიღმა მყოფ ადამიანებს გასართობი გაუჩნდათ... ისინიც არ მალავდნენ ემოციებს... ასე ვიქეცი უნებლიე სპექტაკლის მთავარ გმირად...

როგორც იქნა, მივაღწიეთ „ჩემს“ საკნამდე. ოფიცერმა დამცინავად გადმომხედა, გასაღებების ასხმულა შეათამაშა, თვალის დახამხამებაში იპოვა საჭირო გასაღები და გისოსიან კარს მოარგო. კარი ხმაურით გაიღო, ოფიცერმა მიბრძანა, შედიო და... როგორც კი ფეხი შევდგი საკანში, კარი მაშინვე ხმაურით მომიჯახუნა, ცოტაც და, რომ არ მემარჯვა, ზურგში მომხვდებოდა...

საკანი ორადგილიანი იყო. „პარაშა“ და პირსაბანი ერთ კუთხეში იდგა და არცთუ ისე უწესრიგოდ გამოიყურებოდა... თავდაპირველად მეგონა, რომ მარტო ვიყავი, მაგრამ როცა თვალი სიბნელეს შეეჩვია, შევამჩნიე საწოლზე წამოწოლილი შავკანიანი მამაკაცი. ეტყობოდა, რომ შუახანს კარგა ხნის გადაცილებული იყო, თეთრი წვერი ჰქონდა და მის მიმართ ერთგვარი მოკრძალების გრძნობა გამიჩნდა.

— გამარჯობათ! — ხმამაღლა დავიძახე.

არავითარი რეაქცია. თეთრწვერიან ზანგს ჩემკენ არც გამოუხედავს.

— გამარჯობათ! — ახლა უფრო ომახიანად წარმოვთქვი. ვიფიქრე, ვაითუ, ვერ გაიგონა-მეთქი, წეღანდელი მისალმება.

— რა გაყვირებს, ყრუ კი არა ვარ!.. — წაიბუზღუნა წვეროსანმა და კედლის მხარეს გადაბრუნდა.

... ასე გავიცანით ერთმანეთი!

ოთახში, უკაცრავად, საკანში საწოლების გარდა პატარა მაგიდა იდგა, ორი ალუმინის (უფრო რკინისას ჰგავდა) თეფშით, ასეთივე კოვზითა და ტოლჩით. იქვე ინგლისურ ენაზე გამოცემული „ბიბლია“ იდო. მაგიდის ზემოთ, კედელზე გაკრული იყო ღვთისმშობლის ხატი და კათოლიკური ჯვარი.

საწოლზე ჩამოვჯექი. ჩემდა გასაოცრად, საკმაოდ კომფორტული გახლდათ — რბილი ლეიბიც ეფინა და თბილი საბანიც... ჩემი საწოლიდან დარბაზის მოპირდაპირე მხარეს განლაგებული საკნებიც ჩანდა. აქედან შეგეძლო დაგენახა, რას აკეთებდნენ პატიმრები. მეც, მეტი რა საქმე მქონდა და ერთხანს მათი თვალიერებით გავერთე — ზოგი წამოწოლილიყო, ზოგიც ბოლთას სცემდა, ზოგი ჩხუბობდა და ზოგიც კიდევ ჩემსავით ცნობისმოყვარედ იყურებოდა აქეთ-იქით.

იმის შეგრძნება, რომ ზოოპარკში მოვხვდი, არა და არ მშორდებოდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ჩემს წარმოსახვაში ცხოველების ნაცვლად ადამიანები გამოემწყვდიათ გისოსებში და სამწუხაროდ, მათ შორის მეც...

ალბათ ორი საათი მაინც მდუმარედ ვიჯექი საწოლზე. ჩემი თანასაკნელი ისევ ზურგშექცევით იწვა და ხმას არ იღებდა. ისევ ვცადე ლაპარაკის დაწყება, მაგრამ ისევ უშედეგოდ. მოხუცი ზანგი ყურადღებას ოდნავადაც არ მაქცევდა. უხერხული სიტუაცია შეიქმნა. რაღაც ბურუსით მოცულ ატმოსფეროში ამოვყავი თავი, სადაც ჩემი არსებობა არავის აინტერესებდა, სადაც სრულიად არაფერს წარმოვადგენდი...

თანაც საავადმყოფოდან ახალი გამოსული ვიყავი, დაღლილობამ და ემოციებმაც თავისი გაიტანა. ვერ მივხვდი, როგორ მივწოლილვარ და ჩამძინებია კიდეც.

ისეთი ტკბილი სიზმარი ვნახე, დღესაც სიამოვნებით ვიხსენებ ხოლმე: თბილისში ვიყავი, ჩემს უბანში, მეგობრებთან... მერე ერთბაშად ყველანი ჩემს სახლში აღმოჩნდნენ, სუფრასთან. თითქოს ჩემი დაბადების დღე იყო და დედაჩემს უზარმაზარი, 30-კვერცხიანი მარწყვის ტორტი შემოჰქონდა სამზარეულოდან. ცხადლივ ვგრძნობდი მარწყვისა და კონიაკის არომატს. დედა იცინოდა და მეძახდა, დიდი დანა მოიტანე, ტორტი შენ უნდა დაჭრაო... იცოდა, როგორ მიყვარდა მისი გამომცხვარი სადღესასწაულო ტორტის დაჭრა...

სამზარეულოდან დანა გამოვიტანე და ის-ის იყო, ტორტის დაჭრა უნდა დამეწყო, რომ...

ვიღაცის ღრიალმა რეალობაში დამაბრუნა. გვერდითი საკნიდან რომელიღაც პატიმარი ისე ყვიროდა, იფიქრებდი, დანას უყრიანო... რეტდასხმული წამოვვარდი. შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა. გვერდით გავიხედე, მოხუცი ზანგი ისევ იწვა, ოღონდ ამჯერად გულაღმა და ჭერს მიშტერებოდა.

— ხომ არ იცით, რა ყვირილია?.. — მორიდებით ვკითხე. მოხუცმა ერთი კი გადმომხედა და თითქოს რაღაცის თქმაც დააპირა, მაგრამ მოულოდნელად გადაიფიქრა და... ისევ ზურგი შემაქცია. საგონებელში ჩავვარდი, ამ ზანგს არაფრით არ უნდოდა ჩემთან ლაპარაკი.

მაინც ვერ მოვისვენე და ხუთიოდე წუთის შემდეგ ისევ წამოვიწყე:

— უკაცრავად, ცუდად ხომ არ ხართ, რაიმე დახმარება ხომ არ გინდათ?!

პასუხად მოხუცმა რაღაც წაიბუტბუტა, მგონი, შემაგინა კიდეც... მოულოდნელად საწოლიდან წამოიმართა და თვალი გამისწორა. ისეთი სიცივე და ზიზღი იგრძნობოდა მის გამოხედვაში, რომ საწოლზე ლამის მოვიკუნტე.

— არ მოკეტავ, ბიჭო! რა გამიწყალე გული, იჯექი რა შენს საწოლზე!.. — ხმადაბლა, მაგრამ ისეთი ტონით მითხრა, მგონი ენა ჩამივარდა. მერე ადგა, ალუმინის ტოლჩა წყლით აავსო და სულმოუთქმელად გადაკრა... ისევ შემომხედა, უკმაყოფილოდ გადააქნია თავი და საწოლს დაუბრუნდა.

შვებით ამოვისუნთქე. გავისუსე და ფიქრს მივენდე. ის ვიღაც პატიმარი ისევ შეშლილივით ღრიალებდა...

იმ ღამით თითქმის არ მიძინია. ანდა რა დამაძინებდა, ჩემს პრობლემებს კიდევ ეს შერეკილი თანასაკნელი მიემატა...

დილით საკნის კარს ორი პატიმარი მოადგა. ურიკა მოაგორეს, მასზე ორი ქვაბი იდგა — ერთში ცხელი კერძი ესხა, მეორეში კი დაჭრილი პური ეყარა. მოხუცი ზანგი უჩვეულო სიმკვირცხლით წამოხტა, თეფშს ხელი დასტაცა და მოსულებს მიაწოდა. მათაც წვნიანი დაუსხეს და პურის მოზრდილი ნაჭერიც უწილადეს.

მე საწოლთან ვიდექი და ადგილიდან არ ვიძროდი.

— რას გაშტერებულხარ, თუ ჭამა გინდა, თეფში მოიტანე, თუ არადა, გვითხარი, რას დაგვაყუდე აქ, ვერ ხედავ, რამდენი მშიერი გველოდება?!.. — მითხრა ერთ-ერთმა ურიკასთან მდგომმა და მეც უსიტყვოდ გავუწოდე თეფში.

მოულოდნელად ურიკასთან მდგომ პატიმარს (აქ პატიმრები მორიგეობით ითავსებდნენ საჭმლის დარიგების ფუნქციას) სახე გაუბრწყინდა, გაბადრულმა შემომხედა და წამოიძახა:

— Здраствуй, земляк, что, ты тоже здесь попал — ისე მკითხა, თითქოს მისი დიდი ხნის უნახავი მეგობარი ვიყავი.

— Да!.. — ძლივს წარმოვთქვი ეს სიტყვა და უცნაურმა სითბომ დამიარა მთელ სხეულში. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, აქ, ამერიკაში, ცივ, საშინელ საკანში ვიღაც თბილად მომმართავდა, ვიღაცას ჩემი დანახვა უხაროდა...

მეც ძალიან გახარებული ვიყავი — ამ შეხვედრამ იმედის ახალი ნაპერწკალი ჩამისახა...

■

ყველაზე შესაფრთხილო ხომალდი, ნაპირზე ამოთრეული ხომალდია

ანუ Pen-მარათონი ღია ზღვაში

გემი „კაპიტანი თავართქილაძე“, რომელიც ორიოდე დღის წინ, მწერლებით, ჟურნალისტებითა და დროშებით იყო დახუნძლული, უკვე ჩვეულ მდგომარეობას დაუბრუნდა. ვერ გეტყვით, ახლა ის უქმად ირწევა ტალღებზე თუ ისევ საქმიანად გუგუნებს, მაგრამ პენ-პარათონის მონაწილეები რომ ჯერაც, ღია ზღვაში მოწყობილი, ლიტერატურული კონკურსის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებიან — ფაქტია.

ნანა ქიბიშაური

როგორც კონკურსის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, გამომცემლობა „დიოგენეს“ წარმომადგენელმა ჯარჯი აქიმიძემ გვითხრა, შარშანდელთან შედარებით, საპრიზო ფონდი გაორმაგდა და ამჯერად გამარჯვებული, 1.000 დოლარს მიიღებს. წლეულს, მარათონში მონაწილეობის სურვილი 339-მა ადამიანმა გამოთქვა. მათ შორის, ვინც განაცხადი შეიტანა, 23 მონაწილე შეირჩა. შარშანდელი გამარჯვებულები კი, რომელთაც I, II და III პრემიები ხვდათ წილად, კონკურსგარეშე მონაწილეობის უფლებით სარგებლობდნენ.

მწერლებს გემზე ჟურნალისტები ჭარბობდნენ. როგორც მოხალისე მათემატიკოსებმა გამოიანგარიშეს, ერთ მარათონელზე 1,5 ჟურნალისტი მოდიოდა და ეს ფაქტი, მწერლობით გატაცებული ზოგიერთი ადამიანის აღშფოთებასაც კი იწვევდა: იქნებ, ზღვის ავადმყოფობა გვემართება? რა გვეშველება? — გემი ფოტოაპარატმომარჯვებული „შპიონებითაა“ სავსეო! — წუხდნენ... „მარადი ტინეიჯერი“ დათო ტურაშვილი, რომელიც ტოტებშემოხეული, „ჩანჩურა“ შარვლითა და განუყრელი მზის სათვალით „ტიპობდა“, გამოგვიტყდა, რომ ორგანულად ვერ იტანს ჟურნალისტებს და ეს ბიოლოგიური ზიზღი იმით ახსნა, რომ ჟურნალისტებს, მისი აზრით, ვიტამინები აკლიათ. თუმცა, არ დაუკონკრეტებია, თუ რომელ ვიტამინებს გულისხმობდა. თურმე ნუ იტყვით და წერის დროს, ჩვენი ტურა (მოფერებით ყველა ასე ეძახდა მას და იმედი მაქვს, არც მე გამინაწყენდება) საკმაოდ პრეტენზიული ყოფილა: ხან წვნიანი მოითხოვა, ხან თევზი და ხან — სექსი (?!). თუმცა, ყველა მოთხოვნაზე არგუმენტირებული უარის მიღების შემდეგ, მორჩილად ჩაუჯდა სამუშაოს და 24 საათის განმავლობაში, ლენინივით, მუხლზე დადებულ ფურცლებზე წერდა და წერდა...

სტატიის ავტორი ჯემალ მონიავასთან და ნუგზარ შატაიძესთან ერთად

ჯემალ მონიავა — დიახ, დიახ, ბატონი ჯემალი, — რომელიც ცნობილია, არა მხოლოდ როგორც ნიჭიერი მსახიობი, არამედ როგორც ნიჭიერი აშიკიც, მწერლობაში კიდევ ერთხელ ბედის ცდამ, ღამის თევამ და გემის რყევამ ისეთ დღეში ჩააგდო, რომ დილით გარს შემოხვეულ „მწყერჩიტა ჟურნალისტებს“ ხელებში თავჩარგული ემუდარებოდა: გოგოებო-ოო, შვილებო-ო, თქვენ შემოგევლოთ ჯემალი ბიძია — შედით, რა, ჩემს მდგომარეობაში და თავი დამანებეთო...

მარათონის ერთ-ერთი სპონსორი იყო ღვინო „ძველი თბილისი“. აუშალა და რა აუშალა ხალხს მუზები მსუბუქმა ბახუსმა!.. თუმცა, ზოგს, მოგეხსენებათ, ცოტაც ჰყოფნის და ერთ-ერთი მარათონელი, ბატონი თამაზი (გვარს არ დავასახელებ, თუნდაც იმიტომ, რომ როდესაც ვკითხე, ვერ გაიხსენა...), შუბლზე გაჩენილ კოპს ხელით იფარავდა და ჩიოდა: როგორ ირყევა ეს გემი, კონდიციონერი დამეჯახა და ნახეთ, რა დღეში ვარ; საკვირველი ის არის, ყველა მძიმეწონიანი ნივთი მხოლოდ ჩემკენ რატომ მოემართებაო... ყველაზე პატარა მონაწილემ, სალომე ჯანელიძემ გემზე ასვლამდე განაცხადა, რომ სიზმარში ნახა, თუ რა თემას დაწერდა. ნუგზარ შატაიძემ კი, საჯაროდ აღიარა: თუ გადამაწერინებს, გადავიწერ, რადგან სალომეზე კარგად არა მგონია, რამე დავწეროო. თამარ ფხაკაძე დიდკეპიანი ქუდით ცდილობდა, მუშაობის პროცესში დანარჩენებისგან იზოლირებას და წერისთვის აუცილებელი, ინტიმური გარემოს შექმნას. ძმები — ბესო და ირაკლი სოლომანაშვილები ერთმანეთის კონკურენტები აღმოჩნდნენ. ბესო გამოგვიტყდა: ნათქვამია — ანგარიში ძმებშიც მოდისო და თუ პირველ პრემიას გაგვიყოფენ, მე ჩემს ძმას 600 დოლარს მოვთხოვ, რადგან მასზე 3 საათით ადრე ჩავაბარე ნამუშევარიო; მთლიანობაში, ეს არის კარგად მოფიქრე-

ბული ავანტიურა, რომელში მონაწილეობაც ყველას გვსიამოვნებსო და ა.შ. ბესოც ცეცხლოვანი სითხის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა და გულახდილობის ხასიათზე მოსულმა, გამიმხილა: ერთ თუშ მეცხვარეზე დავწერე, რომელმაც პირველად ნახა თვითმფრინავი და მისი გაკეთება მოინდომაო. – მერე, როგორ დაუკავშირე ეპიგრაფს – „უსაფრთხო ხომალდები ნაპირზე ამოთრეული ხომალდებია“-მეთქი? – ვკითხე. – რა ვიცი, რაღაცნაირადო, – მარტივად მიპასუხა და ხელი ჩაიქნია. ერთ-ერთი ქალბატონი (გვარს არც ამჯერად დავასახელებ და მიხვდებით, თუ რატომ) გამომიტყდა: როცა რაიმე მიჭერს, ვერ ვაზროვნებო, – და ყველა ზომისა და ფორმის აზღუდი ერთნაირად მიაწყევლა. რაც შეეხება საკუთარს, რა თქმა უნდა, გაიხადა და ისე გადაეშვა შემოქმედებით მორევში... „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტმა თამარ ღვინიანიძემ მოინდომა, პირდაპირი ჩართვა „ტიტანიკურად“ განეხორციელებინა და გემის ცხვირზე ხელებგაშლილს ესაუბრა. მაგრამ ორი მიზეზის გამო ვერ მოახერხა: პირველი იყო მიკროფონი, რომელიც ხელში უნდა სჭეროდა და მეორე – უფრო სერიოზული: არავინ აღმოჩნდა, დი კაპრიოს როლში ყოფნის მსურველი...

როგორც მარათონის მონაწილენი აღნიშნავდნენ, წერის დროს, ყველაზე მეტი ფურცელი დახია, დაგლიჯა, დაჭმუჭნა და დაღეჭა რამაზ გიგაურმა, რომელმაც 7 სიუჟეტი გამოიგონა და ბოლოს, არჩევანი „მეზღვაურ ჯოზე“ შეაჩერა; დრო არ დარჩა, თორემ მერვესაც დაიწყებდა – ბოლო წერტილის დასმის შემდეგ, სინანულით თქვა: ეს რამ დამაწერინა? – ხევსური და ზღვაო?!.

თუმცა, ვინ რა დაწერა, ეს უკვე ჩემი საქმე აღარ არის. ახლა ჯერი ჟიურიზეა, რომლის თავმჯდომარეც, ვახუშტი კოტეტიშვილი გახლავთ. როგორც ამბობენ, გაისად, მარათონი შესაძლოა, ცაში გაიმართოს. სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდა შემოქმედ ხალხთან ერთად ცაში მოხვედრა, მაგრამ იმდენი გეჭორავეთ, რომ არ არის გამორიცხული, გაისად ცოდვილი მიწიდან ვადევნო თვალი ცად აჭრილ მწერლებს...

გამარჯვებულებს 27 ივნისს, „საქართველოს ბანკის“ ახალ დარბაზში დაასახელებს ჟიური. დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ, 10 საუკეთესო ნაწარმოებს გამომცემლობა „დიოგენე“ წიგნად გამოსცემს. ყველა ნაწარმოები ერთი და იმავე ეპიგრაფით დაიწყება: ბერძენი ფილოსოფოსის ანაქსენონის სიტყვებით: „უსაფრთხო ხომალდები, ნაპირზე ამოთრეული ხომალდებია“ – დანარჩენს კი, წავიკითხავთ და გავიგებთ... ■

„ჩეინჯერის“ გამომგონებელმა ქონ-მარსაზ შარიკაშვილი გაათცა

ოთხი წელიწადია, რაც თბილისის მარიონეტების თეატრის კაფე-ბარში ვალერიან ძემაშვილი მუშაობს და თავისი მწვადებით, შამფურზე აგებული კვერცხით, ნივრიან-ძმრიანი კარტოფილითა და მის მიერ გამოგონილი სხვა კერძებით, აღფრთოვანებაში მოჰყავს მთელი თბილისი. ბატონი ვალერიანის ნახელავის გასასინჯად იქ თავს იყრის ბევრი ცნობილი ქართველი და უცხოელი ადამიანი. უცხოელებისთვისაც კი მისწავლებია ზოგიერთი ჩემი რეცეპტი, თუმცა სულ ჰგონიათ, რომ რაღაცას ვუმალავ; ასეც არის — მე ხომ კერძებში მთელ ჩემს სულსა და გულს ვაქსოვო, — გაგვიმხილა ბატონმა ვალერიანმა.

ამ ძახილსა და ქეიფებში, ნელ-ნელა შევისწავლე კერძების მომზადება

ნათია გუმბერიძე

— სადაური ხართ და სად დაეუფლეთ კულინარიის ხელოვნებას?

– დავიბადე სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში, 1936 წელს. 12 წლის ვიყავი, როცა თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად. მწვადის შეწვა კი, სოფელში ვისწავლე. მგონი, ბავშვობიდანვე მიჭირავს ხელში შამფური და ხან კვერცხს ვაგებ მასზე და ხან ხორცს. მამაჩემი კოლმეურნე იყო. კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ხშირად იკრიბებოდნენ სტუმრები და მამაჩემს მეც დავყავდი ქეიფებზე, რათა მწვადის შეწვაში დავხმარებოდი. სტუმრებს შორის ხშირად იყო მეფუტკრე დიმიტრი დემეტრაშვილი. შეხედულებით თეთრთმიანი, „ვიდიანი“ კაცი იყო. დღემდე არ ვიცი, რატომ შემარქვა ეს სახელი: მწვადის დრო რომ დადგებოდა, გადმომხედავდა და დაიძახებდა – ჯუღელო, ჯუღელო, მწვადიო!.. ასე, ამ ძახილსა და ქეიფებში, ნელ-ნელა შევისწავლე კერძების მომზადება. მოგვიანებით, მე და ჩემმა მეგობრებმა ჩამოვაყალიბეთ საზოგადოება „ქიზიყი“. უმეტესად, დოლიძის ქუჩაზე ვიკრიბებოდით. სად აღარ დავდიოდით – ბეთანიაში, შიომღვიმეში, მარტყოფში... ჩვენი ხშირი სტუმარი იყო ჰამლეტ გონაშვილი; ახმეტიდან ჩამოდიოდა მაშინდელი მილიციის უფროსი ოთარ ხოსიტაშვილი; ახმეტის მოსამართლე და მთელი ცეკას ხალხი ჩვენთან ქეიფობდა. ჩვენმა ორგანიზაციამ ბევრი საინტერესო ადამიანი გააერთიანა.

— როგორ და რა მიზნით ჩამოყალიბდა ეს ორგანიზაცია?

– ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბების იდეა ერთ ამბავთან იყო დაკავშირებული. ჩემს ორ მეგობარს მამები ჰყავდათ დაღუპული დიდ სამამულო ომში. თუ არ ვცდები, 1976 წელს, ედუარდ შევარდნაძემ ჩამოასვენა უცნობი ჯარისკაცი, რომელიც ვაკის პარკში დაკრძალეს. სწორედ იმ დღეს გაშალეს სუფრა ჩემმა მეგობრებმა და დაღუპულების გასახსენებლად ვიქეიფეთ. ისინი თავიანთ მამებს არც იცნობდნენ და მეც, რა თქმა უნდა – სად გავიცნობდი?!. ისე კარგად მოვულხინეთ, რომ მთელი ღამე ვფიქრობდი, როგორ მომეხერხებინა, რომ მომავალ შაბათ-კვირასაც განმეორებულიყო სუფრა. მეორე დღეს, ისევ შევკრიბე მეგობრები და ვუთხარი: წუხელ უცნაური სიზმარი ვნახე – თითქოს თქვენი მამები ჩხუბობდნენ: ჩვენს შვილებს რა სჭირდათ საიმისო, რომ საზიარო სუფრა გააწყვესო?!. ორთავეს ცრემლები წამოუვიდა და გადავწყვიტეთ, რომ მეორე კვირას გაგვეგრძელებინა ქეიფი. ასე დაიბადა იდეა, დაგვეარსებინა საზოგადოება „ქიზიყი“. ჯერ ხუთნი ვიყავით, შემდეგ რვანი და წევრების რაოდენობა თანდათან სულ უფრო გაიზარდა. ჩვე-

ასე შემწვარი კარტოფილი ჯონ-მალხაზ შალიკაშვილს ფუნთუშა ეგონა



საკმაოდ რთული შესაწვავია კვერცხი: შედარებით თხელი შამფური ისე უნდა გავაცხელოთ, რომ გაწითლდეს

ნი მიზანი იყო, ყოველ კვირას მოგვევლო საქართველოს სხვადასხვა კუთხე და ბუნებაში კარგად გაგვეტარებინა დრო.

— ასეთ ქეიფებზე, შამფურზე მწვადებს და კვერცხს თქვენ წვავდით ხოლმე?

— რა თქმა უნდა. ისე, ბიჭებიც მეხმარებოდნენ, მაგრამ ძირითადად, ამ საქმეს მაინც მე ვუძღვებოდი. ტყუილად კი არ ვამბობ ხოლმე: მთელი ჩემი სიცოცხლე შამფური მიჭირავს ხელში და გასაკვირი ის იქნება კარგი რომ არ გამოვიდეს.

— გაგვიმხილეთ, როგორ აგებთ კვერცხს შამფურზე და რატომ არ გამოსდით ეს სხვებს?

— არ მიყვარს ტრაბახი, მაგრამ კარგად ვიცი ჩემი საქმე. დღეს არც ერთ რესტორანში შამფურზე კვერცხს არ წვავენ, აქ კი, დღე არ გავა, რომ 4-5 შამფური არ შევწვა. საკმაოდ რთული შესაწვავია კვერცხი: შედარებით თხელი შამფური ისე უნდა გავაცხელოთ, რომ გაწითლდეს. შემდეგ, მხოლოდ წვერი დავუსველოთ და ფრთხილად ავაგოთ კვერცხი მასზე. კვერცხი უფრო ნელ ცეცხლზე იწვება, ვიდრე მწვადი. იგი სწრაფად უნდა ვატრიალოთ და ცეცხლიდან მალე გადმოვიღოთ, რათა არ მოასწროს დაბზარვა. შამფურგაყრილი კვერცხი იოლად სკდება, ამიტომაა აუცილებელი სისწრაფე.

— თქვენეული მწვადის შეწვის საიდუმლო რაში მდგომარეობს?

— მწვადის გემო ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რით იკვებება ცხოველი. გარდა ამისა, ხორცი უნდა იყოს თანაბარ ნაწილებად დაჭრილი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიმაღლეს: ნაჭერი, რომელიც დაბლაა ჩამოშვებული, მალე იწვება. კახეთში, ძირითადად ქიზიყში, შემდეგნაირად წვავენ მწვადს: ემალის ან ფაიფურის ჯამში აწყობენ წვრილად დაჭრილ ხორცს, თავზე აყრიან წმინდად დაჭრილ ხახვს და ბროწეულს. ბროწეული უნდა დაჩხვლიტო და ხელით გამოწურო. მწვადის გემო ძირითადად, სწორედ ამ წვენზეა დამოკიდებული.

— რითი უნდა იკვებებოდეს ცხოველი?

— მაგალითად, როგორც დასავლეთში იციან — უკეთესია, თუ სიმინდით იკვებება. ტყეში გაშვებული ღორი სულ სხვაა, მას სირბილისაგან კუნთები გამაგრებული აქვს, ამიტომ ხშირად გაიგონებთ: გარეული ღორის ხორცი ვჭამე, კარგი იყო, მაგრამ მაგარიო. ყველაზე საინტერესო, შეწვის პროცესია. შამფურზე აგებული ხორცი მაყალზე ძალიან ხშირად უნდა ატრიალოთ, რომ წვენი არ გაუვიდეს და არ გამოშრეს, რადგან მშრალი მწვადი გემოს კარგავს.

— ვიცი, ახალი კერძებიც გამოგიგონებიათ...

— ჩემი გამოგონილი და დღეს უკვე ცნობილი კერძებია „რეინჯერი“ და „კარტოფილი შქმერულად“. ორივე ძალიან გემრიელია. ჯერ „რეინჯერის“ რეცეპტს გეტყვით: ქათმის უძვლო ხორცი და ქამა სოკო იშუშება ერთად; შემდეგ ვუმატებთ არაჟანს და მაიონეზგარეულ კვერცხს. ადამიანი ამაზე ლამაზად შებრაწულ კერძს ვერ ნახავს... მეორე კერძი სტუდენტობის დროს გამოვიგონე. კარტოფილი უნდა გათალოთ, გაჭრათ შუაზე და ჩანგლით დაჩხვლიტოთ. შემდეგ ცხიმში უნდა ჩააწყოთ, რადგან კარგად უნდა გაიჟღინთოს ცხიმით. ამის შემდეგ, აწყობთ ცხელ თიხის კეცზე და წვავთ აირღუმელში. ბოლოს, ზემოდან ნიორსა და ძმარს უსვამთ. სხვათა შორის, ასე შემწვარი კარტოფილი ჯონ-მალხაზ შალიკაშვილს ფუნთუშა ეგონა. მაშინ, სამხედრო აკადემიის რესტორანში ვმუშაობდი. შალიკაშვილმა კარტოფილი რომ დაინახა — „პონჩიკ“, „პონჩიკო“! — დაიძახა. მაგრამ გასინჯვის შემდეგ ისიც დასძინა: არა, ასეთი გემრიელი, „პონჩიკი“ ვერ იქნებოდაო, — და რეცეპტი მთხოვა.

— ვინმესთვის თუ გისწავლებიათ თქვენი კერძების დამზადება?

— მე არც ერთი კერძის რეცეპტი არ დამიმალავს. აქ ბევრი ცნობილი პარლამენტარი თუ მსახიობი მოდის. იცით, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ხშირად, უცხოელები ინტერესდებიან. მოდიან, ჯერ ერთ ულუფას უკვეთენ, მოსწონთ და შემდეგ — მეორეს, მესამეს. ერთხელ, ზუსტად ასეთი შემთხვევის დროს, სამზარეულოდან გამომიძახეს — თქვენი ნახვა უნდათო. მეც ავედი. სუფრასთან უცხოელი დიპლომატი იჯდა. მომესალმა, მადლობა გადამიხადა და მთხოვა, მწვადის შეწვა მესწავლებინა მისთვის. რა თქმა უნდა, დაწვრილებით ავუხსენი ყოველი წვრილმანი და ნიუანსი. თუმცა, დღემდე არ ვიცი, რამდენად კარგი გამოუვიდა...

■

როგორ შევარჩიოთ მზის სათვალე

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

მზის სათვალე მოდური და ლამაზია, რაც მთავარია, აუცილებელია თქვენი თვალების ჯანმრთელობისათვის, მაგრამ იგი ერთდროულად უნდა აკმაყოფილებდეს მოდისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს.

გავუფრთხილდეთ თვალისჩინს

მთავარი კრიტერიუმი მუქი სათვალის შერჩევისას არის დაცვის ხარისხი ინფრაწითელი (იფ) და ულტრაიისფერი (უი) გამოსხივებისაგან. ულტრაიისფერი სხივების სიჭარბე კატარაქტისა და სხვა დაავადებათა განვითარებას იწვევს, იფ სხივების სიჭარბე კი – თვალის ფსკერის დამწვრობას. ასპროცენტიანი დაცვა ჯერ არ მოუგონიათ და არც არის ამის აუცილებლობა. არჩევანი კი ასე გამოიყურება

- UV 400 – ყველაზე ხარისხიანი სათვალეა.
- Blocks at least 95% UVB and 60% UVA (A ტიპის უი-სხივების არანაკლებ 95%-ის და B ტიპის სხივების 60%-ის ბლოკირებას ახდენს). – კარგი სათვალეა.
- Blue-blocker – სპექტრის ლურჯი ნაწილის ბლოკირებას ახდენს.
- High UV-protection (მაღალი უი-დაცვა) – ასეთი სათვალე შეუცვლელია ტროპიკულ ქვეყნებში მოგზაურობისას. ესაა მაქსიმალურად მუქი ლინზები, რომელიც მაქსიმალურად გვიცავს უი და სპექტრის ხილული ლურჯი სხივებისაგან.
- Cosmetic – ასეთი სათვალე მხოლოდ მოდური აქსესუარია.



- ზღვის მახლობლად მისაღებია სათვალე მრავალშრიანი მაპოლარიზებელი ლინზებით, რომელიც აქრობს სინათლის ანარეკლის სიკაშკაშეს. ასეთი სათვალის ლინზებს მოლურჯო ელფერი აქვს. მომწვანო და მორუხო ლინზები ასევე კარგად უმკლავდება პლაჟის პრობლემებს: იცავს უი და იფ გამოსხივებისაგან.

ცხოვრება ვარდისფერ ფერებში

ბოლო დროს გაირკვა, რომ ფერადშუშიანი სათვალის ტარება ფსიქიკაზე მოქმედებს. ჩვეული ფერთა გამის დარღვევა ერთი რომელიმე ფერის სასარგებლოდ, საგრძნობლად ფანტავს ყურადღებას და ფერადი სათვალე ადამიანს მალე ღლის. ოფთალმოლოგიის თვალსაზრისით ყველაზე მისაღებია მუქი რუხი ან მუქი მწვანე ფერის ლინზები.

სამყაროს ცქერა ვარდისფერ ფერში არცთუ ისე სასიამოვნოა. წითელი სპექტრი ცვლის გარემოს ფერთა გამას და ორიენტაციის დაკარგვას იწვევს. წითელ შუშებზე უარესი მხოლოდ ლურჯი შეიძლება იყოს, რადგან ის ასტიმულირებს გუგების გაფართოებას და ბადურაზე დიდი რაოდენობით იისფერი სინათლე ხვდება, რაც დამწვრობას უწყობს ხელს.

მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს

დღეს ლინზები სხვადასხვა მასალისგან მზადდება. მოდით, გავერკვეთ მათ დადებითა და უარყოფით მხარეებში.

მინერალური შუშის ლინზები

დადებითი მხარე – ფანჯრის შუშის მსგავსად აკავებს უი სხივების დიდ ნაწილს.

უარყოფითი – დაცემისას ნამსხვრევებად იქცევა (თუ არ არის დარტყმაგამძლე – Tempered glasses).

პლასტიკური ლინზები

დადებითი: არ იმტვრევა.

შუშაზე ორჯერ მსუბუქია.

პოლიმერულ კომპოზიციაში შეტანილია სინათლის მშთანთქავი დანამატები.

სპეციალური კრემნიუმის საფარი იცავს ზედაპირს ცვეთისაგან.

უარყოფითი: იღუნება და დეფორმირდება.

შეიძლება გამოიწვიოს ალერგია, განსაკუთრებით მაშინ, თუ კანი გამუდმებით ოფლიანია.

ლამინატური შუშის ლინზები

დადებითი: აქვს წინა მასალების ყველა ღირსება.

უარყოფითი: არ გააჩნია.

„ქამელეონები"

ფოტოქრომული შუშები, რომელიც თავისთავად იცვლის ფერს განათების შესაბამისად, მეტად მოსახერხებელია: შენობაში ის ჩვეულებრივ სათვალეს ჰგავს, ხოლო მზეზე მუქდება. თუმცა ასეთი ლინზების უსაფრთხოების შესახებ დღემდე დაობენ. საქმე ისაა, რომ „ქამელეონები" შეიძლება არათანაბრად დაბნელდეს, ამიტომ მისი გამოყენება საჭესთან არ არის რეკომენდებული.

ჩარჩოს შესახებ

ჩარჩოს შერჩევა თქვენს გემოვნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ მთლად ასეც არაა. არსებობს ორი აუცილებელი წესი. პირველი: სათვალის ფორმა რაც შეიძლება ზუსტად უნდა იმეორებდეს სახის მოხაზულობას. მეორე: ჩარჩოს ზედა კიდე უნდა ემთხვეოდეს წარბის ხაზს.

კარგი ჩარჩო არ არის უხეში, დრეკადია, მასში თავს კომფორტულად გრძნობ. უფრთხილდით მოდურ პატარა, ვიწრო ფორმის სათვალეს: ლინზები მთლიანად უნდა ფარავდეს თვალებს, სხვაგვარად ვერავითარ დაცვას ვერ მიიღებთ. თუ თქვენ გაქვთ მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები, ოფთალმოლოგის კონსულტაციის გარეშე ნუ შეარჩევთ სათვალეს, რადგან მისი ფორმა დიაგნოზზე იქნება დამოკიდებული. ■

ისევ ქერტლი

ქერტლი ჩვენი პლანეტის ყოველ მესამე მცხოვრებს აწუხებს. მისი გაჩენის პროვოცირება შეუძლია მუდმივ სტრესებს, დაღლილობას, ჰორმონული პრეპარატების მიღებას და არახელსაყრელ ეკოლოგიურ პირობებსაც კი. როგორ უნდა მოიქცეთ, თუკი ქერტლი ისევ დაეფინა თქვენს პიჯაკს ან ხალათს?

მანკიერი წრე

იმის შესახებ, რომ ჩვენი იმუნიტეტი თითქმის „ნულზეა“, ბავშვიც კი ლაპარაკობს. არადა, სწორედ იმუნური სისტემა ეწინააღმდეგება სოკოების გამრავლებას, რომელიც ყოველთვის არსებობს თავის თმიან ნაწილზე. თუ იმუნიტეტი შესუსტებულია, კანის რეაქცია გარდაუვალია: იწყება ანთება, ქავილი, წარმოიქმნება ქერცლი (ჰიპერკერატოზი) და ჩნდება ქერტლი. დერმატოლოგები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ქერტლის გავრცელებას თავის თმიან ნაწილზე ხელს უწყობს მიკროორგანიზმი Pityrosporum ovale. იგი იკვებება კანის ქერცლის კერატინით და თავს მშვენივრად გრძნობს.

ქერტლის სახეები

ქერტლი შეიძლება იყოს მშრალი და ცხიმიანი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროებს მკურნალობას.

● მშრალი ქერტლის წარმოქმნა დაკავშირებულია უჯრედოვანი ცვლის დარღვევასთან, როდესაც გარქოვანებული უჯრედების დაყოფა ძალიან სწრაფად ხდება. თუ ცხიმოვანი ჯირკვლები ცოტა ცხიმს გამოიმუშავებს (თავის კანი მშრალია), დიდი რაოდენობით მკვდარი უჯრედები გროვდება ზედაპირზე და იწყება მათი აქერცვლა. თმა კი თხელი და უფერული (უღიმღამო) ხდება.

● ცხიმიანი ქერტლის დროს მსხვილი ქერცლები თავის კანს ეკვრის. ეს მდგომარეობა მშრალი ქერტლის მსგავსად უჯრედოვანი ცვლის დარღვევითაა გამოწვეული, მაგრამ ცხიმოვანი ჯირკვლების გააქტიურების გამო (რასაც ცხიმიანი თმის დროს აქვს ადგილი), ცხიმი აძნელებს ქერცლის ჩამოფცქვნას და თან მიკროორგანიზმების დამატებითი საკვების როლს ასრულებს. შედეგად წარმოიქმნება ცხიმოვანი გროვები, კანი ანთებითი ხდება, იღუპება თმის ფოლიკულები, თმა მალე ცხიმიანდება და ცვივა.

როგორი ქერტლი გაქვთ?

აიღეთ შავი ფერის ფურცელი, დაიხარეთ და მასზე მეჩხერი სავარცხლით ჩამოივარცხნეთ თმა. ფურცელზე ქერტლი ჩამოიყრება. როგორ განვასხვავოთ — მშრალია იგი თუ ცხიმიანი?

თუ თავის დაბანიდან 1-3 დღეში გეწყებათ ქავილი და გცვივათ ქერტლი, მაშინ იგი მშრალია.

თუ დაბანიდან 2-3 დღეში თმა ადვილად ცხიმიანდება, ხოლო 5-6 დღეში ჩნდება ქერტლი, მაშინ იგი ცხიმიანია.

მნიშვნელოვანი ნიუანსი

ზოგჯერ ქერტლი თავის მშრალი კანი ჰგონიათ, რომელიც მოსახლეობის 10%-ს აქვს. მისი მიზეზია ტენის უკმარისობა ეპიდერმისში, რაც მცირე აქერცვლას იწვევს. ასეთ დროს, ქერცლი ძალიან პატარაა, უფრო მშრალი და მსუბუქია, ვიდრე ქერტლი.

ცხიმიანი ქერტლი კი ადვილად შეიძლება აგვერიოს ამა თუ იმ დერმატოლოგიურ დაავადებაში. თუ თავის კანი ანთებითია, შეწითლებულია, ნუ დაისვამთ თავად „ქერტლის“ დიაგნოზს — მიმართეთ სპეციალისტს.

მხოლოდ სპეციალური შამპუნი

ნუ ეცდებით, ქერტლს ჩვეულებრივი შამპუნით დააღწიოთ თავი. თმა გაშრება და ქერტლი ისევ გაჩნდება, შეიძლება უფრო მეტიც, ვიდრე იყო. არასწორი მოვლა ხშირად მხოლოდ ვნებს თმას. გამოიყენეთ სპეციალური ქერტლის სამკურნალო საშუალებები — ისინი ჩვეულებრივისაგან განსხვავდება და შეიცავს კომპონენტებს, რომელიც:

● აშორებს კანს მკვდარ უჯრედებს.

● აწესრიგებს Pityrosporum ovale-ს რაოდენობას და აღადგენს თმის კანის ბუნებრივ ბალანსს.

● დროებით ანელებს კანის უჯრედთა განახლების პროცესს და აძლევს აღდგენის საშუალებას.

ქერტლის საწინააღმდეგო ყველა შამპუნში შედის სპეციალური მინერალოპროტეინული კომპლექსი, რომელიც აძლიერებს სისხლის მიმოქცევას ეპიდერმისში და აუმჯობესებს თმის ბოლქვის კვებას.

ქერტლი ამ შამპუნთა ზემოქმედებით საკმაოდ სწრაფად ქრება. და მაინც, მეტი ეფექტის მისაღწევად, ნუ მიატოვებთ მკურნალობას შუა გზაზე, გააგრძელეთ იგი კიდევ რამდენიმე კვირა.

ფიტორეცეპტები

ცხიმიანი ქერტლისა და თმის ცვენის დროს თავის კანზე წაისვით:

● კალენდულის სპირტიანი ნაყენი (იყიდება აფთიაქებში) 2-3-ჯერ კვირაში.

● ჭინჭრის ნაყენი (1 ს/კ ჭინჭარს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყოვნეთ 24 სთ და გადაწურეთ) 2-3-ჯერ კვირაში.

● კოქტეილი (აურიეთ 1 ლიმონის წვენი, 1 კვერცხის გული და 1 ს/კ სასაქმებელი ზეთი) დაბანამდე 15-20 წუთით ადრე.

მშრალი ქერტლის დროს თავის კანში შეიზილეთ:

● არყის ხის ფოთლების ნაყენი (1 ს/კ ფოთლებს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე და 2 საათის შემდეგ გადაწურეთ) ყოველი დაბანის შემდეგ.

● დაბანამდე ერთი საათით ადრე კვირაში 2-3-ჯერ თალგამის ზეთი (რომელიც ასე მზადდება: 1 ს/კ წვრილად დაჭრილ თალგამს დაასხით 1 ჭიქა ნებისმიერი მცენარეული ზეთი, დადგით 2 კვირა და შემდეგ გადაწურეთ). ■



კლიმატი და ჩვენი ორგანიზმი

კლიმატი და ბუნებრივი პროცესები

ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ამინდზე, მაგრამ იშვიათად თუ დავფიქრდებით ხოლმე კლიმატზე, არადა მასზეც ბევრად ვართ დამოკიდებულნი. კლიმატი და ბუნებრივი პროცესები მართავს ადამიანთა სიცოცხლეს, დაავადებების, ქცევისა და გრძნობების თავისებურებებს.

პლანეტის რიტმები

ჩვენი ცხოვრების შავ-თეთრი ფერების მონაცვლეობა – დარდიდან სიხარულისაკენ და პირიქით, ბუნებრივი აუცილებლობაა. სამყაროში ყველაფერი ციკლებსა და რიტმებს ემორჩილება. ჩვენ ვირხევით, როგორც საქანელაზე, სიცივესა და სითბოს შორის, საშუალო ტემპერატურის ცვლილება კი არ არის მკვეთრად გამოხატული.

XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან დედამიწაზე დაიწყო დათბობა. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ეს პროცესი აისახება ადამიანთა არა მარტო თვითშეგრძნებაზე, არამედ მათ შემოქმედებით უნარზეც:

არსებობს ზოგიერთი ციკლური კანონზომიერების დამადასტურებელი მეცნიერულად შემოწმებული ფაქტები. ცნობილია, რომ შიზოფრენიით დაავადებულები მკვეთრად რეაგირებენ მთვარის პერიოდებზე: გამწვავება მათ წელიწადში 13-ჯერ, პერიოდულად აღენიშნებათ. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების მქონენი კი, მგრძნობიარენი არიან მზისა და მისი აქტივობის პერიოდებისადმი.

ალკოჰოლიზმით დაავადებულებს დაავადების პიკი ყველაზე ხშირად ცხელი ზაფხულის თვეებში უვითარდებათ. ალკოჰოლური ფსიქოზების მთავარი პროვოკატორი, ზაფხულის ცხელი ჰაერია, რომელშიც დაქვეითებულია ჟანგბადის შემცველობა. მისი უკმარისობა ფსიქიკისა და ტვინის მუშაობის შეფერხებას იწვევს. ამიტომ გირჩევთ, ერიდეთ ზაფხულში ალკოჰოლის მიღებას.

სეზონური ძვრები

ზამთარში სხვანაირები ვართ, ზაფხულში კი სრულიად ვიცვლებით. ეს მეცნიერულადაა დადასტურებული. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადამიანის ორგანიზმში მიკროელემენტების შემცველობა სხვადასხვა სეზონში სხვადასხვაგვარია. 1800 ბავშვისა და 3000 ქალის თმის ღერის გამოკვლევამ დაადასტურა გამონათქვამი: მე ყოველთვის რაღაც მაკლია.

კალციუმის შემცველობა ზამთარში მცირდება და მაქსიმუმს ზაფხულში აღწევს. ეს იმით აიხსნება, რომ თბილი კლიმატის დროს, ფარისებრახლო ჯირკვლები ინტენსიურად მუშაობს, ხოლო მზე ხელს უწყობს D ვიტამინის გამომუშავებას, რომელიც კალციუმის ცვლას არეგულირებს. სიცხეში ასევე მაღალია სისხლის პლაზმაში რკინის, მანგანუმის, კრომნიუმის შემცველობა. მათი დეფიციტი ზამთარში ალერგიულ რეაქციებს და სისხლწარმოქმნის დარღვევებს იწვევს.

თუთიისა და სპილენძის შემცველობა ქვეითდება გაზაფხულობით. ამას ჩვენც შევიგრძნობთ: ქვეითდება იმუნიტეტი, მწვავდება კანის დაავადებები.

ორგანიზმის ქიმიური შემადგენლობის სეზონურ ცვალებადობას სპეციალისტები აკლიმატიზაციურ დეფიციტს უწოდებენ. თუ გვეცოდინება ამ მოვლენის კანონზომიერებანი, სავსებით შესაძლებელია მისი დარტყმის შემსუბუქება, თუკი ვიტამინებისა და პრეპარატების მეშვეობით მოვახდენთ ჩვენი „შინაგანი სამყაროს“ კორექტირებას და შევსებას ამინდის პროგნოზის შესაბამისად.

მზის გავლენა

მზისგან მომავალი სინათლე, სითბო და მაგნიტური გამოსხივება სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარად აღწევს. ჩრდილოეთ პოლუსთან ახლოს უფრო ძლიერია მზის მაგნიტური გავლენა, ამიტომ ჩრდილოელები მზის ძლიერი პრესინგის ქვეშ ცხოვრობენ, რაც განსაზღვრავს მათ ქცევას, ხასიათს და თავისებურებებს. მათ ახასიათებთ სიტყვაძუნწობა, სიდინჯე. მათი ნერვული სისტემა ვერ ეგუება ტემპერამენტულ იტალიურ სკანდალებს.

ჩრდილოეთის მზის ქვეშ ნებისმიერი ემოციური აფეთქება უფრო მწვავე და დრამატულია. მშვიდ ფინეთში თვითმკვლელობის შემთხვევათა ზრდას სწორედ მზის აქტივობას უკავშირებენ. შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც მზის ქარიშხლების პროგნოზირებას ახდენს და აფრთხილებს ამის შესახებ მოსახლეობას.

გარდა ამისა, ჩრდილოელთა უმრავლესობა სინათლისა და D ვიტამინის ნაკლებობას განიცდის. მის ნაკლებობას ბევრი ზაფხულის სამხრეთში გატარებითა და სპირტიანი სასმელებით (ის მძიმე კლიმატური პირობების ადაპტოგენის როლს თამაშობს) ინაზღაურებს.

სამხრეთელთა ცხოვრება ერთი შეხედვით უფრო მარტივია, მაგრამ ფიზიკურად ისინი ნაკლებად ამტანები არიან. მუდმივი მზის ტრენინგი ჩრდილოელებს უფრო გამძლეებს ხდის დაავადებებისადმი. გარდა ამისა, როდესაც ისინი გადადიან უფრო რბილ კლიმატურ პირობებში, წარმატებით ადაპტირებენ და ადვილად იქმნიან კარიერას. პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი წარმოშობით ჩრდილოეთიდანაა. სამხრეთელებს კი ჩრდილოეთის ცივ ზონებში მოხვედრისას ძალიან უჭირთ კლიმატთან შეგუება, აგრესიულები და ადვილად ფეთქებადები ხდებიან, რასაც ზოგჯერ დანაშაულიც მოჰყვება ხოლმე. ყველაფერში კი მზეა დამნაშავე. ■



წავიყვანოთ თუ არ წავიყვანოთ?

კითხვა: წავიყვანოთ თუ არა პატარა ერთი-ორი კვირით ზღვაზე? იქნებ უმჯობესია, ბებოსთან დავტოვოთ? რა არის უკეთესი მისი ჯანმრთელობისათვის?

პასუხი: წლამდე ბავშვის წაყვანას დასასვენებლად ახალ კლიმატზე ექიმები არ გვირჩევენ. თავად დაფიქრდით: ზღვაში ბანაობა მისთვის ჯერ არ შეიძლება — მარილიანი წყალი ნაზი კანის გაღიზიანებას გამოიწვევს, ტალღები კი შეაშინებს პატარას.

არც უცხო მზის ქვეშ გარუჯვაა ბავშვისთვის სასარგებლო. ულტრაიისფერ სხივებზე მისი გამოყვანა მხოლოდ დილის 10 საათამდე შეიძლება და ისიც მცირე ხნით. მედიკოსებმა დიდი ხანია, დაადგინეს, რომ ბავშვობაში მიღებული მზის დამწვრობა პირდაპირ კავშირშია კანის ავთვისებიან დაავადებებთან მოზრდილებში.

ექსკურსიები, სპორტული თამაშობანი, დისკოთეკები და სხვა გასართობიც მისთვის ჯერ ნაადრევია. თუკი ყველა სიამოვნება, რისთვისაც კურორტზე მივდივართ, თქვენი პატარისათვის მიუწვდომელი და უსარგებლოა, მაშ, რისთვის უნდა წაიყვანოთ ცხრა მთას იქით?

რაც შეეხება 3-4 წლის ბავშვებს, მათი წაყვანა ახალ კლიმატზე შეგიძლიათ, მაგრამ მხოლოდ გარკვეული პირობებით. მედიკოსთა აზრით, ბავშვი უცხო კლიმატზე უნდა წაიყვანოთ არანაკლებ ერთი თვისა, ალერგიულები კი — ორი კვირით მაინც. მრავალრიცხოვანმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ კურორტზე ჩასვლისას პირველ კვირაში ბავშვები ხშირად ხდებიან ავად, ასევე ავადმყოფობენ შინ დაბრუნების დროსაც. კლიმატის მკვეთრი ცვლილება დიდი დატვირთვაა ბავშვის ორგანიზმისათვის. თუ არ გინდათ, რომ დასვენებით მოტანილი სარგებლობა ამ ორი ავადმყოფობით წაიშალოს, ბავშვი ახალ კლიმატზე რაც შეიძლება დიდი ხნით გააგზავნეთ.

ზოგიერთი ექიმი მიიჩნევს, რომ ბუნება შეიძლება მოვატყუოთ. თუ გამგზავრება ხანმოკლეა — სამდღიანი, ორგანიზმი ვერ ასწრებს აკლიმატიზაციის სრული ციკლის გავლას და თქვენ უვნებელნი დაბრუნდებით შინ. მაგრამ რა არის სამდღიანი დასვენება, თანაც პატარა ბავშვით ხელში?!

ყველაზე ჭკვიანური გამოსავალი ისაა, რომ დაიცადოთ, ვიდრე თქვენი მემკვიდრე 5-6 წლის გახდება. აი, მაშინ კი თამამად შეგიძლიათ, წაიყვანოთ იგი ზღვის სანაპიროზე საბანაოდ და გასაკაჟებლად, თანაც იგი უკვე აღიქვამს პეიზაჟის მშვენიერებას.

მანამდე კი უმჯობესია, ზაფხულის სიხარული მისთვის მშობლიურ კლიმატურ პირობებში გაატაროს, იჭყუმპალაოს წყლიან ტაშტში, ირბინოს ფეხშიშველმა, შეაგროვოს ყვავილები, ეთამაშოს პეპლებს და შემოდგომისათვის იგი აუცილებლად გახდება უფრო ჯანსაღი და ჭკვიანი.

■

პესიმიზმი წარმატების მიღწევაში გვეხმარება

ითვლება, რომ თანამედროვე მსოფლიოში წარმატების მიღწევა მხოლოდ აქტიურ, დადებითი სასიცოცხლო განწყობის მქონე ადამიანებს ძალუძთ. ამ მოსაზრების აბსოლუტური მცდარობა დაადასტურა ამერიკელ ფსიქოლოგთა ექსპერიმენტებმა. პესიმისტთა და ოპტიმისტთა ორ-ორ ჯგუფს შესთავაზეს მიზანში სროლა. ერთ ჯგუფს არწმუნებდნენ, რომ ეს ძალიან იოლი იყო და ყველაფერი კარგად იქნებოდა. მეორეს კი პირიქით, ეუბნებოდნენ, რომ მართალია, ბევრი სროლა მაინც მიზანს ასცდება, მაგრამ ეცადეთ, იქნებ როგორმე მიზანში მოახვედროთო. საბოლოოდ საუკეთესო შედეგი აჩვენეს პესიმისტებმა, რომლებიც დავალებას ასრულებდნენ თავის ჩვეულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში — „ყველაფერი ცუდად იქნება!“ ასე რომ, მიზანს მხოლოდ ის აღწევს, ვინც მოქმედებს თავისი ბუნების და არა საზოგადოებაში გამეფებული მითითებების შესატყვისად, როგორი ოპტიმისტურიც არ უნდა იყოს ის.

ფსიქოლოგები საჭირონი აღარ იქნებიან

მალე ალბათ აქტუალობას დაკარგავს ფსიქოლოგთა რჩევა, რომ გავათავისუფლოთ ჩვენი გრძნობები, გამოვთქვათ და გამოვიტიროთ ისინი. ჩატარებული კვლევის შემდგომ, ებრაელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ ის, ვინც თრგუნავს სულიერ ტკივილს, არ უღრმავდება საკუთარ თავს და იგნორირებას უწევს მტკივნეულ მოგონებებს, ცხოვრებაში გაცილებით მეტი წარმატების მიღწევისა და ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების შანსი აქვს. აღმოჩნდა, რომ ადამიანებში, რომლებიც ცდილობენ დათრგუნონ და დაივიწყონ თავიანთი განცდები, ტრავმის შემდგომი სტრესები გაცილებით იშვიათია.

გინდა ბავშვი? — ჭამე საზამთრო!

რაციონში კვებითი დანამატის — ლიკოპენის გამოყენება ან მისი შემცველი პროდუქტების შეტანა აუმჯობესებს მამაკაცებში სპერმის მდგომარეობას და ხელს უწყობს მამაკაცებს უშვილობისაგან თავის დაღწევაში. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ინდოეთის ნიუ-დელის სამედიცინო მეცნიერებათა ინსტიტუტის მკვლევარები. მათ პაციენტებს ჰქონდათ სპერმატოზოიდების ნაკლებობა, ანომალიური სტრუქტურის სპერმატოზოიდები ან მათი სუსტი ძვრადობა. მათ მკურნალობდნენ ლიკოპენით — ანტიოქსიდანტით, რომელიც დიდი რაოდენობით შედის საზამთროში, ყურძენში, პომიდორსა და ზოგიერთ ზღვის მოლუსკში. სამთვიანი დაკვირვებისას გაუმჯობესება აღენიშნა მამაკაცთა 67%-ს.

■

ჯაჭოჩვენილი აღამიანების ხუმრობები

რამდენიმე სხივი... ყონვერტში

ე.წ. X-სხივების აღმოჩენიდან ერთი წლის შემდეგ, მეცნიერმა რენტგენმა წერილი მიიღო ინგლისელი მეზღვაურისგან. „სერ, ომის დროს გულმკერდში ტყვია ჩამრჩა, რომელიც ისეა ჩამალული ჩემს სხეულში, რომ ქირურგებმა ვერაფრით აღმოაჩინეს. და აი, შევიტყვე იმ სხივების შესახებ, რომელიც თქვენ აღმოგიჩენიათ და რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება მისი დანახვა. დიდად მადლობელი ვიქნები, თუ კონვერტით რამდენიმე ამ სხივს გამომიგზავნით – როგორც კი ექიმები ტყვიას ამოშიღებენ, უმალ უკან გამოგიგზავნით.“ ცხადია, რენტგენი თავიდან გაოგნდა, შემდეგ კი ასეთი პასუხი მისწერა მეზღვაურს: „სამწუხაროდ, ახლა არა მაქვს საჭირო რაოდენობის სხივები. ამიტომ გთავაზობთ, გამომიგზავნოთ თქვენი გულმკერდი – ტყვიას ამოგიღებთ და უმალ უკან გამოგიგზავნით“.

მეფის „მრეცხავი“ მწერალი

პრუსიის მეფესთან, ფრიდრიხ მეორესთან სტუმრობისას, ვოლტერი ერთ გენერალს მის მიერ ფრანგულ ენაზე ნათარგმნი წიგნის დამუშავებაში ეხმარებოდა. ამ დროს, მეფის მსახურმა მწერალს გვირგვინოსნის თხზულება მიუტანა, რათა ის გასცნობოდა და საჭიროების შემთხვევაში შეესწორებინა კიდეც. ვოლტერი გენერალს მიუბრუნდა და სინანულით უთხრა: „სამწუხაროდ, სამუშაოს გადადება მოგვიწევს. მეფემ თავისი სარეცხი გამომიგზავნა და სასწრაფოდ უნდა შევუდგე რეცხვას“.

ულასიიოსი ყომპოზიტორი და ჯაზი

ევროპის ქვეყნებში მოწყობილი ტურნეს დროს, შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში იგორ სტრავინსკის პატივსაცემად დიდი წვეულება გამართეს. ერთ-ერთ სტუმარს ასეთი კითხვა დაებადა: „რა აზრისა ბრძანდებით ჯაზზე?“ – „იმავე აზრისა, რაც ამ ოციოდე წლის წინ მქონდა“, – მიუგო კომპოზიტორმა. მელომანი არ მოეშვა: „მერედა, 20 წლის წინ რა აზრისა იყავით?“ სტრავინსკიმ თვალი თვალში გაუყარა აბეზარს და მოკლედ მოუჭრა: „სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს...“

„ცეკვა ხმლებით“ სალვადორ დალის შესრულებით

გასტროლებზე ესპანეთში ყოფნისას, გამოჩენილი კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანი სალვადორ დალიმ მიიწვია. დათქმულ დროს, მუსიკოსს ლიმუზინმა მიაკითხა და ექსცენტრიკული გენიოსის სასახლეში წაიყვანა. ხაჩატურიანს მსახური შეეგება, უზარმაზარ დარბაზში შეიყვანა, გაწყობილ სუფრასთან დასვა და სთხოვა, მიერთმია რამე, სანამ მასპინძელი ეახლებოდა. დალი არა და არ ჩანდა. როცა ვიზიტის დაწყებიდან თითქმის 1 საათი იყო გასული, მოულოდნელად გაისმა სტუმრის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოების – „ცეკვა ხმლებით“ – მუსიკა, გაიღო კარი და მხატვარი გამოჩნდა. მას ხელში ეჭირა ხმალი, რომელსაც აქეთ-იქით იქნევდა და... სრულიად შიშველი იყო. დალიმ ჭენებ-ჭენებით გადაკვეთა დარბაზი და მეორე კარში გაუჩინარდა. შემდეგ სტუმარს იგივე მსახური მიუახლოვდა და მორიდებით უთხრა – აუდიენცია დამთავრებულია... მთელი გზა სასტუმრომდე ხაჩატურიანი გაცოფებული იყო, მან კინაღამ ფანჯარაში მოისროლა მხატვრის მიერ ნაჩუქარი ალბომი, რომელსაც მისი ხელით გაკეთებული ასეთი წარწერაც „ამშვენებდა“: „დაუვიწყარი შეხვედრის მოსაგონებლად“, – მაგრამ შემდეგ მაინც გადაიფიქრა და დაიტოვა. ■

ანეკდოტები

***

ქალი ექიმთან მივიდა.

– ექიმო, ჩემი ქმარი ამტკიცებს, რომ მე სქესობრივი სისუსტე მჭირს.

– მერედა, რაში გამოიხატება ეს?

– ვერავის ვერ ვეუბნები უარს...

***

პაციენტი:

– ექიმო! თქვენ ნამდვილი გენიოსი ხართ! როგორ მომარჩინეთ განდიდების მანიისგან?!

– ო, ეს ჩემი მოვალეობაა...

– ახლა მიბრძანეთ, რამდენი მილიარდი მაქვს გადასახდელი...

***

– რამ გიბიძგათ თვითმკვლელობისკენ?

– სიცოცხლე მომბეზრდა!

– და თქვენ იფიქრეთ, რომ თვითმკვლელობა კარგი გასართობი იქნებოდა?!.

***

რესტორანი, საღამოს ცხრა საათი. უკმაყოფილო კლიენტი ოფიციანტს ეძახის.

– რას ჰგავს ეს? უკვე ნახევარი საათია, ვეჭიდავები და ვერაფრით გამიჭრია ეს ხორცი!

– მერე რა არის აქ სანერვიულო? ჩვენ ხომ დილის 7 საათამდე ვმუშაობთ...

***

დირექტორის კაბინეტში მისი მდივანი შემოდის და ახალგაზრდა კაცს წარუდგენს:

– უკაცრავად, ერთი წუთით უნდა შეგაწუხოთ. ეს ჩემი საქმროა. სპეციალურად მოვიყვანე – მინდოდა, საკუთარი თვალით ენახა, რომ მელოტი, უშნო და ბებერი შეფი მყავს...

***

ქურდი შვილს – პატარა ბიჭუნას სცემს და თან ამის მიზეზს უხსნის:

– იმისთვის კი არ გიბრახუნებ, რომ კანფეტი მოიპარე – კვალი როგორ დატოვე?!. ■

ქართული ეპოსის გმირი
პროგრესის მოწინააღმდეგე
ვარსკვლავთმისნობა
„რეალის“ კაპიტანი
ტურინის „იუვენტუსის“ სპორტი პრეზიდენტი
ჰოლანდიური ლუდი
დაბადების მოწმობა
ბნელების სოფლიდან მოდელების შემქმნელი ფირმა
მსოფლიოს ჭეშის ჩემპიონი „ფორმულა-1“-ში
ხე ქართული წრის ვით.
ბრიუს ...
მიტროპოლიტის ქუდი
მსოფლიოს უდიდესი დიპლომატი
ძველი ხელნაწერი
გამოსახულებიანი ქვა ბრაშში
პროსპერ მერიმეს ნოველა
გერმანელი პოეტი
აბესალომის საჭრეფო
ცხენმეშველი რელსებიანი ტრანსპორტი
მდინარის მონატანი სილა
სხეულის ინერტულობის ზომა
სახის გაზრახ ან უნებლიე მანჭვა
ნუშის შიგთავსი კანფეტში
ქართული ანბანის მე-8 ასო
ბრუტის ანტიტლერული პაროლების ბრი
ლაღიძის ოპერა
ანგელოს დეტექტივი
სამხედრო გემი XVII-XIX საუკუნეში
ელისაბედ პირველის საიდუმლო აგენტი
დედამამიშვილი
ეკლესიის მსახური
სტალონეს ცოლ-ყოფილი
საფრანგეთის ჩემპიონი ფეხბურთში
საქირაო ეტლი საფრანგეთში
განთიადი
სამონადირეო ჯიშის ძაღლი
ფრანგული სუნამოს მაღაზია „...-პარი“
შეჯიბრი მოკლე დისტანციაზე
ნაცია ოლიმპიელი კომბინატორი
სამწახნაგიანი პატარა ხანჯალი
ცხელი ქარი სამხრეთ ევროპაში
შეადგინა რამაზ ალანიამ



30-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-დ; 3-ა; 4-ა.

კვირის (16 –22 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი

მარგალიტი – 22/V-21/VI

ქალი: თქვენს პირად ცხოვრებაში ბევრი გაურკვევლობაა. ეცადეთ, მართოთ სიტუაცია. დროა, გაბედული ნაბიჯები გადადგათ, რათა თქვენთვის სასიკეთო შედეგებს მიაღწიოთ. საქმიანობაში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. შესაძლოა, მალე, თქვენთვის სასიამოვნო სიახლეებიც მოხდეს.

მამაკაცი: ხანგრძლივმოქმედი კონტრაქტები ჯობს, კვირის პირველ ნახევარში დადოთ. შესაძლოა, თქვენი რჩეული ქალბატონი უსიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდეს; აგრძნობინეთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მის გვერდით იქნებით.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: საუკეთესო დროა, შვებულების ასაღებად. ამასთანავე, გირჩევთ, მოერიდოთ ხმაურიან კომპანიებს. ახლობლები ნებისმიერ წამოწყებაში დაგიჭერენ მხარს. და მაინც, ყველა მნიშვნელოვანი საკითხი დამოუკიდებლად გადაწყვიტეთ.

მამაკაცი: კვირის დასაწყისში, განსაკუთრებით მოერიდეთ ნებისმიერ კონფლიქტს და ეცადეთ, არ ჩაგითრიონ რაიმე შეთქმულებაში. ყურადღებით შეისწავლეთ ნებისმიერი წინადადება, რომელსაც შემოგთავაზებენ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: დროა, მიწაზე დაეშვათ, სათანადოდ შეაფასოთ საკუთარი შესაძლებლობები, დამოუკიდებლად იმოქმედოთ და აღარ უცადოთ იმ ადამიანებს, რომლებიც კარგა ხანია, მხოლოდ დაპირებებით გკვებავენ.

მამაკაცი: ნუ ეცდებით, ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთებას – ეს წარმატებას არ მოგიტანთ. უმჯობესია, იზრუნოთ ჯანმრთელობაზე და შვებულებაც დაგეგმოთ. ნებისმიერ სიტუაციაში, თქვენ გვერდით ის ახლობელი იქნება, რომელსაც ხშირად სტკენთ გულს.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: საქმიანობით გართულს, საკუთარი გარეგნობა ნუ გავიწყდებათ. იქნებ, ახალი ტანსაცმელიც შეიძინოთ? თუ კვირის დამლევს, თანამშრომლები წვეულებაზე დაგპატიჟებენ, ნუ იტყვით უარს: შესაძლოა, იქ სასარგებლო ინფორმაცია მიიღოთ.

მამაკაცი: კონკრეტული საქმის კეთებით შემოიფარგლეთ. თავი აარიდეთ ისეთ წინადადებებს, რომლის გამოც გაუმართლებელი ხარჯის გაწევა მოგიწევთ ან პარტნიორებთან ურთიერთობა გაგირთულდებათ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: სამსახურში წარმატებას მიაღწევთ. შეფი თქვენს გარჯას შეამჩნევს და დაგაწინაურებთ. უქმეებში, სპორტულ დარბაზში ვარჯიშს ან წვეულებაზე წასვლას გირჩევთ.

მამაკაცი: ბოროტად ნუ გამოიყენებთ თქვენდამი მეგობრების ნდობას. კვირის დასაწყისში, შემოსავალი გექნებათ. კვირის დამლევისთვის, შესაძლოა, პარტნიორებმა ძველი პრეტენზიები წამოგიყენონ; ეცადეთ, ოპერატიულად მოაგვაროთ ეს პრობლემა.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: კვირის პირველ ნახევარში, განსაკუთრებული მოთმინება გმართებთ – თქვენი სიმართლის დაცვა გაგიჭირდებათ. არ არის გამორიცხული, რომ ამის შედეგად, ცხოვრებაზე შეხედულებაც კი შეგეცვალოთ. კვირის მეორე ნახევარში, ძველ მეგობრებთან გულთბილი შეხვედრა გელით.

მამაკაცი: საქმოსნებს, უცხოელ პარტნიორებთან კონტაქტების გაფართოება მართებთ. განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ დოკუმენტების გაფორმებისას. კვირის დამლევს, შესაძლოა, იოლი შემოსავლის შანსი მოგეცეთ, მაგრამ ჯობს, გაუძლოთ ამ ცდუნებას.

მუშაღლუსანი – 23/XI-21/XII

ქალი: სამსახურში მნიშვნელოვანი ცვლილებები გელით. თუ გათხოვილი ხართ, საოჯახო პრობლემებიც არ აგცდებათ. კვირის დასაწყისში, უფროსების ქებას დაიმსახურებთ.

მამაკაცი: ვიღაცა ცდილობს, დასახული გეგმები აგირიოთ, მაგრამ თქვენი მეგობრები ამის საშუალებას არ მისცემენ. დაუმთავრებელი საქმეების მოგვარებას მოახერხებთ და დაკარგულ დროსაც აინაზღაურებთ.

ოხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: თქვენთვის რომანტიკული პერიოდი გრძელდება, შესაძლებელია, სასიამოვნო სიახლეც მოხდეს თქვენს პირად ცხოვრებაში. აკონტროლეთ საკუთარი თავი; დაქალებთან ზედმეტი გულახდილობა შეიძლება, საზიანო იყოს.

მამაკაცი: მოსალოდნელია მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. შესაძლოა, უცხოელი პარტნიორები შეიძინოთ. კვირის მეორე ნახევარში, ძველ მეგობრებთან საინტერესო და ხალისიანი შეხვედრა გელით.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: მეტი თავშეკავება გამოიჩინეთ ფულის ხარჯვისას, თორემ, ახლობლებთან უსიამოვნება არ აგცდებათ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ საკვებს და ძილის სარგებლობასაც ნუ დაივიწყებთ. ამ კვირაში, არც ექიმის კონსულტაცია გაწყენთ.

მამაკაცი: მეგობრებთან პოლემიკამ შეიძლება, ცუდი გავლენა მოახდინოს თქვენს საქმიანობაზე. ასეთ შემთხვევაში, დამოუკიდებლად იმოქმედეთ – ნუ გექნებათ გავლენიანი ადამიანების იმედი.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: თქვენს წრეს ახალი, საინტერესო ადამიანები შეემატებიან. შესაძლოა, ერთ-ერთ მათგანთან რომანტიკული ურთიერთობაც გააბათ. კვირის მეორე ნახევარში, თქვენთვის სულიერად ახლობელ ადამიანებთან შეხვედრა გელით.

მამაკაცი: თქვენი კარიერისთვის სასიკეთო სიახლეა მოსალოდნელი, ოღონდ, ეს მხოლოდ თქვენდამი კეთილგანწყობილი თანამშრომლების მონაწილეობის შემთხვევაში იქნება რეალური.

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: კარგად აეწყობა პარტნიორებთან თქვენი ურთიერთობები. შესაძლოა, მგზავრობა მოგიწიოთ. ზოგიერთი ახლობელი თავს გაბეზრებთ რჩევებით – არადა, თქვენ საკუთარი პრობლემების გადაჭრის უნარი არ გაკლიათ.

მამაკაცი: თუ მეწარმეობას მისდევთ, უფრთხილდით მაკონტროლებელ ორგანოებს. კვირის დასაწყისში, შეიძლება, ახალი ბინის შეძენა შემოგთავაზონ. ხელიდან ნუ გაუშვებთ კარგ შანსს. უქმეები ქალაქგარეთ გაატარეთ.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: შეიძლება, ერთ-ერთი ყველაზე სანუკვარი ოცნება აგიხდეთ. ემოციურად საკმაოდ დაძაბული დღეები გელით. კვირის მეორე ნახევარში, მოთმინება და თავშეკავება გამოიჩინეთ: ეს ის დროა, როცა ცალმხრივი გრძნობა, ორმხრივ სიყვარულში შეიძლება გადაიზარდოს.

მამაკაცი: კვირის დასაწყისში, შეიძლება, გაუთვალისწინებელი შემოსავალი მიიღოთ. სერიოზული ვალდებულებების აღებისას, კოლეგებს მოეთათბირეთ. კვირის მეორე ნახევარი, ოფიციალურ ინსტანციებთან ურთიერთობისთვის ხელსაყრელი დრო.

როგორია თქვენი ინდივიდუალური მიდრეკილებები?

1) რა განიჭებთ ყველაზე დიდ სიამოვნებას?

ა) თქვენ მიერ კეთილსინდისიერად შესრულებული საქმე – 1;

ბ) მაღალანაზღაურებადი სამუშაო – 3;

გ) ერთგული მეგობრების გარემოცვაში ყოფნა – 2.

2) ვის მიიჩნევთ საუკეთესო მეგობრად?

ა) ვისაც კარგად ესმის თქვენი – 2;

ბ) ვისაც ენდობით – 3;

გ) ვისაც ცხოვრებაში კონკრეტული მიზნები აქვს – 1.

3) როდის ღიზიანდებით ყველაზე მეტად?

ა) როცა რაიმე საქმე არ გამოგდით – 3;

ბ) როცა მეგობრები გღალატობენ – 2;

გ) როცა გაკრიტიკებენ – 1.

4) რა არ გიყვარდათ ბავშვობაში ყველაზე მეტად?

ა) ეზოში ბავშვებთან ერთად თამაში – 2;

ბ) რაიმე დავალების შესრულება – 3;

გ) შექება – 1.

5) როგორი ადამიანია მისაბაძი თქვენთვის?

ა) ვინც წარმატებას მიაღწია – 1;

ბ) ვისაც თავისი საქმე ძალიან უყვარს – 3;

გ) ვისაც გამორჩეულად უყვარს მეგობრები და იშვიათი სიკეთით გამოირჩევა – 2.

6) თქვენი აზრით, პირველ რიგში რას უნდა ასწავლიდნენ ბავშვებს სკოლაში?

ა) ცხოვრებისეულ პრობლემებთან გამკლავებას – 3;

ბ) საკუთარი ინდივიდუალობის წარმოჩენას – 1;

გ) ადამიანებთან ურთიერთობას – 2.

7) რისთვის იყენებთ თავისუფალ დროს სიამოვნებით?

ა) მეგობრებთან ურთიერთობისთვის – 2;

ბ) დასვენებისა და გართობისთვის – 1;

გ) განათლების მისაღებად – 3.

8) როდის აღწევთ საუკეთესო შედეგებს?

ა) როცა იმ ხალხთან ერთად მუშაობთ, ვინც მოგწონთ – 2;

ბ) როცა საინტერესო საქმეს აკეთებთ – 3;

გ) როცა თქვენი შრომა შესაბამისად ფასდება – 1.

9) რა გახარებთ ყველაზე მეტად?

ა) როცა სხვები თქვენს შრომას სათანადოდ აფასებენ – 1;

ბ) როცა საინტერესო საქმეში ხართ ჩაბმული – 3;

გ) როცა მეგობრების წრეში ერთობით – 2.

10) თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს კარგი ხელმძღვანელი?

ა) კომუნიკაბელური – 2;

ბ) ავტორიტეტული – 1;

გ) მომთხოვნი – 3.

11) რა შინაარსის წიგნს წაიკითხავდით სიამოვნებით თავისუფალ დროს?

ა) ადამიანებთან ურთიერთობისა და ფსიქოლოგიის შესახებ – 2;

ბ) საინტერესო და გამოჩენილი ადამიანების ცხოვრების შესახებ – 1;

გ) მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების შესახებ – 3.

12) რომელ პროფესიას აირჩევდით, განსაკურთებული მუსიკალური მონაცემები რომ გქონდეთ?

ა) დირიჟორის – 2;

ბ) კომპოზიტორის – 3;

გ) მომღერლის – 1.

დაანჯამეთ ქულები

12-19 ქულა: ძირითადად, საკუთარი თავი და საკუთარი სურვილები გაინტერესებთ. გინდათ, რომ გარშემომყოფებმა გამუდმებით გაქონ და მხოლოდ თქვენს წარმატებებზე ილაპარაკონ. სამუშაო გიყვართ, წინსვლას ესწრაფვით, წარმატების მისაღწევად აგრესიასაც იჩენთ და თქვენს ხელთ არსებულ ძალაუფლებასაც ხშირად იყენებთ.

20-28 ქულა: ადამიანებთან ურთიერთობა თქვენთვის უპირველესია. ნებისმიერ სიტუაციაში ცდილობთ ადამიანებთან კეთილგანწყობილი დამოკიდებულების შენარჩუნებას. გირჩევნიათ, საქმე კოლექტივთან ერთად აკეთოთ და წარმატებაც სხვებს გაუნაწილოთ. გიყვართ ადამიანებისთვის დახმარების გაწევა. მეგობრებს თქვენს ცხოვრებაში უდიდესი, გამორჩეული ადგილი უკავიათ.

29-36 ქულა: თქვენთვის უპირველესია საქმე. მუდამ ცდილობთ, გონივრულად გადაწყვიტოთ საქმიანობაში წარმოქმნილი პრობლემები. შეგიძლიათ, როგორც საკუთარი, ასევე სხვების ინტერესებიც უგულებელყოთ, ოღონდაც საქმე არ გაფუჭდეს და წარმატებით დაგვირგვინდეს. თუმცა, პრინციპულობა არ გაკლიათ და თუ საქმის სასიკეთოდ, რაიმე აზრის დაცვაა საჭირო, აუცილებლად ეცდებით, გაიტანოთ საკუთარი აზრი და ბოლომდე იბრძოლებთ წარმატების მისაღწევად.

მეომრებს სახოსჯიპოში უფასოდ მოემსახურებიან

ნევადა ერთადერთი ამერიკული შტატია, სადაც ლეგალიზებულია პროსტიტუცია და ოფიციალური საროსკიპოები არსებობს. ერთ-ერთი მათგანის მეპატრონემ კი, პატრიოტული გრძნობების მოძალების შედეგად, სულ ახლახან გამოაცხადა, რომ მისი დაწესებულება უფასოდ მოემსახურება ერაყში ომის მონაწილე ამერიკელ მებრძოლებს. Bunny Ranch-ის სახელით ცნობილი ბორდელის მესაკუთრე დენის ჰოფი ამბობს, რომ ამ თაოსნობისკენ მას უბიძგა წერილებმა, რომელსაც ის ფრონტიდან ღებულობდა. „ჩვენთან დღეში 20-მდე წერილი მოდიოდა და მაშინ ვიფიქრეთ, რომ როცა ეს ბიჭები სამშობლოში დაბრუნდებოდნენ, მათთვის რაღაც განსაკუთრებული უნდა გაგვეკეთებინა“, – აღნიშნავს ჰოფი. ჯარისკაცებში ამ ბორდელის განსაკუთრებული პოპულარობა კი, იმით აიხსნება, რომ იქ მუშაობს ჟურნალ Playboy-ის ყოფილი მოდელი სანსეტ ტომასი, რომელსაც მეომრები ერაყიდან სწერდნენ.

დენის ჰოფი ამბობს, რომ ნაომართაგან პირველ 50 ჯარისკაცს უფასოდ გადაეცემა „ჰიგიენური პაკეტი“, რომელშიც საპნისა და კბილის ჯაგრისის ნაცვლად, პრეზერვატივები, პორნოჟურნალი და, რაც მთავარია, ბორდელის უფასო მომსახურების სპეციალური სერტიფიკატი იქნება მოთავსებული. როგორც საროსკიპოს მეპატრონე აღნიშნავს, ეს ღონისძიება მის დაწესებულებას 50.000 დოლარი დაუჯდება. ■

აშშ-ში გამოუცდელ მძღოლებს მობილურით სარგებლობას უკრძალავენ

მოძრაობისას მობილური ტელეფონებით სარგებლობა აეკრძალებათ ახალგაზრდებსა და გამოუცდელ მძღოლებს – ასეთი გადაწყვეტილების შესახებ სულ ცოტა ხნის წინ აუწყა ქვეყნის მოსახლეობას აშშ-ის სატრანსპორტო უსაფრთხოების ნაციონალურმა კომიტეტმა. როგორც ამ ორგანოს მესვეურები ამბობენ, ამ ზომისაკენ მათ საბოლოოდ უბიძგა შემზარავმა ავტოკატასტროფამ, რომელიც წლეულს, 1 თებერვალს მოხდა. გამოძიებამ დაადგინა, რომ წინა დღეს ნაყიდი, სპორტული ავტომობილის საჭესთან მჯდომი, 20 წლის ქალიშვილი გამუდმებით ელაპარაკებოდა ამ შენაძენზე მეგობრებს (მის აპარატში 4 საათის მანძილზე, სულ 15 ზარი იყო დაფიქსირებული) და სწორედ ამ მიზეზით მოახდინა ავარია, რომელმაც 5 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

აღსანიშნავია, რომ საჭესთან ჯდომისას მობილური ტელეფონით სარგებლობის აკრძალვას ბრიტანეთის მთავრობაც აპირებს. ინგლისის ტრანსპორტის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მაისში განაცხადა: „კანონპროექტი, მოძრაობის დროს მობილურით სარგებლობის აკრძალვის შესახებ, უახლოეს მომავალში გადაეცემა პარლამენტს განსახილველად“. ■

ძფბ-ს აგენტებად ტინეიჯერი გოგონები მიიწვიეს

აშშ-ის ძიებათა ფედერალურმა ბიურომ სათანამშრომლოდ მიიწვია 3 გოგონა, რომელიც შეასწავლის ძფბ-ს თანამშრომლებს, თუ როგორ უნდა მოაჩვენონ თავი ინტერნეტის მომხმარებლებს გოგონებად. ეს კურსი ძფბ-ს ოპერაციის – „უმანკოების სახე“ – შემადგენელი ნაწილია. ოპერაცია, პედოფილებისა და საბავშვო პორნოგრაფიის მოყვარულთა მხილებასა და ნეიტრალიზებას ისახავს მიზნად. 14 წლის გოგონები ძფბ-ს აგენტებს ასწავლიან ტინეიჯერებისთვის დამახასიათებელ ლექსიკას, ურთიერთობის სტილს, გააცნობენ მათი ასაკისთვის დამახასიათებელ, სასაუბრო თემებს. საჯაშუშო საქმიანობაში მოზარდების ჩართვის იდეა ხელმძღვანელობას ერთ-ერთმა ოფიცერმა უკარნახა. თურმე ერთხელ, ის თვალყურს ადევნებდა იმას, თუ როგორ ეკონტაქტებოდა მისი ქალიშვილი თავის მეგობრებს და გოგონას გზავნილებში დაწერილი, პრაქტიკულად ვერც ერთი სიტყვა ვერ გაიგო... ■

ხიდლი სკოტის „უცხო“ ახალი სახით მოგვევლინება

კინოკომპანიამ – 20-th Century Fox დაადასტურა, რომ კვლავ გამოუშვებს აშშ-ის ეკრანებზე თავისი კოლექციის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ფილმს – 1979 წლის კოსმოსური საგის – „უცხოს“ პირველ ნაწილს. რიდლი სკოტის ფილმის განახლებულ ვერსიაში შევა ადრე ამოღებული და აქამდე შენახული ყველა ეპიზოდი; ამასთანავე, სურათი ციფრულად დამუშავდება, რის შედეგადაც, მისი ტექნიკური ხარისხიც გაუმჯობესდება. სავარაუდოა, რომ „უცხოს“ საუნდტრეკსაც დახვეწენ საიმისოდ, რომ ის ნებისმიერ თანამედროვე მოთხოვნას აკმაყოფილებდეს, რომელსაც, როგორც წესი, ასეთი დონის ფილმებს უყენებენ. „უცხოს“ ახალი ვერსია გამოვა ჰელოუინის დღესასწაულის წინ და წარმოდგენილი იქნება აშშ-ის 2000 კინოთეატრში. სურათის წარმატებული კინოგაქირავების შემთხვევაში, კინოკომპანია „უცხოს“ მეორე ნაწილის ხელმეორე გამოშვებისთვის მზადებას დაიწყებს. ■

ფოტოკუთხეები

b 70/22

N12(46) 12/VI-25/VI-2003

ოჯახის მეუნარეული

საშვილიშვილო ჟურნალი

ფასი 70 თ

სიჯანსაღე ენამლოდ

ეპილეფსია

მთავარი თემა
სად დავისვენოთ
ზაფხულში

რით ვუშველოთ
გაგანიერებულ
ვენებს

ვიზიტი
გინეკოლოგთან

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის